1168
2002

კვირის პალიტრა

ალია

N42(123) 17/X.-23/X.2002. ფასი 60 თ.

„მე და მაკა ასათიანი ყველაფერს ერთად ვგეგმავდით...“

რეზო არველაძის ფეხბურთის მოძულე მეუღლეს მანქანა დაუწვეს

თბილისში ქალად გადაცმული მამაკაცი დაძრწის

ეკა ხოფერია:
„ახლა ძალიან ცუდ დღეში ვარ“

ქართველი „კაზანოვა“ ანტალიის სანაპიროზე

ნატო გელაშვილი:

„მხოლოდ იმისთვის, რომ ვილაცამ თქვას — ნატოს მანქანა ჰყავსო, — არ ვიყიდი. არც იმიჯმეიკერი და მსგავსი ვილაცეები მყავს. რეალურად ვუყურებ ცხოვრებას. თუ მჭირდება, მკაცრი ვარ, თუ მჭირდება — რბილი.“

გვ. 25

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ
№42 (123)
17 - 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ 2002
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲗᲘᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲑᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲙᲝᲚᲐ“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
ᲨᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ + ᲠᲐᲒᲑᲘ 6
ᲙᲝᲚᲔᲒᲐ
ᲔᲙᲐ ᲮᲝᲨᲕᲔᲠᲘᲐ: „ᲐᲮᲚᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲣᲓ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲕᲐᲠ...“ 7
ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲘ
„ᲝᲠᲑᲘᲡ“ ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ „ᲒᲐᲓᲐᲤᲠᲔᲜᲐ“ 10
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
ᲐᲮᲚᲐ ᲧᲔᲠᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲘᲜᲝᲓᲒᲔᲐ 12
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
• ᲝᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 13 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲔᲡ 13
• ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲨᲘ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲮᲔᲚᲔᲜ 14
• ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘ? 15
ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲔᲠᲘ
ᲗᲔᲝᲜᲐ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔᲡ ᲐᲠ ᲨᲕᲕᲐᲠᲡ ᲨᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲕᲕᲐᲠᲡ ᲠᲔᲖᲝ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ 16
ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲘ
„ᲛᲗᲕᲠᲐᲚ ᲙᲐᲪᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲑᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲙᲔᲠᲓᲡ ᲒᲐᲕᲨᲮᲐᲮᲣᲜᲔᲑ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲨᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲘᲨᲣᲠᲔᲑᲡ...“ 20
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ
ᲠᲝᲪᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲨᲘ ᲣᲡᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲡᲔᲕᲓᲐ ᲣᲓᲒᲐᲗ... 22
ᲐᲞᲔᲚᲣᲐ
ᲠᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲰᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲡᲩᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲧᲛᲔᲘᲙᲔᲠᲘ 25
ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ 26
ᲛᲝᲓᲐ
ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ-ᲒᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲛᲣᲭᲘ ᲤᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲒᲔ ᲩᲐᲘᲕᲚᲘᲡ 28
ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘ
ᲠᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ-ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲑᲠᲛᲐᲕᲔᲑᲡ ᲛᲢᲔᲠᲡ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲮᲔᲛᲐᲚ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ 29
ᲢᲔᲡᲢᲘ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ 31

ᲔᲙᲐ ᲮᲝᲨᲕᲔᲠᲘᲐ: „ᲐᲮᲚᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲣᲓ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲕᲐᲠ...“



ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲙᲕᲔᲗᲠᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲝᲑᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲚᲝᲘᲐᲚᲣᲠᲝᲑᲐ, ᲡᲘᲪᲘᲚᲘ ᲓᲐ Ა.Შ. ᲓᲘᲛᲐᲡ ᲜᲐᲗᲘᲐ ᲚᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲪᲘᲜᲔᲑᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ — ᲮᲐᲜ ᲟᲔᲡᲢᲔᲑᲘᲗ, ᲮᲐᲜ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲘᲡᲔᲗᲡ... ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲓᲘᲛᲐᲡ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲜᲐᲗᲘᲐᲡ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘᲐ.

7

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲥᲘᲚᲐᲫᲔᲡ ᲐᲠ ᲨᲕᲕᲐᲠᲡ ᲨᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲕᲕᲐᲠᲡ ᲠᲔᲖᲝ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔ

ᲯᲕᲠᲘᲡᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ, ᲕᲘᲒᲠᲫᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲕᲑᲓᲔᲑᲝᲓᲘ. ᲡᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲔᲚᲗᲐᲜ ᲕᲘᲓᲔᲥᲘ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲗ ᲮᲔᲚᲨᲘ... ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲛᲝᲕᲐᲡᲬᲐᲠᲘ — ᲠᲔᲖᲘ, ᲪᲣᲓᲐᲓ ᲕᲐᲠ-ᲛᲔᲗᲥᲘ, — ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲬᲐᲛᲘᲕᲘᲓᲐ. ᲠᲔᲖᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ, ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲬᲧᲚᲘᲗ ᲛᲝᲕᲔᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲜᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲘᲮᲘᲡ ᲓᲝᲥᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲨᲣᲑᲚᲖᲔ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲧᲐ.



16

ᲝᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 13 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲔᲡ



ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ. ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ, ᲑᲐᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲘᲡᲠᲝᲚᲐ. ᲢᲧᲕᲘᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝᲓ ᲓᲐᲭᲠᲐ. ᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲮᲝᲪᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ, ᲨᲔᲨᲘᲜᲓᲐ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲡᲬᲘᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲜᲐ.

13

„ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲙᲘᲓᲔ ᲮᲔᲚᲘᲗ — ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲓᲐ ᲖᲕᲘᲐᲓᲖᲔ ᲓᲐᲭᲠᲓᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲔᲑᲣᲚᲐ...“

ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲭᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲓᲘᲚᲖᲔ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲐᲛᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲒᲕᲘᲐᲜᲐ. ᲛᲔᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲕᲐ ᲔᲡ ᲞᲣᲜᲥᲢᲣᲐᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔ, ᲐᲡᲔᲕᲔ — ᲡᲘᲛᲙᲐᲪᲠᲔ ᲓᲐ ᲣᲓᲠᲔᲙᲔᲚᲝᲑᲐᲪ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲐᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲕᲒᲐᲕᲓᲘ, ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲐᲓ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ ᲕᲒᲐᲕᲐᲠ.

34

აზარტის სამყარო
- თამაშით შეპყრობილები 32
- გემუქრებათ თუ არა აზარტით შეპყრობის სენი 32

შეუცნობელი სამყარო
- მოჩვენებებზე მონადირენი 33
- სულების გამოსაძახებელი მოწყობილობა 33

მოგონება
„მაგრად მომკიდე ხელიო – უთქვამს და გვიადგე დაყრდნობილი გათავებულა...“ 34

საფეხბურთო მინდვრებზე 36

ეკრანს მიღმა
ვიქტორია აბრილი – „მთელი ევროპა ჩემი სახლია“ 39

ვარსკვლავი
ყოველთვის სექსუალური კეტლინ ტერნერი 40

რომანი
რუსუდან ბერიძე. ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები (გაგრძელება) 42

ავტო 46

ფავორიტები 48

ინსტრუქტორი
ქართველი „კაგანოვა“ ანტალიის სანაპიროზე 50

აქეთური-იქითური 52,54

ჯანმრთელობა
- დაავადების „ფსიქოლოგია“ 56
- სექსი სიბერემდე 57
- დიასახლისის კუთხე 58
- კითხვა-პასუხი 59

ტაქარი
რატომ უნდა შევრისხოთ თვითმკვლელი? 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი
კვირის (21-27 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი
შეგიძლიათ თუ არა პრობლემის დაძლევა? 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „ჰოლორში“

ქართველი „კაგანოვა“ ანტალიის სანაპიროზე

ამჯერად გერმანელი ექიმი – სუზი შემოყვარდა. ისიც სულ ჩემ გვერდით იყო, ხან რას მიძღვნიდა საჩუქრად, ხან რას. წასვლისას კი შემომთავაზა: ჩემთან წამოდი და იქ ვიქორწინოთო. მეც წავყევი, ვიფიქრე – მოქალაქეობას მაინც მივიღებ-მეთქი.

50

„ემთვრალ კაცს ჩემს ბაგის მკერდს გავუსახუნებ და ისიც ფულს არ იშურებს...“

მომეწონა, ასე გაწბილებული რომ დავტოვე ის ოფლიანი და ღიპიანი ძია. არმად ნაშოვნი ფულიც მშვენივრად გამოვიყენე. ამის შემდეგ, ჩემივე ინიციატივით მოვუხშირე ღამის გასვლითი „წარმოდგენების დადგმას“.

20

ყოველთვის სექსუალური კეტლინ ტერნერი

სპექტაკლი – „სკოლის კურსდამთავრებული“ მსოფლიო სენსაციად იქცა, კეტლინ ტერნერი საბაზანოდან პირსახოცშემოხვეული გამოდიოდა, შემდეგ პირსახოცი იატაკზე ვარდებოდა და მთელი დანარჩენი სცენის მანძილზე, იგი დედიშობილა თამაშობდა.

40

ქალური ინტუიცია ანუ ჭიამაიას ფრთები

– განანებ, იცოდე!..

– ფეხები არ მომჭამო... თუ აქედან ახლავე არ აორთქლდები, ისეთ კივილს მოვრთავ, რომ მთელ რესტორანს შეგიყრი! – ნინიმ ამ სიტყვების შემდეგ ხელი უბარმაგარ ჩამჩას წამოავლო და აჩიკოს ცხვირწინ დაუტრიალა.

42

„ომობანა ითამაშეთ, ბავშვებო!..“



80-იანი წლების ბოლოს, ბევრ თქვენგანს ეხსომება – საქართველოს ერთადერთი ოფიციალური ახალგაზრდული გაზეთის ფურცლებზე სააგიტაციო კამპანია წამოიწყო მავანმა „პაციფისტმა“, რომელიც თავის ინიციატივას მომავალ თაობაზე ზრუნვით ხსნიდა. კამპანიის დედააზრი კი ის იყო, რომ ყაჩაღობა, მკვლელობა და თვით მსოფლიო ომებიც კი, თურმე იმის შედეგი ყოფილა, რომ ადამიანები ბავშვობაში ომობანას თამაშობდნენ და შეუგნებელი მშობლებიც უხვად „ამარაგებდნენ“ მათ სათამაშო ავტომატებითა და ფისტონებიანი პისტოლეტებით!

სხვათა შორის, მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ ამ იდეას და არცთუ ისე უჩინო ხალხი: ფსიქოლოგები, პედაგოგები, სოციოლოგები...

ეს ის პერიოდი იყო, რომელსაც დღეს „ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟს“ ვეძახით და ზემოთ აღნიშნული კამპანიის მოთავეებს სწორედ ამ მოძრაობის აქტივისტმა, მაშინ ძალიან პოპულარულმა ერთ-ერთმა „მსახიობ-პოეტმა“ მშვენიერი ლექსით გასცა პასუხი, რომლის ერთი სტრიქონი და მთლიანად პათოსი, მისგან ნებართვის აუღებლად, სათაურში მაქვს გამოტანილი.



მართლაცდა, რას მიქვია, ქართველმა ბავშვმა ომობანა არ ითამაშოს?! თამაშში ხომ, იგივე ფსიქოლოგებისა და პედაგოგ-მეცნიერების მტკიცებით, მომავალი ცხოვრებისა და საქმიანობის ჩვევები ყალიბდება! იმიტომაც შეიქმნა (სწორედ მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით) ე.წ. „საქმიანი თამაშები“, რომელშიც მოზრდილებიც მთელი სერიოზულობით მონაწილეობენ... ერთი სიტყვით, ჩვენდა საბედნიეროდ, იმ „მშვიდობისმოყვარულმა“ წამოწყებამ ჩაილურის წყალი დალია და ომობანაც ჩვენი ბავშვების საყვარელ თამაშად დარჩა. მაგრამ რაც მთავარია, იმ სააგიტაციო შეხლა-შემოხლის ბრალი იყო, თუ სხვა რამისა, უფროსებსაც მოენატრათ თამაში და მაშინ რომ დაიწყეს, დღემდე აგრძელებენ დიდის გულმოდგინებით.

მადა ჭამაში მოდისო, – ნათქვამია. თანაც, ხომ იცით, თამაშმა როგორი ჩათრევა იცის და, ომობანა აღარ იკმარეს, ფანტაზიასაც გასაქანი მისცეს (ამას ვერავინ წაართმევს ქართველ კაცს) და გახურდა კიდით კიდემდე: დამოუკიდებლობანა, გაეროს წევრობანა, პარლამენტარობანა, მთავრობობანა, ბიზნესმენობანა, არჩევნობანა... ყველა ეს ახალი თამაში ერთი დიდი, ყველასთვის საინტერესო და ძალზედ აზარტული თამაშის შემადგენელ ნაწილად იქცა, რომელსაც „სახელმწიფოობანა“ ჰქვია. ტემპერამენტიანი, არტისტული ბუნების და აზარტული ხალხი ვართ ქართველები: ხშირად გვავიწყდება – თამაში მხოლოდ თამაშია – და ისე შევდივართ როლში, რომ ზოგიერთ „გენერალს“ მართლა გენერალი ჰგონია თავი, ზოგიერთ „პარლამენტარს“ – პოლიტიკოსი, მინისტრს – ქვეყნის ბატონ-პატრონი, ხოლო ერთი კაცი ვიცი – „სპორტის დამსახურებული ოსტატის“ წოდება რომ არსებობდეს პრეზიდენტობანაში, კარგა ხნის წინ ექნებოდა მიღებული; იმდენად ოსტატურად თამაშობს, რომ არა მარტო სხვები დაარწმუნა, რომ ნამდვილი სახელმწიფოს ნამდვილი პრეზიდენტია (ეს ასეთი თამაშების მთავარი მიზანია და მოგებულადაც ის ითვლება, ვინც მეტ ხალხს დააჯერებს თავის გენერლობას თუ მინისტრობას), არამედ მგონი, თვითონაც დაიჯერა და ამას წინათ, ჩრდილოეთის ერთი ვეებერთელა სახელმწიფოს მეთაურს მუქარის წერილი მისწერა, – შენი მხრიდან საზღვრებს თუ არ ჩაკეტავ და ბანდიტებს კიდევ შემოუშვებ ჩემს მიწა-წყალზე, უფლებას ვიტოვებ, ჩემი ავიაციითა(?!) და არტილერიით(?!) „წერტილოვანი დარტყმები“ მივაყენო ამ ბანდიტების ბანაკებს შენსავე ტერიტორიაზეო!

ისე, ამხნის კაცს და ასეთი დონის მოთამაშეს ცოტა მეტი ფანტაზია და მოფიქრება კი მართებდა – მოწინააღმდეგეს ზუსტად მისივე ულტიმატუმი რომ დაუბრუნა სიტყვასიტყვით, მხოლოდ ხელმოწერა შეცვალა თავისი გვარ-სახელით.

საპასუხო რეაქციას რაც შეეხება, – ვფიქრობ, გუშინწინდელი მოლდოვური შეხვედრის დეტალები ჯერ კიდევ კარგა ხანს არ გაცხადდება და მხოლოდ მაშინ შევიტყობთ, ჩვენი „სათამაშო ულტიმატუმის“ პასუხად, ნამდვილ ბომბებს რომ დაგვაყრიან თავზე...

P.S. მე მაინც იმ აზრს ვემხრობი, რომ ქართველმა ბიჭუნებმა „ომობანა“ უნდა ითამაშონ და გოგონებმა „სახლობანა“, მაგრამ მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ბავშვობის ასაკის დასრულებასთან ერთად, თამაში საქმედ აქციონ და „ეგრე არ დარჩნენ“, თორემ რამდენად საყვარელი და ბუნებრივიც არის მოთამაშე ბავშვი, იმდენად არაბუნებრივნი და სასაცილონი არიან სათამაშო ავტომატებითა და მოკლე შარვლებით მათ შორის მორბენალი ბერიკაცები, ასეთებზე იტყვიან, – „ვირი ხბორებშიო!“

P.P.S. ფეოდორ დოსტოევსკი დიდი მწერალია. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ძალზე ადრე დავიწყე კლასიკური ლიტერატურის კითხვა და ყმაწვილის უმწიფარ გონებაში მაშინ ყველაფერი ამერია, მისი შედევრები – „მოთამაშე“ და „იდიოტი“, ახლაც მეშლება ერთმანეთში და ხშირად ერთი და იგივე მგონია...

პროვოკატორი



„ოპოზიციაში განხეთქილება „ახლებისა“ და „ნაციონალების“ შეუთავსებლობით დაიწყება“

— პარლამენტში სულ უფრო აქტიურად საუბრობენ, იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში შესაძლებელია, რამდენიმე პოლიტიკური ძალა ერთ ალიანსად მოგვევლინოს. საუბარია „ნაციონალურ მოძრაობაზე“, ჟვანიას გუნდზე, „ტრადიციონალისტებსა“ და „ახლებზე“. რა კომენტარს გააკეთებთ ამასთან დაკავშირებით?

რამაზ საყვარელიძე, *პოლიტოლოგი:*

— მართალია, ეს პარტიები საპარლამენტო არჩევნების დროს კონკურენტები არიან, მაგრამ ამ ეტაპზე მათი გაერთიანება ადვილი შესაძლებელია. თუკი მათ შორის ალიანსი შედგება, აღმოჩნდება, რომ მათ ერთი საერთო კონკურენტი ეყოლებათ. ეს იქნება „მოქალაქეთა კავშირი“. ქართულ პოლიტიკაში დიდი და ხანგრძლივი გაერთიანებები სიცოცხლისუნარიანი არ არის. ეს გაერთიანებაც, თუკი საქმე აქამდე მივიდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სიცოცხლისუნარიანი, თუკი „მოქალაქეთა კავშირის“ ძველ დიდებას დაიბრუნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, განხეთქილება „ახლებისა“ და „ნაციონალების“ შეუთავსებლობით დაიწყება, რადგან ისინი ერთმანეთისგან იდეურად ძალიან შორს დგანან. თუმცა, მათ აქვთ საერთო შეხების წერტილიც — ეს არის მათი დასავლური ორიენტაცია. საინტერესოა, ამ პარტიების გაერთიანების შემთხვევაში, მათთან ურთიერთობის რა ფორმას აირჩევს პრეზიდენტი შევარდნაძე. სავარაუდოა, რომ თუ ოპოზიციური პარტიები გააქტიურდებიან და დესტაბილიზაციის პროვოცირებას შეეცდებიან, შევარდნაძე იძულებული გახდება, მათთან კონსულტაციები გამართოს. მაგრამ თუ მას საკმარისი ხმების მიღების გარანტია ექნება, ოპოზიციისკენ ნაბიჯს პირველი არ გადადგამს. სხვა საქმეა, თუკი ოპოზიციის ხმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. ■

„საქართველოში თუ რაღა დანაშაული მოხდა, ყველგან ჟვანიას ხელი ურევია“

— თქვენ არ შეუერთდით ოპოზიციას, რომელმაც დემარშით დატოვა პარლამენტი. რატომ? საბოლოოდ გადაწყვიტეთ შევარდნაძესთან დარჩენა?

ვახტანგ რჩეულიშვილი, *ფრაქცია „სოციალისტების“ ლიდერი:*

— ჟვანია-სააკაშვილი და „ახლები“ ერთად მოვიდნენ პარლამენტში და არ გამკვირვებია, ერთადვე რომ გავიდნენ. მათ ჯერ საკუთარი თავი შესთავაზეს შევარდნაძეს, მაგრამ როდესაც ნახეს, რომ ისინი პრეზიდენტმა არ მიიღო, ასეთ ხერხს მიმართეს. მათ არ აღვიქვამ ისე, როგორც ოპოზიციას, ეს ის ხალხია, რომელიც იბრძვის საკუთარი საარჩევნო ადგილის დასამკვიდრებლად. პარლამენტში დავრჩი იმიტომ, რომ აუცილებელია იქ იყოს პოლიტიკური ბირთვი, რომელიც პოლიტიკურ

გადაწყვეტილებებს მიიღებს. შევარდნაძისა და მისი პარტიის გარშემო არავინ გაერთიანდება. ის უმრავლესობას ვერ შექმნის, მაგრამ პოლიტიკოსები საერთო პრინციპის გარშემო უნდა გაერთიანდნენ. არის საკითხები, რომელზეც სოციალისტები შევარდნაძესთანაც ითანამშრომლებენ — მაგალითად, რუსეთთან ურთიერთობა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი. ეს უფრო სერიოზული საკითხია, ვიდრე ის, რაზეც პრესაშია აყიოტაჟი ატეხილი. მე ვგულისხმობ ერთ დიდ ოჯახში მომხდარ განხეთქილებას. პრეზიდენტი, ჯორბენაძე, ძველი და ახალი „მოქკავშირი“, ჟვანია, სააკაშვილი, „ახლები“ — ეს არის ერთი დიდი ოჯახი და არ ღირს მათ ოჯახურ საქმეებში ჩარევა. ჟვანია შვიდი წელი მართავდა ქვეყანას და იმ წლებში საქართველოში თუ რაღა დანაშაული მოხდა, ყველგან მისი ხელი ურევია. იმის მიუხედავად, თუ რას იტყოდა შევარდნაძე, ეს ხალხი მაინც დატოვებდა დარბაზს, იმიტომ, რომ ისინი შევარდნაძეზე ნაწყენები არიან. მე რა, არაფერი მწყენია მისგან? მაგრამ არსად გავრბივარ და ჩემს გასაკეთებელს ვაკეთებ. ■

რას გვპირდება ინგა გრიგოლია?

— სად არის და რას საქმიანობს ინგა გრიგოლია მას შემდეგ, რაც მისი გადაცემა „ღამის მოამბე გრიგოლიასთან ერთად“, ეთერში აღარ გადის?

ინგა გრიგოლია, *ჟურნალისტი:*

— მას შემდეგ, რაც ჩემი პროექტი აღარ გადის ტელევიზიის I არხზე, მხოლოდ ერთხელ გამიჩნდა ეთერში ყოფნის ნოსტალგია. ეს იყო დღე, როდესაც შევარდნაძე პარლამენტში სიტყვით გამოდიოდა. ძალიან „მაგარი“ თემა იყო და გული დამწყდა, რომ გადაცემა არ მქონდა მოსამზადებელი... ჩემი ახალი პროექტი ეთერში პირველი დეკემბრისთვის გავა, თუმცა — ჯერ არ ვიცი, რომელ არხზე. ეს ოქტომბრის ბოლოს გადაწყდება. ეს იქნება ანალიტიკური პროგრამა, სადაც მოცემული იქნება მიმდინარე მოვლენების ანალიზი. ამჟამად ვმუშაობ ამ პროექტის დახვეწაზე, და იმ მასალებზე, რომელიც საეთეროდ მზადდება. ვფიქრობ, საინტერესო გადაცემა გამოგვივა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მინდა, რომ ჩვენი ახალი პროექტი მაყურებელს მოეწონოს. ■

„ჩემი აზრით, მიუღებელია აფხაზეთის ავტონომიის დაფიქსირება კონსტიტუციაში“



— აფხაზეთის ავტონომიის სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, აფხაზეთისა და აჭარის დეპუტაციები კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ითქვა ისიც, რომ კაკუბავა პრეზიდენტზე ტერაქტის მოწყობას ცდილობდა. რას იტყოდით ყოველივე ამის შესახებ?

***ზვიად ძიძიგური**, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:*

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს აჭარის და აფხაზეთის დეპუტაციები და არა ის, რომ განისაზღვრა აფხაზეთის სტატუსი. ჩემთვის მიუღებელია ისიც, რომ აფხაზეთის საკითხი ორ დეპუტაციას შორის ასეთ მძაფრ დაპირისპირებაში გადადის. ჩემი აზრით, მიუღებელია აფხაზეთის ავტონომიის დაფიქსირება კონსტიტუციაში. „აღორძინების“ ბლოკის პოზიციიდან ჩანს, რომ ისინი საქართველოში რუსული ინტერესების ლობირებას ახდენენ. სამწუხაროდ, საქართველომ, უფრო სწორად — მისმა პრეზიდენტმა, ვერც ერთხელ ვერ შეძლო, დაეცვა თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესი. თუნდაც მაშინ, როდესაც რუსეთმა დააწესა არაპრიორიტეტული სავიზო რეჟიმი საქართველოსა და რუსეთს შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შემსუბუქებულია ამ ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანების რუსეთში გასვლა. ეს არის ერთგვარი ანექსია, რომელზეც პრეზიდენტს არ ჰქონდა არანაირი რეაქცია. რაც შეეხება კაკუბავასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟს — მან განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ ჩააბარებს იარაღს პარლამენტის დაცვას, რადგან მას სათავეში უდგას სულხან პაპაშვილი, რომელიც კაკუბავას განცხადებით, მისი მოსისხლე მტრის — გივი ლომინაძის სიძეა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პარლამენტში მუშტი-კრივია გამართული, ბევრი დეპუტატი კი — ფსიქიკურად გაუწონასწორებელია, ალბათ არ არის მისაღები პარლამენტში შეიარაღებული ხალხის ყოფნა. ■

მედეა ჩახავა — „ხელოვნების ქურუმი“

— რას გვეტყვით, როგორ ჩატარდა მედეა ჩახავას სასცენო მოღვაწეობის 60 წლის იუბილე, როგორ გამოიყურებოდა იუბილარი? როგორც ვიცი, ეს ღონისძიება ქალაქის კულტურის სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული.

***დავით ოძიტაშვილი**, ქალაქის კულტურის სამსახურის უფროსი:*

— იუბილეც ძალიან კარგი გამოვიდა და იუბილარიც მშვენივრად გამოიყურებოდა. მედეა ჩახავა ჩვენი დროის ულამაზესი ქალბატონია, საყოველთაო სიყვარულით მოსილი, ნამდვილი სახალხო არტისტი. მის წოდებებს და ჯილდოებს მიემატა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება, მიშა თუმანიშვილის სახელობის პრემია და კიდევ — ის არის პირველი მსახიობი, რომელსაც ამ დღეს გადაეცა „ხელოვნების ქურუმის“ პრემია: ამიერიდან ეს პრემია ყოველწლიურად, თბილისობის დღესასწაულზე გადაეცემათ ქართული კულტურის წინაშე ღვაწლმოსილ ხელოვნების მუშაკებს. ქართული კულტურის წინაშე გამორჩეული ღვაწლისათვის მას ასევე 1.000 ლარი გადაეცა. თბილისის მერიამ კი, ოთხოთახიანი ბინა გადასცა საჩუქრად. მსახიობის იუბილესათვის ქალაქის კულტურის სამსახურმა გამოსცა წიგნი „მედეა ჩახავა“. იუბილეს საქართველოს პრეზიდენტიც დაესწრო და პარლამენტის თავმჯდომარეც. ქალბატონ მედეას სცენაზე გვერდს მისი მონაგარი უმშვენებდა, დარბაზში კი ისეთი სითბო და სიყვარული სუფევდა, რომლის მსგავსიც შეიძლება, მხოლოდ უსაყვარლესი მსახიობის მიმართ ჰქონდეს ხალხს. ■

მოამზადა ნანა ქიბიშაურმა

პოლიტიკა გულისხმობს ოსტატურ თამაშს მათ შორის, ვისაც მის სისტემაში შესვლა სურთ, და მათ შორის, ვისაც იქიდან გამოსვლა არ სურთ.

ბურბონ-ბიუსე



ფრაზები გენიალური

ფეხბურთი + რაგბი

ბოლო დღეების უმნიშვნელოვანესი მოვლენები სპორტულ ცხოვრებას უკავშირდება. ფეხბურთი და რაგბი იყო კვირის თემა, რომელზეც მთელი საქართველო ლაპარაკობდა. რა განიცადეს ფეხბურთის ჩაშლილი მატჩისა და ქართველების გამარჯვებით დამთავრებული რაგბის მატჩის შემდეგ ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა?

ნინო ჯავახიშვილი

დიმა ოგოლაძე, *სპორტული მბრძოლველი:*

— ფეხბურთის მატჩის შემდეგ, მჭონდა სირცხვილის გრძნობა და იმის გრძნობა, რომ რაც მოხდა, ყველაფერი შეგნებულად იყო გაკეთებული. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ მეორე დღეს „ლოკომოტივზე" ყველაფერი წესრიგში იყო. თურქი ექსპერტები ამბობენ, რომ სტაბილიზატორი წყობიდან გამოდის ძაბვის ცვლილების შემთხვევაში. თუ ეს ასეა, რატომ მაინცდამაინც „ლოკომოტივზე" დაიწვა და ამ ძაბვის ცვლილებამ სხვაგან არ იმოქმედა? მე ვფიქრობ, ფედერაციას ძალიან დიდი პრობლემები ექნება, თუმცა, ამ შემთხვევაში, დაუმსახურებლად. ახლა ბილეთების ფულზეა საუბარი. 300.000 დოლარი აქვს ფედერაციას გადასახდელი. ძველი ბილეთებით კი ისარგებლებს მაყურებელი, თუ განმეორებითი მატჩი ისევ თბილისში ჩატარდა, მაგრამ თუ ნეიტრალური მოედანი შეირჩა, მაშინ რა იქნება, არავინ იცის. არანაირი ახსნა არა აქვს იმას, რატომ მოხდა ეს. ვის აძლევდა ეს ხელს, თუკი ხელოვნურად იქნა სპორტაჟი განხორციელებული?..

— რაგბის მატჩის შემდეგ თქვენც ხომ არ იტირეთ სიხარულისგან?

— არა, მე არასდროს მიტირია, „შავყურა თეთრი ბიმის" ნახვის შემდეგ. მორაგბეებს ჩვენი ცრემლები კი არა, სტადიონი სჭირდებათ, რომ ელემენტარული პირობები მაინც ჰქონდეთ სავარჯიშოდ. სტადიონი მათ, საწუხაროდ, ალბათ კიდევ დიდხანს არ ექნებათ. მსოფლიო თასზე გავლენ და ვიცი, კიდევ ორ თამაშს მოიგებენ. უბრალო მოედანი კი მათთვის ისევ პრობლემა იქნება.

ოთარ გაგელია, *თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე:*



— ბრძოლა იყო. მართალია, ჩაიშალა ეს თამაში, მაგრამ რომ გაგრძელებულიყო, არ იყო გამორიცხული, რომ ჩვენს ბიჭებს მოეგოთ, ისეთი შემართებით თამაშობდნენ. არა მგონია, რომ განმეორებითი მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გაიმართოს, იმიტომ რომ ჩხუბისა და უწესრიგობის გამო კი არ მოხდა თამაშის ჩაშლა, არამედ ტექნიკური ხარვეზის გამო.

— ახლა მითხარით, თქვენი სპორტული წარსულიდან რაზე გაქთ ნოსტალგია?

— იცით, რა მინდა? 20-25 წელი მომაკლდეს უცებ და ისევ მოედანზე ვიყო. თამაში მენატრება. რაგბისტთა მოგების მერე რომ ვნახე, რა ხდებოდა ქუჩებში, გამახსენდა 1981 წელი. დიდი მადლობა იმ ბიჭებს, ვინც ეს წელი გამიცოცხლა! ჩვენ ხომ პატარა სიხარულიც კი გვყოფნის. არადა, რამდენი ხანია, არ გვქონია გამარჯვების სიხარულის განცდა. მინდა მორაგბე ბიჭებს ვუთხრა, რომ ყველა ძალიან მიყვარს.

გოგი თოფაძე, *პარლამენტარი:*

— ფეხბურთის მატჩის შემდეგ, არა მგონია, რომელიმე ქართველს მაყურული განწყობილება ჰქონოდა. ჩვენი დაუდევრობით მოგვეჭრა თავი და ყველანი შეურაცხყოფილნი დავრჩით ამ მნიშვნელოვანი მატჩისადმი ხელისუფლების არასერიოზული მიდგომის გამო. ჩვენმა მორაგბეებმა კი ამ უპერსპექტივო სპორტულ პანორამაში, ნათელი დღე გვაჩუქეს. ისინი შესაძლოა ვერ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები, მაგრამ დაგვანახვეს მონდომება, თავდადება, თავიანთი „კაი ბიჭობა". რაგბი ჩემთვის უცხო სპორტია, მაგრამ რითიც შეეძლება, მათ გვერდით ვიდგები.

ვალერი ხაბურძაძე, *უშიშროების მინისტრი:*

— მე ვფიქრობ, რომ სპორტაჟს ჰქონდა ადგილი, თუმცა, ამ ეტაპზე, ეს დადგენილი არ არის. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სპორტაჟის მუხლით. პირველადი მონაცემებით, პრობლემა შეექმნა იმან, რომ განათებისათვის დამატებითი დენის წყარო შერთებული იყო ერთ გამანაწილებელზე, რომელიც თურქული წარმოების იყო და როგორც ჩანს, დიდ ენერგიას ვერ გაუძლო. ზარალს რაც შეეხება, ის ასეულათასობით ლარს აღწევს. ყოველივე გასარკვევი და გამოსაძიებელია, საქმე უკვე აღძრულია და დანარჩენს გამოძიება გვიჩვენებს. მე მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს გულშემატკივრებს: როგორც ჩანს, ისინი მიჩვეულნი არიან უშუქობას და ამიტომ სინათლის გამოთვალა დიდი ექსცესები არ გამოუწვევია, მცირედი შეხლა-შემოხლა და გაუგებრობები, თამაშს ყოველთვის ახლავს.

ლიზი გაგრატიონი, *მბრძოლელი:*

— ფეხბურთის შემთხვევაში, ბევრად უფრო ცუდი ფაქტი მოხდა, ვიდრე წაგება იქნებოდა. მე საერთოდ ძალიან ემოციური გულშემატკივარი ვარ და მამაკაცებმა არ წამიყვანეს, მითხრეს — შენ საშიში ხარ მატჩზე დასასწრებადო, მაგრამ როდესაც მოვიგეთ, მათაც და მეც ორმაგად დაგვწყდა გული. სტადიონზე არ უყვართ ჩემი წაყვანა, იმიტომ, რომ ვერ ვიტან, როდესაც ჩვენი სპორტსმენების მისამართით უწმაწურ სიტყვებს ყვირიან და ჩხუბს ვიწყებ, რითიც უხერხულ მდგომარეობაში ვაყენებ მამას ან მეულლეს... ღმერთს ვთხოვ, აი ისეთი სიხარული, რაც რაგბისტთა მოგებით განვიცადეთ, მომავალშიც ხშირად გვაჩუქოს.

ვია გაჩიჩილაძე, *მბრძოლელი:*

— ბოლო კვირის განმავლობაში ისეთი სპორტული ცხოვრებაა, თითქოს ამოტრიალდა და გადატრიალდა ჩემთვის დედამიწა, მინდა ვილაპარაკო მარტო რაგბიზე. ძალიან გახარებული ვარ, ძალიან ბედნიერი, ფრთები მაქვს გაშლილი... ამის შემდეგ კიდევ ერთი სასიხარულო რამ მოხდა. ჩემმა მეგობრებმა გახსნეს კაფე — „მსოფლიო სპორტი", სადაც შეიძლება ყოველდღე მივიდეს ხალხი და ნორმალურ სიტუაციაში, სპორტულ გარემოში უყუროს ფეხბურთს. იყოს გარჩევა, კამათი, ლუდი... ფეხბურთის დროს აუცილებლად იქითკენ „გავფრინდები" მეგობრებთან ერთად, იმიტომ, რომ ძალიან არ მიყვარს ფეხბურთის ან სხვა რომელიმე სპორტული შეჯიბრის მარტოს ყურება.

ნიკოლოზ დერიუგინი, *კალათბურთელი:*

— მე ერთი ქუთაისელი ბიჭი ვარ და მიყვარს ჩემი საშობლო. ჩემს ფეხბურთელებს შემოვევლე, მე სპორტსმენი ვარ და ვიცი, შინაგანად ვგრძნობ, ახლა მათ გულებში რაც ხდება. ჩემს რაგბისტებს შემოვევლე, როგორ გაგვახარეს! ფეხბურთის მერეც, რაგბის მერეც ბევრი რეკავდა რუსეთიდან და მეკითხებოდა: რა ხდება თქვენთანო? მე მათ ვპასუხობდი, — არ ვიცი-მეთქი. შეიძლება, იმიტომ არ ვიცი, რა ხდება ქართულ სპორტში დღეს, რომ არ ვიცი, რა ხდება პოლიტიკაში. არ ვიცი, სად არის სპორტში პოლიტიკა, არადა, ბევრი ამბობს, რომ არის... იმედი მაქვს, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება, მაგრამ მანამდე მინდა ვთხოვო ყველას, უფრო მეტი სითბო გამოიჩინონ სპორტსმენების მიმართ, მაშინაც კი, როცა რაღაც ისე არ გამოდის, როგორც გვინდა და მაშინაც, როცა ისინი იმარჯვებენ.

ეკა ხოფერია: ახლა ძალიან ცუდ დღეში ვარ...

უახლოეს მომავალში „რუსთავი 2“-ში მთელი რიგი საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი. ნიკა ტაბატაძე უკვე ინგლისშია, გენერალური დირექტორის მოვალეობა ტელეკომპანიის დამფუძნებლებმა ეროსი კიწმარიშვილმა და დათო დვალმა შეითავსეს. ჩვენთვის საინტერესო ამბები, რომელიც ტელეკომპანიის დირექტორთა საბჭოზე იქნა განხილული, ვერც „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსს, ეკა ხოფერიას „დავტყუეთ“. შეკითხვები, რომელიც ნიკა ტაბატაძისა და „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელებს შორის დაპირისპირებას შეეხებოდა, ხოფერიამ უპასუხოდ დატოვა. სამაგიეროდ, შევიტყვეთ ის, თუ ვინ კარნახობს საინტერესო თემებს „ღამის კურიერისათვის“, ვინ ზრუნავს მის ჩაცმულობაზე და რა არ მოსწონს ჩვენი პოლიტიკოსების, რომლებიც ყოველ საღამოს მის სტუდიაში შეპუდრულები სხედან და ჩხუბობენ.

ნანა ქიბიშაური

— როგორც ამბობენ, ყოველი გადაცემა თავისი ხასიათითა და სტილით გადაცემის წამყვანს ჰგავს. რით ჰგავს „ღამის კურიერი“ ეკა ხოფერიას?

— ბუნებრივია, რომ გადაცემა ემსგავსება წამყვანს. არც მე და არც „ღამის კურიერი“ არ ვართ აგრესიულები, თუმცა ზოგჯერ გაბრაზებული სტუმრები გვყავს. ერთმანეთს ვგავართ იმით, რომ ორივეს ძალიან გვიყვარს ახალი ამბები. ახალი ამბის გაგებისას, მაშინ, როდესაც რაღაც იცვლება, ჩემზე ბედნიერი არავინაა. განსხვავებული მოსაზრებების ადამიანებს ვიწვევთ ჩვენთან. მართალია, ისინი ბევრს ჩხუბობენ, თანაც ისე, რომ ზოგჯერ მიჭირს მათი დაწყნარება, მაგრამ ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ.

— ყოველ საღამოს გყავთ სტუმრები „ღამის კურიერში“, მაგრამ რა მდგომარეობა გაქვთ ოჯახში? იქაც ხშირად ხართ მასპინძლის როლში?

— უნდა ვაღიარო, რომ სახლში ხშირი სტუმრიანობა არ მაქვს. სამაგიეროდ, მე და ჩემი მეუღლე დავდივართ სტუმრად. გიორგი ცდილობს, რომ შაბათ-კვირას მაინც განვიმუხტო და სადმე ერთად წავიდეთ. სულერთია, სად ვიქნებით, მთავარია, რომ ჩემ გვერდით იყვნენ გიო და ჩვენი შვილი ანანო. მიყვარს ქალაქგარეთ გასვლა...

— მოკლედ, ქმარიც მიაჩვიეთ, რომ შინ სტუმრის მიყვანას სჯობს, თვითონ წახვიდეთ სტუმრად, არა?

— შეიძლება, ასეც ითქვას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენთან არავინ მოდის. მოდიან გიოს მეგობრები, მაგრამ მე მათ სტუმრებად ვერ აღვიქვამ. არც თვითონ არიან პრეტენზიულები. რაც საჭიროა, თვითონვე მოაქვთ ხოლმე ყველაფერი. ასე რომ, მე მათთვის მასპინძლობის გაწევა არ მიწევს.



სულერთია, სად ვიქნებით, მთავარია, რომ ჩემ გვერდით იყვნენ გიო და ჩვენი შვილი ანანო

— რატომლაც არ ჩნდებით ისეთ ადგილებში, სადაც საერთოდ, ცნობილი ადამიანები იყრიან ხოლმე თავს, — მაგალითად, პრესტიჟულ რესტორნებში, „ტუსოვკებზე“, კაზინოში...

— კაზინოში მართლა არასოდეს ვყოფილვართ...

— რატომ? ფული არ გაქვთ?

— არც ვიცი, რამდენი ფულია საჭირო იმისათვის, რომ კაზინოში შეხვიდე და მეორეც — არ გვაინტერესებს. კაზინო არ არის ისეთი ადგილი, სადაც რომელიმე ჩვენთაგანი წასვლას ისურვებდა. რაც შეეხება სხვა ადგილებს — მართლაც ვარიდებთ თავს: ვამჯობინებთ, რომ უფრო მყუდრო გარემოში გავატაროთ თავისუფალი დრო. ამ ზაფხულსაც, თურქეთში გადავწყვიტეთ დასვენება და მართლა დავისვენე. თუ გარშემომყოფთაგან ყურადღებას გრძნობ, მაინც იძაბები და ვერ ისვენებ. ასე რომ, ხალხმრავალ ადგილებს ვერიდები, თუმცა — მხოლოდ მაშინ, როდესაც არ ვმუშაობ.

— სად უნდა იყოს უფრო მეტი ხალხი, ვიდრე ფეხბურთის ან რაგბის მატჩზე?! როგორც ვიცი, ორივე შეხვედრას დაესწარით და საკმაოდ ემოციური გულშემატკივარიც იყავით...

— რაგბის მართლაც დიდი გულშემატკივარი ვარ, თუნდაც იმიტომ, რომ გიო ყოფილი მორაგბეა. სიმართლე გითხრათ, რაგბის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ისე მინდოდა, ჩვენს მორაგბეებს მოეგოთ, რომ ემოციების შეკავება მიჭირდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლეონსიომ ლელო გაიტანა. ჩემი შვილიც კი მიხვდა, რომ დედამისი საკუთარ თავს აღარ ჰგავდა და თამაშის ნაცვლად, მე მიყურებდა გაოცებული.

— როგორც ვიცი, გიო ბიზნესმენია. მეუღლის პოპულარობა როგორ მოქმედებს მის ბიზნესზე?

— გიო ბიზნესში იყო მანამდე, სანამ მე ჟურნალისტიკაში მოვიდოდი. ჯერ ღვინის ბიზნესი ჰქონდა, მერე საბავშვო ლიტერატურით დაინტერესდა და წიგნებს უშვებდა. მათი ფირმის ფილიალი ესპანეთში იყო და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იქაც მუშაობდა. როგორც ამბობს, ჩემი პოპულარობა მას თურმე ხელს უშლიდა კიდეც, რადგან ბიზნესი ზოგჯერ რაღაც კანონებისთვის გვერდის ავლას მოითხოვს, მაგრამ გიომ იცის, რომ სხვა ბიზნესმენებთან შედარებით, ის გამადიდებელი შუშის ქვეშ იმყოფება და ვერანაირ კანონს გვერდს ვერ აუვლის... ამჟამად ის საბანკო სერვისში მუშაობს, ჩვეულებრივი დაქირავებული მუშაკია და მისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვარ თუ არა პოპულარული. ძალიან ნერვიულობს, როდესაც გადაცემა არ გამომდის. ზოგჯერ რჩევებსაც მაძლევს. მკარნახობს კიდეც. მაგალითად, გადაცემაში ფეხბურთელებისა და მორაგბეთა ჩართვა მან მირჩია და არც ვნანობ, რომ დავუჯერე. ზოგჯერ არ მოსწონს ის, თუ როგორ ვსვამ შეკითხვას. შემიძლია ვთქვა, რომ არასოდეს ცდება შეფასებაში, რადგან ძალიან ობიექტური მაყურებელია.

— ტელეწამყვანების ფოტოები ხშირად ჩნდება ჟურნალის გარეკანზე. მათზე წერს პრესა, შეიძლება ითქვას, რომ ლამისაა, უფასო სარეკლამო მომსახურებასაც კი ვუწევთ ხოლმე. ამ ბოლო დროს კი, ჩვენი „ტელევიზორნშიკები" რატომღაც იჭრანჭებიან და ინტერვიუზე ხშირად, უარს ამბობენ, მათ შორის — „რუსთავიორელებიც". რატომ?

— არა,არ იჭრანჭებიან. აქ არის პრინციპი, რომელიც აქვს „ვაშინგტონ პოსტს": „ჩვენ გადავცემთ ინფორმაციას, მაგრამ ჩვენ შესახებ ინფორმაციას არ გავცემთ". ჩვენი ჟურნალისტებიც გადაწყვეტილებას — მისცენ თუ არა ინტერვიუ ჟურნალ-გაზეთებს — დამოუკიდებლად იღებენ. ყოველ შემთხვევაში, ხელმძღვანელობისგან არანაირი აკრძალვა და დირექტივა არ არსებობს. ჩემი აზრით, ინტერვიუს მიცემაზე უარი განპირობებულია სტატიებითაც, რომელიც „რუსთავი 2"-ის შესახებ იწერებოდა, თუნდაც — გიორგი სანაიას სიკვდილის შემდეგ, ანდა უშიშროების შემოსვლის შემდეგ. შემიძლია ერთი მაგალითი ჩემი გამოცდილებიდანაც გავიხსენო: გიორგი სანაიას მკვლელობის შემდეგ, დაიწერა სტატია, რომლის სათაურიც იყო — „ვის ადგილს დაიკავებს ეკა ხოფერია?!" თითქოს არაფერია, მაგრამ ჩემს გულისტკივილს საზღვარი არ ჰქონდა. ჟურნალისტიკაში კოლეგებთანაც კი აუცილებელია კორექტულობის დაცვა, რომელიც ზოგჯერ გვღალატობს ხოლმე.

— ინგა გრიგოლიას გადაცემა მართლაც სერიოზული კონკურენტი იყო „ღამის კურიერის". ამ პროექტის შეწყვეტის შემდეგ როგორ გრძნობთ თავს?

— ინგა რომ აღარ არის გადაცემის წამყვანი, ეს ძალიან ცუდია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ის მალე დაუბრუნდება აქტიურ ჟურნალისტიკას. ამ შემთხვევაში, წაგებული მაყურებელია. რაც მეტი იქნება ალტერნატიული გადაცემა, მით უფრო მაღალი იქნება გადაცემის ხარისხი.

— რა არის ის, რაც აკლია თქვენს სტუმრებს — ჩვენს პოლიტიკოსებს?

— ძალიან უჭირთ სათქმელის მოკლედ ჩამოყალიბება. ეს არის პრობლემა, რომლის წინაშეც დღეს თითქმის ყველა გადაცემის წამყვანი დგას. პოლიტიკოსებს რატომღაც ჰგონიათ, რომ რაც უფრო მეტს ილაპარაკებენ, მით უფრო დაარწმუნებენ მაყურებელს მათი პოზიციის სისწორეში. ეს ასე არ არის. დასავლეთელ ან რუს პოლიტიკოსებს რომ ვუსმენ, მშურს, რადგან ისინი მაქსიმუმ სამ წუთში აყალიბებენ პოზიციას.

— ვინ ახერხებს ჩვენში ამას?

— პოლიტიკოსთაგან არავინ. ამას კარგად ახერხებენ მხოლოდ ჟურნალისტები. ალბათ იმიტომ, რომ როგორც ჟურნალისტმა, ისე არავინ იცის სიტყვის ფასი.

— ახლა „ღამის კურიერის" სამზარეულოში შევიხედოთ. რა ხდება გადაცემის დაწყებამდე?

— გადაცემის დაწყებამდე მიმდინარეობს მაკიაჟის კეთების პროცესი, რომელიც ბევრ პოლიტიკოსს არ უყვარს.

— მაგალითად?

— მაგალითად, შალვა ნათელაშვილს.

— რატომ? ფიქრობს, რომ უპუდროდაც ლამაზია?

— მოდით, არ გავამხელ მის საიდუმლოს... სამაგიეროდ, ეს პროცესი ძალიან უყვართ მანდილოსნებს.

— ყველაზე სიმპათიური სტუმრები...

— ჩემთვის ყველაზე სიმპათიური და სასიამოვნო სტუმარი იყო ტანია მარია. ჩემთვის მოულოდნელი იყო ასეთი ცნობილი მუსიკოსი ამდენად თავმდაბალი თუ იქნებოდა, როგორიც აღმოჩნდა. მამაკაცთაგან გამოვარჩევ მერაბ ნინიძეს, ლევან უჩანეიშვილს...

— პოლიტიკოსებს მაინც არ წყალობთ?

— არა, უბრალოდ ვიცი, რომ პოლიტიკოსებზე არაფერი უნდა ვთქვა. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მათ შორის ყველაზე არაორდინარული და კოლორიტულია ავთანდილ მარგიანი. თუნდაც, დაპირისპირებული რომ იყოს ოპონენტთან, მაინც ისეთ რაღაცას იტყვის, რომ გადაცემა ძალიან სახალისო გამოდის. მახსოვს, ერთხელ, ძალიან დაძაბული საუბრის შემდეგ, ჩავრთეთ რეკლამა და ამ დროს ნოდარ ნათაძეს ეუბნება: შეხედე ერთი, ეკას, როგორ უხდება ეს ზოლიანი პიჯაკიო, — და შემდეგ ისევ ძველებური პათოსით გააგრძელა თემა...

— ვახტანგ რჩეულიშვილიც საკმაოდ ორიგინალურია ტელეკამერის წინ...

— კი, როგორც არ უნდა იყოს დაპირისპირებული ოპონენტთან, ჩაირთვება

თუ არა კამერა, ახსენდება ანეკდოტები, ჰყვება ამ ანეკდოტებს, დაძაბულობას ხსნის და თავის სასარგებლოდ ცვლის სიტუაციას.

— ზოგჯერ წამყვანებს სიცილის შეკავებაც გიჭირთ ხოლმე...

— ეს ზოგჯერ მართლაც ძნელია. წინათ, სხვა სტუდიაში ვმუშაობდით, სადაც იყო ფანჯრები და როცა მეცინებოდა, პროდიუსერს გამოვყავდი კადრიდან და ფანჯრებზე გადადიოდა. ამის შესაძლებლობა აღარ არის და ახლა ძალიან ცუდ დღეში ვარ. არადა, ყველაფერი ზედმეტი ეთერში ძალიან მკვეთრად ჩანს. როგორც ზედმეტი აგრესიულობა, ასევე ლოიალურობა, სიცილი და ა.შ.

— ამ მხრივ მე მგონი, ყველაზე ცუდ დღეშია დიმა ობოლაძე. ვინ აცინებს ან რაზე იცინის ხოლმე დიმა?

— დიმას ნათია ლაზაშვილი აცინებს მუდმივად — ხან ჟესტებით, ხან იტყვის რაღაც ისეთს... ასე რომ, დიმას სიცილის უკან ნათიას აჩრდილია. დილის გადაცემის დროს კი, პირიქით, დიმა აცინებს წამყვანებს.

— მხოლოდ ერთი საქორწინო ბეჭედი შეადგენს მთელ თქვენს სამკაულს. მეტი არ გაქვთ თუ უბრალოდ, არ ატარებთ?

— არა, არანაირი გართულება არ მაქვს სამკაულზე. რასაც ვატარებ, მე მგონი, საკმაოდ საკმარისია. სამაგიეროდ, მიყვარს კარგი ტანსაცმელი, რომელსაც ძირითადად საზღვარგარეთ ვყიდულობ ხოლმე, უფრო სწორად — გიო ყიდულობს ჩემთვის. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩემს ჩაცმულობაზე ზრუნავს ჩემი მეუღლე. მიყვარს პიჯაკები. კარგი პიჯაკი კი, საკმაოდ ძვირი ღირს.

— თქვენს გარდერობს მაყურებელი, ასე თუ ისე, იცნობს. რომელი პიჯაკია ყველაზე ძვირად ღირებული?

— ამჟამად, ზოლიანი პიჯაკი.

— რომელი? მარგიანს რომ მოეწონა?

— არა, ის პიჯაკი მარგიანს ჯერ არ უნახავს.

— გიოს ჩაცმულობაზე ვინლა ზრუნავს?

— მე ვზრუნავ. საერთოდ, ძალიან ვაფასებ ადამიანში ჩაცმის კულტურას.

— როგორია სახლი, რომელშიც ცხოვრობთ?

— იმ სახლის რემონტი, რომელშიც ვიცხოვრებთ, თვენახევარში დასრულდება. ყოველ შემთხვევაში, გიო ასე მპირდება. ლამაზი სახლი გამოდის. ამჟამად ქირით ვცხოვრობთ ფალიაშვილის ქუჩაზე. ახალი ბინის შესაძენად კრედიტი გამოვიტანეთ ბანკიდან. სამოთახიანი ბინაა, ახალი დიზაინით და თანამედროვე პროექტით აშენებული.

— ვინ არის თქვენი ოჯახის მარჩენალი?

— ორივე თანაბრად. ისე, გიოს ჩემზე მეტი ხელფასი აქვს, თუმცა, მეც არ ვარ უკმაყოფილო ჩემი ხელფასით.

— მაინც რამდენი გაქვთ?

— მასმედიაში ამას არავინ ამბობს და რაღა მე ვთქვა პირველმა?!.

— დიდხანს მოუწევს ანანოს დედისერთად ყოფნა?..

— ალბათ. უახლოესი რამდენიმე წელი მისი დედისერთობა სტაბილური იქნება.

— მაქსიმუმი, რისი მიღწევაც გინდათ...

— ყოველთვის მინდოდა ვყოფილიყავი მოქმედი ჟურნალისტი. არ მესმის ჟურნალისტების, რომლებიც ჩივიან — როდემდე ვირბინო ასეო? — და ოცნებობენ კაბინეტურ სამუშაოზე. ვოცნებობდი, ვყოფილიყავი კორესპონდენტი, რომელიც ვთქვათ, ჩაფრინდებოდა პარიზში და გამოგზავნიდა „top" მასალას ვალების რესტრუქტურიზაციაზე... ჩემი მაქსიმუმია, ვიყო პროფესიონალი ამ სიტყვის სრული გაგებით და ვიცი, რომ ჩემი ჟურნალისტური კარიერა ყოველთვის დაკავშირებული იქნება „რუსთავი 2"-თან.

— რაზე ოცნებობს ეკა ხოფერია?

— ვოცნებობ იმაზე, რომ „დალაგდეს" ქვეყანა, დამოუკიდებელმა ბიზნესმა, თუნდაც ტელებიზნესმა, მართლა დამოუკიდებლად შეძლოს არსებობა და არ იყოს მუდმივად „დარტყმების" მოლოდინში. მინდა, ამ ქვეყანაში ყველა კარგად გრძნობდეს თავს. ძალიან მინდა, მალე გადავიდე ჩემს ახალ სახლში და სამივემ — მე, გიომ და ბავშვმა ერთად ვიცხოვროთ.

— ბოლო დროს, „რუსთავი 2"-ს ორი სიახლე უკავშირდება: გაზეთი „24 საათი" და დილის გადაცემა. არ ოცნებობთ, რომ გაზეთი, ისევე, როგორც დილის გადაცემა ოდნავ მაინც გაუმჯობესდეს?

— მე ორივე მომწონს. დილის გადაცემა ამერიკული მოდელით არის აწყობილი. ასე რომ, რთული ტელეპროექტი არ არის. ძალიან დინამიკურია, თუმცა, იმასაც ვაღიარებ, რომ ბევრი რამ არის დასახვეწი. ვიცი, რომ ეს ჯგუფიც ისევე,



ოცნებობდი, ვყოფილიყავი კორესპონდენტი, რომელიც ვთქვათ, ჩაფრინდებოდა პარიზში და გამოგზავნიდა „ტოპ" მასალას

როგორც „კურიერი" თავისი შრომისმოყვარეობით მიაღწევს დასახულ მიზანს. რაც შეეხება „24 საათს" — ეს ჩემი საყვარელი გაზეთია.

— ეკა, ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ განცხადების შემდეგ თქვენს გემოვნებაზე ვინმეს აზრი შეეცვლება?..

— არა, ასე არ ვფიქრობ. „24 საათი" არ არის სკანდალებზე აგებული გაზეთი, მაგრამ ამ გაზეთის მსგავსად არავინ აშუქებს კულტურას. ეს უდავო ფაქტია.

— ალბათ არასკანდალურ „24 საათს" სკანდალებზე აგებული „კურიერი" აბალანსებს, არა?

— „კურიერი" არ არის სკანდალებზე აგებული. ეს არის ექსკლუზიურ ინფორმაციაზე აგებული საინფორმაციო გამოშვება. გაზეთშიც ალბათ ბევრი რამ არის დასახვეწი და დროთა განმავლობაში, ისიც დაიხვეწება.

P.S. „კურიერის" დღევანდელი იმიჯის ჩამოყალიბებაში მართლაც ლომის წილი აქვს ნიკა ტაბატაძეს. რა შეიცვლება „რუსთავი 2"-ში მისი წასვლის შემდეგ? ჯერჯერობით, ცნობილია რომ ნიკა ტაბატაძე წასულია სასწავლებლად ინგლისში და საქართველოში ერთი წლის შემდეგ დაბრუნდება. შესაძლოა ტაბატაძის ტელეკომპანიიდან წასვლის მიზეზი მხოლოდ ესეც არ იყოს და მას უფრო სერიოზული საბაბი ჰქონდეს. თუმცა, არ არსებობს საიდუმლო, რომელიც ადრე თუ გვიან, არ გაცხადდება... ■

«ორბის» ესპანურენოვანი «გადაფრენა»

*ახლახან, ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ორბიმ“, არნახული წარმატებით ჩაატარა 40-დღიანი ტურნე ლათინურამერიკულ ქვეყნებში. ანსამბლის კონცერტებმა კრიტიკოსთა და ფართო საზოგადოებრიობის დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ი 10 დღის განმავლობაში, დღეში სამჯერ აშუქებდა მათ გამოსვლებს, პრესა კი აჭრელებული ყოფილა „ვირტუოზი ბავშვების“ სურათებითა და ემოციური რეცენზიებით... „ისინი ჰგვანან დიდი მსახიობების „ასლებს“, რომელთაც უკავიათ დიდი სცენა, მოზრდილი არტისტებისთვის რომ არის განკუთვნილი. ნახეთ ისინი, სანამ გაიზრდებიან...“; „მათი ცეკვის ცქერისას სუნთქვა გეკვრის, მათი ხელოვნება ისეთ შეგრძნებას ჰბადებს, რომელიც ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა განიცადო...“; „ეს არის ექსტრაორდინარული მოვლენა... უნიკალურია, ბრწყინვალეა!“ — ეს ამონარიდები ნათელყოფს, რომ ქართულმა ცეკვამ ამჯერადაც განაცვიფრა უცხოელი მაყურებელი, რომელიც ქართველთა ნიჭისა და ხელოვნების ღირსეული დამფასებელი აღმოჩნდა. ვესაუბრებით ანსამბლის ქორეოგრაფს — **გია დავითაშვილს**, რომელსაც ფრიდონ სულაბერიძისა და სუხიშვილების ანსამბლის სკოლა აქვს გავლილი.*

ნინო ჯავახიშვილი

— ბატონო გია, მართალია, საზღვარგარეთ დიდი წარმატება გხვდათ წილად, მაგრამ საქართველოში ბევრმა არ იცის თქვენი ანსამბლის არსებობის შესახებ. როგორ შეიქმნა „ორბი“?

— ანსამბლი 1995 წელს შეიქმნა. ამჟამად ჩვენთან 9-დან 12 წლამდე ასაკის 35 ბავშვია, თავიდან კი მახსოვს, სულ 12 წევრი მყავდა და ერთხანს ლამის ქუჩაში აღმოვჩნდით — სარეპეტიციოდ, დარბაზიც კი არ გვქონდა. ასე რომ, ეს წარმატება უშრომლად არ მოსულა. 4 წლის წინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გვქონდა კონცერტი, მოსკოვში ჩატარებულ ერთ-ერთ ფესტივალზე ლაურეატის წოდება მოგვანიჭეს. საქართველოში გამართულ ყველა კონკურსზეც (ეს იყო „ოქროს მართვეს“ თუ ქორეოგრაფიული კავშირის მიერ ჩატარებული კონკურსები), გრან-პრი მივიღეთ. თურქეთსა და კვიპროსზე სოლო კონცერტები გვქონდა და იქაც დიდი წარმატება გვხვდა წილად.

— რაც შეეხება ამ ტურნეს — მოგვიყევით, როგორ დაიგეგმა და ვინ დაგეხმარათ?

— ამ ტურნეს ორგანიზატორები იყვნენ პერსი და ანა ლიონისები — მთელ ლათინურ ამერიკასა და ევროპაში ცნობილი იმპრესარიოები. წლების მანძილზე სუხიშვილების ანსამბლიც მათ გაჰყავდათ საზღვარგარეთ. ამაში დიდი წვლილი კი ანსამბლის დირექტორის მოადგილეს, ემზარ გაბელიას მიუძღვის. სწორედ ემზარის დამსახურებაა ისიც, რომ სხვა ანსამბლებს შორის „ორბზე“ შეაჩერეს არჩევანი. ყველანაირი ხარჯი იმპრესარიოებმა აიღეს თავიანთ თავზე. 40 დღის განმავლობაში 6 ქვეყანაში 28 კონცერტი

106 ECO ESPECTÁCULOS

LA PRENSA GRÁFICA Miércoles 31 de julio de 2002

Virtuosismo infantil

Esta compañía hace un repaso de las danzas folclóricas más tradicionales de la ex Unión Soviética. Los 35 niños, de entre 7 y 12 años, mantienen el espíritu del Ballet Nacional de Georgia, compañía que, desde su fundación en 1945, ha difundido la cultura y las tradiciones de su estado.

Redacción de Eco

Desde un punto de vista estrictamente artístico, el espectáculo de Los Niños Virtuosos del Cáucaso se pasea por las danzas folclóricas más antiguas de la región de Georgia.

En estas danzas quedan completamente determinados el papel del hombre y la mujer: el hombre es la viva imagen de la fuerza, la virilidad y la protección.

Bailan con sables, cuchillos y sus saltos rotundos terminados con los pies en punta muestran también la alerta de guerra con la que estos pueblos han defendido su territorio.

Por su parte, la mujer es el símbolo de la fragilidad, la feminidad y el respeto. El hombre la protege, no la toca y sólo un pañuelo al aire de parte de la mujer puede acabar con el más cruento de los combates.

Los Niños Virtuosos del Cáucaso, herederos del conocimiento y la experiencia de su maestro El Ballet Nacional de Georgia, es un conjunto formado por 35 niños con edades comprendidas entre los 7 y los 12 años que desde muy pequeños se han convertido en verdaderos atletas con una fuerza impresionante que llega a cortar la respiración.

El espectáculo, de dos horas de duración, está llena de colorido, de fuerza, entretiene y estremece, según la crítica del mundo entero.

Los salvadoreños tendrán solamente dos oportunidades más para disfrutar de sus presentaciones, famosas en todo el mundo.

LA COMPAÑÍA *de danza alargó su estancia en el país para ofrecer dos presentaciones a petición popular.*

Últimas presentaciones

Día: miércoles 31 de julio
Hora: 7:00 p.m.
Lugar: Teatro de Santa Ana
Entrada general: $12
Boletos a la venta en la taquilla del Teatro de Santa Ana

Día: jueves 1 de agosto
Hora: 7:00 p.m.
Lugar: Teatro Presidente
Entrada general: $15.00
Boletos a la venta en la taquilla del Teatro Presidente, Kismet Escalón y oficinas de FUSATE
Más información: 264-0042/ 264-0043 y 263-6353

ნომერი. კონცერტები გვქონდა ესპანეთში, ვენესუელაში, პერუში, პანამაში, სალვადორში, კოსტა-რიკაში, ნიკარაგუასა და ჰონდურასში. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ წინასწარ ვერც კი წარმოვიდგენდი. ჯერ ის რად ღირს, რომ 10 დღის განმავლობაში „სი-ენ-ენ“-ი დღეში სამჯერ აშუქებდა ჩვენს კონცერტებს. ფაქტობრივად, მთელი ლათინური ამერიკისა და სხვა ესპანურენოვანი ქვეყნები ადევნებდნენ თვალყურს ჩვენს გამოსვლებს. რამდენიმე საქველმოქმედო კონცერტიც ჩავატარეთ, საიდანაც შემოსული თანხა ე.წ. SOS სოფლებში მცხოვრები უმწეო ბავშვებისთვის გადაირიცხა.

— ეი. იქაური მაყურებელი კარგად ჩასწვდა ქართული ცეკვის არსს. პატარა ვირტუოზებს როგორი რეაქცია ჰქონდათ დარბაზის ასეთ ემოციურ მიღებაზე?

— ცეკვისას ხანგრძლივი ტაშითა და აპლოდისმენტებით აჯილდოებდნენ მოცეკვავეებს. მაყურებელი ზოგჯერ ფეხზეც კი დგებოდა მოჭარბებული ემოციებისგან. ყველაზე მეტად ბავშვებს სწორედ ეს ახარებდათ და გაათმაგებული ენერგიით ცეკვავდნენ. ყველაზე საოცარი ის არის, უცხოელები ასე ღრმად რომ სწვდებიან ქართული ცეკვის შინაარსს. აი, რას წერდნენ გაზეთებში სალვადორელები: „ამ ცეკვებში იმთავითვე გამოკვეთილია ქალისა და მამაკაცის როლი: მამაკაცი არის ცოცხალი სახე სიმტკიცის, სიმამაცისა და ქალის მფარველობის. თავის მხრივ, ქალი სინაზის, ქალურობისა და კდემამოსილების სიმბოლოდ გვევლინება. მამაკაცი მას იცავს, პატივს სცემს. მხოლოდ ქალის თავსაფარს შეუძლია ბოლო მოუღოს სისხლისმღვრელ ბრძოლას მამაკაცებს შორის. 2-საათიანი წარმოდგენა სავსეა მრავალფეროვნებით, სიძლიერით, რომელიც გართობს და ამავე დროს გაღელვებს...“



— უახლოეს მომავალში ახალი გასტროლები ხომ არ გაქვთ დაგეგმილი?

— ამავე თვეში საბერძნეთში მივდივართ, 12 თუ 13 კონცერტს ჩავატარებთ. ძალიან გვინდა ოპერისა და ბალეტის თეატრში ერთი სოლო კონცერტის გამართვა (ქართველ მაყურებელს ხომ ფაქტობრივად, არა აქვს ნანახი ჩვენი არც ერთი ცეკვა), მაგრამ ამას დიდი თანხა სჭირდება. ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ და ვნახოთ, რა იქნება მომავალში...

■

ქართველ მომღერალთა ოთხეული მანჰეტენზე

ნეკა სებისკვერაძე, კახა ცისკარიძე და თემურ თათარაშვილი 14 ოქტომბერს ნიუიორკში გაფრინდნენ, სადაც ჰოლივუდიდან ჩავა მარიკა თხელიძეც, რომელიც 3 ოქტომბრიდან ამერიკაში იმყოფება. ქართველი მომღერლები მანჰეტენზე, კლუბ „ნაციონალში“ ორსაათ-ნახევრიან კონცერტს გამართავენ. კონცერტის წამყვანი, მაია ბათუნაშვილი იქნება. მომღერლები მაქსიმუმი, 10-10 სიმღერას შეასრულებენ. ნეკა სებისკვერაძე, რომელიც გამგზავრების წინ საკმაოდ ოპტიმისტურად იყო განწყობილი, არათანამედროვე ქართულ სიმღერებს შეასრულებს, რადგან მისი აზრით, მოთხოვნა ასეთ სიმღერებზე უფრო დიდია. განსაკუთრებით — უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა აუდიტორიაში; თემურ თათარაშვილი ქართულ და რუსულ რომანსებს იმღერებს, კახას კი ამერიკაში მთელი თავისი ინსტრუმენტები აქვს წაღებული და ის თავს დაკვრითაც მოიწონებს. კახუჩელას აზრით, კონცერტი საკმაოდ მრავალფეროვანი გამოვა, რადგან ოთხივე მომღერალს სრულიად განსხვავებული რეპერტუარი და შესრულების მანერა აქვს.



ეს გასტროლი მარიკა თხელიძის ამერიკელმა აგენტმა დააფინანსა, რომლის სახელიც, საბუსაროდ, არც ერთ მომღერალს არ ახსოვდა. კონცერტის შესახებ რადიორეკლამა და აფიშები უკვე ერთი თვეა რაც დამზადდა, ხოლო ბილეთების გაყიდვა აგვისტოდან დაიწყო. ბილეთი მინიმუმ 100 დოლარი ეღირება. კონცერტის მსმენელი ძირითადად, ქართული დიასპორა იქნება, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ჩვენმა მომღერლებმა რომელიმე დიდი სააგენტოც დააინტერესონ. თემურ თათარაშვილი, რომელიც წელს სასცენო მოღვაწეობის 20 წლისთავს აღნიშნავს, ამერიკაში დიდი ხნით დარჩენას არ აპირებს. ნეკა და კახუჩელა კი, სერიოზული შემოთავაზების შემთხვევაში, თბილისს დატოვებენ. როგორ მოიწონებენ ქართველი მომღერლები მანჰეტენზე თავს, 28 ოქტომბერს გაირკვევა — ამ დღეს ისინი ამერიკიდან დაბრუნდებიან.

■



ახლა ჯერი პარლამენტსა და წმინდა სინოდზეა

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შეთანხმებას ხელი უკვე მოეწერა, დებატები კი ამ საკითხის ირგვლივ არ წყდება. მაინც რა არის ნათქვამი ამ ხელშეკრულებაში?

ნანა ქიბიშაური

საპატრიარქოს პრესსამსახურის განმარტება:

საკონსტიტუციო შეთანხმებით, ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამართლის სუბიექტს — სახელმწიფოს მიერ აღიარებულ, სრულუფლებიან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის ფუნქციებს ასრულებს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, ამ შეთანხმებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოების დაცვას. სასულიერო პირი უფლებამოსილია, არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტებზე, რომელიც მას, როგორც სულიერ მოძღვარს გაანდეს ან მისთვის, როგორც სულიერი მოძღვარისათვის გახდა ცნობილი. ამასთან, სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონით დადგენილი წესით. ხელშეკრულების თანახმად, სასულიერო პირის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა არ ხდება. ამასთანავე, სახელმწიფო, ეკლესიასთან შეთანხმებით, უზრუნველყოფს სამხედრო საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შემოღებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია. სასწავლო პროგრამების დადგენას, შეცვლას, პედაგოგთა დანიშნას და გათავისუფლებას, უზრუნველყოფს სახელმწიფო, ეკლესიის წარდგინებით. სახელმწიფო და ეკლესია ორმხრივად გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ, განათლების დამადასტურებელ საბუთებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს. საკონსტიტუციო შეთანხმებით, ეკლესიის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს: ნებაყოფლობითი შეწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავლები. ამასთანავე, ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. ეკლესიის არაკომერციული მიზნით არსებული ქონება, საღვთისმსახურო მიზნით წარმოებული და მოწოდებული პროდუქცია გათავისუფლებულია გადასახადებისაგან. ეკლესიასთან შეთანხმებით, სახელმწიფო აძლევს ნებართვას (ლიცენზიას) საღვთისსამსახუროდ წარმოებული პროდუქციის დამზადებაზე. შეთანხმებითვე, სახელმწიფო, ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მოქმედ და არამოქმედ მონასტრებს, მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომელზეც ისინია გაშენებული. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს, აგრეთვე მუზეუმებსა და საცავებში არსებულ მთელ საეკლესიო განძურს, პირად საკუთრებაში ადრე არსებული ნაწილის გარდა; ამასთან, საეკლესიო საგანძური, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მიღწეული შეთანხმებით სახელმწიფო ადასტურებს მე-19 და მე-20 საუკუნეებში, განსაკუთრებით 1921-1990-იან წლებში ეკლესიისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს და აღიარებს ამ ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების ვალდებულებას. დოკუმენტი ძალაში შევა მას შემდეგ, რაც დამტკიცდება პარლამენტისა და წმინდა სინოდის მიერ.

ნოდარ ლადარია, *თეოლოგი:*

— ეს ხელშეკრულება მართლმადიდებლური ეკლესიისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოსთვის. ამ შემთხვევაში, ეკლესია იღებს გარკვეულ გარანტიებს, ძირითადად, მატერიალური თვალსაზრისით, მაგრამ იქნება იმის საშიშროება, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შესაძლოა, სახელმწიფოს ერთ-ერთ დეპარტამენტს დაემსგავსოს. ამის ისტორიული პრეცედენტები არსებობს. ჩემი აზრით, სახელმწიფოს კონსტიტუცია სავსებით საკმარისია მსგავსი საკითხების დასარეგულირებლად. ზოგიერთი პოლიტიკოსი დღესაც კი, ამ დებატების ფონზე, მართლმადიდებლობის, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ითხოვს. მათ მინდა ვუთხრა, რომ ცნება — სახელმწიფო რელიგია XIX საუკუნის დასაწყისიდან, პრინციპულად აღარ არსებობს. რაც შეეხება ეკლესიისთვის ქონების დაბრუნებას, ამისათვის საგანგებოდ უნდა იქნას შემუშავებული მკაცრი იურიდიული პროცედურა, ხოლო მაშინ, როდესაც ეკლესიისთვის მიწების გადაცემის თაობაზე დაიწყება საუბარი, არ უნდა დაივიწყონ იმ ადამიანების უფლებები, რომლებიც წლების განმავლობაში ამ მიწების მფლობელები იყვნენ.

გია ზანელი:

— საკითხი ეხება კავშირის აღდგენას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ამ შემთხვევაში, მე მგონი საუბარი იმის შესახებ არ უნდა იყოს, თუ ეს ხელშეკრულება ვის, რომელ მხარეს უფრო მეტად აძლევს ხელს. ძირითადი აქცენტი ყველამ იმაზე უნდა გაკეთოს, რომ ხალხი, მოსახლეობა, იყოს დაცული თავისი სულიერი ღირებულებით და ფასეულობით. ჩვენს ხალხს უნდა უხაროდეს, რომ აღსრულდა ისტორიული სამართლიანობა და ეს ხელშეკრულება არანაირად არ შეზღუდავს ჩვენი ეკლესიის უფლებებს, პირიქით — ხელს შეუწყობს იმას, რომ განავითაროს თავის შესაძლებლობა ყველა სფეროში. რაც შეეხება შიშს — ხელისუფლების მხრიდან ხომ არ მოხდება რაიმე შეზღუდვები და თავისი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ეკლესიის გამოყენება, აქაც ვერ ვხედავ ეჭვის საფუძველს, რადგან თუ ეკლესია თავის სიმაღლეზე იქნება, ეს არასოდეს მოხდება. მოჭარბებული შიშის საფუძველია ის, რომ ამ ხელშეკრულებისთვის ხალხი ჯერ კიდევ მოუმზადებელია. ეს ხელშეკრულებაც თავისი გამოცდის გზას კიდევ გაივლის და ყველაფერი კარგად იქნება, თუკი ჩვენი რწმენა ძლიერი იქნება.

დავით მაღრაძე, *პოეტი:*

— როდესაც ეს პროექტი შემოვიდა, ინტერფრაქციულ ჯგუფში მის განხილვაში თავიდანვე ვიღებდი მონაწილეობას და ვერ ვხედავდი ამის დოკუმენტურად გაფორმების აუცილებლობას, მაგრამ დღეს ამ რეალობის წინაშე ვდგავართ. ხიფათს ვხედავ იმაში, რომ როდესაც ხელისუფლება სუსტია, ეს სისუსტე იწვევს სიმხდალეს. და თუ საპატრიარქო არ იქნა ფხიზლად, შეიძლება ხელისუფლება თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას, ეკლესიის დახმარებითაც შეეცადოს... ■

ორი ადამიანის მკვლელობისთვის 13 წელი მიუსაჯეს

მეგი ცანავა

68 წლის ვახტანგ ბარამაშვილი ორი თანასოფლელის – 32 წლის გელა მოდებაძისა და ასევე 32 წლის ბადრი დვალიშვილის მკვლელობისთვის გაასამართლეს. პროკურატურამ ბარამაშვილს განზრახ მკვლელობის მუხლი მიუყენა. ამ საკითხში ბრალდებული გამოძიებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. მისი თქმით, დანაშაული მან წინასწარი განზრახვით კი არა, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა. თუმცა, სასამართლომ საქმის განხილვის შემდეგ, პროკურატურის პოზიცია გაიზიარა და ვახტანგ ბარამაშვილს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, დანაშაული 2000 წლის 27 ნოემბერს გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში მოხდა. როგორც გამოძიების შედეგად გაირკვა, 1999 წელს ბარამაშვილმა აწ გადაცვლილის, გელა მოდებაძის სიმამრისგან – ტარიელ ბალაშვილისგან 1.000-დოლარი ანუ პროცენტიანი სესხი აიღო. გარკვეული დროის შემდეგ, ბარამაშვილმა ვალი ნაწილობრივ გაისტუმრა, მას გადასახდელი დარჩა მხოლოდ 20% – 200 დოლარი. ტარიელ ბალაშვილი და მისი ოჯახის წევრები ბარამაშვილს დარჩენილი ვალის გადახდას სისტემატურად სთხოვდნენ. 2000 წლის 27 ნოემბერს ტარიელ ბალაშვილის ვაჟმა დათო ბალაშვილმა, მისმა სიძემ, გელა მოდებაძემ და ამ უკანასკნელის მეგობარმა – ბადრი დვალიშვილმა უფლისციხის მახლობლად მდებარე ხელოვნურ ტბასთან, საღამოს, ღვინო დალიეს. დაახლოებით 11 საათისთვის სოფელში ბრუნდებოდნენ, როცა გელა მოდებაძემ ვახტანგ ბარამაშვილთან მისვლა და მისთვის ვალის მოთხოვნა გადაწყვიტა. ბადრი დვალიშვილი და დათო ბალაშვილიც მას გაჰყვნენ.

ეს უკანასკნელი მანქანაში დარჩა, ხოლო მოდებაძე და დვალიშვილი ბარამაშვილის სახლში შევიდნენ და მას ვალის შესახებ დაუწყეს საუბარი. მათი მოულოდნელი მისვლით შეშფოთებულმა ბარამაშვილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, რამაც ჩხუბი გამოიწვია. მოდებაძემ და დვალიშვილმა ბარამაშვილს ცემა დაუწყეს. სწორედ ამ დროს ბარამაშვილი, რომელიც საწოლთან ახლოს იდგა, მოულოდნელად დაიხარა და ბალიშის ქვეშიდან თავისი ცეცხლსასროლი იარაღი – მაკაროვის სისტემის პისტოლეტი გამოიღო. მან იატაკის მიმართულებით დაიწყო სროლა და თან ყვიროდა – არ მომეკაროთო! ამ გაფრთხილების მიუხედავად, მოდებაძემ და დვალიშვილმა მისი ცემა განაგრძეს. ბარამაშვილმა იარაღიდან გაისროლა. ტყვია მოდებაძეს მოხვდა ფეხში. სროლის ხმაზე სახლში დათო ბალაშვილიც შევარდა. სამივემ ერთად მოახერხა ბარამაშვილისათვის პისტოლეტის წართმევა. ამის შემდეგ ის კიდევ სცემეს, ბოლოს თავი დაანებეს და მანქანისკენ წავიდნენ. ნაცემმა ბარამაშვილმა, როცა ნახა, რომ იარაღი წაართვეს, გაბრაზებულმა აიღო სანადირო თოფი და გარეთ გავიდა (როგორც გაირკვა, ვახტანგ ბარამაშვილი ადრე სამხედრო მოსამსახურე გახლდათ და იარაღით მისი დაინტერესებაც ამით აიხსნება). ამ დროს მოდებაძე, დვალიშვილი და ბალაშვილი ჯერ კიდევ მანქანასთან იდგნენ და მანქანის კარის გაღებას აპირებდნენ. თოფით შეიარაღებული ბარამაშვილი მათ მიუახლოვდა და ისე, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს, უცებ გაისროლა. ამჯერად ტყვია დათო ბალაშვილს მოხვდა გულმკერდის არეში, თუმცა, მძიმედ არ დაჭრილა და მან მანქანის უკან ამოფარება მოახერხა. ამასობაში, ბარამაშვილმა კიდევ ორჯერ ისროლა. ტყვიებმა გელა მოდებაძე და ბადრი დვალიშვილი სასიკვდილოდ დაჭრა. ისინი იქვე გარდაიცვალნენ. დათო ბალაშვილმა დახოცილები რომ დაინახა, შეშინდა და მაშინვე მანქანაში ჩაჯდა. მანქანა დაქოქა და საავადმყოფოსკენ გასწია,



განსასჯელი ვახტანგ ბარამაშვილი

დაღუპულის, გელა მოდებაძის დედა

რათა ექიმებისთვის საკუთარი ჭრილობა ეჩვენებინა.

შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციელებმა მოკლულებიც და მკვლელიც იქვე ნახეს. ნაცემი ვახტანგ ბარამაშვილი მაშინვე დააკავეს, თუმცა თავდაპირველად, ის საავადმყოფოში მიიყვანეს. დანაშაულის გამოძიების შემდეგ, პროკურატურამ ბარამაშვილს ორი ადამიანის განზრახ მკვლელობის მუხლი მიუყენა. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ ცნო.

ვახტანგ ბარამაშვილი:

„მე განზრახ მკვლელობა არ ჩამიდენია. ღამით თავად დამესხნენ თავს, მცემეს. ბალიშის ქვეშ, სიფრთხილის მიზნით, მაკაროვის და გაზის პისტოლეტები მეწყო. გაზის პისტოლეტის გამოლება მინდოდა, მაგრამ როცა ბალიშის ქვეშ ხელი შევყავი, შეშინებულმა, სიჩქარეში ველარ გავარჩიე. ხელში მაკაროვის პისტოლეტი აღმომაჩნდა. ვაფრთხილებდი – არ მომეკაროთ-მეთქი, – მაგრამ ჩემი არ ესმოდათ. იარაღის წართმევის შემდეგ, ისევ მცემეს და გარეთ გავიდნენ. სწორედ მაშინ დავინახე, რომ გელა მოდებაძემ პისტოლეტი საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და ჩემკენ მომართა. თოფის აღება ამიტომაც გადავწყვიტე. გარეთ გავედი და გასროლა მოვასწარი. მე რომ არ მესროლა, მოდებაძე მესროდა და მომკლავდა. თავის დაცვის გარდა, სხვა გზა არ მქონდა.

სულ ორჯერ გავისროლე. ჩემი იარაღიდან გავარდნილი პირველი ტყვია ბალაშვილს მოხვდა, მეორე – მოდებაძეს. მესამე ტყვია მე არ გამისვრია, ბადრი დვალ-

იშვილი მე არ მომიკლავს. მის მკვლელობასთან დაკავშირებით საკუთარი ვერსია მაქვს: მაშინ, როცა ეზოში სროლა დავიწყე, ბადრი დვალიშვილი მანქანას მოშორდა და სოფლის გზაზე გაიქცა. ჩემ მიერ მეორედ გასროლის მომენტში, სხვა გასროლაც გავიგონე. ჩემმა ტყვიამ მოდებაძე წაიქცა, მაშინვე ინსტინქტურად ბადრისკენ გავიხედე და ვნახე, რომ ისიც ძირს ეგდო. იქვე, პირდაპირ, სადაც დვალიშვილი წაიქცა, ორსართულიანი მიტოვებული სახლი დგას. ჩემი ვერსიით, ბადრის სწორედ იმ სახლის მეორე სართულიდან ესროლეს. მკვლელი კი, როგორც ჩანს, მათვე ახლდათ და სპეციალურად ჩემს მოსაკლავად იყო იქ ჩასაფრებული. თუმცა, გაქცეული ბადრი ვერ იცნო, ალბათ, მე ვეგონე, სინამდვილეში კი მას ესროლა".

ვახტან ბარამაშვილის ამ ვერსიის არც დაზარალებულებს და არც პროკურატურას არ სჯერათ. განსასჯელის სიტყვები არც სასამართლომ მიიჩნია სარწმუნოდ და ჩათვალა, რომ ბარამაშვილმა ყველაფერი პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მოიგონა. სახელმწიფო ბრალმდებელმა სასჯელად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. თუმცა, სასამართლომ სხვადასხვა შემამსუბუქებელი გარემოების გათვალისწინებით, ბარამაშვილს 13 წელი მიუსაჯა, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ, მსჯავრდებულის ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად — მუხლი გადაეკვალიფიცირებინათ და სასჯელი შეემსუბუქებინათ, — განაჩენი უცვლელად დატოვა. ■

ქმარმა ცოლს ყელი გამოსჭრა

ჩადენილ დანაშაულში მამას საკუთარი შვილები ამხელენ

_ მეგი ცანავა

2001 წლის 23 ივნისს, მარნეულის რაიონის სოფელ კიზილაჯრიში, სამართალდამცავთა ცნობით, საშინელი მკვლელობა მოხდა: ქმარმა ცოლს დანით ყელი გამოსჭრა. ეს ტრაგედია ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ოჯახში დატრიალდა. როგორც გაირკვა, დანაშაული პურის საჭრელი დანით იქნა ჩადენილი. ქმარი — 58 წლის მეხტი მეხტიევი, გამომძიებლის თქმით, დილით, საძინებელში დაესხა თავს ავადმყოფ, ლოგინად ჩავარდნილ ცოლს და კისრის არეში დანა რამდენჯერმე ჩაარტყა. დაზიანება მძიმე ხარისხის აღმოჩნდა, რამაც ჭრილობიდან მწვავე სისხლდენა გამოიწვია. დაჭრილი ქალი მეორე დღეს, გამთენიისას გარდაიცვალა.

„ორმოცი წელი, როგორც მეუღლეს, ისე ვინახავდი. ეს დანაშაული მე არ ჩამიდენია", — აცხადებს მეხტიევი და მკვლელობის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. გარდაცვლილი — ზეინაბ მეხტიევა ოთხი-ხუთი წლის წინ, მძიმედ დაავადდა, სიარული აღარ შეეძლო და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ლოგინად იყო ჩავარდნილი. ოჯახის წევრების თქმით, ცოლ-ქმარს ურთიერთობა სწორედ ამ ავადმყოფობის პერიოდში დაეძაბა. ჩხუბობდნენ, ჩხუბის მიზეზი კი, მათივე თქმით, ხშირად ქმრის აუტანელი, ახირებული ხასიათი იყო.

საპრალდებო დასკვნის თანახმად, მკვლელობის დღეს მეხტი მეხტიევი ცოლის საძინებელში იმ დროს შევიდა, როცა მისი ვაჟი — იბრაგიმ მეხტიევი შინ არ გახლდათ. როგორც გაირკვა, ამ უკანასკნელის თანდასწრებით მეხტი მეხტიევი ცოლის ცემასა და შეურაცხყოფას ერიდებოდა. დედ-მამის უთანხმოებისა და ჩხუბის ამბავს იბრაგიმს დებიც უმალავდნენ. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ცოლის გარდაცვალებამდე, მეხტიევი მიიმალა. მიმალვის მიზეზი ის იყო, რომ მომაკვდავმა ზეინაბ მეხტიევამ შვილებისთვის სიმართლის თქმა მოასწრო. მეხტიევს ოჯახის წევრებისგან ანგარიშსწორებისა და პოლიციისთვის შეტყობინების შემთხვევაში პასუხისმგებლობის შეეშინდა და გაქცევა გადაწყვიტა.

მან შინიდან ფული წაიღო და იქაურობას საჩქაროდ გაეცალა. პოლიციამ ის 2001 წლის 4 აგვისტოს, მეზობელ სოფელში დააკავა.

საქმის მასალებში დევს აწ გარდაცვლილის ახსნა-განმარტება, რომლის მიცემაც პოლიციელებისთვის მან სიკვდილამდე მოასწრო. აღნიშნული ახსნა-განმარტებისა და ოჯახის წევრების ჩვენებების თანახმად, მეხტი მეხტიევს მეუღლის ავადმყოფობის პერიოდში, მეორე ცოლის შერთვის სურვილი გაუჩნდა. ამაში, როგორც დღეს მისი შვილები აცხადებენ, მეხტიევს არავინ ეწინააღმდეგებოდა. ზეინაბ მეხტიევაც და ოჯახის დანარჩენი წევრებიც თანახმანი იყვნენ, რომ მას მეორე ცოლი მოეყვანა, რადგან მათი რჯულის მიხედვით, მეხტიევს ამის უფლება ჰქონდა. თანხმობის მიუხედავად, ის მაინც გაღიზიანებული იყო და ცოლს ეუბნებოდა: შენ ავადმყოფი ხარ, ხელს მიშლი და სანამ არ მოკვდები, ვერავის შევირთავო.

მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე, მეხტიევმა ცოლის მოხრჩობა სცადა. ამაში მას საკუთარი შვილები ამხელენ. იბრაგიმ მეხტიევის თქმით, მამამისმა, მოგუდვის მიზნით, დედას თავზე ბალიში დააფარა, მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ მოახერხა, რადგან მას ქალიშვილებმა შეუსწრეს. *„ამ ფაქტის გამო ნათესავებმა არაერთხელ ურჩიეს, გონს მოსულიყო და ასეთ საშინელ განზრახვაზე ხელი აეღო. მათთან საუბრის შემდეგ, თითქოს დამშვიდდა, მაგრამ რამდენიმე დღე გავიდა და მკვლელობა მაინც ჩაიდინა"*, — ამბობს დაზარალებული იბრაგიმ მეხტიევი. მამას დედის მკვლელობაში ქალიშვილიც სდებს ბრალს. მისი თქმით, როცა ოთახში შევიდა და დაჭრილი დედა დაინახა, მეხტი მეხტიევიც იქვე იდგა. ზეინაბ მეხტიევამ ქალიშვილს მაშინვე უთხრა — მამაშენმა დანა ჩამარტყაო. მამამისმა კი სთხოვა — არ გამცე, პოლიციას არ შეატყობინო და არც იბრაგიმს უთხრა მომხდარის შესახებ, მე ექიმთან წავალო.

თუმცა, მეხტი მეხტიევი ექიმთან კი არა, თავისი ვაჟის — იბრაგიმის სანახავად ბაზარში წავიდა, რათა მისთვის ეთქვა, დედაშენი ძალიან ცუდად არისო. *„იმედი ჰქონდა, რომ ცოლი ამასობაში სულს დალევდა, ქალიშვილი ამ საშინელ საიდუმლოს შეინახავდა და გამცემიც არავინ ეყოლებოდა. ჩაფიქრებული ჰქონდა, ეთქვა — ავადმყოფობისგან თავმობეზრებულმა, მეტის ატანა ველარ შეძლო და თავი მოიკლაო"*, — ამბობს დაზარალებულის ადვოკატი მურმან ხვიბლიანი.

იბრაგიმ მეხტიევი:

„იმ დილით მე, ჩემი მეუღლე და და, ბაზარში ვიყავით. იქ ჩვენი სხვა ნათესავებიც იყვნენ. დაახლოებით 11 საათი იქნებოდა, როცა დავინახე, რომ მამაჩემი ჩვენკენ ფეხით მოდიოდა. მომიახლოვდა და მითხრა — დედაშენი ძალიან ცუდად არის, სახლში წავიდეთო. ყველანი ავბარგდით, მანქანაში ჩავსხედით და შინისკენ გავწიეთ. მანქანაში მამაჩემიც ჩვენთან ერთად ჩაჯდა. დედა მეორე სართულზე იწვა. როცა ის დავინახე, ცუდად გავხდი — სულ

მთლად სისხლით იყო მოსვრილი. სისხლი ყელიდან სდიოდა. რა მოვიდა-მეთქი? — ვკითხე. — მოიყვანე პოლიცია და ყველაფერს ვუამბობო. გარეთ გამოვედი, მაგრამ პოლიციის ნაცვლად, მაშინვე ექიმთან წავედი. პირველად ექთანი შემხვდა, ვუთხარი, რაშიც იყო საქმე და ჯერ ის მივიყვანე დედაჩემთან. ექთანმა მითხრა — მწვავე სისხლდენა აქვს და ექიმის მოყვანაა აუცილებელი, ნუ გეშინია, გადარჩენა შეიძლებაო. როცა ექიმთან მივედით, მან მაშინვე პოლიციაში დარეკა. თურმე დედაჩემმა ექთანს ყველაფერი უამბო, მე ოთახიდან გასული ვიყავი და სინამდვილეში რა მოხდა, იმ წუთისთვის არ ვიცოდი. ნათესავები სიმართლეს არ მეუბნებოდნენ. ექთანმა ექიმს უთხრა მომხდარის შესახებ. ექიმი და პოლიცია თითქმის ერთდროულად მივიდნენ დედაჩემთან, დედა მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო...“

შემთხვევის ადგილიდან პოლიციელებმა ის დანაც ამოიღეს, რომლითაც პროკურატურისა და დაზარალებულის თქმით, მეხტი მეხტიევმა დანაშაული ჩაიდინა. თავად ბრალდებული დანაშაულს დღემდე არ აღიარებს და აცხადებს, რომ მკვლელობა არ ჩაუდენია. წინასწარი ძიებისას მიცემულ ჩვენებაში მეხტიევი აღნიშნავს, რომ ცოლმა თავი მოიკლა. მისივე მტკიცებით, ის ოთახში მაშინ შევიდა, როცა მის მეულლეს კისრიდან უკვე სისხლი მოსდიოდა.

მეხტი მეხტიევი გასულ კვირას სასამართლოს წინაშე წარდგა. განსასჯელს ჩვენება ჯერ არ მიუცია, ამ ეტაპზე ის დუმილის უფლებას იყენებს. ■

ორმაგი თვითმკვლელობა თუ დახვეწილი ბოროტმოქმედის ნახელავი?

საზარელი, სრულიად უპრეცედენტო ტრაგედია დატრიალდა რუსეთის ქალაქ იაროსლავლის ერთ ოჯახში: დილით მეზობლებმა დედა-შვილი — ლიუბოვ და არტემ ჩერკალოვები, სასიკვდილო ინიექციისგან დაღუპულები აღმოაჩინეს.

დედა-შვილი ხელიხელჩაკიდებული იწვა დივანზე. შვილს ჯარისკაცის ფორმა ეცვა, დედას — შავი კაბა. ექსპერტებმა უმალ აღმოაჩინეს გარდაცვლილთა მკლავებზე, ვენაში გაკეთებული ნემსის ნაჩხვლეტები. ყველა შეზარა იდუმალებით მოცულმა ტრაგედიამ და თავისთავად გაჩნდა კითხვა: რა იყო ეს — თვითმკვლელობა თუ მკვლელობა?

როგორც მალე გაირკვა, ლიუბოვ ჩერკალოვას ბარათი დაუტოვებია მეზობელი ქალისთვის — ირა სტრახოვასთვის.

„ლიუბოვ მიხაილოვნამ მთხოვა, პარასკევს აუცილებლად შევსულიყავი მასთან და კატისთვის მეჭმია; მითხრა, რომ ის და მისი ვაჟი მიემგზავრებოდნენ... — ჰყვება ირინა, — მე პირდაპირ სამზარეულოში შევედი, სხვაგან არც შემიხედავს, იქ კი ბარათი დამხვდა: „ირა, მაპატიე; „სასწრაფოს“ და მილიციას ნუ გამოიძახებთ და აქ ცირკს ნუ მოაწყობთ. ეს ფოტოები კი, სამახსოვროდ წაიღეთ“. იქ ორი ფოტო იყო — მისი და მისი ვაჟის. ისე შემეშინდა, რომ მაშინვე ბინიდან გავიქეცი...“

ახლობლებმა იცოდნენ, რომ ლიუბოვ მიხაილოვნა ავადმყოფობდა. ამას წინათ, ექიმებმა დიაგნოზიც დაუსვეს — ღვიძლის კიბო. ბოლო თვე-ნახევრის მანძილზე, ქალი აღარ მუშაობდა, შინიდანაც კი ვეღარ გადიოდა. სექტემბერში, დედამ ჯარიდან შვილი, არტემი იხმო.

არტემი მართლაც ჩამოვიდა ჯარიდან და ბოლო დღეების განმავლობაში დედას არ მოშორებია. მხოლოდ ერთხელ წავიდა ირიჩკასთან ერთად დისკოთეკაზე. მეორე დღეს კი, დედა-შვილი გარდაიცვალა. პირველმა რომელმა გაიკეთა სასიკვდილო ნემსი, უცნობია.

მილიციის თხოვნით, დედა-შვილი ჯერ არ დაუკრძალავთ, რადგან არც მესამე ვარიანტია გამორიცხული: ეგებ, ეს სულაც ორმაგი თვითმკვლელობით შენიღბული მკვლელობა იყო?! ■

თურქეთში მიმავალი ავტობუსის ძარცვის ფაქტს უზენაესი სასამართლო განიხილავს

2000 წლის 5 დეკემბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესასთან რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა თბილისიდან თურქეთში მიმავალი ავტობუსის დაყაჩაღება განიზრახა. გზაზე მიმავალ ავტობუსს ისინი წინ გადაუდგნენ და მძღოლს ანიშნეს, გაჩერებულიყო. მძღოლი მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ავტობუსი არ გააჩერა. ამით განაწყენებულმა ბოროტმოქმედებმა ავტობუსის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. გასროლის შედეგად მძიმედ დაიჭრა თავად მძღოლი, მისი თანაშემწე და ერთ-ერთი მგზავრი.

პროკურატურის ინფორმაციით, ბოროტმოქმედთა ვინაობა დადგინდა და ისინი დააკავეს. სამართალდამცავთა თქმით, დამნაშავეები ვინმე აკაკი პატარაია, რევაზ სარჯველაძე, მამუკა სარჯველაძე, ელგუჯა თხილაიშვილი, ნოშრევან ჩხარტიშვილი და კობა ვაშალომიძე აღმოჩნდნენ. პროკურატურამ მათ ყაჩაღობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-ტარების და დამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლები მიუყენა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული პირები ნასამართლევები ადრეც არიან. ამჟამად, მათ უზენაესი სასამართლო ასამართლებს. ჩამოთვლილ ბრალდებულთა გარდა, ამ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოს წინაშე კიდევ ერთი განსასჯელი — ლაზარე გუბელაძე წარდგა. მას, ზემოთ აღნიშნულ დანაშაულთა დაფარვა ედება ბრალად. ■

თეონა თავართქილაძეს არ უყვარს ფეხბურთი, მაგრამ უყვარს რეზო არველაძე

უკვე 9 წელია, რაც ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, რეზო არველაძე და მისი სრულიად განსხვავებული პროფესიის მეუღლე — დიზაინერი თეონა თავართქილაძე ერთად ცხოვრობენ, ზრდიან შვილებს და ოჯახში იდილიური გარემოს შექმნას ცდილობენ. „იდილია" — ამ შემთხვევაში, ზუსტი სიტყვაა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ნათქვამი. მიუხედავად დროის დიდი ნაწილისა, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის გამო თეო და რეზი ცალ-ცალკე ატარებენ, მათ უერთმანეთოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. ყოფილი ფეხბურთელი რეზო, კვლავ სპორტის სამყაროში ტრიალებს, თეონა კი თავისი ბიძაშვილის, მაკა ასათიანის სტუდიაში მუშაობს...

ლიკა ლუბენეცი

— თეონა, მოგვიყევი, როგორ დაიწყო შენი კარიერა.

— ხატვა ბავშვობიდანვე მიყვარდა, თავიდან თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩავირიცხე, მაგრამ ორი კურსის დამთავრების შემდეგ, დამირეკა ჩვენმა ნათესავმა, გურამ ასათიანმა და მე და ჩემს ბიძაშვილს — მაკა ასათიანს პარიზში სწავლის გაგრძელება შემოგვთავაზა. მაკა სწორედ იმ წელს აპირებდა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას და გადავწყვიტეთ, ერთად წავსულვიყავით. მაშინ თბილისში ომი იყო და, ცხადია, ჩვენს მშობლებს სურდათ, სადმე უხიფათო ადგილას გავეგზავნეთ, სანამ თბილისში დაძაბული სიტუაცია ჩაწყნარდებოდა. რამდენიმე წელი საზღვარგარეთ გავატარეთ, შემდეგ ორივე, თითქმის ერთდროულად გავთხოვდით. მაკა ჩემზე ადრე დაბრუნდა საქართველოში და როდესაც მე ჩამოვედი, სტუდია „მაკა ასათიანი" უკვე ერთი წლის გახსნილი იყო. დღესდღეობით სწორედ იქ ვმუშაობ.

— რა თანამდებობა გიკავია მაკას სტუდიაში?

— მოდელიერ-დიზაინერი ვარ, ისე, როგორც მაკა.

— მაგრამ მაინც გამოდის, რომ მაკა შენი უფროსია?

— ყველაფერს ერთად ვაკეთებთ და აბსოლუტურად ერთსა და იმავე მოვალეობას ვასრულებთ — უბრალოდ, სტუდია მაკას სახელს ატარებს და ერთი სავაჭრო ნიშნის ქვეშ ვმუშაობთ.

— რთულია, როდესაც უფროსი — შენი ბიძაშვილია?

— არა, არასდროს მაგრძნობინებს ამას და არ ერევა იმაში, რასაც მე ვაკეთებ. კონფლიქტი ჯერ არ მოგვსვლია. ყველაზე მეტი, რაც შეიძლება ჩვენ შორის მოხდეს, კამათია — ჩვენების დროს თუ რომელ მოდელს რა კოსტიუმი ჩავაცვათ. შეიძლება, ეს ცუდიც არის, მაგრამ მაკას სამუშაო პერსონალთანაც საკმაოდ უშუალო დამოკიდებულება აქვს, არ „უფროსობს".

— კონკურენცია ხომ არ შეიმჩნევა თქვენ შორის?

— არც ისე დიდი ხნის წინ, ჩვენს სტუდიას კიდევ ერთი დიზაინერი — თიკა შენგელია შეემატა. შეიძლება ითქვას, რომ ყველამ ჩვენ-ჩვენი კლიენტურა შევიძინეთ. ზოგი კლიენტი მოდის და პირდაპირ მე მომმართავს, ზოგიც — მაკას ან თიკას. მაგრამ საერთო ჯამში, მაინც ერთი მთლიანი კოლექტივი ვართ.

— კოლექტივს ერთი სახელი აერთიანებს — „მაკა ასათიანი" და ეს სახელი ამ ბოლო დროს ძალიან პოპულარული გახდა. არასდროს გიფიქრია იმაზე, რომ შეიძლებოდა, მაკას ადგილას შენ ყოფილიყავი?

— შეიძლება, მხოლოდ ბავშვურ ოცნებებში... მე და მაკა ყოველთვის ყველაფერს ერთად ვგეგმავდით. ჩვენს გეგმებში საერთო სტუდიის გახსნაც შედიოდა. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ისე მოხდა, რომ მაკა ჩემზე ადრე დაბრუნდა საქართველოში და ჩემს ჩამოსვლამდე ერთი წლით ადრე, სტუდიის გახსნაც მოასწრო. სამსახურში არაფერში ვარ შეზღუდული და ის დიდ სიამოვნებასაც მანიჭებს. როგორც უკვე გითხარით, მე და მაკა ერთად ვმუშაობთ და განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ტანსაცმელს „მაკა ასათიანის" იარლიყი აქვს, ეს კი ჩემთვის გადამწყვეტი არ არის.

— და მაინც, არ გიფიქრია საკუთარი სტუდიის გახსნაზე?

— ვერ ვიტყვი, რომ არ მიფიქრია, მაგრამ ამ მომენტისთვის, იმდენად ჩართული ვარ მუშაობაში, რომ სხვა რამისთვის დროც კი არ მრჩება. სამსახურის გარდა, ოჯახიც მაქვს... და თუ მაინც გადავწვიტე საკუთარი ბიზნესის წამოწყება, მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე სიახლე შემოვიტანო თბილისის მოდის სამყაროში. ისე, საინტერესოც იქნება, ჩემსა და მაკას შორის კონკურენცია *(იცინის)*.

— კონკურენციას რაც შეეხება, რამდენად დიდია ის ქართველ დიზაინერებს შორის?

— საქართველოს მოდა ჯერ არც ისე მაღალ დონეზეა ასული. შესაბამისად, დიზაინერებიც ცოტანი ვართ. მაგრამ კონკურენცია მაინც შეიმჩნევა. ზოგჯერ ხდება ისე, რომ საუკეთესოს ძიების პროცესში, მომხ-

მარებელი, მაკა ასათიანისა და მაგალითად, ავთო ცქვიტინიძის ნაწარმს ერთმანეთს ადარებს, ირჩევს სასურველს და შესაბამისად, რომელიმე ერთი სტუდიის მუდმივი კლიენტი ხდება. რამდენჯერ მოსულან და უთქვამთ: „იცით, ჩვენ ავთოსთან შევიკერეთ კოსტიუმი, ახლა თქვენი გვაინტერესებს... რომელიც უკეთესი აღმოჩნდება, იმასთან ვივლით ხოლმე“.

— თეონა, შენ და შენი მეუღლე საინტერესო წყვილი ხართ — ფეხბურთელი და მოდელიერი. აბსოლუტურად სხვადასხვა სამოღვაწეო სფეროა. მოგვიყევი, სად გადაიკვეთა თქვენი გზები, სად და როდის გაიცანით ერთმანეთი?

— რაც თავი მახსოვს, რეზის ვიცნობ — ოჯახებით ვახლობლობდით, საერთო სამეგობრო წრე გვყავდა, კურორტზეც ერთად დავდიოდით ხოლმე... აი, საერთო ინტერესებს რაც შეეხება — ვერ ვიტყვი, რომ რეზის ძალიან აინტერესებს მოდა და მე ფეხბურთი. პირიქით, ფეხბურთს ვერ ვიტან!

— შეიძლება ითქვას, რომ ბავშვობიდანვე გიყვარდათ ერთმანეთი?

— არა, „უცებ დავვარტყა“ *(იცინის)*. მართალი გითხრა, თავიდან რეზი მე მომწონდა; ეს საიდუმლო მხოლოდ ჩემს დას გავუმხილე. ერთი შემთხვევა მახსენდება: ჩემი და მაშინ უკვე გათხოვილი იყო და ცალკე ცხოვრობდა, ერთხელაც დამირეკა და აღელვებულმა ჩურჩულით მითხრა: „თეო, ჩქარა... მალე გამოდი — ჩემთან რეზიკოა მოსული და ბიჭებთან ერთად კარტს თამაშობს!“ მაშინვე ჩავიცვი და წავედი. ახლა სიცილით ვიხსენებთ ხოლმე ამ ამბავს.

— დიდი ხანი ხვდებოდით ერთმანეთს?

— დაახლოებით წელიწად-ნახევარი. მერე პარიზში წასვლამ მომიწია და, სხვათა შორის, ამის თაობაზე დიდი კონფლიქტი მოგვივიდა. სანამ საფრანგეთში ვიყავი, თითქმის არ ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს, იყო მხოლოდ ერთი წერილი და რამდენიმე სატელეფონო ზარი — მეტი არაფერი. მაგრამ როდესაც საზაფხულო არდადეგებზე თბილისში ჩამოვედი, ისევ დაიწყო შეხვედრები... პარიზში წასვლა რამდენჯერმე გადავდე... გადავდე და არდადეგები 30 ოქტომბერს ჩემი ქორწილით დასრულდა.

— ვიცი, რომ შენს ქორწილში უამრავი კურიოზი მოხდა...

— კი, ნამდვილად, თავიდან ბოლომდე კურიოზი იყო. მაშინ უკვე 4 თვის ორსული ვიყავი. ჯვრისწერის დღეს, დილიდან უჭმელი ვიყავი, ეკლესიაში, დახუთულობასა და ხალხმრავლობაში რომ მოვხვდი, ვიგრძენი, რომ ცუდად ვხდებოდი. საკურთხეველთან ვიდექი სანთლით ხელში... მხოლოდ იმის თქმა მოვასწარი — რეზი, ცუდად ვარ-მეთქი, — და გული წამივიდა. ატყდა საშინელი აურზაური, ერთ-ერთმა ოპერატორმა, რომელიც ჯვრისწერის პროცესს ვიდეოკასეტაზე იწერდა, უმალ კამერას უშვა ხელი და მე მომვარდა, მეორე კი უფრო „იდეინი“ აღმოჩნდა და მთელი კურიოზი ბოლომდე გადაიღო... რეზის მეგობარი, ნიკუშა ჩხეიძე ცდილობდა წყლით მოვესულიერებინე, მაგრამ ნერვიულობისგან, ხელი იმდენად უკანკალებდა, რომ თიხის სავსე დოქი რამდენჯერმე შუბლზე მომარტყა და მგონი, ამან უფრო მომიყვანა გონს, ვიდრე წყალმა.

— მერე, „დაზარალებულმა“ სუფრასთან ამდენ ხანს როგორ გაძელი?

— ისე კარგად ვიმხიარულე, ვითომც არაფერი მომხდარიყო, — თუ რა თქმა უნდა, არ ჩავთალოთ ჩემს გაწეწილ თმას, სველ კაბასა და უზარმაზარ კოპს შუბლზე. იმდენი ვიცეკვე, რომ მეგობრებს შეეშინდათ, ნაადრევი მშობიარობა არ დაეწყოსო. ქორწილის შემდეგ, ერთ კვირაში, მე პარიზში გავემგზავრე, რეზი — კიოლნში. ასე ვცხოვრობდით ცალ-ცალკე, მხოლოდ შაბათ-კვირას ვნახულობდით ერთმანეთს. ახლაც, ორივეს ისეთი დატვირთული სამუშაო დღე გვაქვს, რომ მხოლოდ საღამოობით ვხვდებით ხოლმე ერთმანეთს.

— მამაკაცში რას აფასებ ყველაზე მეტად?

— კაცობას. იმას, რომ იცი — შენ გვერდით არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის დაგიცავს და მხარში ამოგიდგება. ჩემს მეუღლეშიც სწორედ ეს დავინახე. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებთ. შინ დაბრუნებისთანავე რეზის პირველი შეკითხვაა: „თეო სახლშია?“ ერთხელ მითხრა — ძალიან მიყვარს შენი ჩანთაო. დავიბენი, ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა ამით. როგორც მამაკაცების უმეტესობა, რეზი ვერ ამჩნევს ისეთ „წვრილმანებს“, როგორიც არის ჩანთა, ფეხსაცმელი და ა.შ. მერე განმიმარტა: როდესაც ვხედავ, რომ შენი ჩანთა აქ დევს, ვიცი, რომ შენც სადღაც ახლოს ხარო...

— როგორ იტანთ იმას, რომ ხშირად გიწევთ განშორება სამსახურებრივი მოვალეობის გამო?

— ჩემი მეგობრებიც ამავე კითხვას მისვამენ ხოლმე. ალბათ უბრალოდ მივეჩვიეთ და შევეგუეთ, როდესაც მე ან რეზი საზღვარგარეთ მივემგზავრებით, SMS-ების მეშვეობით ვეკონტაკტებით ერთმანეთს. ისე „დავამხეცე“ „ჰესიჯების“ წერა, რომ საჭესთანაც

თეონა მეუღლესთან და...

კი ვახერხებ აკრეკას. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, დამირეკეს „ჯეოსელიდან“ და მითხრეს, რომ მე, როგორც SMS-ების ყველაზე ხშირ მომხმარებელს, მეკუთვნის პრიზი — ორი ბილეთი კლუბ „16 რაუნდში“ *(იცინის)*.

— თეონა, ავტომობილის მართვა კარგად გამოგდის?

— კი, 16 წლიდან საჭესთან ვზივარ, დიდი პრაქტიკა მაქვს მიღებული საზღვარგარეთაც და თბილისშიც. თუ იქ დარწმუნებული ხარ, რომ წითელ შუქზე მოსახვევიდან არავინ არ გამოვარდება და არ დაგეჯახება,

...შვილებთან ერთად

აქ სულ იქით-აქეთ გიწევს ყურება.

— საგზაო პოლიცია ხშირად გაჩერებს ხოლმე?

— ხშირად არა, მაგრამ ხდება ხოლმე, მე კიდევ, საბუთები სულ შინ მრჩება...

— მერე, ვერ გცნობენ?

— თუ მაჩერებენ, რეზიკოს ვურეკავ: მიშველე, ისევ პოლიციამ გამაჩერა-მეთქი. რა თქმა უნდა, როცა რეზი მოდის საქმის გასარჩევად, მაშინვე ცნობენ და მეუბნებიან ხოლმე: თავიდანვე გეთქვათ, რომ რეზო არველაძის ცოლი ბრძანდებოდითო.

— საკუთარი ავტომობილი გყავს?

— აი, ამასთან დაკავშირებით ერთ უსიამოვნო ამბავს მოგიყვებით, რომელიც პრესისთვის ჯერ არ გამიმხელია. მყავდა საკუთრად „პეჟო". ერთ დილას (წლევანდელი გაზაფხულის ამბავს გიყვებით), დაახლოებით შვიდის ნახევარზე, „პეჟოს" სიგნალიზაციის ხმამ გამაღვიძა. გაკვირვებულმა ფანჯარაში გავიხედე და საშინელი სურათი დავინახე: მანქანას მთლიანად ცეცხლი მოჰკიდებოდა... მაშინვე გავიხსენე, რომ წინა დღეს ავზი ბენზინით გავავსე, ეს იმას ნიშნავდა, რომ მანქანა, ნებისმიერ წუთში შეიძლებოდა აფეთქებულიყო. ეს ათმაგად უფრო საშინელ კატასტროფად აღვიქვი, როდესაც გამახსენდა, რომ მანქანა ბავშვების საძინებლის მხარეს იყო გაჩერებული. მაშინვე ვტაცე ხელი მძინარე ნიკუშას და ვატოს და მეორე ოთახში გავიყვანე. დავრეკეთ სახანძროში, როგორღაც მოახერხეს ალის ჩაქრობა. დაუჯერებელია, მაგრამ „ბენზობაკამდე" ცეცხლს არ მიუღწევია, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა...

— არ სცადეთ გაგერკვიათ, ვისი ნახელავი იყო?

— ხანძრის მიზეზი „პეჟოს" ჩამტვრეული ფანჯრიდან შეგდებული, ნავთით სავსე ბოთლი იყო. ვინ გააკეთა ეს და რაში სჭირდებოდა, დღემდე არ ვიცი. მე და რეზოს მტრები არ გვყავს და ეს ალბათ ვინმე, ფსიქიკურად შერყეულმა ადამიანმა გააკეთა. რომ არ გამეღიზიანებინა და რამე უარესი არ ჩაედინა, გარკვევა აღარც დამიწყია... ერთი სიტყვით, ყველაფერი წარსულშია, მთავარი ის არის, რომ ბავშვები არ დაზარალდნენ.

— შენი შვილები რამხელები არიან?

— უფროსი, ნიკა — 8 წლისაა, უმცროსი, ვატო — 4-ის. ნიკა ნამდვილი მამამისის შვილია — მომავალი ფეხბურთელი. ვატოს ხატვა ეხერხება, მაგრამ არა მგონია, დიზაინერი გახდეს *(იცინის)*. რომ გაიზრდება, პროფესიას თავად აირჩევს.

— თეონა, მკაცრი დედა ხარ?

— სამწუხაროდ, არა. ხომ ხედავ, როგორი „მკაცრიც" ვარ (ამ დროს, ვატო მხრებზე შემოასკუპდა). ბავშვები, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, „თავზე მაზიან" *(იცინის)*. ეს ალბათ იმიტომ, რომ საკმარის ყურადღებას ვერ ვაქცევ, მთელი დღე სამსახურში ვარ.

— თუ აწყობთ ხოლმე ოჯახურ „გასვლებს" ბავშვებთან და მეუღლესთან ერთად?

— იშვიათად. მაგრამ ამ შაბათ-კვირას ვატო და მისი 11 წლის შეყვარებული კუს ტბაზე მიმყავს გასართობად. ასეთი პატარაა და უკვე ჯენტლმენობს... აი, ასეთი love story-ის მოწმენი ვართ. საოჯახო „უიქენდებზე", სამწუხაროდ, ლაპარაკიც ზედმეტია: მე და რეზო ზოგჯერ დასასვენებლადაც ვერ ვახერხებთ ერთად წასვლას. ამ ზაფხულს ესპანეთში, კუნძულ იბიცაზე ვაპირებდით წასვლას, ბილეთებიც გვქონდა ალებული, მაგრამ ბოლო მომენტში ყველაფერი ჩაიშალა იმის გამო, რომ რეზოს სასწრაფო საქმეები გამოუჩნდა.

— რომელია ქვეყანა, სადაც ნამყოფი არ ხარ და ძალიან გინდა, რომ ესტუმრო?

— თითქმის მთელი ევროპა მაქვს მოვლილი, აი, ამერიკაში კი ჯერ არ ვყოფილვარ. ჩემი ოცნებაა. მაგრამ ძალიან შორს არის *(იცინის)*, ჩემს სამსახურს და შვილებს ამდენი ხნით ვერ მივატოვებ...

— მეუღლეს შენთან ერთად „ტუსოვკებზე" სიარული თუ უყვარს?

— ვერ იტანს! არ შეუძლია ყოფნა სიგარეტის ბოლით გაჟღენთილ სივრცეში. ყველაზე ხმაურიან „ტუსოვკაზეც" კი მოძებნის ხოლმე დასაჯდომ ან წამოსაწოლ ადგილს. სულ მეკარგება და მერე ვპოულობ სადმე, წყნარ კუთხეში განმარტოებულს. არადა, მეგობრების ვიწრო წრეში ისეთი მხიარული და ხუმარაა, ვერც აღგიწერთ. ასე რომ, წვეულებები და ხმაურიანი საღამოები არ უყვარს, თუმცა, ჩემდამი არასოდეს გასჩენია პრეტენზია, არსად არ მიშლის წასვლას.

— თეონა, როგორი დიასახლისი ხარ? სამზარეულოში ტრიალი თუ გიყვარს?

— რომ გითხრა, ძალიან მიყვარს-მეთქი, მოგატყუებ. ხშირად არც მიწევს — დამხმარეები მყავს. მაგრამ თუ კერძის მომზადებას ვიწყებ, ვცდილობ, ლამაზად გავაფორმო. მიყვარს ყველაფერი ლამაზი, განსაკუთრებით — „ლამაზი" სალათები, თუმცა, რა თქმა უნდა, გაფორმებას საკმაოდ დიდი დრო მიაქვს. რამდენჯერ ყოფილა, რომ შინ დაბრუნებულ მშიერ რეზის უთქვამს: „ძალე... ჩქარა... რამე საჭმელი მომიმზადე, ოღონდ — დღეს „ჩიტები" და „ბაფთები" კატლეტზე არ გვინდა, ჩვეულებრივი კარტოფილი შემიწვი". სხვათა შორის, როდესაც გავთხოვდი, მზარეულობა არ მეხერხებოდა, ბებიაჩემი რვეულებს მიგზავნიდა კერძების რეცეპტებით, მაგრამ რა რეცეპტებით! ყველა ასე იწყებოდა: „აიღე ქვაბი, აუცილებლად გარეცხე! შემდეგ აიღე ხორცი, ისიც გარეცხე, აუცილებლად! წვრილად დაჭერი და ქვაბში ჩააწყვე. ქვაბის წყლით ავსება არ დაგავიწყდეს!..."

— შეიძლებოდა, მსგავსი რამეც მომხდარიყო?

— ჩემგან ესეც იყო მოსალოდნელი *(იცინის)*. მაგრამ ეს — წარსულში. ახლა უკვე ყველანაირი კერძის მომზადება ვიცი და მერწმუნე, ხილ-ბოსტნეულის გარეცხვა არ მავიწყდება!..

■

როდესაც გავთხოვდი, ბებიაჩემი რვეულებს მიგზავნიდა კერძების რეცეპტებით, მაგრამ რა რეცეპტებით! ყველა ასე იწყებოდა: „აიღე ქვაბი, აუცილებლად გარეცხე!"

როგორ ვუმკურნალოთ სიმსუქნეს

XXI საუკუნეში ჭარბი წონის პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო და ეპიდემიის მასშტაბს მიაღწია. მეცნიერები ღიმილით ამბობენ, რომ დღევანდელი საზოგადოება სიმსუქნეს ისეთივე სიმწვავით ეკიდება, როგორც გარემოს დაცვას, ავთვისებიან დაავადებებსა და მოსალოდნელ ატომურ აფეთქებას. ამ თემის ირგვლივ ჩნდება უამრავი შეკითხვა, რომელზე პასუხსაც „ნივთიერებათა ცვლის და კვებითი ქცევის კორექციის“ განყოფილების ექიმი-ენდოკრინოლოგი, ნინო დოლიძე, გაგცემს.

— **რა არის კალორაჟი?**

— ყველა საკვები პროდუქტი ენერგიის მატარებელია. მარტივად რომ ვთქვათ პროდუქტს ენერგოშემცველობა განსაზღვრავს მის კალორაჟს. „პროდუქტების პირამიდა“ ასახავს, თუ როგორ არის გადანაწილებული კალორაჟი სხვადასხვა სახის საკვებზე.

ცილა, ცხიმი და ნახშირწყალი, ვიტამინებსა და მიკროელემენტებთან ერთად საკვები რაციონის აუცილებელი კომპონენტებია. შეეცადეთ, რომ პროდუქტების შეძენისას შეძლებისდაგვარად გაეცნოთ ინფორმაციას მათი შემცველობის და კალორიულობის შესახებ.

პროდუქტების პირამიდა



— **რა არის სხეულის მასის ინდექსი?**

— მარტივი ფორმულა გაგცემთ იმის პასუხს თუ რამდენად ჭარბია თქვენი წონა, იმყოფებით თუ არა იმ „რისკ-ჯგუფის“ კონტინგენტში, რომლისთვისაც აუცილებელია წონის დაკლება, თუ წონა თქვენთვის მხოლოდ ესთეტიკურად არასასიამოვნო პრობლემაა. გამოთვალეთ თქვენი სხეულის მასის ინდექსი:

სმი = წონა (კგ) / სიმაღლე (სმ) / სიმაღლე (სმ) X 10,000.

შედეგი არ უნდა აღემატებოდეს 25-ს. მაღალი ციფრები იმის მიმანიშნებელია, რომ თქვენ წონა სხვადასხვა დაავადების წარმოშობის რისკ-ფაქტორია.

— **როგორ უნდა შევარჩიოთ სათანადო დიეტა?**

— ნებისმიერი ადამიანი ასაკის, სქესის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და ფსიქოლოგიური ტიპის მიხედვით სხვადასხვანაირად რეაგირებს გარკვეული ტიპის დიეტებზე. ამიტომ უმჯობესია დიეტა, ანუ რაციონალური კვების სქემა შეირჩეს პროფესიონალების დახმარებით.

წონაში კლებისას შექმნილი პირობები და გარემო ორგანიზმისათვის ნაკლებ სტრესული უნდა იყოს, ამიტომ კვების რაციონი და მიღებული პროდუქტების რაოდენობა არ უნდა იწვევდეს გამუდმებული უკმარისობის შეგრძნებას. ამასთანავე არსებობს ჯანმრთელობის მდგომარეობა, როდესაც წონაში დაკლება რეკომენდებული არ არის. მაგ. ორსულობა, ლაქტაცია, ორსულობის შემდგომი პერიოდი. ამ დროს ერთადერთი გამოსავალი, წონის შენარჩუნებაა, რაც არანაკლებ რთულია, რადგან ამგვარ სიტუაციაში წონის მატებისკენაა მიდრეკილი. დღეს უკვე ყველამ კარგად იცის, რომ ზედმეტ კილოგრამებს და ამის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს თავიდან აგვაცილებს ჯანსაღი კვების პრინციპი. შეეცადეთ პროფესიონალების დახმარებით ისწავლოთ თქვენი დღიური კალორაჟის გამოთვლა. ეცადეთ, რომ 24-საათიანი კვების სქემაში ცხიმის შემცველობა არ აღემატებოდეს 40-50 გ-ს. მისაღები საკვები პროდუქტები გადაანაწილეთ 3-4-ჯერად კვებაზე, არასოდეს გამოტოვოთ საუზმე, რადგან ორგანიზმი ენერგიის ხარჯვის სიგნალს სწორედ საუზმის შემდეგ იღებს. შეეცადეთ, რომ დღის მანძილზე მისაღები კალორაჟი არ იყოს 1200 კილოკალორიაზე მცირე.

— **რა ტემპითაა გამართლებული წონაში დაკლება?**

— წონის დაკლება ფიზიოლოგიურად ოპტიმალურია, თუ ის საწყისი წონის 10-15% შეადგენს 6-8 თვის მანძილზე. წონის სწრაფი დაკლების შემთხვევაში გასათვალისწინებელია „რიკოშეტის“ ან „პინგ-პონგის“ სინდრომი, რაც დაკლებული წონის სწრაფადვე აღდგენას გულისხმობს. წონაში სწრაფად კლებას თან ახლავს არა მხოლოდ სიმსუქნის თანმხლები სამედიცინო პრობლემები (ჰიპო ან ავიტამინოზი, ცილოვანი შიმშილი, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, საკვერცხეების დისფუნქცია), არამედ მრავალი კოსმეტიკური ხარვეზი: ცელულიტი, ნაოჭები, ჭიმები და კანის ელასტიკური კომპონენტების მოდუნება.

— **როგორ შევინარჩუნოთ წონა?**

— დასავლეთის წამყვანი ენდოკრინოლოგები ამბობენ, რომ წონის კლება პრობლემა არ არის, მთავარი პრობლემები წონის შენარჩუნებას უკავშირდება. ამ შემთხვევაში კვებითი ქცევა თავის ჩვეულ რიტმს უბრუნდება, ხოლო ორგანიზმი „დანაკლისის ანაზღაურებას“ ცდილობს. სწორედ ამიტომაა აუცილებელი, რაციონალურად შერჩეული დიეტის პროცესში შეიმუშაოთ და შინარჩუნოთ სწორი კვება.

ძალიან საინტერესო ფაქტები მოწმობს, რომ კვებითი ქცევა მხოლოდ ინდივიდის მიერ არ არის გამომუშავებული, ის გაცილებით მასშტაბური ხასიათისაა. თვალსაჩინოებისათვის გადავხედოთ სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებულ და წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ კვებით თავისებურებებს: ინგლისელები არასოდეს ვახშმობენ გვიან, ამით ამაყობენ და დასცინიან ამერიკელებს, რომელთაც გვიანი ვახშმის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ; ფრანგები ხორცის მაღალკალორიულ კერძებთან ერთად აუცილებლად დაბალკალორიულ, ახალი ბოსტნეულის გარნირს მიირთმევენ. საინტერესოა, რომ სკანდინავიის ქვეყნებში ბავშვებს ტკბილეულით მხოლოდ კვირა დღეს უმასპინძლდებიან, ეს ტრადიცია იმდენად დამკვიდრდა, რომ ბავშვებს კვირის მანძილზე ტკბილეულის მოთხოვნილება არც კი გააჩნიათ.

— **ამართლებს თუ არა შიმშილი?**

— შიმშილის პირობებში ორგანიზმი საკმაოდ სწრაფად კარგავს წონას, მაგრამ

XENICAL
orlistat

წონის ხელმეორედ მატების რისკის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია, თანაც წონის „რიკოშეტული“ მატება ამ დროს 1-2-ჯერ უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. შიმშილი ორგანიზმისათვის ექსტრემალური სიტუაციაა, როდესაც არა მხოლოდ ცხიმი იკარგება, არამედ განლევა კუნთოვანი მასაც, რაც კოსმეტიკურად კიდევ უფრო რთულ ამოცანებს წარმოშობს.

— **გამართლებულია თუ არა სიმსუქნის მედიკამენტური მკურნალობა?**

— წონის კლება ხანგრძლივი პროცესია და პაციენტის აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. სიმსუქნესთან ბრძოლა ყოველთვის მედიკამენტების გარეშე იწყება. რასაკვირველია, საუკეთესო არჩევანი მაინც კვების რეგულაცია და ზომიერი ფიზიკური დატვირთვაა, მაგრამ მოგვიანებით გახდომის ეფექტურობისთვის შეიძლება ფარმაცევტული საშუალებებიც შერჩეს (პაციენტთან შეთანხმებით). სიმსუქნის სამკურნალო პრეპარატები, რომელსაც მადის დაკარგვის (ანორექსიის) ეფექტი აქვს, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გამო, ნაკლებად მისაღებად გვეჩვენებოდა. 1999 წელს ბაზარზე გამოჩნდა ახალი პრეპარატი „ქსენიკალი“, რომლის მოქმედების არეალი კუჭ-ნაწლავის ტრაქტია. „ქსენიკალი“ თრგუნავს ცხიმების დამშლელ ფერმენტებს და აფერხებს ცხიმების შეწოვას. თვითონ პრეპარატი სისხლში პრაქტიკულად არ შეიწოვება და ამიტომ არ გააჩნია ცენტრალური მოქმედების გვერდითი მოვლენები. იგი წარმატებით გამოიყენება ჰიპოკალორიულ დიეტასთან ერთად კომპლექსურ მკურნალობაში.

აღსანიშნავია, რომ „ქსენიკალის“ გამოყენება ხანგრძლივად შეიძლება, რაც წონის შენარჩუნების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია. პრეპარატი უზრუნველყოფს წონის სწორედ იმ ტემპით დაკლებას, რომელიც ფიზიოლოგიურ ნორმებს შეესატყვისება და ნაკლებად სტრესული კვების რეჟიმთან შეთანხმების საშუალებას იძლევა.

ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
„სამკურნალო კაბინეტი“, ნივთიერებათა ცვლის და კვებითი ქცევის კორექციის განყოფილება.
ქავთარაძის ქ. 16, VII სართული
ტ: 30-99-11
ფარმაცევტული კომპანია „ჰოფმან-ლა როშე“, ბაზელი, შვეიცარია.
წარმომადგენლობა საქართველოში:
გაგარინის ქ. 16.
ტ: 37-99-20 (14-17 სთ.) R

„ამთვრალ კაცს ჩემს ჭაჭის ყუთიდან ფულს ვაკლებ და ისიც ფულს აკ იმუქებს...“

მარი ხაფარიძე

ქუჩაში მიმავალ ლამაზ ქალს ხშირად, ქალიც კი გააყოლებს ხოლმე თვალს. ერთხელ, რედაქციიდან შინ საკმაოდ გვიან მიმავალს, ნაცნობი ახალგაზრდა მამაკაცი შემხვდა. ერთმანეთი მოვიკითხეთ და ამ დროს, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს საკმაოდ ლამაზი ქალი შევნიშნე. „მაგარი ნაშაა. არა?“ — ეშმაკურად გაიღიმა ნაცნობმა. თავი რომ დავუკარი, კინაღამ ჩაბჟირდა. მერე, ისედაც გაოცებული, კიდევ უფრო გამაოცა: ქალი კი არა, გადაცმული მამაკაცია, რომელიც ამ გზით ბლომად ფულს შოულობსო... ბუნებრივია, უბრალო ადამიანური ინტერესი გამიჩნდა, მერე ის პროფესიულმა ინტერესმა გამიღვივა და ამ „ქალ-მამაკაცზე“ „ნადირობა“ დავიწყე. კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, მას ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ გადამყარა.

ჩემს სახლთან ახლოს, სამი მამაკაცი ქალს სცემდა. ქალში სწორედ ის არსება შევიცანი, დაუფიქრებლად შევიჭერი მოჩხუბართა წრეში. კაცებს ვთხოვე — გაუშვით, ხელში არ შემოგაკვდეთ-მეთქი!..

საკმაოდ ნაცემი, ტანსაცმელშემოხეული ბორკა (ასე ჰქვია თურმე ამ უცნაურ ადამიანს), დახმარების საბაბით შინ წავიყვანე. სპირტისა და ბინტის მოსატანად მეორე ოთახიდან დაბრუნებულს, ასეთი სცენა დამხვდა: ბორკას თავისი ქერა პარიკი მოეძრო, სარკის წინ დამდგარიყო და გახეთქილი ტუჩიდან წამოსულ სისხლში არეულ, საკმაოდ სქლად წასმულ გრიმს ცხვირსახოცით იცილებდა. პირველი დახმარება აღმოვუჩინე, ყავა მოვადუღე და ჩვენ შორის გულახდილი საუბარიც შედგა:

— რა გქვია?

— ბორისი მქვია, ახლობლები ბორკას მეძახიან, „კლიჩკაც“ მაქვს — „სექსო“. იცი, სულ 15-20 წუთია გიცნობ და ორი რამით გამაკვირვე.

— მაინც, რით?

— პირველ რიგში, ჩხუბში რომ ჩაერიე; იმ გაცოფებული ბიჭების როგორ არ შეგეშინდა? მეორე — როდესაც უპარიკოდ დამინახე და მიხვდი, რომ მამაკაცი ვიყავი, შენს თვალებში გაკვირვება არ შემინიშნავს. მორგში ხომ არ მუშაობ? მხოლოდ მორგის თანამშრომლებს არ ეშინიათ და არაფერი უკვირთ.

— არა, მასწავლებელი ვარ. შენ ის მითხარი, ასე სამასკარადოდ გამოწყობილი სად მიდიოდი, ან იმ ბიჭებთან ჩხუბი რატომ მოგივიდა?

— არსადაც არ მივდიოდი, „ტრასაზე“ ვიდექი, კლიენტს ველოდებოდი. ის ბიჭები მოვიდნენ და ათი ლარი შემომთავაზეს. მე, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი, რადგან მხოლოდ ფულიან კლიენტებს ვირჩევ. ვერ შევთანხმდით და ჩხუბიც ამის გამო მოხდა.

— დიდი ხანია, ამ საქმიანობას ეწევი? ვინ არიან შენი მშობლები?

— დედა რუსი მყავს, მამა — ებრაელი. საქართველოში დავიბადე და გავიზარდე. 4 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი მშობლები გაიყარნენ. მამამ ახალი ოჯახი შექმნა, 2 შვილი ჰყავს; დედა კი, გაიყარნენ თუ არა, ერთ კვირაში გათხოვდა და მალევე რუსეთში წავიდა საცხოვრებლად. ამის მერე აღარ მინახავს. ბებიამ გამზარდა, მამის დედამ. მასთან ერთად ვცხოვრობდი საბურთალოზე. 8 წლის წინ გარდაიცვალა. მაშინ 15 წლის ვიყავი.

— თავს რით ირჩენდი?

— მამას მივაკითხე. მან თავისთან ცხოვრება შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, თან მოვატყუე: ერთმა კაცმა ნარკოტიკებით ვაჭრობა შემომთავაზა და რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი? გადაირია: არ გაბედო, ასეთი სისულელე არ ჩაიდინოო. — აბა, თავი რით ვირჩინო-მეთქი? — ფულს მე მოგცემ, თვეში ორასი დოლარი ხომ გეყოფაო? მისი „სქელი“ ჯიბის იმედი მქონდა და სწორედ ამიტომ, ვაჭრობა დავუწყე: არ მეყოფა, ის საქმე უფრო სარფიანია — 500 დოლარს შემპირდნენ-მეთქი. ვივაჭრეთ და 400-ზე შევთანხმდით. მართლაც, 7 წლის განმავლობაში პირობა არ დაურღვევია. წესად მქონდა, ერთ ასდოლარიანს ყოველ თვეში ვინახავდი — შავი დღისთვის... შემდეგ მამაჩემი ისრაელში წავიდა საცხოვრებლად. მეხვეწა, ჩემთან ერთად წამოდიო. არ გავყევი. იქიდან კი იმდენ ფულს უკვე ვეღარ მიგზავნის — 200-250 დოლარზე ჩამოვიდა.

— გამოდის, რომ დანაზოგი გქონია...

— შენ გაინტერესებს, რატომ ვდგავარ „ტრასაზე“?

— მაინტერესებს, მაგრამ პასუხიც ვიცი: ჰომოსექსუალისტი ხარ და სექსუალურ პარტნიორს ეძებ...

— ღმერთმა დამიფაროს! სრულფასოვანი მამაკაცი ვარ და კაცები, ცხოველები და სექს-შოპში გამოფენილი გასაბერი ქალებიც კი არ მაინტერესებს. ეს ყველაფერი კი ასე დაიწყო: ჩემთან გარკვეული პერიოდით, სხვადასხვა ქალი ცხოვრობდა. ჩემი რომანი 2-3 თვეს თუ გასტანს ხოლმე. ერთი ჩემი ქალი პარიკს ატარებდა. ჰოდა, ერთხელ, გართობის მიზნით, მისი პარიკი მოვირგე. ჩემი გულის სწორი აღფრთოვანდა, ისე მოვეწონე. დაებადა იდეა, მისი ტანისამოსი ჩამეცვა. ასეც მოვიქეცი. მან მაკიაჟიც გამიკეთა და სარკეში რომ ჩავიხედე, იქიდან ისეთი მაგარი ქალი მიყურებდა, გავიფიქრე — ასეთ ნაშაზე მეც არ ვიტყოდი უარს-მეთქი. ერთი სიტყვით, ბევრი ვიხალისეთ. შემდეგ ის საღამო დავიწყებას მიეცა. გავიდა ხანი. ჩემი მეგობარი ბიჭის დაბადების დღეს მინდოდა მისთვის სიურპრიზი მომეწყო და ვინაიდან მისი დონჟუანობის ამბავი ვიცოდი, გადავწყვიტე — მაგარი ქალი „მომეხსნა“ და „საჩუქრად“ მიმერთმია. რატომღაც ვერ ვიშოვე ასეთი ქალი და უცებ მომივიდა იდეა — მე თვითონ მივსულიყავი ჩემი სამასკარადო კოსტიუმით... „უცხო ქალის“ დანახვამ ყველა გააკვირვა. ხმა დავინაზე და თვალებდახრილმა მოვახსენე: ბორკამ იუბილარს ჩემი თავი საჩუ-

ქრად გამოუგზავნა-მეთქი. ამან დიდი მხიარულება გამოიწვია და წვეულების ბოლომდე ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ ქალი ვიყავი. ბორკას მიუსვლელობამ ყველა გააოცა. შინ მირეკავდნენ, კარზე ყოველი დაკაკუნებისას — ბორკა მოვიდაო, გაიძახოდნენ. მესიამოვნა — ისინი ხომ არ თვალთმაქცობდნენ... წვეულების ბოლოს, პარიკი მოვიხადე და ჩემი ხმით ავლაპარაკდი. ჯერ გაოცდნენ, შემდეგ გულიანად იცინეს.

— **„ტრასის“ ამბავს მაინც არ ჰყვები...**

— იმ წვეულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ბიჭები ჩემთან შეიკრიბნენ და „ჯოკერის“ თამაში გადავწყვიტეთ. სანაძლეო ასეთი იყო: ბოლო ადგილზე გასული, ქალის სამოსში ჩაცმული დადგებოდა „ტრასაზე“ და მამაკაცს „შეაბამდა“. სამივე ჩემს „ჩაძირვას“ ცდილობდა და, რა თქმა უნდა, წავაგე. გამოვეწყვე უწინდელივით და ქუჩაში გავედი თუ არა, პირველი მანქანაც გაჩერდა. ფასზე დამიწყო შეთანხმება. ას ლარზე მოვრიგდით და მანქანაში მოვკალათდი. ნაძლევის პირობა შესრულებული მქონდა, მაგრამ დავინტერესდი — რა მოხდებოდა და გავყევი. ერთ-ერთ რესტორანში დამპატიჟა. იქიდან სასტუმროში წამიყვანა. ფული წინასწარ გადამიხადა. რაღაც იაფფასიანი სასტუმრო იყო და ნომერში ტუალეტი არ იყო. დერეფანში გავედი და იქიდან კისრისტეხით გამოვიქეცი... მომეწონა, ასე გაწბილებული რომ დავტოვე ის ოფლიანი და ღიპიანი ძია. არმად ნაშოვნი ფულიც მშვენივრად გამოვიყენე. ამის შემდეგ, ჩემივე ინიციატივით მოვუხშირე ღამის გასვლითი „წარმოდგენების დადგმას“.

— **მაგრამ ყველას ასე უტუალეტო ნომრებში ხომ არ მიჰყავხარ?**

— არა, სასტუმრომდე საქმე აღარ მიმყავს — ბარშივე დავათრობ და მერე „ვასუფთავებ“...

— **როგორ, ძარცვავ?**

— არა, თავიანთი ნებით მაძლევენ ფულს. მთვრალ კაცს ჩემს ბამბის მკერდს გავუხახუნებ და ისიც ფულს არ იშურებს... ბარის მეპატრონეც კმაყოფილია და მეც.

— **ეი. ბარის მეპატრონე წილში გყავს?**

— თავიდან სხვადასხვა ადგილას მივდიოდი ხოლმე. ახლა ერთი საიმედო ბარი მაქვს შერჩეული. თუ კლიენტი ძნელად თვრება, სასმელში ცოტაოდენ „საჭირო“ სითხეს გავურევ და მორჩა!

— **როგორ დავიჯერო, რომ ყველა მამაკაცი ასე ადვილად გემორჩილება და ერთი და იმავე სცენარით მოქმედებას ახერხებ?**

— ყოფილა შემთხვევა, მანქანიდან გადმოვმხტარვარ, ან ბარიდან გამოვპარულვარ. არიან ისეთი კაცებიც, რომ ვერაფრით გააცურებ. მაგრამ უმეტესობის გაბითურება მაინც ხერხდება.

— **რატომ იგდებ თავს საფრთხეში, მით უმეტეს, რომ მატერიალურად არ გიჭირს?**

— იდიოტ მამაკაცებს დავცინი. ეს ერთგვარ ჰობადაც გადამექცა.

— **შენმა მეგობრებმა თუ იციან შენი „ღამის პეპლობის“ ამბავი?**

— ყველაზე ახლო მეგობრებმა — კი. მათი დახმარებაც დამჭირვებია ხშირად.

— **მაინც რაში?**

— ერთხელ იყო ასეთი შემთხვევა: ახალგაზრდა ბიჭმა „მომხსნა“. წავედით ბარში. არ დალია, არ ჭამა, აქეთ მაძალებდა სასმელს. უხეშობდა კიდეც. მივხვდი, საქმე შავად იყო. ბარის მეპატრონეს ვანიშნე, დაერეკა. ცოტა ხანში ჩემი ორი მეგობარი მოვიდა. ერთი ხმამაღლა ეუბნება მეორეს: შეხედე ერთი, ამ ბოზს, ამ შუაღამისას აქ რას აკეთებსო?! წამოვიდნენ ჩემკენ. ერთმა ჩემი საყვარლის როლი გაითამაშა, მეორემ — მისი ძმაკაცის. ხელი ჩამავლეს და გინებ-გინებით გარეთ გამომათრიეს. ბევრი ვიცინეთ...

— **მეზობლები რას ამბობენ, ღამით, ქალის ფორმაში გამოწყობილი რომ გამოდიხარ ხოლმე შინიდან?**

— იმათ ხომ არ იციან, რომ ეს მე ვარ. ჰგონიათ, ბორკას ქალი ჰყავდა მიყვანილი და სახლში მიდისო. ბიჭებმა ერთი-ორჯერ მითხრეს — ის „მაგარი ნაშა“ რომ მოდის შენთან, რომ დაშორდები, ჩვენ „დაგვაჯახეო“. უკვირთ კიდეც: ამდენი ხნის განმავლობაში არც ერთი ქალი არ გაჩერებულა შენთან და ეტყობა, მაგრად გიყვარს, ორი წელი გვერდიდან რომ არ იშორებო.

— **„გადაგდებულმა“ კლიენტებმა სადმე რომ გიცნონ, არ გეშინია?**

— ხშირად ვიცვლი ადგილს. თუმცა, ჯერ არც ის უთქვამს ვინმეს, — გიცანიო.

ბორკამ მადლობა გადამიხადა და გულთბილად დამემშვიდობა. მე კი მეორე დღეს მის მიერ დასახელებულ ბარს ვეწვიე. ჩემმა კითხვებმა მეპატრონე ძალზედ გააბრაზა: რა ბორკა, რის ბორკა? — ჩემს ბარში მხოლოდ წესიერი ხალხი დადისო, — დაიჟინა მან. გავიკვირვე: რა იცით, რომ ბორკა უწესოა, მე ხომ მხოლოდ ის გკითხეთ, როდის შემოივლის? მასთან შეხვედრა მინდა და იქნებ მომიხერხოთ-მეთქი? — გიმეორებთ, ბორკას არ ვიცნობო!..

■

ღვიძლი ქალიშვილის „პირადი პაპარაცი“

ნორვეგიელი ტახტის მემკვიდრის, პრინც ჰოკონის მეუღლის, პრინცესა მეტე-მარიტის მამა „ყვითელი“ გაზეთის საიდუმლო რეპორტიორი აღმოჩნდა, რომელიც თურმე, მეტყველი სახელწოდების რუბრიკას — „უყურე და უსმინე“ — უძღვებოდა და სამეფო სასახლეში თავისუფალი შესვლა-გადაადგილების უფლებითაც საიმისოდ სარგებლობდა, რათა საზოგადოების სამსჯავროზე გამოეტანა ღვიძლი შვილის, სიძისა და შვილიშვილის ოჯახური ცხოვრების საინტერესო მომენტები. არავინ იცის, თუ რამდენ ხანს ეწეოდა იგი ამ „მადლიან“ საქმიანობას; ბუნებრივია, ვერც იმას განჭვრეტს ვინმე, რამდენად ღრმად „შეიჭრებოდა როლში“ მოსიყვარულე მამა, სიმამრი და ბაბუა, რომ არა მისი უდიდებულესობა შემთხვევა: სამეფო კარის ერთმა მოხელემ ღვიძლი ქალიშვილის „პირად პაპარაცის“ მაშინ ჩაავლო, როცა ის სასახლის მახლობლად, გაზეთის სარედაქციო მანქანაში ჯდებოდა. შემდეგ მისი სახელი საჰონორარო უწყისებში დააფიქსირეს, რამაც საბოლოოდ გაფანტა ეჭვი. გამოირკვა, რომ მოხერხებულ პაპარაცის, რედაქციამ ამ საქმიანობის გასაუმჯობესებლად, საგანგებოდ, მობილური ტელეფონიც გადასცა.

ბუნებრივია, პრინცესამაც შესაბამისი დასკვნები გამოიტანა: ამ რამდენიმე ხნის წინ გამართული ერთ-ერთი ოფიციალური სადილის დროს, მამასთან ერთად საუფრასთან მჯდომ მეტე-მარიტს მთელი საათის განმავლობაში სიტყვაც არ დასცდენია, რაც, ბუნებრივია, არ გამორჩენიათ ჟურნალისტებს და მეორე დღეს, სკანდინავიური პრესის ფურცლებზეც სათანადოდ აისახა.

ნდობის ტელეფონი
ჯონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005
„ჰაგი“, „ჯუნსელი“,
„მეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

როცა ბედნიერები არიან, მაშინაც

TvalebSi usaSvelo sevda udgaT...

ლელა ჭანკოტაძე

თბილისის ქუჩებში გაჩნდა სურათები ინვალიდი გოგონას გამოსახულებით, რომელსაც აწერია: „თამუნა თექვსმეტი წლისაა. სამწუხაროდ, ის ვერასდროს გაიზლის“. ინვალიდის ეტლში მჯდარი გოგონას სევდიანი გამომეტყველება გულგრილს არავის ტოვებს. განსაკუთრებით იმათ, ვისი შვილებიც სასწაულით გადაურჩნენ ამ მძიმე განსაცდელს. თამუნას მოძებნა არ გამჭირვებია, მასთან საუბარი კი არ გამომივიდა. მისი ეტლი ხის პატარა მაგიდასთან იდგა. არაფერს აკეთებდა. თითქოს არაფერზე ფიქრობდა. სხვა ბავშვები მხიარულობდნენ, ზოგი თამაშობდა, ზოგი ტელევიზორს უყურებდა. ხატვა არ გინდაო? – ჰკითხა დეიდამ თამუნას. მაგიდას ვერ ვწვდებიო, – უპასუხა ბავშვმა. დეიდებმა თამუნა ეტლიდან ამოიყვანეს. ეტლში ბალიშები ჩაუწყვეს და ისევ ჩასვეს. გოგონას ხელები მაგიდას მისწვდა... ფანქარი უხალისოდ აიღო, თუმცა არაფერი დაუხატავს. იმ დღეს თამუნა საოცრად სევდიანი იყო. მე ის ასეთი დამამახსოვრდა.

დიღომში არასამთავრობო ორგანიზაციამ „პირველმა ნაბიჯმა“ კეთილმოწყობილი კოტეჯი ააშენა. ამ კოტეჯში კასპის ბავშვთა სახლიდან ჩამოყვანილი თორმეტი ბავშვი მოათავსეს. ერთ-ერთი მათგანია თამუნა. ბოლო დროს მთელ მსოფლიოში ქველმოქმედების თანამედროვე და მოდური ფორმა სწორედ ინვალიდი ბავშვების მოვლა-პატრონობაა. ფონდი „პირველი ნაბიჯი“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია თბილისში გონებრივად და ფიზიკურად ჩამორჩენილი ბავშვებისთვის სანიმუშო დაწესებულების შექმნა. ამ პროექტს საქართველოში ზურაბ ჟვანიას მეუღლე, ნინო ქადაგიძე, ევროკავშირის ელჩის მეუღლესთან, ჯეინ კორბოისთან ერთად ახორციელებს. ქალბატონმა ჯეინმა საქართველოში თავისი მისია დაამთავრა. მიუხედავად ამისა, უკვე მეორე წელია, რაც თავისი სახსრებით ჩამოდის და ორგანიზაციას ფინანსურად ნაწილობრივ უზრუნველყოფს. ფონდი „პირველი ნაბიჯი“ ზრუნავს არა მხოლოდ ბავშვების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, სოციალურ ურთიერთობებში მათი ჩვევების განვითარებაზე, არამედ ცდილობს, ისინი დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს და საზოგადოებას...

*დიღმის კოტეჯში, რომელსაც „სოფელს“ ეძახიან, მის ადმინისტრატორს, პედიატრ **ნინო მუსელიანს** ვესაუბრეთ.*

— ქალბატონო ნინო, როგორ მოხვდნენ ეს ბავშვები კასპიდან ამ „სოფელში“?

– თავიდან ისინი მართლაც კასპის ბავშვთა პანსიონატში იყვნენ. თბილისიდან იქ ჩავედით პედიატრების, ფსიქოლოგებისა და პედაგოგებისგან შემდგარი ჯგუფი. ბავშვები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში დაგვხვდნენ. ყველა ბავშვის წამოყვანა ვერ ხერხდებოდა. ამიტომ გადაწყდა, წამოგვეყვანა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვები. შეირჩა ოცდაოთხი ბავშვი. ნაწილი, დიღმის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოვათავსეთ, ნაწილი კი თემქაზე არსებულ მიხეილ გურამიშვილის სახელობის პედიატრიულ კლინიკაში. გარკვეული პერიოდის შემდეგ თემქიდან ბავშვები დიღომში გადმოვიყვანეთ, სადაც მათ რამდენიმე წელი დაყვეს. როგორც კი ამ ბავშვებს ჯანმრთელობა გაუუმჯობესდათ, თორმეტი ბავშვი აქ, ამ კოტეჯში დავაბინავეთ. ეს არის პატარა „სოფელი“, რომელიც ოჯახურ მოდელზეა აშენებული. ერთი კოტეჯი მხოლოდ თორმეტ ბავშვს იტევს.

— კასპის ბავშვთა სახლში ამ ბავშვებს დაღუპვა ემუქრებოდათ?

– მათ არ ჰქონდათ საჭმელი, ტანსაცმელი, ზამთარში სიცივით იყინებოდნენ. ასეთი მძიმე პირობების გამო, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდებოდა. ეს ბავშვები იქ რომ დარჩენილიყვნენ, დაიხოცებოდნენ. შეიძლება ყველა ბავშვი არ დაღუპულიყო, მაგრამ მათი დიდი ნაწილი უეჭველად დაიღუპებოდა.

— ძირითადად, რა დაავადებები აწუხებთ ამ ბავშვებს?

– გონებრივი ჩამორჩენის გარეშე არც ერთი ბავშვი არ გვყავს. ამას ემატება სხვადასხვა მძიმე დაავადება – მაგალითად, ეპილეფსია, გიდროცეფალია, მეოთხე ხარისხის კახექსია (როცა განილევა კუნთოვანი და ცხიმოვანი ქსოვილი), ბავშვთა ცერებრალური დამბლა და ა.შ. რამდენიმე ბავშვს ურთულესი ოპერაცია გაუკეთდა.

— მშობლები თუ აკითხავენ?

– ეს ბავშვები ძირითადად, მშობლებმა ჩაგვაბარეს. მათი 10% მოდის და ნახუ-

ლობს შვილებს. ძირითადი მუშაობა ახლა სწორედ მშობლებთან წარმოებს. პირველი ეტაპი ინფორმაციის მოპოვება იყო. ზოგიერთ ბავშვს დაბადების მოწმობაც არ ჰქონდა, ამიტომ უნდა დაგვედგინა, ვინ იყვნენ მისი მშობლები. ახლა ხდება ამ ბავშვების დაახლოება მშობლებთან.

— თუ იყო ისეთი შემთხვევა, როცა წლების უნახავი შვილი აჩვენეთ მშობლებს?

— „პირველი ნაბიჯის“ სოციალურმა მუშაკებმა ორი ბავშვი დაუბრუნეს თავიანთ ბიოლოგიურ მშობლებს. ეს ბავშვები ისე გაიზარდნენ, რომ მშობლები ერთხელაც არ უნახავთ. უფრო მეტიც, მშობლებმა საერთოდ არ იცოდნენ მათი არსებობის შესახებ. ორივე ბავშვი ბებიების მოთხოვნით დატოვეს სამშობიარო სახლში, რადგან მათ დაბადების პირველი წუთებიდანვე ემჩნეოდათ, რომ ჰქონდათ ფიზიკური დეფექტი. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ამბავი იმდენად იყო გასაიდუმლოებული, რომ მშობლებმა ჩვენგან შეიტყვეს, მათი შვილები ცოცხლები რომ იყვნენ. ერთ ბავშვს ნიკა ჰქვია, ის უკვე 22 წლისაა, მეორეს — ლია. ის 20 წლის არის. ლიას ოჯახი მრავალშვილიანი აღმოჩნდა.

— როგორ ხვდებიან „სოფლის“ ბავშვები მშობლებს?

— მშობლებთან გაუცხოებულნი არიან. ამაში გასაკვირი არაფერია. როცა დედა მოდის სანახავად, ბავშვი თითქოს ამის გამო არ ღელავს, მაგრამ როგორც კი დედა მიდის, ბავშვს მთელი დღის რიტმი ერღვევა. ზოგი აფორიაქებულია, ზოგი — ზედმეტად აგრესიული. გუშინ გიორგი ტაველიშვილის დედა იყო მოსული. შემომჩივლა: რა ხდება, ბავშვმა არც კი შემომხედაო. ვურჩიე, გიორგი ცირკში ან ზოოპარკში წაეყვანა, ან უბრალოდ, გაესეირნებინა. ძალიან რთულია ასეთ ბავშვთან ურთიერთობა, თანაც, გიორგის საოცრად სევდიანი ისტორია აქვს. ის ბიოლოგიურმა დედამ მიატოვა. ერთმა უშვილო ცოლ-ქმარმა იშვილა. აღმოჩნდა, რომ ის გონებრივად ჩამორჩენილი იყო. ფიზიკური ნაკლი არა აქვს. ხუთ წლამდე გაზარდეს, შემდეგ კი კასპის ბავშვთა სახლში ჩააბარეს. ამ ოჯახმა ახლა მეორე ბავშვი იშვილა, ის ნორმალური აღმოჩნდა. ზრდიან, თავს ევლებიან. მამა წინააღმდეგია, რომ გიორგი მოინახულონ. თავის ცოლს უკრძალავს „სოფელში“ მოსვლას, მაგრამ დედას ბავშვი სიგიჟემდე უყვარს. ჩუმად მოდის ხოლმე კოტეჯში და ნახულობს. გუშინ რომ მოვიდა, ვკითხე: მეუღლემ გამოგიშვა-მეთქი? — არაო, — მიპასუხა — თბილისში კბილის ექიმთან ვიყავი ჩამოსული, გიორგი რომ არ მენახა, არ შემეძლოო.

— დედის მაგივრობას ვინ უწევს ამ ბავშვებს?

— კოტეჯში ცხოვრობენ დედა და დეიდები. თორმეტივე ბავშვს უვლის ქალი, რომელსაც დედა ჰქვია. ის ყველა ბავშვის საერთო დედაა. მუშაობს ექვსი ძიძა. გვყავს მეშვიდე ანუ დამხმარე ძიძაც, რომელიც მაშინ რჩება ბავშვებთან, როცა რომელიმე ძიძა შვებულებაში გადის. არა მარტო დედის, ძიძების შერჩევაც კონკურსის საფუძველზე მოხდა. დიდი ყურადღება ექცეოდა ასაკს: ქალი არ უნდა ყოფილიყო 45 წელზე უფროსი ასაკის, და უნდა ჰქონოდა ინვალიდებთან ურთიერთობის გამოცდილება.

— რა ასაკამდე დარჩებიან ეს ბავშვები „სოფელში“?

— ძალიან რთული შეკითხვაა. ჩვენი სურვილია, რომ ყველა ბავშვი, თუნდაც ხვალვე გაშვილდეს და ოჯახში აღმოჩნდეს.

— ხომ შეიძლება, ვერ მოხერხდეს გაშვილება? მაგალითად, თამუნა ხომ შეიძლება, ციხიდან გამოსვლის შემდეგაც, არ წაიყვანოს მამამისმა?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია. ეს უკვე მარტო „პირველი ნაბიჯის“ კი არა, სახელმწიფოს პრობლემაცაა საზღვარგარეთ, ყველა ასეთ ბავშვს აშვილებენ. იქ არიან „ფოსტერ-ოჯახები“ და ბიოლოგიური ოჯახები. თუ ბავშვი ბიოლოგიურ ოჯახს არ მიჰყავს, მაშინ მას აძლევენ „ფოსტერ-ოჯახს“. თან ასეთ ოჯახს აფინანსებენ, რათა ინვალიდი ბავშვის მოვლა არ გაუჭირდეთ. რაც შეეხება თამუნას, მასთან მძიმე სიტუაციაა. მამამ დედა თამუნას თვალწინ მოკლა. ახლა ის კაცი სასჯელს იხდის. ციხიდან რომ გამოვა, არ ვიცი, რა შეიცვლება თამუნას ცხოვრებაში. მას სულ აკითხავდნენ ხოლმე დეიდები, დედის დები. ხშირად არ მოდიოდნენ, მაგრამ თამუნას დაბადების დღე არასოდეს ავიწყდებოდათ. კარგა ხანია, რაც აღარ გამოჩენილან.

— თუ აქვს „სოფელს“ იმის შესაძლებლობა, რომ ამ ბავშვებს დღესასწაულებზე გული სულ მცირედით მაინც გაუხაროს?

— „სოფელში“ გადმოსვლის შემდეგ, ამ ბავშვებმა პირველად გაიგეს, რომ არსებობს დაბადების დღე, რომელიც ზეიმით უნდა აღინიშნოს... ვაცხობთ დიდ ტორტს და, რაც ყველაზე მთავარია, იუბილარს ვეკითხებით: „ვინ გინდა, შენს დაბადების დღეზე დავპატიჟოთ?“ წელს თამუნამ მთხოვა: შენი ქალიშვილი დაპატიჟეო. ჩემი შვილი ხშირად მიმყავს „სოფელში“. ის თამუნასთან თამაშობს ხოლმე.

— რა არის თქვენი ორგანიზაციის მთავარი მიზანი?

— კოტეჯში საუკეთესო კვებაა. პირობებიც საუკეთესოა. სისუფთავეც იდეალურია, მაგრამ ბავშვებისთვის საკმარისი არ არის, კარგად რომ ვაჭმევთ და ვაცმევთ. მთავარია შედეგი — შედეგში იგულისხმება სწავლა, მეცადინეობა და საზოგადოებაში მოხვედრა, ე.ი. უნდა

მოხდეს ბავშვის ინტეგრაცია საზოგადოებაში. ეს არის ჩვენი ორგანიზაციის მიზანი. ბავშვის ინტეგრაცია რომ მოხდეს, მან შესაბამისი განათლება უნდა მიიღოს. ჩვენ ამაზეც ვზრუნავთ. კოტეჯის თორმეტი ბავშვიდან, ორი, ყრუ-მუნჯთა სკოლაში დადის. არასამთავრობო ორგანიზაციამ გახსნა საკვირაო სკოლა. იქ სწავლება მხოლოდ შაბათ-კვირას მიმდინარეობს და მხოლოდ ის ბავშვები დადიან, რომლებიც ეტლებში სხედან. თამუნა საკვირაო სკოლაში სწავლობს. დანარჩენი ბავშვები დადიან მარინა შოსტაკის სკოლაში — თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრში. სწორედ იქ სწავლობდა დათუნაც, რომელიც წელს ისეთ სკოლა-ინტერნატში გადავიყვანეთ, სადაც გონებრივად ნაკლებად ჩამორჩენილი ბავშვები არიან. დათუნამ შესაძლებელია, უკეთეს შედეგებს მიაღწიოს და ჩვეულებრივ სკოლაშიც გადავიდეს.

— რითი დადიან ან ვის დაჰყავს ეს ბავშვები სკოლაში?

— „სოფელს“ სამარშრუტო ტაქსი ემსახურება, რითიც ბავშვები მარინა შოსტაკის სკოლაში დადიან. გვყავს ავტომანქანა, რომლითაც ყრუ-მუნჯი ბავშვები და თამუნა მიჰყავთ ხოლმე სკოლაში. მე არც იმის მომხრე ვარ, რომ სულ მსუბუქი მანქანით იარონ. ეს მაინც საზოგადოებისგან იზოლაციაა. ამიტომ ზოგჯერ დედას, ერთი რომელიმე ბავშვი, სკოლაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მიჰყავს.

— ამ ზაფხულს თბილისში არ იყავით. სად წაიყვანეთ ბავშვები?

— ზაფხულში თორმეტივე ბავშვი დასასვენებლად სიონში გვყავდა. იქ თვენახევარი დავყავით. სიონიდან ერთი ბავშვი მასწავლებელმა ბაკურიანში „კარიტასის“ ბანაკში წაიყვანა ჩვეულებრივ ბავშვებთან ერთად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენმა ბავშვმა გარკვეული დრო ჩვეულებრივი ბავშვების გვერდით გაატარა... სიონიდან თორმეტი დღით ურეკშიც წავედით. ზღვამ მათზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

— თამუნა თუ ჩაიყვანეთ წყალში?

— ის ძირითადად პლაჟზე იჯდა. ეტლში რომ მჯდარიყო, ცოდო იყო, ამიტომ ეტლიდან გადმოგვყავდა და სილაში ვსვამდით. ზოგჯერ ნაპირზე, სულ პატარა წყალში ვაწვენდით, მას ეს ძალიან უხაროდა. რატომ მეკითხებით სულ თამუნაზე? თქვენ გგონიათ, იმას სათანადოდ არ ვუვლით და მის გულში ჩახედვას არ ვცდილობთ?!. „სოფლის“ ეზოში, საღამოხანს, როცა ბავშვებს ზღაპარს ვუკითხავთ, აივანზე ხალიჩაა გაფენილი და ბავშვები ზედ სხედან; თამუნაც გადმოგვყავს ეტლიდან და ბავშვების გვერდით ვსვამთ. იმის ბედნიერება, რომ ეტლიდან თავისით გადმოსულიყო, არასდროს ჰქონია. არც მომავალში ექნება. სამწუხაროდ, ის ვერასდროს გაივლის. ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენი ბედნიერი წუთი ექნება ცხოვრებაში...

— თუ გიზიარებენ ხოლმე რაიმე სურვილებს, ოცნებებს?

— სულ ახლახან, ბავშვები ქალაქგარეთ ექსკურსიაზე წავიყვანეთ. ბუნებაში სუფრა გავშალეთ. ყველა ბედნიერი ჩანდა. პატარა ნინიკომ დამიძახა. რა იყო მეთქი? — ვკითხე. იცი, დღეს მე რა ლამაზი დღე მაქვსო — მითხრა. ეს თქვა ბავშვმა, რომელსაც ძალიან დიდი ფიზიკური ნაკლი აქვს. რა თქმა უნდა, გონებრივიც. ეს ბავშვები განსაკუთრებულ ფრაზებს ამბობენ, ისეთს როგორსაც ჩვეულებრივი ბავშვები ვერასდროს იტყვიან. მათ სულ მცირედი უხარიათ. თუმცა, როცა ბედნიერები არიან, თვალებში მაინც უსაშველო სევდა უდგათ... ■

სუპერმენმა თითები აამოძრავა

სუპერმენის ლეგენდარული როლის შემსრულებელმა, ხეიბარმა მსახიობმა კრისტოფერ რივმა დაიკვეხნა, რომ თავისი 50-წლიანი იუბილის დღეს, ფეხზე წამოდგებოდა. მართალია, მან ეს სიტყვა ვერ შეასრულა, მაგრამ ექიმები მაინც მის ჯანმრთელობის მდგომარეობაში მომხდარ საოცარ ცვლილებებს აფიქსირებენ. შეგახსენებთ, რომ რვა შვიდი წლის წინ, ცხენიდან გადმოვარდნის შედეგად მიღებული ტრავმის გამო, პარალიზებული დარჩა. მთელი ამ ხნის მანძილზე სახეიბრო ეტლს იყო მიჯაჭვული და თითქმის სრულიად უძრავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. და აი, სულ ცოტა ხნის წინ, კრისტოფერმა, გარშემომყოფთათვის მოულოდნელად, მარცხენა ხელის თითები და ორივე ფეხი აამოძრავა.

მომხდარი თურმე ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტის ტრავმატოლოგიის კლინიკის ექიმების მიერ შემუშავებული მეთოდიკით ინტენსიური მკურნალობის შედეგია. ეს სისტემა მთლიან კომპლექსში აერთიანებს აქტიურ ფიზიკურ ვარჯიშსა და კუნთების ელექტროსტიმულაციის მეთოდს.

„უმთავრესი ჩემთვის ის არის, რომ ახლა შემიძლია შევიგრძნო ცოლისა და ჩვენი სამი შვილის ჩახუტებით მოგვრილი ნამდვილი სითბო...“ — აღნიშნა კრისტოფერ რივმა, რომელიც კვლავაც დარწმუნებულია, რომ ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად დადგება ფეხზე და გაივლის. ■

თუ სადმე მის სიმღერას მოჰკარი ყური, გინდა თუ არ გინდა, აგეკვიატება და გაუთავებლად ღიღინებ. 17 წლის იყო კომპოზიტორი ნატო გელაშვილი, როცა მისი სიმღერები: „ისევ ღამე“, „ეშხიანი ქალები“ და სხვა, ჰიტებად იქცა. ის მაშინ ყველაზე პატარა იყო კომპოზიტორებს შორის. დღემდე ახალგაზრდა კომპოზიტორს ეძახიან. არადა, უკვე ორი შვილი ჰყავს და 200-მდე სიმღერა აქვს დაწერილი. ახლა ნატოს აქტიური წელიწადი აქვს: გამოდის მისი მესამე აუდიოკასეტა, რამდენიმე ახალი სიმღერა და, რაც მთავარია, წიგნი.

„ჩემო ცისფერთვალება“ ჩემს შვილს – 5 წლის გიორგის მივუძღვენი

რაში არ გაუმართლა ჰიტების შემქმნელს და რატომ არ სჭირდება იმიჯმეიკერი

ნათია თენიეშვილი

— ნატო, რა წიგნია?

– ეს არის ძალიან დიდი ნაბიჯი ჩემს ცხოვრებაში – ჩემი სიმღერების კრებული. წიგნში შესულია ჩემი ის ლექსებიც, რომელიც არ დაბეჭდილა და არ აჟღერებულა, როგორც სიმღერა; არის მომღერლების, კომპოზიტორების წერილები; ასევე აღნიშნულია თუ რომელი სიმღერა რომელ წელს, თვეს, რომელ დღეს, სად და როგორ დაიწერა. ამ წიგნს პედაგოგიკური დანიშნულებაც ექნება: თუ დაკვრა არ იცი, შეგიძლია, ნულიდან დაიწყო და ამ წიგნით ისწავლო. კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ ჩემი ახალი სიმღერები ჩაწერეს ნუკრი კაპანაძემ, ეკა მამალაძემ; ცოტა ხანში დუეტს ჩაწერენ ხათუნა ჟორდანია და თემურ თათარაშვილი. მაქვს კიდევ ორი ახალი სიმღერა ჩემთვის, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია, ვისთან ერთად ჩავწერ დუეტს. დეკემბრის ბოლოს, ჩემი მესამე აუდიოკასეტის პრეზენტაცია გაიმართება, წიგნთან ერთად.

— ასეთი აქტიური მუშაობის შემდეგ, შენ ყოველთვის ისვენებ და დიდ შუალედს იღებ ხოლმე...

– შუალედები ყოველთვის მაქვს. ერთი წელი აქტიურად ვმუშაობ, მერე ერთი წელი ვისვენებ. როცა ჩაიწერა „ჩემო ცისფერთვალება“ და „ლოთიანი“, მერე დავისვენე. არ შეიძლება, მომბეზრებელი გახდე მსმენელისთვის. ვფიქრობ, მონატრების გრძნობა უნდა დაუტოვო მას. სხვა შემთხვევაში, ერთფეროვანი და უინტერესო ხდები. ჩემი სიმღერები მეტ-ნაკლებად ჟღერს და მაინც პოულობს თავის გზას. შიგადაშიგ ტრიალებს, მაგრამ არა ისე, რომ მოჰბეზრდეს ვინმეს და თქვას – რა გააჭირა ამ ქალმა საქმეო?!.

— „ლოთიანი“ გიო ხუციშვილის შესრულებით და თქვენი დუეტი — „ჩემო ცისფერთვალება“, მართლა ძალიან პოპულარული სიმღერებია. გიოს, სიმღერის გამო დაუკავშირდი თუ უკვე მეგობრები იყავით?

– თბილისში ერთმანეთს ყველა იცნობს, გიოს ფილმებიდან ვიცნობდი. მე გართულება მაქვს არაპროფესიონალ მომღერლებზე. ყოველთვის, როცა სუფრასთან ვზივარ ან სადმე თავშეყრის ადგილას ვიმყოფები, ინტერესით ვუყურებ, ვინ როგორ მღერის. ძალიან მენატრება ასეთი მომღერლები. „ლოთიანი“ 11 წლის წინ დავწერე და მამაჩემს მივუძღვენი. ვერავისთვის ვიმეტებდი ამ სიმღერას, იმიტომ, რომ ვერ ვხედავდი – ვის მოუხდებოდა. მერე, რატომღაც გამახსენდა გიო, ვიცოდი, რომ მღეროდა. „ათიანში“ მოვარტყი. ისე ზუსტად იმღერა, თითქოს გიოსთვის დაიწერა ეს სიმღერა. ძალიან მომგებიანი აღმოჩნდა და „ჩემო ცისფერთვალება“ უბრალოდ ვცადეთ. ამ დუეტმაც გაამართლა. ეს სიმღერა ჩემს შვილს – 5 წლის გიორგის მივუძღვენი. ეგოისტურად უყვარს და ვინმემ რომ უთხრას – შენ არ გეძღვნებაო, ალბათ გაგიჟდება.

— თუ შეგიძლია გაიხსენო, როდის, როგორ და რატომ დაიწყე მუსიკის წერა?

– დაახლოებით მე-5 კლასში დავწერე პირველი სიმღერა. მახსოვს მხოლოდ ის, რომ იყო თოვლზე – მეტი არაფერი მახსოვს. მე და ირმა ინაშვილი (ტელეჟურნალისტი) ბავშვობის მეგობრები ვართ. ირმა არაჩვეულებრივ სიმღერებს წერდა და ისე მომწონდა, რომ ვეუბნებოდი, – მეც დავწერ-მეთქი. ალბათ მიმბაძველობით დავიწყე წერა. ირმა მეუბნება ხოლმე: ისე გინდოდა, რომ ბოლოს მაჯობე, მე ჟურნალისტი ვარ, შენ კიდევ – კომპოზიტორიო... მეორე სიმღერა – „თეთრი მაისი“ – ჩვენი სკოლის ჰიმნი იყო. მღეროდნენ ყველგან – ქუჩაში, სკოლაში, ჩვენი დირექტორიც კი ღიღინებდა ხოლმე.

— ამბობენ, ნატოს სიმღერები ძვირი ღირსო...

– მე არა ვარ კონვეიერი, რომელიც თვეში 12 სიმღერას წერს. მე შეიძლება, წელიწადში 2 სიმღერა დავწერო. ის ორი სიმღერა ძვირად მიღირს. ჯერ ერთი, ტექსტიც ჩემია და თან, ყველა სიმღერა მართლა ჩემი დღიურის ფურცლებია. როცა მომღერლები შიშველ ენთუზიაზმზე მუშაობდნენ, მეც ენთუზიაზმით ვედექი მათ მხარში, მაგრამ ახლა, როცა ეს მათთვის ბიზნესია, ჩემთვისაც ბიზნესია. მომღერალი კონცერტზე რომ გამოდის, ხომ ითხოვს თანხას. იგივეა ჩემთვის. კომპოზიტორს სხვა შემოსავალი არა აქვს. მე მაქვს დამატებით ის, რომ თვითონაც გამოვდივარ სცენაზე. მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც. ავტორ-შემსრულებელი ვარ და მაქვს ნებისმიერი ჩემი სიმღერის შესრულების უფლება. მე სიმღერა გაჩუქო და შენ იმით ფული აკეთო – უკაცრავად, მაგრამ ეს არანაირ ნორმაში არ ჯდება. თუ ვიღაცას უნდა სახლში, თავისთვის რომ იღიღინოს – იმას შეიძლება ვაჩუქო, მაგრამ როცა შენ ჩემი სიმღერით ცნობილი ხდები და იმ ერთი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. ხის ეროს ხვედა ჰქვია.
2. მანიაკეთი ხულოს რაიონის სოფელია.
3. ლევ ტროცკი რამონ მერკადერმა მოკლა.
4. მეხამრიდი ბენჟამინ ფრანკლინმა გამოიგონა.
5. საშუალო მუხა 90000 ცალ რკოს იძლევა.
6. წურბლებით მკურნალობას პირუდოთერაპია ჰქვია.
7. ჰაინრიხ მანი თომას მანზე 4 წლით უფროსი იყო.
8. მაორები ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლეობაა.
9. ჭყურტი შაქრის ავადმყოფობის ხალხური სახელწოდებაა.
10. მეჩხერი, თხელი წვერის მქონე კაცს დაცინვით წვერცამეტას ეძახიან.
11. „პუტინო, პუტინო, თავი არ გაგვაპუტინო," – ემუქრება რუსეთის პრეზიდენტს კოტე ყუბანეიშვილი.

12. „იმედი იქონიე ძაღლის ერთგულებისა ბოლომდე, ქალისა – შემთხვევამდე," – ამბობდა სტენდალი.
13. ვატერლოოს ბრძოლაზე გენერალმა გრუშემ დაიგვიანა, რაც საბოლოოდ ნაპოლეონის გვარდიის დამარცხების მიზეზი გახდა.
14. გელა ჩარკვიანს მუხათწყაროში პატარა სახლი აქვს აშენებული. P.S. „ეტყობა, ბავშვობაში შტაბობანას თამაში გიყვარდა და სახლიც ისეთი აგიშენებია," – ასე დასცინა ამ სახლის ნახვის შემდეგ გელა ჩარკვიანს საკუთარმა შვილმა, ირაკლიმ.
15. მარკ ტვენი კომეტა გალეას გამოჩენის წელს დაიბადა და ამავე კომეტის დაბრუნების წელს გარდაიცვალა.
16. სიმღერა „ჩიტო, გვრიტო, ჩიტო მარგალიტოს" მუსიკა გია ყანჩელის დაწერილია, სიტყვები – პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკისა.
17. რომან „ქარწაღებულნის" გამოცემიდან 6 თვის განმავლობაში, ამ წიგნის მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა, ხოლო მის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა უამრავი „ოსკარი" მიიღო. P.S. „რომანი დისტროფიკებზე" – ასე ეძახიან ამ ნაწარმოებს ხუმრობით.
18. შავ კალიას, რომელიც ხშირად ქვის შენობაში, ცეცხლთან ახლოს იბუდებს და ღამღამობით ჭრიჭინებს, ჭუჭუკალია ჰქვია.
19. ინგლისში დღემდე შემორჩა ტრადიცია: ის, ვინც წლის ბოლოს დადებდა ფიცს, რომ მთელი მომდევნო წლის განმავლობაში არ წაიჩხუბებოდა თავის ცოლს, ქალაქის ხარჯზე ჯილდოდ მიიღებდა ღორის ბეჭს. 1144

თითქმის ყველა ჩემი სიმღერა – სახასიათოა

სიმღერის გამო, სამი წლის განმავლობაში გიწვევენ კონცერტებზე – მაშინ უნდა გადამიხადო... ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა: – წაუღიათ სიმღერა და მიუყოლებიათ ფრაზა: ნატომ მაჩუქაო. მერე იძულებული ვხდებოდი, დამერეკა და მეთქვა: „იცი, რა, შენ შემოგევლე, ამაში თანხაა გადასახდელი". ბევრად უფრო კარგი ურთიერთობა მაქვს იმ ადამიანებთან, ვინც პირდაპირ მოდის და იცის, რომ უნდა გადამიხადოს. და პირიქით – ძალიან დამეძაბა იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ვინც ფიქრობს, რომ მეგობარი ვარ და უნდა ვაჩუქო. მომბეზრდა უკვე ცალმხრივი მეგობრობა...

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ თანხას იხდიდა მომღერალი, მაგრამ სიმღერა მაინც არ მიეცი?

– არ შეიძლება, ყველაფერი ფულზე გაყიდო და მეც არანაირი თანხა არ მიღირს სიმღერის გაფუჭებად. როცა აქვე ვამღერებ, ვხვდები, რომ ვერ მიიტანს მსმენელამდე და ის სიმღერა მაინც არ დარჩება, – არ ვაძლევ. შეიძლება, ვაჩუქო ვინმეს და ამით უფრო მოიგოს იმ სიმღერამ. ბოლოს და ბოლოს, ავდგები და მე ვიმღერებ. თითქმის ყველა ჩემი სიმღერა – სახასიათოა. მომღერლებს აქვთ ხოლმე პრეტენზია: მე რომ ვიმღერე, იმიტომ გახდა ესა თუ ის სიმღერა პოპულარულიო. მომბეზრდა და ჩავწერე „დედაშვილობა" – რომელიც ოქროს ფონდში შევიდა. თუნდაც „ჩემო ცისფერთვალება", რომელიც სამი წლის განმავლობაში ვერ მოხსნეს ჰიტ-აღლუმებიდან. რა არის მომღერალი, თუ მას კარგი სიმღერა არ ექნება? არ უნდათ ამის აღიარება და ხშირად იფუჭებენ კომპოზიტორებთან ურთიერთობას.

— მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სიმღერა გაქვს დაწერილი, შენი სახელი, მსმენელისთვის ქალაქურ სიმღერასთან ასოცირდება. როგორ ფიქრობ, რატომ?

– არ ვიცი, უცნაურია. 200 სიმღერიდან მხოლოდ 20-ია ქალაქური, მაგრამ ნორმალურად ნამღერიც არ არის, რომ უცებ ყველა აიტაცებს. ერთ ზაფხულს, ბათუმში კინადამ გავგიჟდი. მეზიზღებოდა „ნატო გელაშვილის კასეტა": ბუმი იყო – 24 საათი ისმოდა... ჩემი ხელწერა ზედმიწევნით ქართულია. დღეს ყველაფერი „თინეიჯერებზეა" გათვლილი. ის „თინეიჯერი" გაიზრდება და მაინც ქართველი იქნება, „ევროპა" უკან დარჩება. როცა „აჭარულის" ცეკვას იწყებენ, მიუხედავად იმისა, რომ ცეკვა არ ვიცი, მომენტალურად ვიწყებ მხრების ათამაშებას. ეს არის გენი და სისხლი. ხშირად მეკითხებიან – რატომ არ არემიქსებო? არემიქსებს 20, არ ვარემიქსებ – მე. მოდი, ვიქნები მე ის ერთი ქართველი კომპოზიტორი, რომელსაც არ აინტერესებს რემიქსი და მოდა და უნდა ისეთი სიმღერების წერა, როგორსაც წერს.

— შენს მოსწავლეებს მხოლოდ შენს სიმღერებს ასწავლი?

– არა, ვასწავლი ყველაფერს – სოლფეჯიოს, „ციფროვკას", ზოგს – ისტორიასაც. ჩემთან 6 წლის ბავშვი უკვე უკრავს. ინდივიდუალურ გაკვეთილებს ვატარებ. საათში ერთი მოსწავლე მიზის. ის ერთი საათი ისე გადის, ვერც ვხვდებით და როცა მეორე მოსწავლე მოდის, ის გვაგებინებს, რომ დრო გასულა. არიან ბავშვები, რომლის მშობლებსაც უნდათ, რომ მათმა შვილმა უბრალოდ მუსიკალური განათლება მიიღოს. ზოგს სცენაზე გასვლა უნდა – იქ სხვა სამუშაოა ჩასატარებელი. თვითონ მშობელი მეუბნება დასაწყისში, როგორ უნდა ვიმუშაო.

— შენ თვითონ თუ უსმენ მუსიკას?

– როცა მოსწავლეები მყავს, ვერაფერს ვეღარ ვუსმენ. ტელევიზორსაც ვეღარ ვუყურებ. როცა ვისვენებ – ვუსმენ მუსიკას, რომლისგანაც ყური არ იღლება. ხშირად ვუსმენ კლასიკას. გააჩნია, როგორ განწყობაზე ვარ – არის პერიოდები, როცა

გიჟური მუსიკა მომწონს. მაშინ მე და ჩემი შვილები თავზე ვიმხობთ ხოლმე სახლს.

— შვილები თუ გაძლევენ დასვენებისა და მუსიკას მოსმენის საშუალებას?

– ნაკლებად. მხოლოდ მაშინ, როცა სძინავთ ან ბაღში არიან. ტელევიზორსაც მათ გამო ვერ ვუყურებ. ჩვენთან 24 საათი ჩართულია „სიმბა“, „წუნა და წრუწუნა“, „ჩხიკვთა ქორწილი“ და ა.შ. ვიდეო რომ გამოვრთო, მაშინ სახლი დამენგრევა; მირჩევნია, წყნარად ისხდნენ და უყურონ.

— ბავშვებს მარტო ზრდი?

– მე და ძიძა. მეგობარი დედა ვარ მათთვის, დედიკო – რომელიც ყველაფერს უსრულებს და თან არ ჩხუბობს. პატარა ლუკა (კოკო) 3 წლის არის. ნამდვილი ქუჩის ბიჭია. „ჰიპ-სტოპზე“ ჰყავს დაყენებული მთელი ბაღი და 5 წლის გიორგისაც, როგორც უნდა, ისე ატრიალებს... ესენი არიან ჩემი ცხოვრების მომავალი. თუ ჰკითხავ: როგორი ცოლები უნდა მოიყვანოთო? – გიპასუხებენ: დედიკოსნაირი თმა უნდა ჰქონდესო. დამოუკიდებლად ვზრდი. მეგზავნებიან მაღაზიაში და მარტო ჩადიან ეზოში. არ მიყვარს დედის კალთაზე მიწებებული შვილები, მით უმეტეს – ბიჭები. ძალიან კაცურები არიან და მინდა, რომ ეს ასე იყოს.

— ნატო, მატერიალური შემოსავალი, მხოლოდ შენი სიმღერებიდან გაქვს?

– სიმღერები, მოსწავლეები და გაყიდული აუდიოკასეტებიდან და კომპაქტ-დისკებიდან შემოსული რაღაც თანხა. მე მყოფნის. მიყვარს ყველაფერი ის, რაც მჭირდება. ვერ ვიტან ჭურჭელს, რომელსაც არ ხმარობენ. თუ საუკეთესო მაქვს, იმაზე უნდა ვჭამო მეც და ჩემმა შვილებმაც. მჭირდება მძღოლი და მყავს. საჭეს რომც მივუჯდე, ჩემს შვილებს ვერ მოვემსახურები – დრო არა მაქვს. ამიტომ მყავს მძღოლი, რომელიც მემსახურება მეც და ბავშვებსაც. არ მჭირდება საკუთარი მანქანა და მხოლოდ იმისთვის, რომ ვიღაცამ თქვას – ნატოს მანქანა ჰყავსო, – არ ვიყიდი. არც იმიჯმეიკერი და მსგავსი ვიღაცები მყავს. რეალურად ვუყურებ ცხოვრებას. თუ მჭირდება, მკაცრი ვარ, თუ მჭირდება – რბილი. თავისუფლად ვგრძნობ თავს და ა.შ.

— ახლა, როგორც ვიცი, მარტო ცხოვრობ.

– კი, მარტო ვცხოვრობ, ჩემს შვილებთან ერთად.

— რატომ, პირად ცხოვრებაში არ გაგიმართლა?

– არ ვიცი. ალბათ. უმიზეზოდ არაფერი ხდება. როცა ქალი ასეთ მდგომარეობაშია, ალბათ რაღაც მოხდა. ალბათ... ნატო გელაშვილი ცხოვრობს თავის შვილებთან ერთად – ამაში ყველაფერი ჩანს.

— ეგრეთ წოდებულ „ტუსოვკებზე“ იშვიათად დადიხარ ხოლმე...

– მომიწოდებ, რომ ხშირად ვიარო? ეს ყველაფერი ჩემთვის სპექტაკლია.

— სად ისვენებ ხოლმე?

– სახლში. სამ დღეში ერთხელ მაქვს დილა, როცა ჩემი შვილებისათვის ვამზადებ ოთხნაირ სადილს. იმიტომ, რომ ჩემს შვილს სხვის გაკეთებულს ვერ ვაჭმევ. ჩემი შვილის სარეცხს ვერავის გავარეცხვინებ – მე უნდა გავურეცხო ლუკას და გიორგის. მე ეს მსიამოვნებს. მსიამოვნებს, როცა მათთვის რაღაცას ვაკეთებ. თუნდაც იმიტომ, რომ უყვარდეთ დედის გაკეთებული სადილი. გემოვნებაც უყალიბდებათ ცხოვრებაში, მერე მეუღლესთანაც ექნებათ პრეტენზია, რომ ლამაზად გაუკეთოს და ა.შ. ოჯახურ ცხოვრებას მიეჩვევიან. ხანდახან ძალიან ვიღლები. ყოფილა შემთხვევა, რომ ბავშვები დამიწვენია, მაგრამ მათზე ადრე მე ჩამძინებია. მაინც ვფიქრობ, რომ ძალიან ბედნიერი ვარ. მყავს შვილები, მაქვს ჩემი საქმე და ვცხოვრობ რეალურად – ყოველგვარი გაპრანჭვის, „გაფორმებისა“ და რეკლამის გარეშე...

■

არც იმიჯმეიკერი და მსგავსი ვიღაცები მყავს

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

წლიდან 1908 წლამდე, ასეთი ჯილდო მხოლოდ 8 კაცმა მიიღო.

20. „მე ვერ მექნება წარმატების იმედი ევროპაში, ვიდრე რუსეთში ყოველწლიურად ნახევარი მილიონი ბავშვით მატულობს მოსახლეობა,“ – ამბობდა ნაპოლეონი.

21. ახალგაზრდობაში ეროსი მანჯგალაძე კომკავშირულ გადასახადს არ იხდიდა, რის გამოც ჯერ საყველური გამოუცხადეს, შემდეგ იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს.

22. 1952 წელს ერთ კოლმეურნეს პირველ ადგილზე გასვლისათვის ჯილდოდ გადაეცა ლენინის სურათი, მეორე ადგილზე გასულს კი, ოქროს საათი ერგო წილად.

23. იმ უბედურ დღესაც კი, როდესაც აკაკი ხორავამ ერთადერთი სამი წლის ვაჟი დაკარგა, მან სპექტაკლი ითამაშა. P.S. ამ ტრაგედიის შემდეგ იგი თავის მწუხარებას „ივანე მრისხანის“ მამაშვილის გამოთხოვების სცენაში იმდენად ბუნებრივად გადმოსცემდა, რომ მაყურებელი გრძნობდა რაღაც პირადულსა და გამორჩეულს. სპექტაკლის ამ ეპიზოდს ყველგან და ყოველთვის აგვირგვინებდა ერთსულოვანი და ძლიერი ოვაცია.

24. „ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია. ყველანი, ვინც აქ ვცხოვრობთ, აქ ვტრიალებთ, რა მილეთისაც გინდა იყოს კაცი, ყველანი მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გავუწიოთ ერთნაირის გულის ცემით და ერთნაირის ნატვრით. ღმერთმა არა დაიშურა რა ჩვენი დედაქალაქისათვის, ჰაერი, წყალი, ადგილი. რითიც ბუნება მოსაწონებლად ჰქმნის ადამიანის საცხოვრებელს. იმოდენად კარგი გვაქვს, რომ ბევრი უცხოელი შემოგვნატრის. რაც ცუდია და ბევრი რამეც არის ცუდი, სულ იმის ბრალია, რომ დედაქალაქს შვილობას არ ვუწევთ, გულდადებით არ ვიქცევით, სიყვარულით არ ვპატრონობთ,“ – წერდა ილია ჭავჭავაძე.

25. ვახტანგოვის სახელობის თეატრში გადიოდა „ანა კარენინა“. სპექტაკლი ძალზე გრძელი, 5-საათიანი გამოვიდა. პრემიერის ბოლოს, ერთმა მოხუცმა ებრაელმა ჩასჩურჩულა გვერდით მჯდარ გრიგორი გორინს: „იცით, მე ცხოვრებაში არასოდეს ასე დიდხანს არ დავლოდებივარ მატარებელს“.

■

ნინო ჯავახიშვილი

ლალი ტოტიკაშვილი

ავთო ცქვიტინიძე

მემოდგმა-ზამთარი ოქმი ფერების ფიცარზე დაბეჭდილ

დიზაინერმა ავთო ცქვიტინიძემ ახალი კოლექციის მორიგი ჩვენება გამართა. სტუმრები ნელ-ნელა იყრიდნენ თავს – ზოგი მეორე ნახევართან ერთად მოდიოდა და ზოგიც – „უნახევროდ“. თავდაპირველად გოგოლა კალანდაძე გამოჩნდა და ვიდრე ბოლთას სცემდა, მობილურზე ლაპარაკიც მოასწრო, ნაცნობების მოკითხვაც და ქათინაურების მოსმენაც. გოგოლას ვიწრო, ზოლიან შარვალში გამოპრანჭული სტეფანეც ფეხდაფეხ მოჰყვა, ოღონდ ამჯერად მარტო. სტეფანეს განუყრელი მეგობარი და მენეჯერი მამულიჩა (კახა მამულაშვილი) თავის მომხიბვლელ მეუღლესთან – ლელა წურწუმიასთან ერთად მოვიდა. მალე, მაღალ, შავ ჩექმაში გამოწყობილი მაკა ასათიანიც გამოჩნდა, უგრძესი მხრებამდე ჩამოსული ორიგინალური საყურით და ბუნებრივია, ყველას ყურადღებაც მიიპყრო. ლელა წურწუმიას მოკითხვის შემდეგ, მაკა, გოგოლასა და ვანიკო თარხნიშვილის „სასტავს“ შეუერთდა. სასიამოვნო გაკვირვება გამოიწვია ჩვენებაზე ერთადერთი პოლიტიკური ფიგურის – ჯონდი ბაღათურიას გამოჩენამ... ახალშეუღლებული წყვილი – ცისანა სეფიაშვილი და სოსო ზაქარეიშვილი რომ გამოჩნდა, დარბაზში ყველა აწრიალდა. საზოგადოებამ კარგა ხანს თავიდან ფეხებამდე დიდი ინტერესით შეათვალიერა „ახალგამომცხვარი“ სიძე და იქაურობას ცნობისმოყვარე ჩურჩულმა გადაურბინა. ამასობაში, ბატონი ჯემალ სეფიაშვილიც მობრძანდა მეუღლითურთ და ქალიშვილისა და სიძის სიახლოვეს მოძებნა ადვილი. შავ ტანსაცმელში ელეგანტურად გამოიყურებოდა ეკა მამალაძე, რომელსაც თან ქალიშვილი ახლდა. ჩვეულებისამებრ მოღიმარი ქეთა თოფურია, შემოსვლისთანავე ხელების ენერგიული მოძრაობების მოშველიებით მიესალმა ნაცნობებს. აი, უკვე პოდიუმამდე მშვიდობიანად მიღწეულ დოის კი (დათო დოიაშვილს), სამხიარულოდ ნამდვილად არ ჰქონდა საქმე: დაცვის ბიჭები რატომღაც დარბაზში არ უშვებდნენ მანამდე, სანამ ჯემალ სეფიაშვილმა არ შეამჩნია გაჭირვებაში ჩავარდნილი რეჟისორი და არ „უპროტექტორა“. ჯგუფი „ქუჩის ბიჭებიც“ სრული შემადგენლობით გამოცხადდა, ბოლოს კი დათო ხუჯაძეც გამოჩნდა.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, ჩვენებაც დაიწყო და ყველას მზერა პოდიუმმა მიიპყრო. თითოეული მოდელის გამოჩენას საზოგადოება ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდა. ჩვენება დიდხანს გაგრძელდა და საყოველთაო აზრით, დიზაინერმა თავისი დანაპირები – ეს კოლექცია ყველა დანარჩენისგან განსხვავებული იქნებაო, – პირნათლად შეასრულა... წარმოდგენილი კოლექციისა და იმის შესახებ, თუ რა ტენდენციებით გამოირჩევა 2002 წლის შემოდგომა-ზამთრის მოდა, თავად **ავთო ცქვიტინიძეს** *დავუსვით ორიოდე შეკითხვა.*

– ეს იყო შემოდგომა-ზამთრის კოლექცია სახელწოდებით „ინტელექტუალებისათვის – კლასიკური ჩვენება“. 4 თვის განმავლობაში, დღე და ღამე ვმუშაობდი, ზაფხულში არც კი დამისვენია. ჩვენებაში ორი საგენტოს „შარმისა“ და „ნატალის“ საუკეთესო მოდელები მონაწილეობდნენ. საერთოდ, უფრო ხალასი ფერები მიყვარს, მაგრამ ამჯერად ჩემ მიერ შექმნილ მოდელებში შავი დომინირებდა. როგორც იცით, 2002 წელი ჩინური ჰოროსკოპით შავი ცხენის წელია და ეს ფერი მოდაშია. სერიოზულად ვიმუშავე სტილზე. მინდოდა, მხოლოდ ერთი ფერის ქსოვილით იმავე ეფექტისთვის მიმეღწია, რასაც ერთად შექმნილი რამდენიმე ფერის ქსოვილი ახდენს ხოლმე. მგონი, გამომივიდა კიდეც. შავისა და თეთრის შეხამება ეს არის კლასიკური ფერების ურთიერთშერწყმა და რადგან ჩვენება და სილუეტებიც კლასიკური იყო, აქედან გამომდინარე, კლასიკურობის ყველანაირი სტანდარტი დავიცავი. შავის გარდა, წლეულს მოდაშია შაბიამნისფერი და ოქროსფერი. რაც შეეხება ქსოვილებს, დღესდღეობით ყველაზე მოდურად ითვლება შიფონისა და პლუშის სინთეზი. ასევე მოდაშია მრავალგვარი ნაქსოვი. ის ნაქსოვი ტანისამოსი, რაც ჩვენებაზე ნახეთ, სულ ჩემი ხელით არის გაკეთებული.

— ავთო, ახლა ის გვითხარი, რა სიგრძის კაბებია მოდაში შემოდგომა-ზამთარში?

– მაქსიმალურად გრძელი ან მაქსიმალურად მოკლე კაბები (როგორც გაზაფხულსა და ზაფხულში იყო) მოდაში აღარ არის. აღარც ე.წ. მიდი – საშუალო სიგრძის ქვედაბოლოები. თანამედროვე ქალბატონებმა უნდა ჩაიცვან მიდიზე 5 სანტიმეტრით გრძელი ქვედაბოლოები – ე.ი. არც ძალიან გრძელი და არც მუხლს ქვემოთ – სადღაც შუაში... მოდაში იქნება როგორც გრძელი, ასევე მოკლე – მუხლებამდე სიგრძის პალტოები. რაც შეეხება შარვლებს – უპირატესობა ისევ და ისევ, ტანზე მომდგარ სილუეტს ენიჭება.

— მამაკაცების ჩაცმულობაზე რას იტყვი?

– ჩვენებაზეც ნახავდით, რომ მამაკაცებისთვის მოდაშია უფრო ფართე შარვლები, შედარებით ვიწრო, მომდგარი პიჯაკები და ძალიან გრძელი პალტოები. ■

ჩვენებაზე ანშლაგი იყო

ნინო ჯავახიშვილი

რა ცხოვრება-ქონებით უბრმავებს მგზერს ვალს ჯემალ გოგიტიძე

„აღორძინების“ ლიდერი ჯემალ გოგიტიძე იმ უქონელ პარლამენტართა შორისაა, ვისაც ბინისა და ძველი, მოფახფახებული ავტომობილის გარდა, არაფერი გააჩნია. „ბოროტი ენები“ მის აურაცხელ სიმდიდრესა და სრასასახლეებზე ლაპარაკობენ. არადა, ბატონ ჯემალს თურმე მეგობრებისგან ფულის სესხებაც ხშირად უწევს ხოლმე და არც ისე დალხინებულია, როგორც ზოგ-ზოგებს ჰგონიათ... იმის შესახებ, თუ როგორ შოულობდა ფულს ჯემალ გოგიტიძე „გაპარლამენტარება-აღორძინებამდე“, რატომ ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში ან ვინ „ეხიდება“ ქირის გადახდაში ხელმოკლე დეკლარანტს, ინტერვიუდან შეიტყობთ.

დოსიე:

ჯემალ გოგიტიძე 1961 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ სამებაში დაიბადა. მამამისი 30 წლის მანძილზე მძღოლად მუშაობდა, დედა – დიასახლისობდა. თავის დროზე, მანეთი რომ მანეთობდა და ციტრუსსაც ფასი ჰქონდა, გოგიტიძეების ოჯახს საკმაო შემოსავალი ჰქონია. მოკლედ, არც გაჭირვებაში ცხოვრობდნენ და არც ზედმეტ ფუფუნებაში, მაგრამ მშობლები შვილებს (ბატონ ჯემალს სამი ძმა ჰყავს) მაინც არ ანებივრებდნენ.

21 წლის ასაკში, 1982 წელს, ერთი წლით უმცროს ნანი მჟავანაძეზე დაქორწინდა. მართალია, სიყვარულით არ შეუღლებულან, მაგრამ სიყვარული მოგვიანებით, დაოჯახების შემდეგ მოსულა... ბატონ ჯემალსა და ქალბატონ ნანის ორი შვილი ჰყავთ – 19 წლის ქეთევანი და 18 წლის ელიზბარი. ქეთი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტია, ელიზბარი კი – იურიდიულზე სწავლობს. სხვათა შორის, დეკლარანტს თავისი ერთადერთი მემკვიდრისთვის, „აჭარის ლომის“ – ბატონი ასლან აბაშიძის მოსახელე ასლან-ბაბუს (ასლან გოგიტიძეს ვგულისხმობ) სახელი როდი დაურქმევია: ჩემი შვილისთვის სახელი მე თვითონ არც შემირჩევია, ჩემმა ბიძაშვილმა დაარქვაო, – ასე „იმართლა თავი“ ბატონმა ჯემალმა... დაბოლოს, გოგიტიძეების ოჯახი ბათუმში, თაყაიშვილის ქუჩაზე ცხოვრობს.

„რა, ძნელი დასაჯერებელია, რომ სახლი უფულობის გამო ვერ მიყიდია?!“

იმის მიუხედავად, რომ ზოგჯერ ჯიბეში ერთი თეთრიც კი არ „უჩხრიალებს“, დეკლარანტი თურმე არასდროს წუწუნებს... ეტყობა, არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ზოგს წუწუნი კარგად აქვს დაცდილი... გოგიტიძეების მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას, ორად ორი საცხოვრებელი სახლი და ერთი მსუბუქი ავტომანქანა შეადგენს. მის ცხოვრება-ქონებაზე გავრცელებული ჭორები კი, „აღორძინების“ ლიდერს უბრალოდ, გულს უკლავს...

– მეცინება ხოლმე, როდესაც გავიგებ, რომ თურმე ნუ იტყვით და, ბათუმშიც სასახლეები მქონია და თბილისშიც. ამას წინათ შევესწარი, როგორ ამბობდა ერთი ჩემი ახლობელი: ჯემალს თბილისში 9-ოთახიანი კერძო სახლი აქვსო... არადა, თვითონაც მშვენივრად იცის, ასე რომ არ არის და ნაქირავებში რომ ვცხოვრობ. თუ თქვენც ეჭვი გეპარებათ რამეში, კი, ბატონო – მისამართს გეტყვით და გადაამოწმეთ... თავდაპირველად, ძალიან ვბრაზდებოდი ხოლმე ჭორების გამო, ახლა უკვე ყურადღებას აღარ ვაქცევ და აღარც ვღიზიანდები. ენას ძვალი არა აქვს და რამდენი არანორმალურიც ასეთ რაღაცებს მოიგონებს ჩემზე, იმდენი რომ ვინერვიულო... რა აზრი აქვს, თორემ კი...

— თბილისში სახლი უფულობის გამო ვერ იყიდეთ?

– დიახ!.. რა, ძნელი დასაჯერებელია, ასე რომ იყოს?!

— იმას მაინც თუ გაგვიმხელთ, რამდენ დოლარად გაქვთ ბინა დაქირავებული? ან როგორ ახერხებთ დეპუტატის ხელფასით ქირის გადახდას?

– პარლამენტი მიხდის 100 დოლარს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და ცოტას ვუმატებ...

— ბატონო ჯემალ, შარშანდელ დეკლარაციაში ერთ-ერთი ბინის ღირებულებად, სულ 500 დოლარი ჩაგიწერიათ. ხუთასისთვის მაინც რამდენი ნულის მიწერა დაგაგიწყდათ? ბათუმში ასეთი იაფი რომ არ ღირს ბინები, კარგად ვიცი...

– *(იცინის)* არა, არა, შეუძლებელია, ასე ჩამეწერა... 500 კი არა, 5.000 უნდა ჩამეწერა, ალბათ შემეშალა. რა გინდათ – წლეულს ხომ ჩავწერე 5.000?! ეს არის ერთოთახიანი ბინა, რომელშიც წლების მანძილზე ვცხოვრობდით. წარმოიდგენდით, რომ აქამდე, ცოლ-შვილთან ერთად, ერთოთახიანში ვიცხოვრებდი? ახლახან გადავედით ახალ, 4-ოთახიან ბინაში, რომელსაც უნივერსიტეტის კო-

ოპერატიული ბინათმშენებლობა რამდენიმე წლის განმავლობაში აშენებდა *(ამ ბინის ღირებულება 30.000 დოლარია. — ავტ.).*

— აბა, ახალმოსახლეობას გილოცავთ! გაფართოვდით და ალბათ უფრო კომფორტულადაც მოეწყვეთ, არა?

— მოლოცვისთვის მადლობას გიხდით, მაგრამ სახლის მდიდრულად და კომფორტულად მოწყობაზე რა მოგახსენოთ. რისი საშუალებაც გვქონდა, სახლი ისე მოვაწყვეთ, — სადად, ყოველგვარი გადატვირთვისა და ძვირფასი ნივთების გარეშე. ამის შესაძლებლობა ნამდვილად არ გვაქვს.

— კი, მაგრამ მემკვიდრეობით არაფერი გერგოთ? მშობლებს არაფერი დაუტოვებიათ თქვენთვის?

— როგორც გითხრათ, ბევრი არაფერი რომ არ აქვს კაცს, 4 ვაჟიშვილს რა უნდა დაუტოვოს? ასე რომ, დიდი ცხოვრება-ქონება არც მშობლებს დაუტოვებიათ და არც სიდედრ-სიმამრს. თავის დროზე, ნანის პიანინო და „სპალნა“ აჩუქეს და ეგ იყო და ეგ; სხვა ყველაფერი ჩვენი შრომით შევიძინეთ.

— 5.000-ლარიანი ავტომანქანაც საკუთარი ფულით შეიძინეთ?

— დიახ, თვითონ ვიყიდე ძალიან დიდი ხნის წინ.

— რომელი მარკის მანქანა გყავთ?

— *(ოხრავს)* რომელი მარკის და „ჟიგულის“ მარკის — „07“... ძალიან დაძველდა და ახლო მომავალში ახალი მანქანის ყიდვას ვაპირებ...

რა ღირებულების ფასიან ქაღალდებს ფლობენ გოგიტიძეები

დეკლარანტისა და მისი მეუღლის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების ჩამონათვლის გრძელი სია, როგორც თავად ბატონი ჯემალი იმედოვნებს, მხოლოდ მტერს დაუბრმავებს თვალს: საპრივატიზაციო ბარათების საერთო რაოდენობა 502-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ გოგიტიძეები სულ 502 დოლარის ღირებულების ფასიან ქაღალდებს ფლობენ...

— დეკლარაციაში ნაჩვენები ფასიანი ქაღალდების ღირებულება ძალიან მცირეა. როდესაც ვაუჩერიზაცია მიმდინარეობდა, 500-600 დოლარის ვაუჩერები მეც შევისყიდე და სხვადასხვა საწარმოში განვათავსე. აქედან არანაირი მოგება არ მაქვს, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც დიდი მითქმა-მოთქმის საგნად იქცა: თურმე დიდი ქონების პატრონი ვყოფილვარ... ყველა ეს ჭორი, შავი პიარის თვალსაზრისით, ხელისუფლებამ ააგორა... ჩემი საპრივატიზაციო ბარათები არაფერში მარგია, გარდა იმისა, რომ მტერს უბრმავებს თვალს, მოყვარეს კი, პირიქით — გულს უხარებს...

— რვა სხვადასხვა საწარმოს აქციონერიც იმიტომ ხართ, რომ მტერს თვალი დაუბრმავოთ და მოყვარეს გული გაუხაროთ?

— *(იცინის)* ვიყავი ტურისტული კომპლექსის, გამომცემლობა „აჭარის“, ავტოსადგურ „მესხეთის“, ბამბუკის საავეჯო ფაბრიკის, რძის ქარხნის, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის, სტამბისა და „აჭარპურის“ აქციონერი, მაგრამ დიდი ხანია, რაც წილი სამართავად მივანდე ჩემს მეუღლეს. ეს ის საწარმოებია, სადაც თავის დროზე აქციები შევიტანეთ, მაგრამ სინამდვილეში არც ვმართავთ ამ საწარმოების საქმიანობას და არც რაიმე შემოსავალი გვაქვს იქიდან. თუ არ ჩავთვლით გამომცემლობა „აჭარიდან“ მიღებულ 30 ლარს — ეტყობა, დიდი ეკონომიკური გამჭრიახობით არ გამოვირჩევი.

— როგორც ჩანს, ბიზნესმენობა არ გეხერხებათ. სხვა დროს თუ გიცდიათ ბედი ბიზნესში?

— ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა — როგორც ჩანს, ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. თანაც იცით, რაშია საქმე?! ან ბიზნესში უნდა იყო, ან პოლიტიკაში, ორივე ერთად არ გამოვა. ხომ გაგიგიათ, ორი კურდღლის მადევარი ბოლოს ვერც ერთს რომ ვერ იჭერს...

— გამოდის, რომ ბიზნესმენობას პოლიტიკოსობა ამჯობინეთ. რატომ? პოლიტიკოსის ამპლუაში უფრო კარგად გრძნობთ თავს?

— არასდროს მითქვამს, პოლიტიკაში თავს კარგად ვგრძნობ-მეთქი. უბრალოდ, ასე გადავწყვიტე და მინდა, ის საქმე, რომელიც მანდეს, ბოლომდე შევასრულო, — გინდაც დიდი ნერვიულობისა და თმის გათეთრების ფასად დამიჯდეს.

— რაც შეეხება ნაღდ ფულს — თქვენ და თქვენს მეუღლეს 5.600 ლარის დანაზოგის დაგროვება მაინც მოგიხერხებიათ...

— როდესაც დეკლარაციას ავსებ და ნაღდ ფულს წერ, ვერ აკონტროლებ, ზუსტად რა თანხა გაქვს იმ დროს. ალბათ არც არავინ ითვლის „კაპიკ-კაპიკ“ ფულს, რომელიც ჯიბეში აქვს, ან გნებავთ, სახლში, კარადაში აქვს შენახული, — ამიტომ, ეს არის მიახლოებული რაოდენობა. მეორე დღეს, შეიძლება, სულაც აღარაფერი გქონდეს იმ თანხიდან, ან პირიქით — უფრო მეტი გქონდეს...

„არ მიყვარს წუწუნი და ამიტომ, ზოგს ჰგონია, ბევრი ფული მაქვს...“

1995 წლამდე, იქამდე, ვიდრე პარლამენტარი გახდებოდა, დეკლარანტი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს და რადგან მიზერული ხელფასით ოჯახის შენახვა უჭირდა, იმავდროულად რეპეტიტორობასაც ეწეოდა — აბიტურიენტებს ამზადებდა ქიმიაში მისაღები გამოცდებისთვის. ამჟამად, თავად 700 ლარი აქვს ხელფასი, მეუღლე უნივერსიტეტში ლაბორანტად მუშაობს და მასაც პატარა წვლილი შეაქვს ოჯახის ყოველთვიურ ბიუჯეტში, მაგრამ ეს თანხა მაინც არ არის საკმარისი ოჯახის შესანახადო, — გამიმხილა ბატონმა ჯემალმა.

— 700 ლარი არ არის დიდი თანხა. ხშირად ფინანსური პრობლემები მაქვს და იძულებული ვხდები, ფული ხან ერთ მეგობარს ვესესხო ხოლმე და ხან — მეორეს.

— ხშირად გიწევთ ფულის

სესხება?

— არა, ამას ინტენსიური ხასიათი არა აქვს. მაგრამ ფულის სესხება მაინცდამაინც სასიამოვნო ამბავი რომ არ არის, დამეთანხმებით. არც უფულობა რომ არ გაყენებს კაცს კარგ ხასიათზე, ესეც ფაქტია...

— როდესაც უფულოდ ხართ, ასეთ დროს რას აკეთებთ, როგორ იქცევით ხოლმე? ბრაზობთ?

— არაფერსაც არ ვაკეთებ, ვარ ჩემთვის მოკრძალებულად და არ ვხმაურობ.

— რას ნიშნავს ეს? ზოგიერთი კაცივით, უფულობის გამო არ „ტირით“ და არ წუწუნებთ?

— დიახ, არც „ვტირი“ და არც ვწუწუნებ — არ მიყვარს წუწუნი. ზოგს კი ჰგონია, რომ არაფერი მიჭირს და ბევრი ფული მაქვს...

— თქვენი ძმები რას საქმიანობენ? ხომ არ გეხმარებიან?

— ერთი ბიზნესმენობს და როცა შეუძლია, მეხმარება კიდეც, მეორე — საბაჟო პოლიციაში მუშაობს, უმცროსი კი — უმუშევარია.

— ფულთან როგორი „ურთიერთობა“ გაქვთ? ხელგაშლილი ხართ და დაუნანებლად ხარჯავთ ხოლმე თუ — „ხელმოჭერილი“?

— ადამიანი ფულის მონა არ უნდა იყოს. თუ დასახარჯია, უნდა დახარჯო და არც უნდა დაგენანოს. დამენანება იმ შემთხვევაში, თუ დავკარგავ...

— მაინც რაში ხარჯავთ ხოლმე ფულს — ძვირად ღირებულ ტანსაცმელს ყიდულობთ, მეუღლეს ძვირფასი საჩუქრებით ანებივრებთ თუ სხვა რამეში?

— ძვირად ღირებული ნივთებისა და ტანსაცმლის ყიდვის უფლებას თავს ვერასოდეს ვაძლევ. ჩემი გარდერობი ძირითადად, მეგობრების მიერ ნაჩუქარი კოსტიუმების ან ბაზრობაზე ნაყიდი ტანსაცმლისგან შედგება. ყველაზე ძვირფასი, რაც მეუღლისთვის ოდესმე მიჩუქებია, ეს არის სუნამო „შანელი“. დაბადების დღეზე ვაჩუქე.

— თვითონ არ განებივრებთ საჩუქრებით?

— კი, ოდეკოლონებს მიძღვნის ხოლმე.

— ქეიფი ხომ გიყვართ? „ბოროტი ენები“ ამაშიც გდებენ ბრალს...

— ქეიფი ვის არ უყვარს?! რა თქმა უნდა, მოლხენაზე უარს არ ვამბობ..

— ფულის გადახდაც გიყვართ?

— *(იცინის)* ფულის გადახდაც მიყვარს, როცა მაქვს. ზოგჯერ მეგობრები მეპატიჟებიან ხოლმე. ამგვარ სიტუაციაში, ვფიქრობ, ძუნწი პარტნიორი არ უნდა ვიყო. ხელგაშლილი ვარ და როცა ფინანსური პრობლემა არ მაქვს, ყოველთვის თვითონ ვიხდი ხოლმე...

პოსტსკრიპტუმის მაგიერ:

რაც შეეხება თანხას, რომელსაც ჯემალ გოგიტიძე ყოველდღე ჯიბით დაატარებს — მართალია, დეკლარანტი საკუთარი ხელგაშლილობით ამაყობს, მაგრამ არც იმის გამხელას თაკილობს, რომ ზოგჯერ ჯიბეში ერთლარიანიც კი არ უდევს ხოლმე... სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ასე, ჩემო მანასეო — ხან ისე და ხან ასეო...“

■

ფრანგული კოსმეტიკური ფირმა „დერმაჯეტიკსი“ ელიტარულ და საქმიან ქალბატონებს გთავაზობთ სახის კანის მოვლის სამკურნალო ნატურალურ კოსმეტიკას,

რომელიც მოგიგვარებთ კანის ყველა პრობლემას. გაგისწორებთ ნაოჭებს სახესა და თვალის ირგვლივ. სახის კანის სამფენოვანი წმენდა მისტიკური ნიღაბით, რომელიც მოგაშორებთ ჭორფლს, ლაქებს, გამონაყარს.

სხეულის პრობლემური ადგილების დაპატარავება ანტიცელულიტური მალამოებით. ორსულობის შემდგომი ღარების გასწორება პლასტიკური ოპერაციის ეფექტით. შესაძლებელია ბინაზე მომსახურებაც.

☎ **61-00-14** საღამოს
893-34-34-59 ლია

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვინ იყო „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ თერთმეტტომეულის მთავარი რედაქტორი?

ა) დევი სტურუა;
ბ) ირაკლი აბაშიძე;
გ) გელა ჩარკვიანი.

2. რომელ ანსამბლში მღეროდა გავშოგისას მაია ჯაგუა?

ა) „ნერგებში“;
ბ) „გვირილაში“;
გ) „მზიურში“.

3. რა ერქვა კომპიუტერს, რომელსაც გარი კასპაროვი ეთამაშა და წააგო?

ა) „დიპ ბლუ“;
ბ) „ჰუ იზ ჰუ“;
გ) „გრანდ მენ“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

თამაშით შეპყრობილები

ჯაზინოების მომრავლებისდა ჯვალობაზე, ჩვენშიც ათასობით პროფესიონალური მოთამაშე გაჩნდა. ფსიქოლოგების აზრით, ადამიანები, რომლებიც სისტემატურად დადიან ჯაზინოში და სოლიდურ თანხებს იგებენ და აგებენ, უკვე პათოლოგიურად დამოკიდებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და მათ მხოლოდ უხილავი ზღვარი აშორებს იმ არეს, რომელშიც ფსიქიატრების პაციენტები იმყოფებიან.

არადა, ამ ზღვრის გადასალახავად მხოლოდ ერთი ნაბიჯილაა საჭირო, რადგან მედიკოსების მტკიცებით, თამაშზე დამოკიდებულებას ძალზედ ხშირად თან სდევს ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია.

დამოკიდებულების ამ სახეობებს შორის ძალზედ ბევრი რამ არის საერთო. საქმე ის გახლავთ, რომ ზოგიერთი ადამიანი იმთავითვე მოკლებულია კომფორტულად თავის გრძნობის უნარს. სპეციალისტები ამას დაუკმაყოფილებლობის სინდრომს უწოდებენ. ამასთან, ორგანიზმის დაკმაყოფილების სისტემა არა მარტო ემოციური მდგომარეობისა და გუნება-განწყობილების, არამედ მისი ფსიქოფიზიკური მდგომარეობისა და გარე სამყაროსთან ადაპტაციის უნარის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს.

მეცნიერების ბოლოდროინდელი მონაცემების თანახმად, ამის მიზეზს გენების გარკვეული თანამიმდევრობა წარმოადგენს.

ცხადია, უამრავი სხვა ფაქტორიც განაპირობებს ამა თუ იმ სახეობის დამოკიდებულებას, რომელიც ჯერჯერობით შესწავლილი არ არის. მაგალითად, ალკოჰოლის სისტემატური მოხმარება ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე, ნივთიერებათა ცვლის პროცესზე მოქმედებს და ამის გამო, სასმლის ჩვეული დოზის მიღებლობა ასეთ ადამიანს ღრმა შინაგან დისკომფორტს უქმნის. ასეა თუ ისე, ექიმები ბოლო დროს ყველაფერს გენებს აბრალებენ. აქედან გამომდინარე, დაუკმაყოფილებლობის სინდრომისკენ გენეტიკური მიდრეკილების მქონე ადამიანი უეჭველად ცდილობს ამ დეფიციტის გარედან შევსებას. მაგალითად, დადგენილია, რომ გენის – DAT 1 10/10 (9/9) მქონე ადამიანთა 70-80% ალკოჰოლიზმისკენაა მიდრეკილი და თუ ამ ლტოლვას აჰყვა, ძალიან სწრაფად მძიმე ალკოჰოლიზმის ფორმით სნეულდება, ხოლო ნარკოტიკების მიღების შემთხვევაში, ასეთ ადამიანთა 90%-ს ღრმა ნარკოტიკული დამოკიდებულება უვითარდება. იგივე ხდება აზარტული თამაშებით გატაცებულ ადამიანებში.

ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და თამაშზე დამოკიდებულება იმითაც ჰგავს ერთმანეთს, რომ სპეციალისტთა აზრით, ყველა ადამიანი დარწმუნებულია – მას ეს სენი არ ემუქრება. დამოკიდებულ ადამიანს მუდამ უჭირს იმის აღიარება, რომ ეს დამოკიდებულება სნეულებად ჩამოუყალიბდა და სწორედ ამიტომ, მისი განკურნება ძნელდება. არადა, თამაშის (ისევე, როგორც ნარკოტიკისა თუ ალკოჰოლის) დაგემოვნების შემდეგ, მას კვლავ და კვლავ სურს, განიცადოს ის გრძნობა, რომელიც მასთან პირველი შეხებისას ჰქონდა. თუ გსურთ შეიტყოთ, დგას თუ არა თქვენ წინაშე ეს პრობლემა, შეავსეთ ტესტი.

გემუქრებათ თუ არა აზარტით შეპყრობის სენი

ტესტის შევსებისას, ბოლო 12 თვის მაჩვენებლით იხელმძღვანელეთ.
(ყველა კითხვაზე ოთხიდან პასუხი იდენტურია)

1. დაგიდიათ თუ არა ოდესმე იმაზე დიდი ფსონი, ვიდრე ამას თქვენი ჯიბე გასწვდებოდა?
   ა) არასდროს;
   ბ) ხანდახან;
   გ) ძალიან ხშირად;
   დ) თითქმის ყოველთვის.
2. ბოლო 12 თვის მანძილზე თუ დაგჭირვებიათ ჩვეულზე დიდი თანხის დადება საიმისოდ, რათა მეტად აღგზნებულიყავით?
3. თამაშის მეორე დღეს თუ მისვლიმიხართ მაგიდას იმ მიზნით, რათა წაგებული თანხა აგენაზღაურებინათ?
4. ოდესმე თუ გისესხიათ ფული ან გაგიყიდიათ რაიმე ნივთი საიმისოდ, რომ თამაშის საშუალება გქონოდათ?
5. თუ გიგრძნიათ ოდესმე, რომ შესაძლოა, თქვენ წინაშე წამოიჭრას აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული პრობლემა?
6. თუ შეგქმნიათ ოდესმე ჯანმრთელობის პრობლემა აზარტული თამაშის გამო – მაგალითად, სტრესი, უმიზეზო შფოთვა და სხვა ამგვარი?
7. გაუკრიტიკებიხართ თუ არა ვინმეს აზარტული თამაშებით გატაცების გამო?
8. გაგჩენიათ თუ არა ოდესმე თქვენ ან თქვენს ოჯახს ფინანსური პრობლემები აზარტული თამაშებით თქვენი გატაცების გამო?
9. თუ განგიცდიათ ოდესმე დანაშაულის გრძნობა იმის გამო, თუ როგორ თამაშობთ ან რა ხდება თქვენს თავს, როცა თამაშობთ?

შედეგების შეჯამების პრინციპი: პასუხი „არასდროს“ – 0 ქულა; „ხანდახან“ – 1; „ძალიან ხშირად“ – 2; „თითქმის ყოველთვის“ – 3.

დაჯამეთ ქულები

0 ქულა: აზარტულ თამაშს არანაირი ნეგატიური შედეგი არ მოაქვს. შეგიძლიათ ითამაშოთ დროდადრო, დასვენებისა თუ გართობის მიზნით; **1-2 ქულა:** შეგიძლიათ ითამაშოთ იმ დოზით, რომელსაც არ მოსდევს ნეგატიური შედეგი. თუ ხშირად თამაშობთ, ამან რისკის დონე შეიძლება გაზარდოს; **3-7 ქულა:** თქვენ იმ დოზით თამაშობთ, რომელსაც ნეგატიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს. თქვენი შედეგი რისკის ისეთი დონის მაჩვენებელია, რომელსაც შესწავლა ესაჭიროება; **8-21 ქულა:** იმ დოზით თამაშობთ, რომელსაც პირდაპირ მოჰყვება ნეგატიური შედეგი. შესაძლოა, აზარტულ თამაშებთან თქვენი დამოკიდებულება უკვე აღარც მეკვიდეარება კონტროლს. აუცილებელია, საგანგებოდ შეისწავლოთ თქვენი მიდრეკილება თამაშისადმი და მისი მავნე შედეგები. ■

ცხვრის ტყავის ქუდი	პერუს დედაქალაქი	ნეფის ტიტული აღმოსავლეთ ქვეყნებში	მომღერალი დაიანა ...	ნეფე-დედოფლის მხლებლები ქორწილში	„პატარა ... დამეკარგა წითელპერანგა“	სასკოლო ნივთი	„... ესვა
ბავშვის საჭმელი	ვაშლი, მსხალი და ა.შ.	ნაკვერჩხლის ასაღები რკინის ჩაგანი	ქალაქი, რომელშიც ჩამოაგდეს ატომური ბომბი	გადაგვეწილი, უთვისტომო ადამიანი	შექსპირი, „... მთრჯულება“		

მოჩვენებებზე მოსაფიქრები

ჰარი პრაიმსი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ჭეშმარიტად დაიმსახურა მოჩვენებებზე მონადირის სახელი. იგი ააშკარავებდა მედიუმებს, მოჩვენებების სურათების ყალბისმქმნელ ფოტოგრაფებს, ე.წ. პოლტერგეისტებსა და „მოლაპარაკე მანგუსტებსაც“ კი. პრაიმსმა არაერთი ორიგინალური ხელსაწყო შექმნა იმისათვის, რათა განსაკუთრებულად დახელოვნებულ მატყუარებსაც კი მისი გაცურება ვერ მოეხერხებინათ. სწორედ მან ამხილა ცნობილი ავსტრიელი მედიუმი, რული შნაიდერი. პრაიმსმა ფოტოზე აღბეჭდა ის მომენტი, როცა შნაიდერი ხელს ამოძრავებდა მაშინ, როდესაც ოთახში მყოფნი მის ხელს უძრავად აღიქვამდნენ. იგი საზოგადოებას უხსნიდა, რომ „გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე სიარულს“ საკმაოდ დამაჯერებელი მეცნიერული ახსნა მოეძებნება და ამ ინდურ ილუზიონისტურ ილეთს თოკის მეშვეობით, თავადვე ასრულებდა.

პრაიმსი პარანორმალურ მოვლენებთან დაკავშირებით, სკეპტიციზმთან ერთად, საოცრად სერიოზული მიდგომითაც გამოირჩეოდა. იგი მოჩვენებებისა და პოლტერგეისტის არსებობას არ უარყოფდა, მაგრამ ვიდრე ამა თუ იმ ფაქტის რეალურობას დაიჯერებდა, მის ხელთ არსებული ყველა ალტერნატიული მეთოდით ცდილობდა, გაყალბების შესაძლებლობა გამოერიცხა.

1929 წლის ივნისში, პრაიმსი ბორლში (ინგლისი) გაემგზავრა, სადაც ადგილობრივი მღვდელი ირწმუნებოდა, რომ მის სახლში უჩვეულო მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ცხრა წლის გულმოდგინე გამოკვლევების შედეგად (მათ შორის, ერთი წელი მღვდლის სახლში ცხოვრობდა), პრაიმსმა დაასკვნა, რომ პარანორმალური მოვლენების გამომწვევი, მღვდლის სახლში დაბუდებული პოლტერგეისტი იყო. ასევე დასძინა, რომ ფსიქიკური გამოკვლევების ანალებში, ეს, მოჩვენებების არსებობის ყველაზე უტყუარი შემთხვევა გახლდათ. ამ თემას მან ორი წიგნი მიუძღვნა, სადაც აღწერილია მღვდლის სახლში მომხდარი უჩვეულო მოვლენები: მოჩვენებები, კედელზე მოულოდნელად გაჩენილი წარწერები, კაკუნი და სხვა.

პრაიმსი წინააღმდეგობრივი პიროვნება იყო, თუმცა აღსანიშნავია მისი უდიდესი ღვაწლი პარანორმალური მოვლენების შესწავლის საქმეში (იგი ამ სფეროს პიონერი გახლდათ). ■

სიყვლების გამოსადახებელი მოწყობილობა

XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისში, ფრიად პოპულარული იყო მოჩვენებების შოუს მოწყობა. ასეთი ილუზიის შემქმნელი მოწყობილობა, მოჩვენებების ან ფანტასმაგორიის მანქანის სახელწოდებით იყო ცნობილი.

ბელგიელი ოპტიკოსი, ეტიენ გასპარ რობერტსონი, ამ ტიპის შოუს პირველი მომწყობი იყო. XVIII ს-ის 90-იან წლებში მისი ატრაქციონი ევროპაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. რობერტსონი და მისი ასისტენტები ჩაზნექილი სარკეების, ამობურცული ლინზებისა და კიდევ რამდენიმე რეკვიზიტის გამოყენებით, ვოლტერის, რუსოს, რობესპიერისა და სხვა ნაკლებად ცნობილი ადამიანების ფანტომებს ქმნიდნენ. მაყურებელს ისეთი ილუზია ექმნებოდა, თითქოს ნამდვილ მოჩვენებებს ხედავდა. შეძრწუნებული ხალხი გულწასული ეცემოდა ძირს, ნაწილი კი შემზარავი ყვირილით ტოვებდა დარბაზს.

1863 წელს ანალიტიკური ქიმიის ლონდონელი სპეციალისტის, ჯონ ჰენრი პეპერტის გამოგონების წყალობით, მოჩვენებების შოუმ კიდევ უფრო დახვეწილი სახე მიიღო. მან დიდი მინის მეშვეობით, აჩრდილების ამოძრავება შეძლო. სცენის ქვემოთ, თეთრით მოსილი ფიგურა თითქოსდა დაცურავდა სინათლის სხივებში, ამ სახების სარკეზე არეკლილი გამოსახულება კი, დახრილად მდებარე მინაზე გადადიოდა. მაყურებლის თვალისათვის დაფარული ეს მოწყობილობა ისეთ ილუზიას ქმნიდა, თითქოს აჩრდილები საფლავებიდან დგებოდნენ და ცოცხალ ადამიანებთან ამყარებდნენ კონტაქტს. ■

ჯონ ჰენრი პეპერტის მოწყობილობა მოჩვენებებს შუქის და სარკის მეშვეობით ქმნიდა



არ ფესა“	არაფრის მაქნისი, ოხერი ვინმე	„სჯობს ..., ვიდრე არასდროს“	ძვირფასი ქვების წონის ერთეული	საპორტო ქალაქი მერილენდის შტატში (აშშ)	იაპონური ელექტროხელ- საწყოების ფირმა	
ბარაქა	„..., მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“	რომელი მდინარე ერთვის მტკვარს მცხეთასთან?	თურქეთის დედაქალაქი	ვინ შემოაკვდა რომეოს (შექსპირის მიხედვით)	თბილისში მოქმედი უცხოური სამშენებლო ფირმა	

ლელა ჭანკოტაძე

*მხატვრული კითხვის დიდოსტატი **თათია ხაინდრავა** კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში გაიზარდა. ის ამ ოჯახის ცოცხალი მატიანეა. ცხადია, მოსაყოლი და გასახსენებელიც ბევრი აქვს.*
ქალბატონ თათიას ბინაში უამრავი უნიკალური ფოტო ვნახე, რომელზეც დიდი ადამიანების — ბატონი კონსტანტინესა და ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდია აღბეჭდილი.
ეს წერილი, რა თქმა უნდა, სევდიანია, ისევე, როგორც იმ ადამიანების ცხოვრების გზა, რომელთა შესახებაც უნდა გიამბოთ.


კონსტანტინე გამსახურდია

„მაგრად მომკიდე ხელით — ოთხვამს და ზვიადზე დაყრდნობილი გათავუბულა...

თათია ხაინდრავა

ლელა ჭანკოტაძე

— დავიწყოთ იქიდან, საიდანაც იწყება თქვენი მეხსიერება: როდის გაიცნობიერეთ, რომ ცხოვრობთ კონსტანტინე გამსახურდიას, არა როგორც უბრალოდ ბიძათქვენის, არამედ, როგორც გენიალური ადამიანის გვერდით?

— 1937 წელს მამაჩემმა სიცოცხლე მოისწრაფა. ამბობდა — Я им не дам себя разорвать. უკვე დახვრეტილი იყო კონსტანტინე გამსახურდიას ორი ძმა და 21 წლის ძმისშვილი — არჩილ გამსახურდია. ავლაბარში, ერთ ბნელ ოთახში შეგვასახლეს. ჩემი აღზრდა კონსტანტინე გამსახურდიამ იკისრა. მე გავიზარდე კონსტანტინე ჭიჭინაძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, ხარიტონ ვარდოშვილის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ახვლედიანის, აკაკი შანიძის, ლევან გოთუას, გიორგი ლეონიძის გარემოცვაში. 12 წლისამ წავიკითხე პირველად კონსტანტინე და ვიფიქრე: „ეს ვინ ყოფილა ჩემი სათაყვანებელი ბიძა!..“, რომელსაც საერთოდ არ მოვშორებივარ — მთელი ცხოვრება გავატარე მის გვერდით.

— მისი რომელი ნაწარმოები წაიკითხეთ პირველად?

— „მთვარის მოტაცება“. რასაკვირველია, ბევრ რამეს ვერ მივხვდი, რადგან ბავშვი ვიყავი, მაგრამ ოჰ, კიდევ რამხელა გახდა ჩემს თვალში ეს კაცი!.. სულ ღამით წერდა ხოლმე. მაშინ ვაფარიძის ქუჩაზე ვცხოვრობდით. მაგიდაზე ერთი ბოთლი შავი ღვინო ედგა და ჩირი; თავისი საყვარელი ძაღლი ყოველთვის ფერხთით ეწვა. გვიან ღამემდე წერდა. წერდა — ხვდა, წერდა — ხვდა, მუდამ ლამაზ ქაღალდზე წერდა. ქაღალდს რომ გახედავდი, შუქზე დაინახავდი — ორთავიანი არწივი იყო გამოსახული. სიმდიდრე არასდროს ჰქონია, მაგრამ ყოველთვის ოქროს კალმით წერდა. წერას რომ დამთავრებდა, აუცილებლად რუსთაველზე გაისეირნებდა. ახსოვს ხალხს გვიან ღამით თავის ძაღლთან ერთად მოსეირნე კონსტანტინე გამსახურდია. დილას კი, თერთმეტ საათამდე ეძინა... მაგარი ჩაი უყვარდა, ყავაც. როცა მივუტანდი, მეტყოდა ხოლმე: გმადლობ, ლამაზოო, — და ხელებს დამიკოცნიდა.

— ამბობენ, მკაცრი იყოო ბატონი კონსტანტინე.

— შორიდან მკაცრი და ქედმაღალი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ იყო რბილი, თბილი და ჩემთვის ძალიან საყვარელი ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ტრაგედია გადაიტანა: ჯერ მირანდა — ღვთისმშობელივით ქალი გარდაეცვალა, 49 წლის ასაკში, შემდეგ — თამრიკო, 36 წლის...

— მისი ხასიათის რომელი შტრიხი დევს თქვენს ხასიათში?

— მისი საოცარი პუნქტუალობა. სტუმრებს სამი საათისთვის რომ დაპატიჟებდა სადილზე, აუცილებლად სამზე უნდა მოსულიყვნენ. ყველამ იცოდა, რომ არ უნდა დაეგვიანა. მეც გამომყვა ეს პუნქტუალობა და სიზუსტე, ასევე — სიმკაცრე და უდრეკელობაც. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში მამას უფრო ვგავდი, ახლა გარეგნულად კონსტანტინეს ვგავარ. დედაჩემიც ძალიან ჰგავდა. ერთმანეთი საოცრად უყვარდათ. დედაჩემის გაკეთებული კერძის გარდა, არაფერს ჭამდა. მირანდა 18 წლის იყო, რომ მოიყვანა. დედა მას სულ მხარში ედგა. ასეთი რძალ-მულობა არავის გაეგონა.

— ბატონი კონსტანტინე თქვენს სპექტაკლებზე თუ დადიოდა?

— დადიოდა თეატრალურ ინსტიტუტში ჩემს ყველა გამოსვლაზე. შემდეგ, წლების განმავლობაში, ცდილობდა, რომ მიველე რომელიმე თეატრს, მაგრამ არც ერთი თეატრი არ მღებულობდა. მერე, რობიკო სტურუამ აღმომაჩინა და დამიდგა არაჩვეულებრივი სპექტაკლი — „მზეო თიბათვისა“, რომლითაც მთელი საქართველო შემოვიარე. 300 საღამო მაქვს ჩატარებული, უმრავლესად — უფასოდ და უანგაროდ. რობერტ სტურუამ ამ სპექტაკლით ოქროს გვირგვინი დამადგა. რომ არა ეს სპექტაკლი, რადიოს მოჩურჩულე მსახიობად დავრჩებოდი.

— როგორ „გაგიმეტათ“ ბატონმა კონსტანტინემ თეატრალური ინსტიტუტისთვის?

— ლიტერატორი ისედაც ვიყავი, მაგათ ოჯახში გაზრდილი ქალი. პირველად უნივერსიტეტში, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩამბარებინეს. არაბულზე ექვსი ადგილი იყო და ექვსნი ვაბარებდით — ჩავირიცხებოდი, აბა, რა იქნებოდა?! შემდეგ იოსებ გრიშაშვილის საღამო მოაწყო ბიჭიკო ჩხეიძემ. ამ საღამოზე წავიკითხე „ხელოთათმანის ღილი“, რომელსაც ახლაც ხშირად ვკითხულობ ბისზე. ძა სოსო მოვიდა კულისებში და მითხრა: ხვალ მე, შენ და კონსტანტინე წავალთ თეატრალურ ინსტიტუტშიო. მართლაც, წავედით და ამ ერთი ლექსით გადამიყვანეს უნივერსიტეტიდან თეატრალურ ინსტიტუტში. შემდგომ, კონსტანტინე ამით კმაყოფილი იყო.

— ბატონი კონსტანტინესგან დამოძღვრა თუ გახსოვთ?

— სულ გვმოძღვრავდა. ენების სწავლას, კითხვას და შრომას გვირჩევდა.

— თუ იყო შემთხვევა, როცა მას აინტერესებდა თქვენი აზრი თავისი შემოქმედების შესახებ?

— მე ხმამაღლა ვკითხულობდი ხოლმე მის



... ზვიად გამსახურდია და ...

ნაწარმოებებს. ყოველთვის მისმენდა. შენიშვნა არასდროს მოუცია. ჩვენ ყოველთვის ვუკეთებდით კორექტურას მის ნაწერებს — მე, მისი უფროსი ქალიშვილი, ნათელა გამსახურდია, შემდეგ თამრიკო „წამოგვეწია", მერე — ზვიადი. თორმეტი წლით ვარ ზვიადზე უფროსი. სულ ერთად ვიყავით. ჩემ გვერდით იწვნენ ზვიადი და თამრიკო, როცა კონსტანტინე და მირანდა ოპერაში, თეატრში ან კინოში მიდიოდნენ. ზვიადი პრეზიდენტად არჩევამდე აქ ივლდა, აი, ამ სავარძელში და კოკოს, მის უფროს ვაჟს ასწავლიდა ინგლისურს. ყოველ ოთხშაბათს ხვდებოდნენ აქ ერთმანეთს... ჩემი სახლის გასაღები ჰქონდა ზვიადს, მაგრამ მაინც დამირეკავდა და მკითხავდა: „თათია, ამოვიდე?" ზვიადი კიდევ უფრო რბილი იყო, ვიდრე კონსტანტინე.

— იქნებ, კოლხურ კოშკში გატარებული რომელიმე დღე გაიხსენოთ?

— არაჩვეულებრივი დღეები გვქონდა. ერთად ვმღეროდით: ზვიადი, მე, მერაბ კოსტავა. კონსტანტინეს არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა და შესანიშნავი სმენა. შუაღამეზე შეეძლოთ მოსვლა მუხრან მაჭავარიანს და იმ პოეტებს, რომლებიც მას პატივს სცემდნენ. და იმართებოდა პოეზიის საღამო. ზოგჯერ დავსხდებოდით ბუხართან და ვმღეროდით. ზოგჯერ არ მინდოდა სიმღერა, რადგან ჩემზე უკეთესი მომღერლები ისხდნენ იქვე, მაგრამ მე აუცილებლად უნდა მემღერა.

— თუ გახსოვთ ის დამოკიდებულება, რაც ბატონ კონსტანტინეს ჰქონდა ხელისუფლების მიმართ?

— როდესაც სტალინს ერთმა დაახლოებულმა რეჟისორმა უთხრა თურმე: დავხვრიტოთ კონსტანტინე გამსახურდია და გალაკტიონიო, — სტალინს უთქვამს: სიმონ ჯანაშიამ ჩამომიტანა „დიდოსტატის მარკვენა"; წავიკითხე, თვალები მაქვს დაწითლებული... გალაკტიონი კიდევ, „მე და ღამის" და „ეფემერას" ავტორია; მოუჭირეთ ხელი, მოუჭირეთ — მაგრამ ნუ დახვრეტთო... კონსტანტინეს ბობოქარი გამოსვლები მახსოვს, როცა მას რიცხავდნენ მწერალთა კავშირიდან; დაცლილი მოდიოდა შინ...

— ბატონი ზვიადი პირველად რომ დააპატიმრეს, რა ხდებოდა თქვენს ოჯახში?

— მაშინ ზვიადი თხუთმეტი წლის იყო. ეს იყო წარმოუდგენელი რამ. დამირეკა მირანდა ბიცოლამ და მითხრა: „თათი, ჩქარა მოდი ჩემთან!" გავვარდი. მივედი და ვნახე, რომ სახლში საშინელება ხდებოდა, ადამიანებს აღარ ჰგავდნენ... ზვიადი ექვს თვეში გაათავისუფლეს. კონსტანტინეც, ექვსი თვე ავად იყო.

— როგორი იყო ზვიადი, როცა მოდიოდა ამ სახლში?

— ეცვა თბილისის ფეხსაცმელი, პალტოც, საერთოდ — ყველაფერი. „ზვიად, გშია?" — ვკითხავდი. — „რა ვიცი, როგორც გინდა..." — მიპასუხებდა და მერე მშვენივრად მიირთმევდა... ჩემი ქალიშვილი მეგობარია. ზვიადს ეს ძალიან მოსწონდა. კონსტანტინესაც განსაკუთრებულად უყვარდა ჩემი შვილი — მირანდა. მირანდა ბიცოლა უკანასკნელ დღეში რომ იყო, ანა კალანდაძე და ვენერა ხაინდრავა მივიდნენ მასთან. კედლისკენ იყო მიბრუნებული. სტუმრებს მოუბოდიშა: მაპატიეთ, პატარა მირანდას, ნიკოლოზს ვავედრებო... კონსტანტინე დადიოდა ჩემი მირანდას კონცერტებზე. მირანდას (ფისოს) ბაბუა გახლდათ გრიგოლ ჩხიკვაძე, დიდი კაცი, ზაქარია ჩხიკვაძის შვილი. ზაქარია ჩხიკვაძე იყო მეგობარი ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის. მაქვს ვაჟა-ფშაველას სურათი, ვაჟასავე წარწერით: „პატარა გრიგოლს ვაჟა-ფშაველასაგან". გრიგოლ ჩხიკვაძე პირველი იყო, ვინც ხმა აღიმაღლა თვითმფრინავის გამტაცებელი ბიჭების დასაცავად. მერაბისა და ზვიადის გათავისუფლების მოთხოვნაზე ყოველთვის აწერდა ხელს.

— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა ზვიადი დაგიმალავთ?

— დიახ. ერთხელ დამირეკეს: მერაბს და ზვიადს დაპატიმრებას უპირებენ, ახლა მერაბის სახლში არიანო. გავვარდით ღამის ორ საათზე. ისხდნენ და საუბრობდნენ... გადავმალე მაშინ, თუმცა იმის შემდეგ, მაინც მალე დააპატიმრეს.

— თუ შეეძლო ზვიად გამსახურდიას, მოსულიყო თქვენთან, ჩამჯდარიყო თავის საყვარელ სავარძელში და პირად პრობლემებზე ესაუბრა?

— რა თქმა უნდა. პრობლემებზეც ლაპარაკობდა, სიყვარულზეც და გატაცებებზეც. მე რას დამიმალავდა?! ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით. თუმცა, უფრო დიდი გრძნობაც მაქვს მისდამი. მისი არყოფნის შესახებ სიტყვის თქმასაც ვერავინ მიბედავს. 74 წლის გახლავართ. ხომ შეიძლება, ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ ვიფიქრო — ის ცოცხალია.

— ზვიადის დაბადება თუ გახსოვთ?

— როგორ არ მახსოვს?! ჯაფარიძის ქუჩაზე გაჩნდა. თამრიკოც და ზვიადიც სახლში გაჩნდნენ. ზვიადს კინაღამ გადაჰყვა მირანდა. ცუდად იყო. ექიმმა ალექსიძემ აშშობიარა. ზვიადიც კონსტანტინემ დაარქვა. თამრიკო...

— ბატონი კონსტანტინე თავის დაბადების დღეებს თუ აღნიშნავდა?

— დაბადების დღე არასდროს აღუნიშნავს. რუსთაველის პრემია რომ მიიღო, მაშინ გამართეს დიდი პურობა — ლადო გუდიაშვილმა, ელგუჯა ამაშუკელმა, ირაკლი აბაშიძემ და კონსტანტინემ. თამადა გიორგი ლეონიძე იყო...

— ბატონ კონსტანტინეს ბოლო დღეები გაიხსენეთ. მის გვერდით იყავით?

— მხოლოდ ბოლო სამი დღე არ ვიყავი მასთან. ამიტომ ზვიადის მონაყოლს გადმოგცემთ. ბოლოს, ზვიადისთვის უთქვამს: წამმაყენეო. მაგიდასთან მისულა, კალამი აუღია და ფურცელზე რაღაც გაურკვეველი სიტყვა დაუწერია. რომ დახედა და მიხვდა — წერა აღარ შეეძლო, — გაბრაზებულა საკუთარ თავზე და კალამი ისე ძლიერად უსვრია, რომ კედელში ჩაურჭვია. მერე უთქვამს: პაპიროსი მომაწევინეო. ზვიადს მიუწოდებია, მაგრამ ვერ მოუწევია. მაგრად მომკიდე ხელიო — უთქვამს ზვიადისთვის და ასე, ფეხზე მდგომი და ზვიადზე დაყრდნობილი გათავებულა.

— გენიოსის სიკვდილია. დაკრძალვაც თუ იყო ამის მსგავსი?

— „ვრუზავიკზე" ერთი პატარა ხავერდი იყო გადაფარებული — მეტი არაფერი... მაგრამ ხალხმა აიტაცა ხელში. ზარები რეკდა, მთელი თბილისის ეკლესიების ზარები... რუსთაველთან რომ მიასვენეს, ხალხმა კუბოსთან დაიჩოქა... კოლხურ კოშკში დაკრძალეს, მირანდასა და თამარის გვერდით. სასაფლაოდ იქცა ჩვენი კოლხური კოშკი...

— თქვენ ამ ოჯახის მემატიანე ბრძანდებით. არ გიფიქრიათ, დაგეწერათ მოგონებები და წიგნად გამოგეცათ?

— ყველაფერი დაწერილი მაქვს. თუ ვიცოცხლებ, გამოვცემ. უამრავი წერილი მაქვს შენახული. გარკვეულ ხანს რომ არ მივიდოდი, კონსტანტინე მანქანას გამომიგზავნიდა ხოლმე და ასეთ წერილს გამოატანდა: „ეთხოვ, დღეს ჩემთან ისადილო... გაკოცებს ბიძაშენი". ■

ზვიად გამსახურდია

სტადიონებზე რასისტული გამოხდომები გახშირდა

როგორც ჩანს, ევროპული საფეხბურთო ოჯახისათვის მოედნებზე რასიზმის გამოვლინებაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რაზეც ცოტა ხნის წინ უეფას მიერ გამოქვეყნებული ანტირასისტული გეგმაც მეტყველებს. აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც 10 პუნქტს შეიცავს, ევროპის ყველა საფეხბურთო კლუბს გაეგზავნება. მასში წამოყენებული მოთხოვნების თანახმად, საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელები ვალდებულნი იქნებიან აღკვეთონ რასიზმის ნებისმიერი გამოვლინება ფეხბურთელებისა თუ გულშემატკივრების მხრიდან. უეფამ ეს გადაწყვეტილება იუგოსლავიის, ხორვატიის, დანიისა და ესპანეთის სტადიონებზე მომხდარი რასისტული გამოხდომების გამო გამოსცა.

უმუშევარი სკოლარი „არსენალს" უმიზნებს

ბრაზილიურ ფეხბურთში „დოპინგური" სკანდალი მწიფდება, რომელიც ნაკრებსაც შეეხება, მაგრამ მისი ყოფილი თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი, ხმას არ იღებს და ახლა მხოლოდ ლონდონის „არსენალში" მუშაობაზე ოცნებობს. „არსენალში" მუშაობა მსურს და ლონდონიდან მიწვევასაც ველი. სხვათა შორის, მიწვევა უკვე მივიღე კიდეც, თანაც თავად არსენ ვენგერისაგან, რომელმაც გუნდის მწვრთნელთა შემადგენლობაში შემომთავაზა ადგილი, მე კი მზად ვარ, რომ მის წინადადებაზე თანხმობა განვაცხადო", — აღნიშნა „ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტთან საუბრისას სკოლარიმ, თუმცა წლევანდელი მუნდიალის ტრიუმფატორს ის აღარ დაუკონკრეტებია, თუ რა თანამდებობას დაიკავებს ლონდონურ კლუბში. თავად „არსენალის" ხელმძღვანელობას სამხრეთამერიკელი საფეხბურთო სპეციალისტის ნათქვამი არ დაუდასტურებია.

სასტიკი სასჯელი გუნდის თავჯაცებისგან

ბერძნული „ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელობამ ბრაზილიელი ზე ელიასი 60.000 ევროთი დააჯარიმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჩატარებულ ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიღებული წითელი ბარათისათვის. მკითხველს შევახსენებთ, რომ ზე ელიასმა, რომელიც გუნდის ხელმძღვანელობის წინაშე მონანიებამაც ვერ გადაარჩინა მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, „ოლდ ტრაფორდზე" მეტისმეტად უხეშად ითამაშა მანჩესტერელთა არგენტინელი ნახევარმცველის, ვერონის წინააღმდეგ, რის გამოც იგი მსაჯმა მოედნიდან გააძევა, რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა „ოლიმპიაკოსმა" კი, ის შეხვედრა ანგარიშით 0:4 წააგო. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ „ოლდ ტრაფორდზე" განცდილი მარცხისთვის „ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტი დაატოვებინა ტაკის ლემონისს, რომელსაც დროებით იანის კოლიასი შეცვლის.

ერიბერტუ ასაკის მოპლებისთვის დააჯარიმეს

იტალიაში მოთამაშე ბრაზილიელი ფეხბურთელი, ლუჩიანო, რომელიც ბოლო ექვსი სეზონის განმავლობაში ერიბერტუს სახელით თამაშობს, თავისი კლუბის, „კიევის" მიერ შვიდი თვით არის დისკვალიფიცირებული. გარდა ამისა, ერიბერტუ 150 ათასი ევროთიც დააჯარიმეს. მას საკუთარი პასპორტის მონაცემების გაყალბებაში ედება ბრალი. კერძოდ, პასპორტში ერიბერტუს ასაკის მაჩვენებელს რამდენიმე წელი ჰქონდა ჩამოკლებული.

ფსიქოლოგიური ტერორი ჰიდინგის წინააღმდეგ

მართალია, თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონის მსგავსად ევროპის განვითარებული საფეხბურთო ქვეყნების მოედნებზე საიდუმლო ვითარებაში არ ითიშება ელექტროენერგია, მაგრამ იქ ფეხბურთის მესვეურებსა და სამართალდამცავ ორგანოებს დამშვიდების საბაბი მაინც არა აქვთ. აი, მაგალითად, ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის“ მთავარი მწვრთნელი და კორეა-იაპონიის მუნდიალის ერთ-ერთი გმირი, გუს ჰიდინგი თურმე კვლავ ღებულობს ანონიმურ წერილებს, რომელშიც მას „პსვ“-ს წარმატებულად ასპარეზობის შემთხვევაში, ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან. კორეის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი თავიდან ამ ფაქტს სერიოზულად არ აღიქვამდა, თუმცა, როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურმა ტერორმა მასზე მაინც იმოქმედა. „მე ასე მუშაობა აღარ შემიძლია, — განაცხადა ჰიდინგმა ერთ-ერთი ესპანური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, — ისინი აცხადებენ, რომ დამხვრეტენ, თუ „პსვ“-თან ერთად წარმატებას მივაღწევ ჰოლანდიის პირველობაზე ან ჩემპიონთა ლიგაში“. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჰოლანდიური კლუბი ჩემპიონთა ლიგაში მიმდინარე წელს არცთუ ისე დამაჯერებლად ასპარეზობს, თუმცა ქვეყნის ჩემპიონატში იგი პირველ ადგილზე იმყოფება და არ არის გამორიცხული, რომ ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ისეთი ცნობილი გუნდები დაჯაბნოს, როგორიც „აიაქსი“ და „ფეიენორდია“. ალბათ გუს ჰიდინგსაც სწორედ ჰოლანდიის პირველობაში მისი გუნდის წარმატებისა უნდა ეშინოდეს.

„ფულჰემმა“ პელე დაიქირავა

ინგლისურმა კლუბმა „ფულჰემმა“ ქვეყნის პირველობაზე ლიდერთა შორის ადგილის დამკვიდრება განიზრახა და საამისოდ პირველი ნაბიჯიც გადადგა: ამიერიდან გუნდს სკაუტის რანგში თვით „ფეხბურთის მეფე“ — პელე მოემსახურება. შეთანხმების საფუძველზე იგი ბრიტანული გუნდისათვის სამხრეთ ამერიკაში მოთამაშე პერსპექტიულ ფეხბურთელებს შეარჩევს. კონტრაქტი პელეს მშობლიურ კლუბს, „სანტოსსა“ და „ფულჰემს“ შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებასაც ითვალისწინებს. „პელე ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. იგი ცოცხალი ლეგენდაა. მასზე უკეთესად ბრაზილიაში ჩვენთვის ვინ იმუშავებს“? — განაცხადა ბრაზილიელ სუპერვარსკვლავთან შეხვედრის შემდეგ „ფულჰემის“ მფლობელმა, მუჰამედ ალ-ფაიედმა. რაც მთავარია, შეთანხმებით კმაყოფილი დარჩა თავად „ტყვის ბურთის ჯადოქარიც“, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ ინგლისურ კლუბებში მეტმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ითამაშოს. „ბრაზილიელები თამაშობენ ჰოლანდიაში, ესპანეთსა და იტალიაში. ინგლისურ კლუბებში კი ისინი ძალიან მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. ვიმედოვნებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს „ფულჰემში“ გამოჩნდებიან ბრაზილიელები, რომლებიც ამ გუნდს დიდ გამარჯვებებს მოაპოვებინებენ. ვფიქრობ, ეს სავსებით რეალურია. თუნდაც მხოლოდ „სანტოსში“ მოიძებნება ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელსაც მაღალ დონეზე თამაში შეუძლია. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი მათგანი „ფულჰემშიც“ აღმოჩნდეს“, — განაცხადა პელემ.

ნესტა თავისი ახალი ჯუბით აღფრთოვანებულია

რომის „ლაციოდან“ „მილანში“ ცოტა ხნის წინ გადასული ალესანდრო ნესტა შევჩენკოს გარეშე მოთამაშე გუნდსაც საუკეთესო შეფასებას აძლევს. „მილანი დიდებული კლუბია,“ — განაცხადა ალესანდრომ, — იგი უფრო ძლიერია, ვიდრე მეგონა. მწვრთნელმა შესანიშნავი გუნდი შექმნა და მასში ყველა ფეხბურთელს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. „მილანსა“ და „ლაციოს“ შორის დიდი განსხვავებაა. რომში ბედნიერი ვიყავი, მაგრამ როგორც ფეხბურთელი, ახლა უფრო კმაყოფილი ვარ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ „ლაციოც“ იბრძოლებს სკუდეტოსათვის“.

აკრძალული სტიმულატორები ბრაზილიელებშიც გავრცელდა

უახლოეს მომავალში შეიძლება დიდი უსიამოვნების წინაშე აღმოჩნდეს ბრაზილიის ეროვნული ნაკრები. ცოტა ხნის წინ პენტაკამპეონთა ექიმმა, ხულიო სეზარ ალვეშმა სკანდალური განცხადება გააკეთა: მისი თქმით, პრაქტიკულად ყველა სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი სარგებლობს აკრძალული სტიმულატორებით და გამორიცხული არ არის, რომ წლევანდელ მუნდიალზეც კი ყვითელმაისურიანთა გუნდის მოთამაშეები დოპინგის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. „დოპინგი უკვე ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და მას არა მარტო მძლეოსნები, არამედ ფეხბურთელები, კალათბურთელები, ხელბურთელები და სპორტის სხვა სახეობის წარმომადენლებიც იყენებენ. უბრალოდ, არავინ დაუშვებს, რომ ფეხბურთში, როგორც სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობაში, ვინმე დოპინგის მოხმარებაში გამოააშკარაონ. მიუხედავად ამისა, მე მაინც თავს შევიკავებ იმ სპორტსმენთა დასახელებისაგან, რომლებიც აკრძალულ სტიმულატორებს იყენებენ“, – განაცხადა ალვეშმა, თუმცა სამხრეთამერიკულ ფეხბურთში გამეფებული უზნეობის ფონზე, სპორტული მიმომხილველები მის ნათქვამს მაინცდამაინც სერიოზულად არ აღიქვამენ.

ლეონარდო ავლავ „მილანში“ დარჩება

„მილანმა“ ახალი კონტრაქტი გააფორმა ბრაზილიელ ნახევარმცველ ლეონარდოსთან, რომელსაც იტალიურ კლუბთან ოთხწლიანი ხელშეკრულების ვადა უკვე ამოწურული ჰქონდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ ერთხანს ლეონარდო იაპონიაშიც თამაშობდა, შემდეგ კი, „მილანის“ შემადგენლობაში აღმოჩნდა და რამდენიმე საფეხბურთო სეზონში ბრწყინვალედაც ასპარეზა გუნდთან ერთად. 33 წლის ბრაზილიელი ყველა იმ თვისებით არის დაჯილდოებული, რომელიც საჭიროა თანამედროვე ფეხბურთში წარმატების მისაღწევად. იგი 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ყვითელმაისურიანთა რიგებში მარცხენა შემტევი მცველის ფუნქციას ასრულებდა და უნდა ითქვას, რომ დაკისრებულ მოვალეობას იმაზე არანაკლებ წარმატებულად ართმევდა თავს, ვიდრე ამჟამად ამას რობერტო კარლოსი აკეთებს. მიუხედავად ამისა, საფეხბურთო მიმომხილველებისთვის მაინც გაუგებარია, თუ რისთვის დასჭირდა ბერლუსკონის კუთვნილ, ვარსკვლავებით დაკომპლექტებულ „მილანს“ კონტრაქტის ხელახალი გაფორმება ლეონარდოსთან, რომელიც მიმდინარე სეზონის წინ ბრაზილიაში დაბრუნებას აპირებდა.

„მანჩესტერი“ მდიდრდება და შევჩენკოს შეძენას ლამობს

ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემოსავალი, რაც კლუბის ხელმძღვანელობას იმის საშუალებას აძლევს, რომ ამბიციური ფერგიუსონის სამწვრთნელო ჭირვეულობა დააკმაყოფილოს. სერ ალექსს დიდი ხანია, თავისი გუნდის რიგებში ანდრეი შევჩენკოს ხილვა სურს და მის შესაძენად მილანური კლუბისათვის „მანჩესტერის“ ბიუჯეტიდან ზამთრის სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე 15-დან 20 მილიონამდე გირვანქა სტერლინგის შეთავაზებასაც აპირებს. მანჩესტერელთა თავკაცს ერთი სული აქვს, როდის აათამაშებს ერთად თავდასხმაში შევჩენკოსა და ნისტელროის, ხოლო მილანელი ტიფოზები საყვარელი გუნდის რიგებში შევჩენკო-ინძაგი-რივალდოს მრისხანე ტრიოს გამოჩენას ელიან. ამიტომ, როგორც ჩანს, ყველაფერს ისევ თავად უკრაინელი ვარსკვლავი გადაწყვეტს.

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

ვიქტორია აბრილი

მთელი ევროპა ჩემი სახლია

ვიქტორია აბრილი ჩვენი მაყურებლისთვის ცნობილია დიდი ესპანელი რეჟისორის, პედრო ალმოდოვარის ფილმებით: „დამაბი", „მალალი ქუსლები" და „ჯიჯა". უნდა აღინიშნოს, რომ ეს მსახიობი ესპანური ჯინოს ვარსკვლავია და უამრავ სხვა ფილმშიც მონაწილეობს. აი, რას ჰყვება იგი საკუთარი თავის შესახებ, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში.

— რას წარმოადგენთ თქვენ ესპანელი მაყურებლისთვის და რა ფილმები ახსენდებათ მათ თქვენს დანახვაზე?

— ესპანელები 14 წლიდან მიცნობენ. ჩემ მიერ ნათამაშები როლების რაოდენობა კი ოთხმოცს აღწევს. ასე რომ, თანამემამულეთათვის მე რაღაც ავჯაფსანდალისმაგვარი რამ ვარ, რომელშიც უამრავი ჩემი როლია ერთმანეთში არეული. მაგალითად, ესპანელი რეჟისორის, ვინსენტ არანდას ათეულობით ფილმში მაქვს მონაწილეობა მიღებული, რომელთაგანაც ყველაზე დიდი აღიარება „საყვარლებმა" მოიპოვა, თუმცა ესპანელი მაყურებლისთვის ამ რეჟისორის დანარჩენი სურათებიც ახლობელი და ძვირფასია.

კადრი ფილმიდან „დამაბი"

— იმდენად ბევრ ფილმში გითამაშიათ, რომ როგორც ჩანს, თქვენი ცხოვრების უმთავრეს კრედოს მუშაობა წარმოადგენს.

— ყველაფერი თავისთავად მოხდა. კარიერის დასაწყისში, ყოველწლიურად 3-4 სურათში მიწევდა გადაღება. მოგვიანებით, როცა ოჯახი შევქმენი და ბავშვების ფაქტორიც გაჩნდა, აღარ მინდოდა მათთვის ჩემი პრობლემები მომეხვია თავს, ამიტომ შედარებით იშვიათად და ისიც საუკეთესო ფილმებში ვიღებ ხოლმე მონაწილეობას.

— თქვენს მრავალფეროვან შემოქმედებაში თუ არის ისეთი სურათები, რომელში თამაშსაც დღესდღეობით ნანობთ?

— არა. ყველაზე სუსტ ფილმებში მონაწილეობამაც კი, რაღაც სასარგებლო გამოცდილება შემძინა. როცა ზედმიწევნით კარგად იცი, ცხოვრებაში რა არ უნდა ჩაიდინო, ბედნიერებისაკენ გზა ხსნილი გაქვს.

— თქვენ პარიზში ცხოვრობთ, მაგრამ გადაღებებზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გიწევთ გამგზავრება.

— მხოლოდ ევროპის ქვეყნებში მიწევს ხოლმე ყოფნა. ამერიკას მე არ ვუყვარვარ და მეც იმავეთი ვპასუხობ. საკმაოდ ზარმაციც ვარ იმისთვის, რომ იმ სიშორეზე გავემგზავრო. იშვიათად, მაგრამ, როცა იქ ყოფნა მაინც მიწევს ხოლმე, საოცრად უკმაყოფილო და მოწყენილი ვარ: ცუდი საჭმელი, არასასურველი გარემო, სიცილითაც კი იქ გულიანად ვერავისთან გაიცინებ. არ მხიბლავს მათი კულტურა.

— ოდესღაც პარიზი არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. როგორც პარიზელს, ხომ არ გეუფლებათ იმის შეგრძნება, თითქოს დღეს ევროპის კულტურული ცხოვრება, დეცენტრალიზაციას მიელტვის?

— დიახ, გეთანხმებით! თავად განსაჯეთ: ბოლო ოთხი წლის მანძილზე გადაღებები ესპანეთში, ისლანდიასა და იტალიაში მქონდა... ეს ძალიან მომწონს, რადგან ჩემი ცხოვრება კიდევ უფრო საინტერესო გახდა. რომელიმე ქვეყნისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას სულაც არ ვგრძნობ — მთელი ევროპა ჩემი სახლია. ჩემთვის მთავარი, კულტურული მრავალფეროვნებაა, ეს კი ევროპაში საკმარისზე მეტიც კია. მაგალითად, მთელ ევროპაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ ესპანეთის მოსახლეობა ოთხ ენაზე ლაპარაკობს. ღმერთმა ჩვენ სხვადასხვანაირები გაგვაჩინა და ჩემი აზრით, ეს, ძალიან კარგია.

— ნებისმიერ ადამიანში ქალური და მამაკაცური თვისებებია შერწყმული. ერთი მხრივ, თქვენ ქალური მომხიბვლელობის განსახიერება ხართ, მეორე მხრივ კი მამაკაცური სიმამაცე, სიმტკიცე, პრინციპულობა და მკაცრი ხასიათი გაქვთ. ერთხელ თქვენ ისეთ უჩვეულო ფილმშიც კი მიიღეთ მონაწილეობა, როგორიცაა „სქესის შეცვლა"...

— დიახ, ეს სიმართლეა. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მამაკაცური თვისებები მემკვიდრეობით ბებიაჩემისაგან მერგო. მისი ახალგაზრდობა მშვენიერ 30-იან წლებს დაემთხვა, როცა ქალები ყველაზე თავისუფლები იყვნენ. ბებია სულით ანარქისტი იყო: ვისთანაც სურდა და როგორც სურდა, ისე ცხოვრობდა, ბავშვებსაც იმისგან აჩენდა, ვისგანაც უნდოდა, ე.ი. ყველაფერში თავისუფალი იყო. მე ყოველივე ამას ასე აღვიქვამ: ბებიაჩემმა ქალის უფლებების მოსაპოვებლად იბრძოლა, მე კი არ მოვისურვე მისი მოპოვებული უფლებების დაკარგვა.

— თქვენ კარიერა ცეკვით დაიწყეთ. ბოლო ფილმში — „რეიკიავიკი 101" ფლამენკოს მასწავლებლის სახე შექმენით. რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში ცეკვას?

— ექვსიდან თოთხმეტ წლამდე კლასიკურ ბალეტზე დავდიოდი. შემდეგ კინოსამყაროში მოვხვდი და ცეკვას თავი დავანებე, რადგან სანახევროდ არაფრის კეთება არ შემიძლია. მიუხედავად ამისა, ცეკვის სიყვარული ბოლომდე შევინარჩუნე: ყოველ ახალ ქალაქში მოხვედრისას, პირველ რიგში, დისკოთეკაზე მივდივარ და მთელ ღამეს ცეკვაში ვატარებ.

ყოველთვის სექსუალური

კეტლინ ტერნერი

ორიოდე წლის წინ, კეტლინ ტერნერი ლონდონის „გილგუდის“ თეატრის სცენაზე სრულიად შიშველი თამაშობდა სპექტაკლში — „სკოლის კურსდამთავრებული“. სპექტაკლი მსოფლიო სენსაციად იქცა, რომლის ბილეთებიც ელვის უსწრაფესად იყიდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთის ფასი 30 გირვანქა სტერლინგი იყო (ინგლისელებისთვისაც კი ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა).

სპექტაკლი ჩარლზ უების რომანის მიხედვით დაიდგა, რომლის სიუჟეტიც საკმაოდ მარტივი გახლდათ: არცთუ ისე ახალგაზრდა ქალი, საკუთარი ქალიშვილის მეგობარ ვაჟს აცდუნებს. რომანის ეკრანიზაცია 1967 წელს შედგა. ფილმში ენ ბენკროფტი თამაშობდა, რომელიც ერთ-ერთ სცენაში შენელებული, გამომწვევი მოძრაობით იხდიდა წინდებს და ახალგაზრდა დასტინ ჰოფმანს აღიზიანებდა. შემდეგ სააბაზანოდან სრულიად შიშველი გამოდიოდა, მაგრამ კამერა ამ სცენას იმდენად სწრაფად შორდებოდა, რომ დანამდვილებით იმის თქმა, აღიქვა თუ არა ეს კადრი მაყურებელმა, არც კი შეიძლებოდა. კეტლინ ტერნერმა კი საორჭოფო არაფერი დატოვა. მისი გმირი სააბაზანოდან პირსახოცშემოხვეული გამოდიოდა, შემდეგ პირსახოცი იატაკზე ვარდებოდა და მთელი დანარჩენი სცენის მანძილზე, იგი დედიშობილა თამაშობდა. ადგილობრივი პრესა წერდა: „იმ მომენტში, როცა პირსახოცი ძირს ეცემა, დარბაზს გაოცების შეძახილის ტალღა გადაუვლის ხოლმე და მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი საშინლად გამოიყურება, მაყურებელი მქუხარე აპლოდისმენტით აჯილდოებს მას“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სპექტაკლის გამოსვლამდე ორი წლით ადრე, ლონდონის სცენაზე ასევე შიშველი ჰოლივუდის მეორე ვარსკვლავიც გამოდიოდა. ეს ნიკოლ კიდმანი გახლდათ სპექტაკლში — „ცისფერი ოთახი“. ამ დადგმის ყველაზე პიკანტური სცენების ფოტოსურათებმა, მთელი მსოფლიოს წამყვანი გამოცემები მოიარა, მაგრამ კიდმანის სიშიშვლეს ისეთი ძლიერი ვნებათაღელვა და ემოციები არ გამოუწვევია, მიუხედავად იმისა, რომ კიდმანი უფრო ახალგაზრდა იყო, არც ზედმეტი წონა და ცელულიტი აწუხებდა და ალკოჰოლსაც არასოდეს ეტანებოდა.

ლონდონის მამაკაცთა დიდი ნაწილი, შიშველი, დაუკმაყოფილებელი კეტლინ ტერნერის გმირის სანახავად, თეატრის სალაროებში ყოველდღიურად 150 ათას დოლარს ტოვებდა. ეს მშვენიერი შემოსავალი იყო, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სპექტაკლის დადგმა სულ რაღაც 630 ათასი დოლარი დაჯდა. საბოლოოდ, ჰოლივუდის ვარსკვლავის წყალობით, „გილგუდის“ თეატრმა ისეთი დიდი შემოსავალი მიიღო, როგორიც მთელი არსებობის მანძილზე არც ერთ ვესტ-ენდის თეატრს არ ჰქონია.



კეტლინ ტერნერი მრავალგზის უღიარებიათ კინოს ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ მსახიობად. ამ ტიპის ვარსკვლავის იმიჯის დამკვიდრებაში, კეტლინს მისი რბილი, მწველი ქალისათვის დამახასიათებელი, ოდნავ ჩახრინწული ხმაც უწყობდა ხელს. მსახიობი თავადვე ამბობს, რომ ხმით უფრო ხშირად ცნობენ ხოლმე, ვიდრე გარეგნობით. ფილმში „ვინ გაწირა კურდღელი როჯერი?“ კეტლინმა მულტიპლიკაციური გმირი ისეთი ვნებიანი და შემპარავი ხმით გაახმოვანა, რომ ჯესიკა ჰოლივუდის ნახატი ფილმების სექს-სიმბოლოდ იქცა.

მსახიობის განსაკუთრებული საუბრის მანერა და ხმის ტემბრი ცალკე საუბრის თემაა. კეტლინის მამა დიპლომატი იყო და სხვადასხვა ქვეყანაში აშშ-ის ელჩის თანამდებობაზე მუშაობდა. პატარა კეტლინს ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე, კუბაში, ვენესუელაში, კანადაში, იაპონიასა და ბრიტანეთში მოუწია ცხოვრებამ.

— ჩემი ოჯახი საცხოვრებლად ხშირად ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა, მე მიხდებოდა ახალი ენის შესწავლა, სკოლის გამოცვლა და რაც მთავარია, თვითდასამკვიდრებლად ბრძოლა. ამ ბრძოლის ერთ-ერთ ხერხად კი მე ჩემი მეტყველება ავირჩიე — ამბობს კეტლინი.

რამდენიმე ენის ცოდნის წყალობით, გოგონამ ერთი ჩვევა შეიძინა, იგი მეტყველებისას ზოგიერთ ბგერას უცნაურად არბილებდა ან პირიქით მკვეთრად გამოთქვამდა. ამით მას სურდა, თავისი საუბრისთვის უფრო დამაჯერებელი ტონი მიეცა. თვითდასამკვიდრებლად კეტლინს მუდმივად რაღაც როლში ყოფნა უხდებოდა და მას ეს ძალიანაც მოსწონდა. ჯერ კიდევ ბავშვობაში იგი მიხვდა, რომ მსახიობობა სურდა.

ინგლისში ყოფნისას, კეტლინი ოჯახის წევრებთან ერთად, თითქმის ყოველკვირა თეატრში დადიოდა. გოგონამ ლონდონის მეტყველებისა და დრამის ცენტრალურ სკოლაში გადაწყვიტა შესვლა. როგორც ამბობენ, სწორედ იქ გავლილ მეტყველების სავარჯიშოებს უნდა უმადლოდეს კეტლინი, თავის უზადოდ დახვეწილ საუბრის მანერასა და საოცრად მომხიბლავ ხმის ტემბრს.

1973 წელს, კეტლინის მამა კიბოსგან გარდაიცვალა. ტერნერების ოჯახი საცხოვრებლად მისურის შტატის ქალაქ სპრინგფილდში გადაბარგდა. კეტლინმა სწავლა ადგილობრივ უნივერსიტეტში განაგრძო, შემდეგ კი მერილენდის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადავიდა და 1977 წელს პროფესიონალი მსახიობის დიპლომიც აიღო.

კეტლინი ნიუ-იორკის თეატრალური სამყაროს დასაპყრობად 100 დოლარის ამარა გაემგზავრა. ოფიციანტად მუშაობამ დიდხანს არ მოუწია, მან მალევე გაიჩინა აგენტი და 1977 წლის ბოლოსთვის, უკვე ბროდვეიზე გამოდიოდა. „ჯემინის“ თეატრს, მალე ტელესერიალ „ექიმებში“ მონაწილეობაც მოჰყვა. თუმცა, პოპულარობა 1981 წელს, ლოურენს კაზდანის ფილმში – „სხეულის სიმხურვალე“ შესრულებულმა როლმა მოუტანა, რომელშიც მან საბედისწერო ქალი, როლი შეასრულა. კეტლინმა მთავარი როლი, სწორედ საკუთარი მიმზიდველი ხმის წყალობით მიიღო (ამ ფილმმა მას 30 ათასი დოლარი მოუტანა). სურათის წარმატებამ მის კარიერაში აღმავლობის პერიოდს დაუდო დასაბამი. იგი ზედიზედ ცხრა ფილმში გადაიღეს ჰოლივუდის ისეთ ვარსკვლავებთან ერთად, როგორებიც არიან: ჯეკ ნიკოლსონი, სტივ მარტინი, დენი დე ვიტო... თუმცა, ნამდვილი ვარსკვლავის სახელი კეტლინმა „ქვის რომანში“ განსახიერებული როლის წყალობით მოიპოვა, სადაც მისი პარტნიორი მაიკლ დუგლასი გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ კეტლინს უამრავი ლამაზი და ცნობილი მსახიობი მამაკაცი ეხვია გარს, მან ქმრად კინოხელოვნებისაგან ძალზედ შორს მდგომი ადამიანი აირჩია. 1984 წელს კეტლინი ცოლად გაჰყვა უძრავი ქონების სფეროს მუშაკს ჯეი ვეისს. ბუნებრივია, ვეისს არ სურდა, რომ მისი ცოლი ეკრანზე შიშველი გამოჩენილიყო. დამოუკიდებლობას მიჩვეული კეტლინი კი მიიჩნევდა, რომ ოჯახი და კარიერა სრულიად განსხვავებული სფეროებია და უარს არ ამბობდა ეროტიკულსცენებიან ფილმებში მონაწილეობაზე. 1986 წელს გადაღებულ ლირიკულ კომედიაში – „ჰეგი სიუ გათხოვდა“ შესრულებული როლისთვის ტერნერი ნომინირებული იყო „ოსკარზე“. მას ეროტიკულ ტრილერში – „ძირითადი ინსტინქტი“, მთავარ როლს სთავაზობდნენ, საბოლოოდ ეს როლი შერონ სტოუნმა ითამაშა.

კეტლინს უყვარს, როცა სიტუაციას ფლობს, სულერთია, იქნება ეს კინოში, თუ ცხოვრებაში.

– მე ყოველთვის ვაკონტროლებ სიტუაციას, – ამბობს ტერნერი. – ძალაუფლების დაკარგვა ძალიან იოლია, საკმარისია ვინმეს ენდო, იქნება ეს აგენტი, რეჟისორი, მენეჯერი თუ სხვა – წასულია შენი საქმე. მე საკმაოდ ჭკვიანი ქალი ვარ და შემიძლია ჩემი ტალანტით ფულიც მოვიპოვო.

მას ცხოვრებაში მართლაც ყველაფერი გამოსდის. უყვარს ფუფუნება: დადის „მერსედესის“ ძვირად ღირებული მოდელებით. ზღვის პირას, ლონგ-აილენდზე აქვს ძველი, მაგრამ არაჩვეულებრივად მოწყობილი სახლი, აუზით, სატრენაჟორო დარბაზით და... ბოსტნით, სადაც თავისუფალ დროს სიამოვნებით მუშაობს ხოლმე. ბოლო რამდენიმე წელია, კეტლინს ართრიტი აღმოაჩნდა და იგი მიიჩნევს, რომ ზღვის ჰაერზე მუშაობა ავადმყოფობის დაძლევაში ეხმარება. ექიმები შიშობდნენ, რომ ართრიტის მძიმე ფორმის გამო, იგი სიარულსაც კი ვერ შეძლებდა, მაგრამ კეტლინმა დაავადებასთან გამკლავებაც შეძლო. გარდა ამისა, ფიზიკური დატვირთვა ზედმეტი წონის დაკლებაშიც უწყობს ხელს (მსახიობი მშობიარობის შემდეგ ჭარბმა წონამაც შეაწუხა). კეტლინი ოჯახში მოსიყვარულე ქმართან და 15 წლის ქალიშვილთან ერთად, თავს ბედნიერად გრძნობს.

უბერებელი მსახიობი განაგრძობს სცენასა თუ ეკრანზე მოღვაწეობას. წელს იგი ბროდვეის დასთან ერთად საგასტროლოდ კანადაში იმყოფებოდა. „სკოლის კურსდამთავრებულს“ კანადაში ისეთივე წარმატება ხვდა წილად, როგორიც ბრიტანეთში.

– ისინი, ვინც მიიჩნევენ, რომ ქალს 30 წლის შემდეგ არაფერი სერიოზულის შექმნა არ ძალუძს, გავარვარებული შანთით უნდა დადაღო, – აცხადებს კეტლინ ტერნერი, – ნამდვილ ქალებს ორმოცდახუთი წლის ასაკში, ჯერ კიდევ ყველაფერი წინ აქვთ.

■

ეს ქალი ყველაზე მაღალ ჯილდოებს იმსახურებს

მაიკლ დუგლასთან ერთად ფილმში „ქვის რომანი“

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-41

რუსუდან ბერიძე

ქალური ინფუიცია
ანუ ჯიბემიყვანილი ოვრთიები

სოფლიდან თბილისში მშობლების მიერ სასწავლებლად გამოგზავნილი ნინი, რომელიც გზაში ახალგაზრდა მამაკაცთან — დიტოსთან სარეცლის გაზიარებასაც მოასწრებს, მასთან განშორების შემდეგ თავისი დიდი ხნის უნახავი ბიძის — შალვას ვიწრო ბინაში აღმოჩნდება. ნინს არც ეს ბინა მოსწონს და არც ასეთ პირობებში ცხოვრების პერსპექტივა. სულ მალე იმასაც აღმოაჩენს, რომ ბიძამისი მხოლოდ რესტორნის ერთი უბრალო კარისკაცია და მასზე ხელს ლამის საბოლოოდ ჩაიქნევს.

თუმცა, გოგონას გამჭრიახ თვალს არც ის გამორჩება, რომ შალვა ბიძია რესტორან „მირაჟის“ ბევრ ცნობილ და მდიდარ კლიენტს საკმაოდ ახლოსაც იცნობს და ამ გარემოების სათავისოდ გამოყენებას გადაწყვეტს.

რესტორნის კლიენტებიდან ნინი თავიდანვე ასაკში შესულ, თუმცა, ჯერ კიდევ საკმაოდ სიმპათიურ მამაკაცს გამოარჩევს. ის წარსულში ცნობილი მსახიობი და ამჟამად არანაკლებ ცნობილი რეჟისორი, პოპულარული სერიალების ავტორი გოგი გორგილაძე აღმოჩნდება. ბუნებრივად მომხიბვლელ პატარა სოფლელ გოგოს ბატონი გოგიც მაშინვე შეამჩნევს და ლამის გაცნობისთანავე პაემანს დაუნიშნავს.

ნინი სიხარულით მეშვიდე ცაზეა და თავი უკვე თაყვანისმცემლებით გარშემორტყმულ უმშვენიერეს ქალადაც კი წარმოუდგენია. თუმცა, ცხოვრებისეული რეალობა, ცხადია, სულ სხვაგვარი აღმოჩნდება და შალვა ბიძიას ხათრით ნინის რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად დააწყებინებენ მუშაობას.

ამ საუბრიდან ერთი დღის შემდეგ ნინიმ კალენდარში მორიგი რიცხვი დიდზე დიდი სიამოვნებით გადახაზა. კიდევ ერთი დღის შემდეგ კი, ფართხუნა შარვალი ამოიცვა, ქუჩა გადაჭრა და... რესტორან ,,მირაჟის“ სამრეცხაოში ჭურჭლის მრეცხავის თანაშემწის ,,პოსტი“ დაიკავა.

იმ დღეს შალვა ბიძიამ ის დილაადრიან წამოახტუნა — შეფ-მზარეულს ჯამ-ჭურჭელი მარტო გარეცხილი კი არა, გამშრალ-გაპრიალებულიც უნდა დაახვედროო.

სამრეცხაოში მისულ ნინის სიგარეტის ნამწვავებში არეული საჭმლის ნარჩენებისა და პომადით მოთხვრილ ქაღალდის მოჭმუჭნილი ხელსახოცებით სავსე ჭუჭყიანი ჭურჭლის დანახვაზე კინაღამ გული აერია, მაგრამ შემდეგ თავს ძალა დაატანა და მთელი ეს საშინელება ნაგვის კონტეინერებში ჩაწმინდა. ჭურჭელი სარეცხ მანქანაში ჩააწყო და მანქანა ჩართო.

დროდადრო, სამრეცხაოში ნუცა შემოირბენდა ხოლმე და არაქათგამოცლილ ნინის, როგორც შეეძლო, ისე ამხნევებდა. ერთხელ აჩიკოც გამოჩნდა. ოფიციანტს სახეზე უხამსი ღიმილი დასთამაშებდა:

— აბა, როგორაა საქმე, ლამაზო? — ჰკითხა მან ნინის.

ნინის პასუხი არ გაუცია.

— რა იყო, ენა გადაყლაპე? — აჩიკო ნინის მიუახლოვდა და გვერდში თავხედურად ამოუდგა:

— გეშინია?

— ვისი? შენი?! — დამცინავად შეხედა ნინიმ. — შემთხვევით, შენ გადაღრძუებულ დედაბრებში ხომ არ გეშლები?

აჩიკომ გაღიმება სცადა, მაგრამ ტუჩები მხოლოდ უშნოდ დაემანჭა:

— განანებ, იცოდე!..

— ფეხები არ მომჭამო... თუ აქედან ახლავე არ აორთქლდები, ისეთ კივილს მოვრთავ, რომ მთელ რესტორანს შეგიყრი! — ნინიმ ამ სიტყვების შემდეგ ხელი უზარმაზარ ჩამჩას წამოავლო და აჩიკოს ცხვირწინ დაუტრიალა: აქაოდა, ყველაფერთან ერთად, შეიარაღებულიც ვარ და მიფრთხილდიო.

ამ დროს სამრეცხაოს ზღურბლზე ნუცა გამოჩნდა:

— აჩიკო! — დაუძახა მან ოფიციანტს, მაგრამ გაცოფებულ აჩიკოს აშკარად არაფერი გაუგონია.

— არჩილ, არ გესმის? — გაუმეორა ნუცამ. — ,,კუხნაში“ შეკვეთა გიცივდება, დარბაზში მორიგი დედაბერი გელოდება, შენ კი აქ ლაზღანდარობ?

— უხ, შენი, კიდევ ჩამივარდები ხელში და მერე ვნახოთ... — დაემუქრა აჩიკო ნინის და სამრეცხაოდან გავარდა.

ჩამჩამომარჯვებული ნინის დანახვაზე ნუცას სიცილი აუტყდა:

— კარგი, კარგი, დამშვიდდი. ისე მაგარი იარაღი კი გიშოვია. რამე რომ ყოფილიყო, მართლა ჩაარტყამდი?

— ჩავარტყამდი კი არა, მდუღარესაც კი არ გადავასხამდი? — უპასუხა ნინიმ.

— იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო? აჩიკო საზიზღარი ტიპია, მაგრამ მდიდარ კლიენტ ქალებს იზიდავს...

— კლიენტებს თუ ბოზებს?

— ჰო, მაგრამ რესტორანს მათი ფულები

ძალიან სჭირდება. ამიტომაცაა, რომ აჩიკოს აქ ვერაფრით ელევიან. ასე რომ, მასთან ჩხუბს მაინც არ გირჩევ, რადგან წაგებული მხოლოდ შენ დარჩები...

— ვიცი. შალვა ბიძიამ უკვე გამაფრთხილა...

— ჰო-ო-ო... შალვა... შალვა კარგი კაცია, მაგრამ... — სიტყვა აღარ დაამთავრა ნუცამ, ნინის საშრობიდან ჭურჭლის ამოლაგებაში მიეხმარა, ურიკაზე დააწყო და სამზარეულოსკენ გაგორა.

უამრავი საქმით გაბრუებულს, ვერც კი გაეგო, როგორ მოიტანა სადილობის დრომ, ნინიმ ჭურჭლის საშრობი მოათვალიერა და როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად ცარიელი იყო, რეზინის ხელთათმანები წაიძრო და თვალში ის კარი ეცა, რომელშიც დილით ნუცა გავიდა. ნინიმ კარი გამოაღო და ვიწრო დერეფანში აღმოჩნდა. დერეფნის ბოლოს კიდევ ორი კარი იყო. ნინიმ უკვე იცოდა, რომ ერთი სამზარეულოში გადიოდა, მეორე შეაღო.

ამჯერადაც დერეფანში აღმოჩნდა, ოღონდ, ის უფრო ფართო და გრძელიც იყო და ურმის თვალივით დაყოფილი უზარმაზარი ფანჯრით მთავრდებოდა. ნინი ფანჯარას ისე ფეხაკრეფით მიუახლოვდა, თითქოს ვიღაცას ეპარებაო. უცბად რესტორნის მთელი დარბაზი თვალწინ ხელისგულივით გადაეშალა.

ნინი ყველას და ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებოდა: გახამებულ სუფრაგადაფარებულ ფაიფურისა და ბროლის ჭურჭლითა და ვერცხლის დანა-ჩანგლით გაწყობილ მაგიდებს საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული ქალები და კაცები უსხდნენ. მათ თავს ლურჯ საფირმო შარვლებსა და თეთრ გაქათქათებულ პერანგებში გამოწყობილი ოფიციანტები დასტრიალებდნენ.

ნინი თვალს არ აცილებდა ძვირფას სამკაულებასსმულ ლამაზ, ნაკლებად ლამაზ, ანდა სულაც გულმიუსვლელ ქალებს და თავისთვის ერთი ფრიად საჭირო დასკვნაც გამოჰქონდა: მე ბევრ მათგანზე ლამაზი და ბევრად ახალგაზრდაც ვარო!

ოფიციანტებს შორის აჩიკო მაშინვე ამოიცნო. ის სარკესავით კრიალა პარკეტზე კი არ დააბიჯებდა, თითქოს, დასრიალებდა და ვიწრო თეძოებს დედაკაცივით გამომწვევად არხევდა. ნინის მოეჩვენა, რომ აჩიკო თავის სახედაღარულ, საგულდაგულოდ გამოპრანჭულ კლიენტ ქალებს ათასნაირ დელიკატესს კი არა, საკუთარ თავს სთავაზობდა...

— ეს ვინღაა? — მოესმა უცბად ნინის ზურგს უკან მამაკაცის ბოხი ხმა და მაშინვე მოიხედა. მას გოლიათივით მაღალი და ჩასხმული მამაკაცი უახლოვდებოდა, რომელსაც გულზე უზარმაზარი თეთრი წინსაფარი ჰქონდა აფარებული.

— ვინ, მე-ე-ე? — დაიბნა ნინი.

— მგონი, აქ, ჩვენ ორის გარდა, სხვა არავინაა — დაიბუხუნა ისევ გოლიათმა, — მე ვინცა ვარ, ჯერჯერობით ნამდვილად არ დამვიწყნია. ასე რომ, ახლა შენს ამბავს ვკითხულობ: ვინა ხარ და აქ რას აკეთებ?

— ვათვალიერებ.

— რას მეუბნები? შენ რა, უფასო წარმოდგენის საყურებლად მოგიწვიეს?

— არა, ჭურჭლის სარეცხად...

— გასაგებია. ესე იგი, შენ ახალი ჭურჭლის მრეცხავი ხარ...

— ათიანში მოარტყით! — ნინის, რატომღაც, დიტოს სიტყვები მოადგა ენაზე და გაეღიმა.

— სასაცილოს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ! — იგრგვინა უცბად გოლიათმა, — ახლავე სამრეცხაოში მოუსვი და სხვა დროს აქ გამოსული აღარ გნახო, თორემ...

„წადი, შენი!..“ — გულში შეუკურთხა ნინიმ გოლიათს და სამრეცხაოსკენ გაქუსლა.

სამუშაოს შემდეგ ყველანი ისევ სამრეცხაოს გრძელ მაგიდას შემოუსხდნენ. არაქათგამოცლილმა ნინიმ ვახშამზე უარი თქვა და შინისკენ წალასლასდა: ერთი სული ჰქონდა, ნიშამდე მიეღწია და ლოგინზე მიგდებულიყო...

როცა შინ მოგვიანებით მიბრუნებულმა შალვა ბიძიამ ქაფქაფა ჩაი შეუტანა, ნინის უკვე ღრმად ეძინა...

იმ საღამოს ნინის კალენდარში მორიგი რიცხვის გადაშლაც კი დაავიწყდა...

მეორე სამუშაო დღე ნინის პირველზე უფრო მძიმე მოეჩვენა, იმიტომ რომ ერთ ღამეში დასვენება კი არა, სულის მოთქმაც კი ვერ მოასწრო. თანაც, დილიდანვე, პირველი უსიამოვნებებიც დაიწყო. ჯერ იყო და ერთი და იგივე ტაფა უკან ორჯერ მოუბრუნეს: წესიერად გარეცხეო. ნინი ტაფას ხელში წაღმა-უკუღმა ატრიალებდა და ვერაფრით მიმხვდარიყო, კიდევ რა უნდა ექნა: მისი აზრით, ტაფა სარკესავით პრიალებდა... ცოტა ხანში კი სამრეცხაოში თავად შეფ-მზარეული გამოჩნდა. ის სწორედ ის გოლიათი აღმოჩნდა, წინა საღამოს ნინის, რესტორნის დარბაზში ჭვრიტინისას რომ წაასწრო.

სიცხით აჭარხლებულ და თმაგაბურძგნილ ნინის შეფი თავს იმ დროს წამოადგა, ცხელი წყლისგან შეშუპებულ ხელებზე წამოცმულ რეზინის ხელთათმანს რომ „ებრძოდა“, მაგრამ ვერაფრით იძრობდა.

— სახელი? — ჰკითხა შეფმა მკაცრად.

— ვისი?

— ჩემი სახელი, ჯერჯერობით, არ დამვიწყნია, შენსას გეკითხები...

— მე ნინი მქვია. თქვენ?

შეფს ხშირი, ქუთუთოებზე ჩამოფხატული წარბები გაკვირვებისგან დროებით შუბლზე აუვიდა, მაგრამ მაინც არაფერი შეიმჩნია:

— პირველი დღეა?

— არა, მეორე, — უპასუხა ნინიმ და გულში დაუმატა: „და, ალბათ, უკანასკნელიც...“

— ერთი კვირის შემდეგ საქმე გაგიადვილდება.

— ერთ კვირაში სულიც ამომხდება!

— დაიმახსოვრე: შენისთანები ას წელიწადს ცოცხლობენ, მანამდე კი ყველა ჩვენგანის „იქით“ გასტუმრებას მოასწრებ... გასაგებია?

— გასაგებია.

— მაშინ ცოტა კიდევ შეეცადე და ყველაფერი კარგად იქნება.

— ვეცდები, — ამოიოხრა ნინიმ და გულში დააყოლა: „ძალიან ვეცდები, რომ „იქ“ ყველანი მართლა ჩემზე წინ გაგისტუმროთ.

— ჰო, შეეცადე...

შეფი მართალი აღმოჩნდა: ერთი კვირის შემდეგ ნინი ისე ძალიან ნამდვილად აღარ იღლებოდა. საქმესაც, ასე თუ ისე, შეეჩვია, მაგრამ სამუდამოდ შეიძულა.

— შალვა ბიძია, — ჰკითხა ნინიმ ერთ საღამოს, — რა უნდა გავაკეთო, რომ ბარში სამუშაოდ რაც შეიძლება სწრაფად გადამიყვანონ?

— რაც შეიძლება, კარგად უნდა იმუშაო.

— რას ამბობ? მე რომ ჩემი სამუშაო მართლა კარგად შევასრულო, სამრეცხაოდან ჩემს სადმე გადაყვანაზე ხომ არასდროს აღარავინ იფიქრებს!

— მაგრამ თუ ცუდად იმუშავებ, საერთოდაც გაგაგდებენ...

— ამიტომაც გეკითხები, რა გავაკეთო-მეთქი? — გაცხარდა ნინი.

— არ ვიცი, — უმწეოდ აიჩეჩა მხრები შალვა ბიძიამ.

— მე ვიცი, უფრო სწორად, ვხვდები, რაც უნდა გავაკეთო და გავაკეთებ კიდეც... შენ, ოღონდ, ხელი არ შემიშალო...

შალვა ბიძია მიხვდა, რომ ნინის თავში მაკვარანცხული აზრი მწიფდებოდა, ამიტომ ერთი ამოიოხრა და თავადაც მოახლოებული პრობლემებისთვის დაიწყო მზადება..

მეორე დილით ნინი ლოგინიდან გათენებისთანავე წამოხტა და საბაზანოში განმარტოვდა. ჯერ, კარგა ხანს, შხაპის ქვეშ იდგა, შემდეგ ტანი გულმოდგინედ შეიმშრალა და ათასნაირი არომატიზებული კრემიც გულდაგულ შეიზილა. იღლიებში დეზოდორანტი შეიშხაპუნა. ქუთუთოებზე „ჩრდილები“ დაიდო, წამწამები საგულდაგულად აიპრიხა. ტუჩებზე კი ზომაზე მეტად მუქი პომადა წაისვა, რადგან, მისი ღრმა რწმენით, ასე რომელიღაც ცნობილ მსახიობს ჰგავდა, ოღონდ, რომელს, ვერაფრით გაიხსენა. ვარცხნილობის ჯერიც დადგა. ნინიმ თავისი წაბლისფერი და ბუნებრივად მბზინავი თმა სარკეში კარგა ხანს ათვალიერა, ბოლოს რატომღაც, თივის ზვინივით აიჩეჩა და ამ „მიგნებით“ აშკარად კმაყოფილიც დარჩა.

საბაზანოდან გამოსულმა ნინიმ კომოდის უჯრიდან ის ერთადერთი მინი-ბოლოკაბა ამოაძვრინა — ამით სოფელში გავლილი არ დაგინახოო, მამა რომ აფრთხილებდა — და სასწრაფოდ ამოიცვა. ბოლოს, ეს ყველაფერი

„ძონძების“ მაღაზიაში ნაყიდი გამჭვირვალე „ბლუზკით“ „დააგვირგვინა“ და კიბეზე კისრისტეხით დაეშვა.

მაგრამ ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო. რესტორანთან კი წამლად ერთი მანქანაც კი არ იდგა. ნინი მიხვდა, რომ ძალიან იჩქარა, რადგან მათ, ვისთვისაც ის ასე საგანგებოდ მოირთო და მოიკაზმა, ჯერაც ტკბილად ეძინათ. მაგრამ სხვა გზა არ იყო და საკუთარი ხიბლის გამოცდა, ნინომ ამჯერად, რესტორნის დაცვაზეღა სცადა.

ღამენათევმა და მობუზულმა დაცვის ბიჭებმა ნინის დანახვაზე ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს, შემდეგ, აღფრთოვანებისა თუ გაოგნების ნიშნად, წაუსტვინეს კიდეც და ნინის თავი დაუკრეს. ნინიმ კი მათ, პასუხად, თავისი „მომნუსხველი ღიმილი“ სტყორცნა და სამრეცხაოს მიაშურა.

სამრეცხაოში უკვე ვიღაც მუშაობდა. „ეტყობა, ცირაა, მთავარი მრეცხავი“... „თავარზე“ ნინის გულში გაეცინა.

მრეცხავი მართლაც ცირა აღმოჩნდა. ის უკვე კარგა ხანია, ავადმყოფობდა და ახლაც სამუშაოს დაკარგვის შიშით გამოსულიყო, თორემ ხველებას ჯერაც არ გაევლო და სულს არ ათქმევინებდა.

ნინის დანახვა ცირას აშკარად გაეხარდა. მაგრამ როცა კარგად დააკვირდა, იქვე მდგარ უზურგო სკამზე მაშინვე უმწეოდ ჩამოჯდა. „ნეტავ, მრეცხავად ამ მოთხუპნილი „კუკლის“ დაყენება თავში ვიღას მოუვიდაო? — გაიფიქრა მან და ისე ამოიოხრა, თითქოს, გულიც თან ამოაყოლაო:

— ახალი მრეცხავი ხარ?

— გახლავარ.

— რა გქვია?

— ნინი.

— მე ცირა ვარ.

— ვიცი. შენზე უკვე მომიყვნენ...

— რაო?.. ლოგინად ჩავარდა, ალბათ, ველარც წამოდგება და სასწრაფოდ შემცვლელი სჭირდებაო?

— მე აქ არავის შეცვლას არ ვაპირებ...

— რას მეუბნები? აბა, რას აპირებ?

— ბარში გადასვლას...

— რაღაც არ გამიგია, რომ იქიდან შენთვის ვინმეს მოსაწვევი გამოეგზავნოს...

— გამომიგზავნიან... სხვა რა გზა ექნებათ...

ცირა ნინის თავხედობამ საბოლოოდ გააოგნა:

— აქამდე არსად გიმუშავია?

— კი. მამაჩემის ფერმაში.

ნინი თან ლაპარაკობდა და თან მუშაობდა. ცირა კი ძველებურად სკამზე იჯდა და აკვირდებოდა: „ისე, დამწყების კვალობაზე, ცუდად ნამდვილად არ გამოსდის...“ — დაასკვნა მან ბოლოს და ოდნავ გულიც მოულბა. შემდეგ წამოდგა და ნინის გარეცხილი ჭურჭელი საშრობში გადააწყობინა.

— ვერ გამიგია, აქ, მაინც, როგორ მოხვდი?

— ბიძაჩემმა მომიყვანა...

— ბიძაშენი ვინღაა?

— შალვა, კარისკაცად რომ მუშაობს...

— აჰ, შალვა? მაშ, შენა ხარ ის საყვარელი ძმისშვილი, სოფლიდან რომ გამოიძახა?

— მე ვარ.

— იცი, რას გეტყვი? ცუდი გოგო, ნამდვილად არ ჩანხარ, მაგრამ ბიძაშენს შენ მაგივრად, მაინც, ნუცას „გამოძახება“ ერჩია.

— ნუცა რაღა შუაშია? — ვერ გაუგო ნინიმ.

— შუაში კი არა, თავშია. ნუცას ბიძაშენზე სული ელევა. ეგ ბებერი ვაცი კიდევ ტლინკებსა ყრის, გეგონება სხვა ქალები კალთებს ახევდნენ. ჰოდა, ერთხელაც იქნება, ჩვენს ნუცასაც მოჰბეზრდება ლოდინი და...

— მერე რას იზამს?

— სხვა კაცს იპოვის... მგონი, უკვე იპოვა კიდეც...

— მაინც, ვისზე გაქვს ეჭვი? — დამცინავად ჰკითხა ნინიმ.

— ბიძაშენის „სმენა“ თუ გაიცანი?

— ვი-ი-ინ? მათე?.. ის ლოტოს კოჭი?..

— შენ ლოტოს კოჭი უძახე და ერთ ოჯახს ხომ ინახავს და მგონი, არც მეორის მოკიდებისა უნდა ეშინოდეს... ბიძაშენი შალვა კიდევ... — ხელი ჩაიქნია ცირამ.

— მათეს ცოლი თუ უკვე ჰყავს, ნუცა რაღად უნდა? — აშკარად ვერ გაუგო ნინიმ ცირას.

— ცოლი მოუკვდა. მარტო შვილები ჰყავს. გოგო, მგონი, სულაც, შენი ტოლი უნდა იყოს...

ცირა სხვებზე ჭორაობამ აშკარად გაახალისა და როგორც კი სარეცხი მანქანა ჩართო, თავადაც ლამის მოტორივით ჩაირთო და ყველაფერი თვალის დახამხამებაში გარეცხა და გააკრიალა.

„ერიჰა-ა-ა?! — გაიფიქრა ნინიმ, — სანამ მეც ასე არ „დავციკლულვარ“, აქედან უნდა გავასწრო...

— შეფს ძალიან უყვარს, როცა მისი მოსვლისთვის ყველაფერი გარეცხილ-გაკრიალებული ხვდება, — თქვა ბოლოს საქმეს მორჩენილმა ცირამ.

— ვიცი.

— თუ იცი, მაშინ ერთიც დაიმახსოვრე: თუ გინდა, სიცოცხლის ბოლომდე ამ ორთქლში არ ამოგხარშონ, პირველ რიგში, სწორედ შეფს უნდა ასიამოვნო... — დაარიგა ცირამ ნინი.

— ეგეც ვიცი, მაგრამ იმას კი არავინ მასწავლის, რით და როგორ უნდა ვასიამოვნო. შემთხვევით, შენ ხომ არ იცი?..

ნინის დამცინავი ტონით განაწყენებულმა ცირამ მშრალი ჭურჭელი ურიკაზე უხმოდ გადააწყო.

— კარგი, კარგი, ვიხუმრე. შენი წყენინება არც კი მიფიქრია. მომეცი, ჭურჭელს მე გავიტან, — უთხრა მას ნინიმ და ტაფებითა და ქვაბებით სავსე ურიკა სამზარეულოსკენ გააგორა.

შეფ-მზარეული გრიშა ჯერ ადგილზე არ იყო და ნინიმაც მთელი ჭურჭელი სამზარეულოში მდგარ ფოლადის თხელფირფიტაგადაკრულ მაგიდაზე გადააწყო და ისევ სამრეცხაოში დაბრუნდა.

— რაო, გრიშა არა ჩანს? — ჰკითხა მას ცირამ.

— არა.

— მაშინ, მოდი, რამე შევჭამოთ. ყველი და პური გინდა?

— არა.

— მე კი შევჭამ, ავადმყოფობამ ძალიან დამასუსტა და ძალების მოკრება მჭირდება.

ცირამ კარადიდან ლავაში გამოიღო, ხელით შუაზე გაგლიჯა, შიგ კარგა მოზრდილი სულგუნის ნაჭერი ჩადო და მადიანად ჩაკბიჩა. თან ენასაც არ აჩერებდა:

— შალვა ნუცას ამბავს, ალბათ, ძალიან დარდობს, ხომ?

— რა ამბავს?

— რა და... ხომ შეიძლება, ადგეს და მათეს მართლა გაჰყვეს?..

— ჰო-ო-ო, მაგას ნამდვილად ძალიან დარდობს, — „ბეჭედი დაუსვა“ ნინიმაც.

— მაგას რა ვუთხარი!.. აბა, ნუცასნაირ ქალს კაცი სხვას დაუთმობს?.. იცი, რომ თბილისში შენი ჩამოყვანაც ნუცამ ჩააგონა?

— რას მეუბნები?

— აბა რა? გაუთავებლად ეჩიჩინებოდა: ხომ

ხედავ, ბერდები და შენი სახლ-კარი უცხოს რატომ უნდა დარჩესო?..

ამასობაში ცირამ ჭამაც მოათავა:

— ახლა კი ერთი ორი ყლუპიც გადავკრათ, — თვალი ჩაუკრა მან ნინის და ის იყო, მაგიდის კუთხეში მდგარ არყის ბოთლს წაეტანა, რომ სამრეცხაოში შეფიც გამოჩნდა.

— ვინ ჭკვიანს მოუვიდა თავში აზრად ჩემს სამუშაო მაგიდაზე ჭურჭლის ახოხოლავება? — დაიგრგვინა მან.

— იქ ყველაზე მეტი თავისუფალი ადგილი იყო და... — დაიწყო ნინიმ თავის მართლება, მაგრამ შეფმა გააწყვეტინა:

— აბა, წამომყევი! — უბრძანა მან ნინის.

ნინი შეფს უხმოდ აედევნა. სამზარეულოში შესვლისთანავე, შეფმა მაგიდაზე მიუთითა:

— აქ არასდროს არაფერი დავინახო! გასაგებია?

— აბა სად? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ნინიმაც.

— სად და აი, აქ! — ისევ დაიგრგვინა შეფმა და ნინის მეზობელ მაგიდაზე მიანიშნა.

— კარგი, მანდ იყოს! ჩემთვის სულერთია...

— მერედა, ვინ გითხრა, რომ შენი აზრი ვინმეს აინტერესებს? გითხარი, აქ დაიწყობ-მეთქი და დააწყობ! გასაგებია? — თვალები დაუბრიალა შეფმა ნინის.

ნინის ერთი სული ჰქონდა, ეთქვა, — თუ გინდა, თავზეც დაგაწყობო, — მაგრამ იცოდა, რომ ბარში ამ კაცის გარეშე ვერასოდეს გადავიდოდა და ამიტომ, ისე მოიბუზა, თითქოს შეფის სიტყვებს მისთვის მართლაც გული გაეხეთქა.

— ჰო, კარგი, კარგი, ამ ერთხელ გაპატიებ, — მოლბა ბოლოს შეფი. — რესტორანში კიდევ იჭყიტები ხოლმე?

— არა...

— ძალიან კარგი, შენ იქ, ნამდვილად, არაფერი გესაქმება...

,,მაგასაც ვნახავთ''... — გაიფიქრა ნინიმ და ვითომ, თანხმობის ნიშნად, შეფს თავი მორჩილად დაუქნია...

შალვა გრძელიშვილმა გაღვიძებისთანავე საათს დახედა: ნინი სამრეცხაოში ერთი საათის წასული მაინც უნდა ყოფილიყო... ,,მეც კარგი ვინმე ვარ, — ფიქრები აეშალა შალვას, — ქალაქში ჩამოსულ გოგოს თვალის გახელაც კი არ ვაცალე, თავი მაშინვე სამრეცხაოში ამოვაყოფინე... არა, რაც მართალია, მართალია, ქალებთან ურთიერთობას ვერასოდეს ვახერხებდი და რაღა ძმისწული იქნებოდა გამონაკლისი... არადა, ისიც ხომ უკვე პატარა ქალია და მეტი ყურადღება სჭირდება...'' უცბად შალვას თვალი ნიშისკენ გაექცა და ფიქრის ძაფიც მაშინვე გაუწყდა: ნინი, შინიდან გასვლისას ნიშის ფარდას გადასწევდა ხოლმე, ახლა კი ის ბოლომდე იყო გადაფარებული. შალვა საწოლიდან წამოდგა, ნიშამდე ფეხაკრეფით მივიდა, ფარდა გადასწია და საწოლზე კატის კნუტივით მოკუნტული ნინი დაინახა.

— ავად ხომ არა ხარ? — ჩურჩულით ჰკითხა ბიძამ ძმისშვილს.

— არა.

— აბა აქამდე რას წევხარ? სამრეცხაოში არ გაგვიანდება?

ნინი ლოგინზე წამოვჯდა და გემრიელად გაიზმორა:

— დღეს სამრეცხაოში საერთოდ არ მივდივარ.

— არ მიდიხარ? — გაოცება ვეღარ დამალა შალვა ბიძიამ.

— ჰო, ერთ ადგილზე ვარ მისასვლელი და არ მცალია.

— როგორ თუ არ გცალია? გესმის, რას ამბობ?

— მესმის! — მოუჭრა ნინიმ, ლოგინიდან მკვირცხლად წამოხტა, სააბაზანოში შევიდა და კარი ხმაურით შეიკეტა.

,,ვაგიჟდა ეს გოგო თუ რა არის? სადღაც უნდა წავიდეო... არა, გრიშა ამას ნამდვილად აღარ მაპატიებს და გარეთ გამოუძახებს'', — შეწუხდა შალვა ბიძია, თუმცა, მალევე დამშვიდდა: ,,ძალიანაც კარგი, თუ გამოუძახებს... იქნებ, ასეც სჯობდეს... ნინი ცოტას დაისვენებს, მიმოიხედავს და, იქნებ, უკეთესი სამუშაოც კი გამოუჩნდეს...

ამჯერად ნინი სააბაზანოდან ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად და, თანაც, საგულდაგულოდ დაბანილ-დავარცხნილი და ჩაცმულიც გამოვიდა.

— ისე, მაინც, სად მიდიხარ? — ჰკითხა მას შალვა ბიძიამ.

— რა მნიშვნელობა აქვს...

— ჩემთვის აქვს...

მაგრამ ნინის ხმა არ ამოუღია.

— ის მაინც მითხარი, როდის დაბრუნდები? — მაინც არ ეშვებოდა შალვა ბიძია.

— ალბათ, ერთ-ორ საათში.

ნინის, ასე თუ ისე, დაკონკრეტებულმა პასუხმა შალვა ბიძია, ეტყობა, ცოტათი მაინც დააშშვიდა და მეტი აღარაფერი უკითხავს.

ნინიმ კი, ამასობაში, მხარზე ჩანთა გადაიკიდა და კიბეზე დაეშვა. როგორც კი სადარბაზოდან გავიდა, მაშინვე ქუჩის კუთხეში შეუხვია, რათა რესტორნიდან ვინმეს მისთვის თვალი არ მოეკრა. შემდეგ ცოტა კიდევ გაიარა და ტაქსი გააჩერა...

დიტოს მიერ დათქმულ დრომდე კიდევ რამდენიმე დღე რჩებოდა, მაგრამ ნინიმ გადაწყვიტა, მათი მომავალი პაემნის ადგილი, მანამდე, ერთხელ მაინც ენახა.

ტაქსიში მჯდარი ნინი ფანჯარას თვალს წუთითაც არ სწყვეტდა და ყველა კუთხე-კუნჭულს გულმოდგინედ იმახსოვრებდა. მალე მანქანამ ცენტრალური ქუჩიდან გადაუხვია, ერთ ვიწრო ქუჩას მაღლა-მაღლა აუყვა და. ცოტა ხანში, კოპწია ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდა:

— ესეც თქვენი სასტუმრო ,,კინო'', — მოახსენა ნინის მძღოლმა და მანქანის ძრავა გამორთო.

ნინიმ მძღოლს ფული გადაუხადა და მანქანიდან უსიტყვოდ გადავიდა.

სასტუმროს წინ, ლამაზი შადრევნიდან ამოსული წყალი მზეზე ათასფრად ელვარებდა. შადრევნის ორივე მხარეს, სასტუმროში შესასვლელ კარამდე, პატარა ხის სკამები იყო ჩარიგებული. ნინი პირველივე სკამზე ჩამოჯდა და შადრევანს მიაშტერდა.

— კინოსინჯებზე მოხვედი? — ფიქრებში წასულ ნინის მამაკაცის საკმაოდ სასიამოვნო ხმა ჩაესმა და მაღლა აიხედა. მას თავზე თითქმის პირტიტველა ბიჭი წამოსდგომოდა და ალალად უღიმოდა.

— არა, — უპასუხა ნინიმ და, აქაოდა, საუბარი დამთავრებულიაო, ისევ შადრევანს მიაშტერდა.

— აბა შენნაირ ლამაზ გოგოს აქ სხვა რა მოიყვანდა? — არ მოეშვა ბიჭი.

— გოგა, აღარ მოგბეზრდა ლაზღანდარობა? მოეშვი მაგ გოგოს. ხომ ხედავ, შენ ხასიათზე არ არის, — გამოსძახა ბიჭს სასტუმროს ზღურბლზე გამოჩენილმა სანდომიანმა ხანში შესულმა ქალმა.

— შენ რასაც არ დაინახავ, ამ სასტუმროში ისეთი ხომ არაფერი ხდება?! — შეუღრინა ბიჭმა ქალს, ნინის თავი ზრდილობიანად დუკრა, კიბეზე აირბინა და სასტუმროს გამოღებულ კარში გაუჩინარდა.

ცოტა ხანში, ქალი გვერდით მიუჯდა ნინის:

— მე დეიდა მარო ვარ, ამ სასტუმროს დამლაგებელი... ვის ეძებ, შვილო, იქნებ, დაგეხმარო? — ჰკითხა მან ნინის.

ნინიმ ქალს გვერდულად გამოხედა:

— არავის. ისე შემოვიარე. აქ ყველაფერი ძალიან ლამაზი ყოფილა...

— მართალი ხარ! — წელში ამაყად გასწორდა დეიდა მარო — ჩვენი სასტუმრო პატარა კია, მაგრამ მართლა ავი თვალით არ ინახვება... შენ შიგნით უნდა ნახო, როგორაა მოწყობილი... წამო, თუ გინდა, დაგათვალიერებინებ...

— არა, ახლა არ მცალია, სხვა დროს იყოს... — უთხრა ნინიმ.

— რა? კიდევ აპირებ აქ ამოსვლას?

— ვაპირებ.

— ამოდი, ამოდი. ღამის გასათევი თუ არა გაქვს, ახლაც დარჩი. ერთი პატარა ოთახი მაქვს აქა, ჩემთან დაგაძინებ...

— კარგით. მეორედ რომ ამოვალ, აუცილებლად დავრჩები...

— მარო დეიდა იკითხე, ყველა მოგასწავლის... ისე, შენ, ალბათ, ბებიად უფრო შეგეფერები... ეს ბიჭიც ჩემი შვილიშვილია, გოგაზე გეუბნები... ნუ გეშინია, უბატონოდ ხმასაც ვერ გაგცემს... — დააყოლა ქალმა ჭიშკარში გასულ ნინის...

გაგრძელება იქნება

ოტოხული ძრავით აღჭურვილი Mazda



მომავალი წლის გაზაფხულისთვის, იაპონური ფირმა „აზდა" თავისი ახალი სპორტული მოდელის – RX-8-ს ბაზარზე გამოშვებას აპირებს. ეს ავტომობილი ჯერჯერობით მხოლოდ ე.წ. პროტოტიპის სახით არსებობს. მასში ჰარმონიულადაა შერწყმული სილუეტის მოხდენილი სპორტული კონტური და ხალვათი და კომფორტული სალონი. ეს ალბათ ერთადერთი ოთხკარიანი სპორტული ავტომობილია მსოფლიოში. მაგრამ მისი მთავარი ღირსება სულ სხვაა: ახალი „მაზდა" ე.წ. ვანკელის როტორული ძრავით იქნება აღჭურვილი, რომლის ნაწილებს შორის ვერ ნახავთ სხვა ძრავებისთვის ჩვეულ დგუშებს. ეს აგრეგატი გასული საუკუნის 50-იან წლებში გერმანელმა გამომგონებელმა, ფელიქს ვანკელმა შეიმუშავა და იმთავითვე დიდი მოწონება ხვდა წილად ავტომწარმოებელთა წრეებში. მაშინ ახალი ძრავის გამოყენებით არაერთი ექსპერიმენტი ჩაუტარებიათ „მერსედეს-ბენცს", „ჯენერალ მოტორსსა" და „ფოლკსვაგენს", მაგრამ უშედეგოდ: ვანკელის ძრავის მომსახურება მეტისმეტად რთული აღმოჩნდა, ამას მისი „დიდი მადაც" დაემატა – ყოველ 100 კმ-ზე 20 ლ-მდე საწვავს ხარჯავდა. ერთადერთი ფირმა, რომელიც არ შეუშინდა ამ გარემოებებს, „მაზდა" აღმოჩნდა. 1961 წელს მან როტორული ძრავის პატენტი შეიძინა. იაპონელმა სპეციალისტებმა გერმანული კონსტრუქცია გააუმჯობესეს და სერიული ავტომობილებისთვის გამოიყენეს. საერთო ჯამში, იაპონურმა ფირმამ ამ ძრავით აღჭურვილი 1,8 მლნ მანქანა გამოუშვეს.

ახალი ძრავა, რომლითაც Mazda RX-8 აღიჭურვება, ფელიქს ვანკელის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად დამზადდა. მისი სიმძლავრე 240 ცხ.ძ-ა, საწვავის ხარჯი კი - 110 ლ-ს შეადგენს. ამასთანავე, ის ევროპაში მიღებულ ყველა ეკოლოგიურ ნორმასაც აკმაყოფილებს. როგორც ვარაუდობენ, RX-8, სპორტული ავტომობილისთვის საკმაოდ ხელსაყრელ ფასად – 35.000 ევროდ გაიყიდება. ■

ახალი BMW-ს საჭეს კომპიუტერი დაატრიალებს

გერმანული კონცერნი აქტიურად მუშაობს საჭის მექანიზმის დახვეწის მიმართულებით. და თუ სხვა ავტომწარმოებლების ექსპერიმენტები დაკავშირებულია ელექტრონული მართვის ისეთ სისტემებთან, რომელიც არ ითვალისწინებს მექანიკურ კავშირს საჭესა და ბორბლებს შორის, ბავარიელი ინჟინრები არ უარყოფენ ისეთ კლასიკურ ელემენტს, როგორიცაა საჭის ღერძი. კომპიუტერული მოწყობილობით აღჭურვილი სპეციალური ელექტროძრავა აკონტროლებს დატვირთვას, რომელიც ბორბლებზე მოდის. კრიტიკულ სიტუაციებში, როცა ავტომობილი ძლიერი გვერდითი ქარის არეში ან მოლიპულ გზაზე ხვდება, საჭის აქტიური მართვის სისტემა საშუალებას აძლევს მძღოლს, შეცვალოს ბორბლების დახრილობის კუთხე და ამით უფრო სტაბილურს ხდის ავტომობილს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, ელექტრონიკა გაცილებით სწრაფად რეაგირებს გარე ფაქტორებზე, ვიდრე ამას თავად მძღოლი შეძლებდა. საჭის აქტიური მართვის სისტემა ქალაქის გადატვირთულ ქუჩებში ავტომობილის დაყენებასაც აადვილებს.

მალე აღნიშნული სისტემით BMW-ს სერიული ავტომობილებიც აღიჭურვება. თუმცა, ექსპერიმენტები მაინც გრძელდება. თუ კონსტრუქტორებმა აბსოლუტურად საიმედო ელექტრონული სისტემის შემუშავება შეძლეს, რომელიც ყოველგვარი მექანიკური გადაბმის გარეშე უზრუნველყოფს საჭისა და ბორბლების დაკავშირებას, კონცერნი საბოლოოდ იტყვის უარს ავტომობილის ამ კვაძში მექანიკური საშუალებების გამოყენებაზე. ■

Touran – Volkswagen-ის იმედი

ბოლოს და ბოლოს, გერმანულმა კონცერნმა „ფოლკსვაგენმაც“ შექმნა კომპაქტური

ვენი, რომელსაც ავტოდილერები მომავალი წლის თებერვალში მიიღებენ. თავისი ზომით ახალი „ტიურანი“ ცოტათი სჯაბნის მთავარ კონკურენტს – „ოპელის“ ვენ ძაფირა-ს, რომელიც შარშანდელი წლის ნამდვილ ბესტსელერად იქცა (55000 გაიყიდა). „ტიურანის“ სიგრძეა 4,39 მ, სიგანე – 1,79 მ, სიმაღლე – 1,63 მ. სტანდარტულ კომპლექტაციაში მანქანა 5-ადგილიანი იქნება. მისი უკანა სავარძელი 3 ნაწილისაგან შედგება, თითოეული მათგანი ცალკე მოძრაობს, იკეცება და შეიძლება, ადვილად გამოიღოთ კიდეც სალონიდან. ოპციის სახით მყიდველს საშუალება ექნება, საბარგო განყოფილებისთვის ორი დამატებითი სავარძელი შეიძინოს. ასეთ შემთხვევაში, „ტიურანი“ 7-ადგილიანი გახდება. 5-ადგილიანი ვენის საბარგო განყოფილების მოცულობა 600 ლ-ს შეადგენს.

ავტომობილი სამი აგრეგატით – ორი ბენზინისა და ერთი – დიზელის ძრავით აღიჭურვება. მათი სიმძლავრე 100-დან 136 ცხ.ძ-მდე აღწევს. ძირითადი გადაცემათა კოლოფი – 6-საფეხურიანი მექანიკურია, დამატებითი თანხის საფასურად კი, ავტომატური კოლოფის დაყენებაც იქნება შესაძლებელი. საბაზო კომპლექტაციაში შედის: უსაფრთხოების 6 ბალიში, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა და ე.წ. საკურსო მდგრადობის სისტემა. კომპაქტურ ვენს ვოლფსბურგში მდებარე ქარხანა გამოუშვებს, სადაც მისთვის სპეციალური საწარმოო უბანი აშენდა.

კონცერნის ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს „ტიურანზე“. აქამდე მას არ უწარმოებია კომპაქტური ვენი და მისი პოტენციური მომხმარებლები „ფოლკსვაგენის“ ისეთი კონკურენტების პროდუქციას იძენდნენ, როგორებიცაა „ოპელი“, „პეჟო“ და „რენო“. ■

შიომისა და დასვენებისთვის განკუთვნილი Opel-ი

გერმანიის ქალაქ ჰანოვერში ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებული, კომერციული ავტომობილების საერთაშორისო გამოფენის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სიახლეს, ამერიკული კორპორაციის „ჯენერალ მოტორსის“ ქვედანაყოფის – „ოპელის“ მიერ ავტომოყვარულთა სამსჯავროზე გამოტანილი, ლუქსის კლასის მიკროავტობუსი Vivaro Business-ი წარმოადგენდა. როგორც ამბობენ, ეს თავისებური მობილური ოფისია. სალონი ძალზედ კომფორტული სავარძლებითაა აღჭურვილი, რომელიც 180 გრადუსით ტრიალებს და ნატურალური ტყავისა და ველურისგანაა დამზადებული.

Vivaro Business-ი 2,5 ლ-იანი, 133 ცხ.ძ-იანი ძრავითაა აღჭურვილი. მიკროავტობუსის მეორე მოდიფიკაცია – Vivaro Life აქტიური დასვენების მოყვარულთათვისაა განკუთვნილი. მანქანის სიგრძე 4,78 მ-ს შეადგენს. მისი ზომები ბევრად არ აღემატება ბიზნეს-კლასის სედანის გაბარიტებს, მაგრამ გაცილებით სჯაბნის მას კომფორტულობით. Vivaro Life-ის შექმნაში „ოპელის“ ინჟინრებს, დასავლეთში ცნობილი ფირმის – Westfalia-ს სპეციალისტები ეხმარებოდნენ, რომლებიც კემპერების – ბორბლებიანი სახლების დამზადებაში არიან დაოსტატებულნი. „ლაიფი“, მომხმარებლის არჩევანით, სამი აგრეგატით – 1.9 და 2,5 ლ მოცულობის დიზელისა და 2 ლ-იანი ბენზინის ძრავით იქნება აღჭურვილი. ავტომობილის სერიული წარმოება 2003 წლის მაისისთვისაა დაგეგმილი. ■

„რკინის მაიკი“ ჩვეულ ამპლუაშია

სახელის გატეხას, თავის გატეხა რომ სჯობს, ეს ალბათ ყველაზე კარგად მაიკ ტაისონს უნდა მოეხსენებოდეს, რომელიც ცოტა ხნის წინ, კვლავ გაეხვა სკანდალში. მსოფლიო ექსჩემპიონს ორიგინალურობით არც ამჟამად გამოუჩენია თავი. ისევე, როგორც ყოველთვის, იგი კვლავ საეჭვო რეპუტაციის მქონე ახალგაზრდა ქალთან მომხდარი შემთხვევის გამო მოექცა სამართალდამცავი ორგანოების ყურადღების ცენტრში. ამჯერად „რკინის მაიკს“ ქალაქ ფინიქსის ერთ-ერთი სტრიპტიზ-ბარის მოცეკვავის ცემაში სდებდნენ ბრალს, თუმცა პოლიციამ საგამოძიებო სამუშაო ოპერატიულად ჩაატარა და მოკრივის მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედების დამადასტურებელი ფაქტების არქონის გამო, საქმე უკვე დახურა კიდეც. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სტრიპტიზ-ბარში შესული მაიკი ერთ-ერთ ადგილობრივ სტრიპტიზიორს საცეკვაოდ გაუწვევია. მექალთანე მოკრივეს რატომღაც მისთვის ამ წინადადებაზე უარი უთქვამს, მაგრამ ათი დოლარით მაინც დაუსაჩუქრებია, ცოტა ხნის შემდეგ კი, მაიკი იგივე მოცეკვავესთან მისულა და ფიზიკური ძალის გამოყენებით, მისი „იმაზე“ დაყოლიება უცდია, რისთვისაც წარსულში არაერთხელ იყო გასამართლებული. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ სტრიპტიზიორმაც და გამომქომაგებელმა ერთმა ახალგაზრდამაც საკუთარ თავზე იწვნიეს „რკინის მაიკის“ მუშტის ძალა. რა თქმა უნდა, „დაზარალებულებს“ იოლად გამდიდრების საუკეთესო შანსი მიეცათ, თუმცა სტრიპტიზ-ბარში მისულმა პოლიციამ მათი ცემის დამადასტურებელი ფაქტები ვერ აღმოაჩინა და მთელი ეს ამბავი სკანდალური მაიკისაგან ფულის გამოძალვის მორიგ მცდელობად მიიჩნია, რაშიც, ცხადია, თავად მოკრივეც დაეთანხმა. ■

ილგაუსკასი სიმთვრალისთვის გაასამართლეს

„კლივლენდ კავალერზის“ „ცენტრს“ ჟიდრუნას ილგაუსკასს ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისათვის 30 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, 1.000 დოლარით დააჯარიმეს და მართვის მოწმობაც ჩამოართვეს, თუმცა, ლიტველ კალათბურთელს სამსახურში, სასწავლებელში ან სასურსათო მაღაზიაში მანქანით წასვლის უფლება ეძლევა. „შეცდომა დავუშვი, მაგრამ ეს აღარასოდეს განმეორდება“, – განაცხადა ილგაუსკასმა, – საგზაო წესრიგის დამცველები „კლივლენდ კავალერზის“ ავტომობილით იმის გამო დაინტერესებულან, რომ ის თურმე პირდაპირი მოძრაობის ნაცვლად, ქუჩაში ზიგზაგისებურად დადიოდა. დაკავებულ ილგაუსკასს სისხლში ნორმაზე ბევრად მეტი ალკოჰოლი აღმოსჩენია. სასამართლოზე „კავალერზის“ მწვრთნელმა, ჯონ ლუკასმა და ჟიდრუნასის თანაკლუბელებმა ტაირონ ჰილმა და ბიმბო კოულზმა განაცხადეს, რომ ეს შემთხვევა სრულიად არ შეეფერება ილგაუსკასის ხასიათს. ამასთანავე, მწვრთნელმა აღნიშნა, რომ ილგაუსკასს, ორგანიზმში ალკოჰოლისა და ნარკოტიკის შემცველობის დასადგენი ტესტის გავლა კლუბშიც მოუწევს. ■

ჰოკეი ელისაბედ მეოხესაც ჰყვარებია

9 ოქტომბერს სტარტი აიღო NHL-ის (ჰოკეის ნაციონალური ლიგა) ჩემპიონატმა. ჰოკეის ყველაზე პრესტიჟული ლიგის ახალი სეზონის გახსნის მთავარი ცერემონია ლოს-ანჯელესში გაიმართა, სადაც ერთმანეთს „კინგზი“ და „ფინიქსი“ შეხვდნენ.

ლეგენდარული უაინ გრეტცკის აქტიური სპორტული კარიერის დასრულებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, „ლოს-ანჯელეს კინგზის“ ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ჰოკეისტის 99-ნომრიან მაისურს კლუბის ვერც ერთი მოთამაშე ვეღარ მოირგებს. სამი წლის წინ კი, ანალოგიური გადაწყვეტილება ედმონტონშიც მიიღეს, სადაც გრეტცკიმ თავისი ვარსკვლავური კარიერა დაიწყო.

ჰოკეის მიმართ გულგრილად განწყობილი არ ყოფილა თავად მისი უდიდებულესობა, ელისაბედ II, რომელიც ცოტა ხნის წინ, კანადაში 12-დღიანი ვიზიტით ყოფნისას „ვანკუვერსა“ და „სან-ხოსეს“ შორის გამართულ შეხვედრას დაესწრო. თავად დიდი ბრიტანეთის დედოფლის თქმით, იგი უკანასკნელად ჰოკეის მატჩს 1961 წელს დაესწრო. მაშინ 25 წლის ელისაბედ მეორის ყურადღება „მონრეალ კანადიენსისა“ და „ნიუ-იორკ რეინჯერსის“ მატჩს მიუპყრია.

აღსანიშნავია, რომ „ვანკუვერ“-„სან-ხოსეს“ მატჩში სწორედ დედოფალმა შეიყვანა შაიბა თამაშში, თუმცა მისი პრესმდივნის, ჯონ ანდერსონის თქმით, ინგლისის პირველ ლედის ამის არცთუ ისე დიდი გამოცდილება აქვს...

თამაშში შაიბის შეყვანის შემდეგ, ელისაბედ II პირველი 20 წუთის განმავლობაში, საპატიო სტუმართა ლოჟიდან აღევნებდა თვალს თამაშს, რის შემდეგაც თავისი ამალითურთ დატოვა ჰოკეის მოედანი. ■

ეკვადორელმა მსაჯმა „მარსელონა“ დაჩაგრა

ახლა ეკვადორული

იტალია-კორეა. მატჩის მომენტი

ეკვადორელი მსაჯი ბაირონ მორენო, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე გამართული იტალია-სამხრეთ კორეის მატჩის შემდეგ გახდა ცნობილი, თავისი არაპროფესიონალიზმისა თუ დაუდევრობის გამო, კვლავ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან ეკვადორის ჩემპიონატში „ბარსელონა“–„კიტოს“ შეხვედრის ძირითად დროს მთელი 22 წუთი დაამატა (!). მატჩის 90-ე წუთზე „კიტო“ 0:1-ს აგებდა, 99-ე წუთზე გუნდმა ანგარიში გაათანაბრა, 112-ზე მეტოქის კარში გამარჯვების გოლიც გაიტანა. ცხადია, ამ ფაქტმა ძალიან აღაშფოთა „ბარსელონის“ გულშემატკივრები, რომლებმაც საკმაოდ ხმაურიანად გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილება. არბიტრის ქმედებით გაოგნებული დარჩა „ბარსელონის“ პრეზიდენტი, ლეონარდო ბორერიც. „ასეთი მსაჯი ეკვადორული ფეხბურთის წყევლაა“, – განაცხადა მან მორენოს მისამართით, რომელსაც უახლოეს მომავალში დაგეგმილი, კიტოს საქალაქო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა განუზრახავს და საფეხბურთო მიმომხილველთა თქმით, სწორედ ამიტომ, ამ ქალაქის გუნდის ქომაგთა გულის მოგება უცდია. ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა კი, ამ სკანდალის გამო იძულებული გახდა, მსაჯობის წესებში ცვლილება შეეტანა, ამიერიდან არბიტრს იმ ქალაქის წარმომადგენელი გუნდის მსაჯობის უფლება აღარ მიეცემა, რომელშიც ის პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა. ■

კრესპოს კვლავ აშინებს მატიგოლის აჩრდილი ნაკრებში

ჟურნალ „გზის“ ფურცლებზე უკვე ვწერდით, რომ არგენტინული ფეხბურთის ვეტერანი გაბრიელ ბატისტუტა ერთ-ერთ ინტერვიუში საყვედურებით აავსო თეთრ-ცისფერმაისურიანთა ნაკრებში მისივე თანაგუნდელმა კლაუდიო ლოპესმა. რომის „ლაციოს“ ნახევარმცველი აღშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ წლევანდელ მუნდიალზე არგენტინის ნაკრების ფიასკოსათვის პასუხისმგებლობას მთელი გუნდი თანაბრად ინაწილებდა – ყველა, ბატისტუტას გარდა, რომელიც ჯიუტად აცხადებდა, რომ იაპონიის მოედნებზე თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გააკეთა. ახლა კი, ბატიგოლის საწინააღმდეგო განცხადებით მილანის „ინტერის“ ცენტრფორვარდი, ერნან კრესპო გამოვიდა. აღმოჩნდა, რომ ვოლდანიტოს ჯერ კიდევ აშინებს ერთ დროს მცველთა და მეკარეთა „მიქელგაბრიელის“ აჩრდილი არგენტინის ეროვნულ ნაკრებში. „ვიმედოვნებ, რომ იგი ნაკრებში აღარასოდეს ითამაშებს და მე უფრო ხშირად მომეცემა მინდორზე გასვლის საშუალება“, – განაცხადა კრესპომ, რომელიც მსოფლიო თასის წლევანდელ გათამაშებაში სწორედ ბატიგოლის გამო იჯდა სათადარიგოთა სკამზე (ბატისტუტას შეცვლაზე მოედანზე უმეტესად, ვალდანიტო გამოჰყავდათ ხოლმე – როგორც წლევანდელ, ისე 1998 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე). მიუხედავად ამისა, ბატიგოლის მხრიდან „მოსალოდნელი საშიშროების“ საფუძველი ერნან კრესპოს აღარ უნდა ჰქონდეს, რადგან ბატიგოლმა წლევანდელი მუნდიალის დასრულების შემდეგ საჯაროდ განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებში აღარ ითამაშებს. გარდა ამისა, საეჭვოა, რომ გაბრიელ ბატისტუტა, რომელიც ბოლო დროს „რომას“ ძირითად შემადგენლობაშიც იშვიათად გამოჰყავთ, არგენტინელთა თავკაცმა, მარსელო ბიელსამ კვლავ მიიწვიოს ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ ვალდანიტოს შეშფოთების საბაბი, როგორც ჩანს, იაპონელთა მიერ გაკეთებულმა ერთმა განცხადებამ მისცა. საქმე ის გახლავთ, რომ ამომავალი მზის ქვეყნის ფეხბურთის მესვეურები კატეგორიულად მოითხოვენ იაპონია-არგენტინის ამხანაგური შეხვედრისათვის, სამხრეთამერიკელთა შემადგენლობაში ბატიგოლის შეყვანას, რასაც იმით ხსნიან, რომ იაპონიაში საფეხბურთო მატჩებზე ხალხი მხოლოდ „კაშკაშა ვარსკვლავების“ საყურებლად დადის. რაც შეეხება თავად გაბრიელ ბატისტუტას, ეტყობა, მას უკვე მოჰბეზრდა არა მარტო არგენტინის ეროვნულ ნაკრებში, არამედ „რომას“ რიგებში თამაშიც და თვალი ნისლიანი ალბიონისაკენ უჭირავს. არგენტინული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ უარყო გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ იგი „ჩელსის“ ხელმძღვანელობასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. „არა, მე ინგლისში იმისთვის მივდივარ, რათა ვითამაშო და კიდევ – ინგლისურად ვილაპარაკო. „ჩელსიში“ თამაშის შემთხვევაში ხომ კვლავ იტალიურად მომიწევდა მეტყველება“, – დასძინა ბატიგოლმა. ■



ქართული „ყაზანოვა"

ანტალიის სანაპიროზე

ანტალიის ზღვისპირა ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „სან-ქვინ ბიჩში", ექვსი კაცისაგან შემდგარ ჯგუფს, რომელსაც „ანიმატორი" ჰქვია, სტუმრების გართობა ევალება. მათ შორის, 30 წლის ზაზა პავლიაშვილი თავისი „ტრიუკებით" ერთ-ერთ წამყვან ფიგურად ითვლება. ერთადერთი, რაც მას თავიდან გასჭირვებია, რუსი დამსვენებლების ენაცინება ყოფილა, თუმცა, მათი წამალიც მალე უპოვია... ახალდაქორწინებული ზაზა ამჟამად თბილისშია და მომავალი სეზონისთვის „ანიმატორთა" ჯგუფს ამზადებს.

დიანა ჭანკოტაძე

— მართლა მხიარული ხარ თუ სამუშაო გაქვს ასეთი?

— მხიარული და თანაც როგორი! ისეთ წარმოდგენებს ვმართავდი სკოლასა თუ ქარხანაში, ხალხი სიცილით კვდებოდა.

— ქარხანაშიც მუშაობდი?

— თურქეთში წასვლამდე, ე.წ. „უ-ვე-ემ"-ში ვმუშაობდი. რა მექნა? ცოლ-შვილი ხომ უნდა მერჩინა.

— აკი სამი დღის წინ დავქორწინდიო?

— ეს მეორე ქორწინებაა. პირველად, ადრეულ ასაკში მოვიყვანე ცოლი, მაგრამ ვერ შევეწყვეთ. მასთან ქალ-ვაჟი მყავს, რომელიც ძალიან მიყვარს და სასტუმროში მუშაობისას ფულს მათთვის ვაგროვებდი. იმედი მაქვს, ეს ქორწინება იღბლიანი იქნება, პრობლემების მიუხედავად.

— რა პრობლემების? „ანიმატორი" სიძე არ მოსწონდათ?

— არა, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. ნათიას მშობლებს, ცოლგანაშვები რომ ვარ, ეს არ მოსწონდათ.

— როგორ მოხვდი თურქეთში?

— ცოლთან გაყრა ჩემთვის ძნელი იყო და დარდის გასაქარვებლად, თურქეთში წასვლა გადავწყვიტე. მართალია, დეპისერთას, არაფერი მაკლდა, მაგრამ ფულზეც არ ვიტყოდი უარს. წასვლაში ჩემი ნათესავი დამეხმარა, ის იქ ვაჭრობდა და უკვე გარკვეული იყო ყველაფერში. თავიდან, ქალაქ ორდოში ვიყავი

ამჯერად გერმანელი ექიმი — ხუბი შემიყვარდა

მეგობართან ერთად. ბევრი სამუშაო გამოიცვალე: ვმუშაობდით მშენებლობებზე, ვკრეფდით თხილს, ვეზიდებოდით ტვირთს. ფული საჭმელსა და ბინის ქირაზე ძლივს გვყოფნიდა. ერთხელ კი, გავიცანით კაცი, რომელიც ანტალიაში მუშაობდა. სწორედ მან შემოგვთავაზა ეს საქმე და მეც დავთანხმდი, ჩემი მეგობარი კი ორდოში დარჩა.

— მაშინ ენა უკვე იცოდი?

— დედაჩემი უცხო ენების სპეციალისტია, მან რუსულიც შემასწავლა და გერმანულიც. რაც შეეხება თურქულს — ჩასვლიდან ორ-სამ თვეში ვისწავლე. სასტუმროში მითხრეს, რომ თუ გერმანული არ მეცოდინებოდა, სამუშაოდ არ ამიყვანდნენ.

— კიდევ რა გითხრეს, რა უნდა აკეთოო?

— მითხრეს, რომ გარდასახვის უნარი უნდა მქონოდა და ყველაფერზე წამსვლელი ვყოფილიყავი... ერთი პერიოდი, დავფიქრდი — ჩემები რას იტყვიან-მეთქი? — მაგრამ მთავარი ის იყო, მე რა მინდოდა... სხვათა შორის, შემდეგ მათ ჩემი სამუშაო დადებითად შეაფასეს. ანტალიაში ზამთარში ჩავედი. ამ დროს სასტუმრო უმოქმედოდაა და აპრილამდე არაფერი მიკეთებია, აპრილის ბოლოდან კი სეზონი დაიწყო და აი, უკვე მეორე წელია, ნოემბრის ბოლომდე ვმუშაობთ.

— ხელფასი რამდენი გაქვს?

— ორასი დოლარი.

— სხვა რაიმე გამორჩენა არა გაქვთ?

— რა თქმა უნდა, გვაქვს! ოტელი ყოველთვიურად გვაძლევს ბავშვების სახატავების, სათამაშოებისა თუ ინვენტარის საყიდელ ფულს; ამ თანხის ნახევარი ჩვენია. გარდა ამისა, ყოველ კვირას ფასიან თამაშებს ვაწყობთ. ასე რომ, თვეში ოთხასი-ხუთასი დოლარი გამოვდის.

— როგორი დღის განრიგი აქვს „ანიმატორთა" ჯგუფს?

— სასტუმროში ორი ოთახითა და სამჯერადი კვებით ვართ უზრუნველყოფილები. ექვსკაციან ჯგუფში ერთი შეფია, რომელიც დღის განრიგს ადგენს. გვაქვს ჩვენი ფორმაც — თეთრი მაისური, წარწერით — „ანიმატორი" და შავი შორტი. დილის 8 საათზე ვდგებით და ერთ-ერთი გოგო იწყებს აერობიკას. შემდეგ ამას მოსდევს მეცადინეობა მინი-კლუბში, რომელშიც ბავშვები არიან გაწევრებულები. ისინი ხატავენ, სწავლობენ ცეკვას და ა.შ. თერთმეტის ნახევარზე ჩემს მთავარ საქმეს ვიწყებ — ეს არის სპორტული მომსახურება. ბავშვობაში მეტ-ნაკლებად, სპორტის ყველა სახეობას მივდევდი და ამიტომ ავირჩიე ეს სფერო. საღამოს პროგრამაში შედის ვახშამი დამსვენებლებთან, სადაც უფლება გვაქვს, ალკოჰოლური სასმელიც დავლიოთ. 9 საათზე კი იწყება „შოუ დიდებისათვის", რომელიც ექვსი სკეტჩისაგან შედგება. ამ სკეტჩებში მთელი ჩვენი ჯგუფი მონაწილეობს. ვატარებდით ავრეთვე კონკურსს „მისტერ და მის სან-ქვინ ბიჩის" გამოსავლენად. სამუშაო დღე, ღამის 11 საათზე მთავრდებოდა, მაგრამ ამ დროისთვის, პლაჟზე დისკოთეკა იწყებოდა და რა დაგვაძინებდა?!.

— შენს სპორტულ მომსახურებაში რა შედიოდა?

— ფეხბურთი, კალათბური, ფრენბურთი, დარტი — მიზანში ისრების სროლა და სხვა. თამაშში დამსვენებელთა ჩართვა ჩემს მოვალეობაში შედის.

— როგორ უნდა ჩართო?

— სასტუმროში ყოველ სეზონზე 400-500 დამსვენებელია. მათგან ზოგი ასაკოვანია, რომელთანაც ურთიერთობა თითქმის არა გვაქვს. ვინც ტურისტად ჩამოდის, პირველ კვირას ქალაქის დათვალიერებას ანდომებს და საღამოს გვიან ბრუნდება. მათთან დასაახლოებლად გვაქვს შოუ „კონტაქტი ტურისტთან", სადაც უამრავი ხუმრობა შედის. მაგალითად, ვუყვებით სასაცილო ამბებს და ზოგჯერ ვწუწავთ კიდეც. მათ ეს არ სწყინთ, რადგან იციან, რომ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ... თამაშში ჩართვის შეთავაზება ასე ხდება: მე მივდივარ დამსვენებელთან, რომელიც პლაჟზე იმყოფება და ვეუბნები: „ასე დაიწვები;

თხუთმეტი წლის ლუბოჩკა დედამისმა ისევ ჩამოიყვანა და მითხრა: ან შენ წამოდი, ან ის დაიტოვე, თორემ ნერვიულობისგან მომიკვდებაო...

მიუხედავად, რუსეთის ჯარმა 1813 წლის 3 ივნისს მოახერხა შატილის აღება. 600 ხევსურის თავგანწირვას უშედეგოდ არ ჩაუვლია: არტილერიის ცეცხლითა და რუსეთის ბატალიონებით გარშემორტყმულ პირიქითა ხევსურეთიდან მათ თავიანთი საყვარელი ბატონიშვილი – ერეკლე მეფის ძე, უვნებლად გაიყვანეს დაღესტანში, ანწუხის თემში.

ირან-რუსეთის ომი 1813 წელს ირანის არმიის სრული განადგურებით დამთავრდა. ირანმა ისღა მოახერხა, რომ გულისტანის ზავში (ზავი რუსეთსა და ირანს შორის) შეეტანა პუნქტი, რომლის ძალითაც რუსეთი ვალდებულებას იღებდა, უვნებლად გაეტარებინა დაღესტნიდან ირანამდე ალექსანდე ბაგრატიონი. თუცა ის დაღესტანში, ანწუხის თემში 1818 წლამდე დარჩა. საქმე ის იყო, რომ იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკური ბატალიები, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით კომპრომისის მიღწევისა და რუსეთის პროტექტორატით საქართველოში მეფობის აღდგენის იმედს აძლევდა ბატონიშვილს; ამის სანაცვლოდ, ის რუსეთს სთავაზობდა, გამოეყენებინა მისი ავტორიტეტი და საბრძოლო გამოცდილება ჩრდილოკავკასიელი ხალხების საბოლოოდ დასამორჩილებლად. სწორედ ამიტომ დარჩა ის დაღესტანში და შაჰის სურვილის საწინააღმდეგოდ, დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საიმპერიო კართან.

ალექსანდრეს ასეთი მოქმედება აბათილებს მოსაზრებას, თითქოს ის პროირანული ორიენტაციის მოღვაწე იყო. იგი მყარად იდგა იმ პოზიციაზე, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ნებისმიერი ძალისთვის შეიძლებოდა მიემართა, ამ წლებით დათარიღებული წერილებიდან კარგად ჩანს „უგვირგვინო მეფის“ – ალექსანდრე ბატონიშვილის დიდი დიპლომატიური გამჭრიახობა. სამშობლოზე თავდავიწყებით შეყვარებული ბატონიშვილი, მთავარმმართებლად ძალზედ ჭკვიანი პოლიტიკოსის და იმპერიის გამოჩენილი მსახურის – ერმოლოვის დანიშვნის შემდეგ წყვეტს ყოველგვარ დიალოგს იმპერიის კურიასთან, რადგან ეს ყოველგვარ აზრს კარგავს. ერმოლოვს საიდუმლო ინფორმაცია ჰქონდა, რომ ბატონიშვილი ირანში გადასვლას აპირებდა, ამიტომ მან ერთიორად გააძლიერა ყველა საგუშაგო, მაგრამ ალექსანდრე ყველაზე სახიფათო გზით – ქართლზე გავლით უვნებლად ჩავიდა ახალციხეში, იქიდან კი – ირანში. განრისხებულმა ერმოლოვმა ისღა მოახერხა, რომ რამდენიმე პოლიციის ჩინოვნიკი საპყრობილეში გამოკეტა.

1819-20 წლებში დასავლეთ საქართველოში მორიგი აჯანყება მოეწყო. ამბოხებულებმა მეფედ „ლეგენდარული ალექსანდრე ბატონიშვილი“ მოიწვიეს, მაგრამ მან ბრძოლებში მონაწილეობა ვერ მოახერხა, რადგან აჯანყება მალე ჩაახშეს.

აქტიური ბრძოლა ბატონიშვილმა 1826-27 წლების რუსეთ-ირანის ომის დროს განაახლა. ის კვლავ ირანის არმიით საქართველოს საზღვრებთან მოქმედებდა. თავრიზის აღების დროს კი, რუსეთის არმიას ხელში ჩაუვარდა ბატონიშვილის მეუღლე და ვაჟიშვილი ირაკლი. იმპერიამ მოითხოვა, რომ მას შეეწყვიტა ბრძოლა და რუსეთის იმპერიაში ეცხოვრა საკუთარ ოჯახთან ერთად. მაგრამ ბატონიშვილმა ეს ულტიმატუმი უარყო.

იგი იძულებულია თურქეთში გადავიდეს, სადაც 1828-29 წლებში გურიის სამთავროს უკანასკნელ წარმომადგენელს – დედოფალ სოფიოს ეხმარება სამთავროს აღდგენაში. 1832 წელს ირანში ალექსანდრეს დაუკავშირდა ეგვიპტის ფაშა, რომელმაც ყაზი-მოლასთან შუამავლობა და კავკასიის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება სთხოვა, რასაც დიდი გულისყურით მოეკიდა ბატონიშვილი. პარალელურად ის უკავშირდება ქართველ თავადებს – ალექსანდრე ორბელიანსა და სხვებს, რომლებიც ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდნენ და ბატონიშვილის დიდი ავტორიტეტით ცდილობდნენ ხალხის დარაზმვას. თავად ალექსანდრეს კი, რომელსაც წარმატების შემთხვევაში მეფედ კურთხევას უპირებდნენ, სთხოვეს – ირანში მყოფი ინგლისელი და სხვა ევროპელი დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთათვის, რომლებთანაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდა, ეთხოვა დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში.

მაგრამ, შეთქმულება გამჟღავნდა და თბილისში მისი ყველა მონაწილე დააპატიმრეს. ამის შემდეგ, ალექსანდრეს ოცნება, რომ აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, სრულიად უპერსპექტივო გახდა. მიუხედავად ამისა, ის სიცოცხლის ბოლომდე არ დათანხმდა საძულველი იმპერიის ქვეშევრდომობას.

საგანგებოდ აღსანიშნავია ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფა ირანში. ის ერთერთი მიღებული პიროვნება იყო შაჰის კარზე. მაგრამ უიღბლობა იქაც ეწია: მისი მეგობრის, შაჰის ძის, აბას-მირზას გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მამულები, რომელიც ირანში უბოძეს, კრედიტორების ხელში გადავიდა, სიცოცხლის ბოლოს კი, შაჰის უკანასკნელი წყალობა – პენსიაც კი შეუწყვიტეს. მისი გულის, რომელიც „სალი კლდისა ნაპრალს დამსგავსებია“, ერთადერთი სიამოვნება „უძვირფასესი და უსანატრელესი“ შვილის წერილები იყო: „... შემდგომად ამისა, თქუენის ხელით მოწერილმან წერილმან, – წერდა ალექსანდრე შვილს, ირაკლის, – ფრიად გვასიამოვნა. ასე რომ მწუხარება ჩვენი განაქარნა და ჩუენთვის დაუფასებელმან პატრეთმან თქუენმან გაგვაჭაბუკა და მიგვცა მხიარულებას“.

1844 წელს, ალექსანდრემ თეირანში უკიდურეს სიღარიბეში დალია სული. მან რუსეთის ჩინ-მედლებს, ძვირფას სასახლეებში ცხოვრებასა და ამავდროულად მონობას, „თავისუფლების ძებნაში სიკვდილი“ არჩია. მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოახერხა მიზნის მიღწევა, მისი ბრძოლები და მოღვაწეობა ერთ-ერთი ნათელი წერტილია ჩვენი ქვეყნის ისტორიისა.

ალექსანდრე ბატონიშვილი ხალხის რჩეული იყო. მასზე მრავალი ლექსი და ლეგენდა შეითხზა. არსებობს ვერსიაც, რომლის თანახმად ალექსანდრე შამილის მამა იყო. ამ მოსაზრების შესახებ თვით შამილსაც სცოდნია, რომელსაც 1856 წელს, კახეთზე ლაშქრობის წინ უხსენებია კიდეც. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ კავკასიელ ხალხთა ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის შამილის წინამორბედი ალექსანდრე ერეკლეს ძე იყო.

სადღეისოდ, ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავის შესახებაც კი მწირი ინფორმაცია არსებობს. იგი სომხური ეკლესიის გალავნის წინაა დაკრძალული (რადგან თეირანში ქართული ეკლესია არ იყო. – ავტ.). თუმცა ქვა, რომელიც საფლავის ზუსტ ადგილმდებარეობას განსაზღვრავს, აღარ არსებობს. ამის დადგენა საშუალებას მოგვცემდა ქართველებს, სამშობლოსთვის თავდადებული ბატონიშვილის საფლავისთვის მაინც მიგვეგო სათანადო პატივი, თუ მისი ანდერძის – მამის გვერდით მისთვის ადგილის მიჩენის – აღსრულებას ვერ მოვახერხებდით...

■

ᲘᲥᲡᲢᲐᲖᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲢᲠᲘᲡᲘᲛᲣᲚᲘ ᲨᲕᲔᲓᲘ ᲤᲝᲢᲝᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ

თეატრალურ სარდაფში შვედი ფოტომოყვარულის — სტეფან ვისლანდერის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. იგი მესამედ ესტუმრა საქართველოს. სანაპიროზე ძველი თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ ადგილზე დაიდო ბინა, რათა ყველაფერს — ძველს და კოლორიტულს შეხებოდა. მისი პირველი ვიზიტი 1997 წელს შედგა. „ირანში მივდიოდი, გზად საქართველო უნდა გამევლო. ნახევარ საათში ვიგრძენი, რომ ეს ის ქვეყანაა, რომელიც მე ძალიან მაინტერესებს“, — იხსენებს სტეფანი.

ის ძირითადად, პორტრეტებზე მუშაობს და მუდამ იმ ადამიანის სახეს ირჩევს, რომელიც ერთგვარ ექსტაზში იმყოფება, თითქოს ნარკოტიკისა თუ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშაა. „ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს უფრო ეტყობათ სიცოცხლის სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ მათი ენა არ ვიცი, მაინც მიადვილდება კონტაქტი და ვხვდები, რომ ისინი ჩემი გამოფენის გმირები ხდებიან“ — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ფოტოხელოვანმა. მისი ნამუშევრები არ არის უბრალოდ ფოტოსურათები. ეს არის ტილოზე გადატანილი, მის მიერ ამორჩეული ადამიანების სახეები. ამაში მას ფოტოგრაფიისთვის საჭირო ქიმიური მგრძნობიარე ნივთიერებაც ეხმარება.

სტეფან ვისლანდერი სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობს. ამის მიზეზი, მისთვის საინტერესო სახეების პოვნაა. ორი სურათი მან საქართველოშიც გადაიღო, რომელიც ასე დაასათაურა: „კობას ჭაჭაჩაჩა“ და „ჯემალის ნირვანა“. როდესაც ინტერვიუს ვიწერდით, ეს კადრიც დააფიქსირა. გასაკვირი არ იქნება, თუ მის ახალ ექსპოზიციაში საკუთარ სახეს აღმოვაჩენ...

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲐᲠᲐᲜᲐᲣᲚᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ

თეატრალურ სარდაფში ბესიკ ხარანაულის ლიტერატურული საღამო გაიმართა. პოეტი თიანეთში დაიბადა და გაიზარდა. ამიტომ მისთვის ფშავური კილო და სტრიქონის ბოლო ბგერის დამღერება მშობლიურია...

ეს საღამო, ბატონი ბესიკის ლექსების კრებულის გამოცემას უკავშირდებოდა. „დიდ გაჭირვებაში ვცხოვრობდით. ქალამნები გვეცვა. ზაფხულში კარგი იყო — გრილად დავდიოდი, ზამთარში ცუდი — წყალი შემდიოდა...“ — იხსენებს ბავშვობას პოეტი. მის ლექსებს ვახუშტი კოტეტიშვილიც კი განუცვიფრებია. აწ განსვენებულ ალექსანდრე გვახარიას მის შესახებ რუსთველოლოგებისთვის უთქვამს: „ეს ბესიკი — იმ ბესიკს ნამდვილად არ ჰგავს...“



როგორც ბესიკი ხმარობს სასვენ ნიშნებს, ისე იხმარეთ თქვენცო. ამაზე ჩვენი თიანელი პოეტი ასეთ კომენტარს აკეთებს: „მე ვინ უნდა მომბაძოს? — თვითონ არაფერი ვიცი. ხომ ხედავთ, მიკროფონთან ურთიერთობაც მიჭირს“... მართლაც, ისე შორს იჯდა მიკროფონისგან, თითქოს ეშინიაო მისი... ახლოს მიუწევდნენ თუ არა, უკან იხევდა. საკუთარი ხმის გაგონებაზე კრთოდა...

ახლა მისი ერთი ლექსის ნაწყვეტი მინდა შემოგთავაზოთ:

ეს ერთად შვილები,
საქართველო ქალია,
ქალია საქართველო,
შვილები ეს ერთად.
ღვინე ერთ, ეს ერთად,
ლამეა, ეს ერთად,
ქალია, ეს ერთად,
ეს ერთად, ქალია.

ვერ გეტყვით, ამ სიტყვების ავტორის მშობლებმა თავიდანვე იცოდნენ თუ არა, მათი შვილი პოეტი რომ გახდებოდა და სახელიც ამის გამო თუ შეურჩიეს, მაგრამ ერთი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: ეს ბესიკი — იმ ბესიკს ნამდვილად არ ჰგავს...

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ, ᲪᲔᲛᲐ-ᲪᲧᲔᲞᲐ

რუსთავქალაქობაზე, იქ მერაბ სეფაშვილის ვარსკვლავი გაიხსნა, რაც კლუბ „ოვაციის“ პრეზენტაციას დაემთხვა. წელს, 29 მაისს, რუსთავში ფესტივალი „ოვაცია“ ჩატარდა. სწორედ მისი სახელი დაერქვა კლუბს და მის გახსნაზე ამ ფესტივალის ნომინანტები შეიკრიბნენ. რადგან მერაბ სეფაშვილი „ოვაციის“ გრან-პრის მფლობელი იყო, პირველად ამიტომ გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

რუსთავში ნამდვილი ვარსკვლავთცვენა მოეწყო. მერაბს გვერდს უმშვენებდნენ: ლელა წურწუმია თავის განუყრელ მამულიჩასთან და პირად დაცვასთან ერთად, ეკა კვალიაშვილი, რომელმაც თმა შავად შეიღება და ამის გამო, მისი მისამართით გაუთავებლად ისმოდა როგორც მოწონების, ასევე აღშფოთების შეძახილები... ნამდვილი ვარსკვლავებივით „ბრწყინავდნენ“ მაია ჯაბუა, ეკა კახიანი, ნატო გელაშვილი, რუსა მორჩილაძე და „წვრილ-წვრილი“ ვარსკვლავები: ნინი ქარსელაძე, თიკა ჯამბურია და სალომე გასვიანი. ცნობისთვის ამ ცოტა ხნის წინ, თიკა ჯამბურიამ მოსკოვში Утренняя звезда-ს კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ გრან-პრი მას არ ერგო, მისი მენეჯერი ნატო დუმბაძე, მაინც ძალიან გახარებული ჩანდა. სტუმრებს შორის იყვნენ: მამუკა ონაშვილი, ავთო ცქვიტინიძე და ბაკურ ბაკურაძე, რომელიც ენაწყლიან თამუნა გომართელთან ერთად, მშვენივრად უძღვებოდა ამ საღამოს.

იმის გამო, რომ კლუბმა ყველა მსურველი ვერ დაიტია, მაყურებელთა ნაწილი გარეთ დარჩა და ქუჩაში დამონტაჟებული ეკრანიდან ადევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას. უეცრად იქ, ისეთი ცემა-ტყეპა ატყდა, რომ საქმეში პოლიციაც კი ჩაერია. თურმე ეკრანზე

ეკა მამალაძემ კონსერვატორიის დარბაზი აირჩია

„არტ-იმედის“ მომღერალმა, ეკა მამალაძემ პირველი სოლო კონცერტი გაამართა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. გიორგი ჩუბინაშვილის რომანსებმა მსმენელის აღფრთოვანება გამოიწვია. ოთხი სიმღერა ნუგზარ გეწაძემ გააორკესტრა. პროფესიონალების აზრით, თანამედროვე ინტერპრეტაციით შესრულებული რომანსები საკმაოდ კარგად ჟღერდა. მომღერლის სახელოვანმა დედამ, ქალბატონმა ნანი ბრეგვაძემ აღნიშნა, ამ კომპოზიტორის შემოქმედებას აქამდე რომ გავცნობოდი, ნამდვილად არ დავანებებდი ჩემს შვილს და მის სიმღერებს მე თვითონ შევასრულებდი.

ეკა მამალაძე:

— როდესაც მსმენელს მხოლოდ ერთი კომპოზიტორის სიმღერებს სთავაზობ, ძალიან მოსაბეზრებელია. ეს იყო ხალხური რომანსები, რომელსაც მხოლოდ კონსერვატორია მოუხდებოდა. აქ ფონოგრამით ვერ იმღერებ. ცოცხლად უნდა შეასრულო. მსმენელი კი საკმაოდ განსხვავებული და კრიტიკულია. მე მგონი, თავი გავართვი...

სიფათიანი აგნესას რეჟისორული დემიფცი

სასტუმრო „მერიოტში“ აგნესას კლიპის პრეზენტაცია გაიმართა. როგორც ჩვენში ყოველთვის ხდება ხოლმე, ამჯერადაც პრეზენტაცია ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. მაგრამ პატარა ანი ქარსელაძემ და კომპოზიტორმა რუსა მორჩილაძემ მაინც იმდენად დაიგვიანეს, რომ კლიპის ჩვენებასაც კი ვერ მიუსწრეს. იმის გამო რომ „მერიოტი“ კოკისპირული წვიმის გამო დაიტბორა, პრეზენტაცია ჰოლში ველარ ჩატარდა, რამაც ბევრი უხერხულობა შექმნა. ოთახმა, რომელშიც კლიპის ჩვენება მოეწყო, სტუმრები ვერ დაიტია. ხალხმრავლობისგან ყველას სუნთქვა უჭირდა. ლელა წურწუმია, მამულიჩა, ქეთა თოფურია, მერაბ სანოძე და უამრავი ჟურნალისტი ამაოდ ცდილობდნენ, ისეთ ადგილას დამდგარიყვნენ, რომ სახელდახელოდ მოწყობილი ეკრანი კარგად დაენახათ...

პრეზენტაცია შავ კაბაში გამოწყობილმა თამუნა გომართელმა გახსნა და სტუმრებს აუწყა, რომ აგნესას სახელს ყოველთვის ხიფათი და მოულოდნელობა უკავშირდება: მისი სოლო კონცერტის დღეს, მიწისძვრა მოხდა, პირველი კლიპის პრეზენტაციაზე კი თვითმფრინავი ჩამოვარდაო... დამსწრეთ, აგნესას ხუთივე კლიპი უჩვენეს. ბოლოს, ახალი კლიპიც ვნახეთ, რომლის რეჟისორიც თავად აგნესაა. სიმღერის სახელწოდებაა „ზაფხულის ღამე“, არანჟირების ავტორია კოტე ნონიკოვი. ეს სიმღერა სტუდია „მაესტროშია“ ჩაწერილი, კლიპი კი, მოსკოვშია გადაღებული. როგორც აგნესამ მითხრა, მან წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიზნესრეკლამის ფაკულტეტი და ამ კლიპით საკუთარი შესაძლებლობები გამოსცადა.

კლიპი მართლაც კარგი სანახავი აღმოჩნდა, აგნესა მხოლოდ გოგონების გარემოცვაში მღერის და ცეკვავს, ხან წყალში წევს და ხან მანქანით დაქრის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისგან კარგი კლიპმეიკერი გამოვა.

ჩვენების შემდეგ სტუმრებმა თავი საუბრით და სხვადასხვა ტკბილეულით შეიქციეს. აგნესამ კი ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სცადა და გულდაწყვეტილი არავინ დაუტოვებია. ის მომხიბვლელი და ბედნიერი ჩანდა. სექსუალური, ცისფერი კაბა ეცვა და როგორც თავად აღნიშნა, საკმაოდ ღელავდა.

და ფეიერვერკი რუსთაველში

ხმა არ ისმოდა და რუსთაველების უკმაყოფილება ამას გამოუწვევია. მომღერლები იძულებულები გახდნენ, კლუბი დაეტოვებინათ და უამრავი მსმენელის წინაშე, ღია ცის ქვეშ ემღერათ.

კონცერტის ორგანიზატორებმა მიიჩნიეს, რომ დაჯილდოების გარეშე, საღამო უღიმღამო იქნებოდა. ფონოგრამების წინააღმდეგ წარმოებული „ომისთვის“ საგანგებო ჯილდო გადასცეს დათო ოქიტაშვილს. დააჯილდოეს აგრეთვე დათო ხუჯაძე, რომელიც მოსკოვიდან სულ რამდენიმე საათის ჩამოსული აღმოჩნდა. დათო ყველაზე პოპულარულ ახალგაზრდა მომღერლად აღიარეს რუსთაველებმა. სხვათა შორის, ის სულ მალე, ისევ მოსკოვში გაემგზავრება და იქ გამართავს კონცერტს.

რუსთავქალაქობის დღეებში კლუბმა „ოვაციამ“ „თინეიჯერების სიმპათიის“ — ნომინაციაში გამარჯვებული ქეთა თოფურიას სოლო კონცერტს უმასპინძლა. სოლო სიმღერების გარდა, აჟღერდა დუეტებიც — აჩი ფურცელაძესთან და კახა კუხიანიძესთან ერთად. კონცერტი ხმაურიანი დისკოთეკითა და კარაოკეს კონკურსით გაგრძელდა, სადაც ქეთას სიმღერები ჟღერდა. გამარჯვებულები პრიზებით დაჯილდოვდნენ, მათ შორის — ქეთას კომპაქტ-დისკებითა და სამომავლოდ დაგეგმილი კონცერტების უფასო ბილეთებით. დარბაზის სიმცირის გამო, ყველა მსურველმა კონცერტზე დასწრება ვერ მოახერხა და თაყვანისმცემელთა დიდი თხოვნით, რამდენიმე დღეში ქეთას სოლო კონცერტი განმეორებით ჩატარდა.

დასასრულს მერაბ სეფაშვილმა იმღერა და შამპანურით აღნიშნა თავისი ვარსკვლავის გახსნა. სტეფანემ და ლელა წურწუმიამ იცეკვეს, ცა კი მშვენიერი ფეიერვერკით განათდა.

მოამზადეს ნინო მჭედლიშვილმა
და ლელა ჭანკოტაძემ

შონ კონერი 19 მილიონ დოლარს ითხოვს

მსახიობის მტკიცებით, კინოკომპანია Mandalay Pictures-ის ხელმძღვანელი პიტერ გუბერი, რომელმაც კონერს ახალ ფილმში მონაწილეობა შესთავაზა, შეგნებულად ცდილობდა მის მოტყუებას, რადგან წინასწარ იცოდა, რომ ტრილერში – „თამაშის დასასრული“ ნათამაშები როლისთვის მას კუთვნილ თანხას ვერ გადაუხდიდა. მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, კონერი განუხორციელებელ ფილმში მისთვის დაპირებულ ჰონორარს ითხოვს (ეს თანხა ერთი ვერსიით, 19 მილიონს შეადგენს, მეორე ვერსიით, მხოლოდ 11 მილიონს). 72 წლის კონერს ამ სურათში ხანში შესული ცსს (ცენტრალური სადაზვერ-



ვო სამმართველო) აგენტის როლი უნდა განესახიერებინა. მისი თქმით, მან ამ ფილმის სცენარზე მუშაობაში ორი წელი დაკარგა.

სერ შონ კონერმა ლოს-ანჯელესის უმაღლეს სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა. იგი კომპანიასა და გუბერს ბრალს სდებს მისი სახელისა და რეპუტაციის ანგარებიან გამოყენებაში. ვინაიდან მასთან მოჩვენებითი თანამშრომლობით, ისინი საკუთარი ფინანსური პრობლემების მიჩქმალვას შეეცადნენ, რათა მათი იმიჯი არ შელახულიყო. აღსანიშნავია, რომ ვარსკვლავს თავისი ორმოცწლიანი სამსახიობო კარიერის მანძილზე, კინოკომპანიებთან რამდენიმე დავა აქვს სასამართლოში მოგებული. ■

ყველაზე ლამაზი თმა მრეიდ პიტის ცოლს ჰქონია

ბრიტანეთის კომპანია Tesco-მ ჩაატარა გამოკითხვა, რომელსაც უნდა გამოევლინა ყველაზე ლამაზი და ყველაზე უშნო ვარცხნილობის მქონე ცნობილი პიროვნებები.

4000 რესპონდენტის გამოკითხვის შედეგები ასეთი აღმოჩნდა: ამ სფეროში ყველაზე კარგი გემოვნება და სტილი, მსახიობმა ჯენიფერ ენისტონმა გამოავლინა (არანაკლებ ცნობილი მსახიობის, ბრედ პიტის მეუღლე), რომელმაც ამ საპატიო ადგილზე შარშანდელი გამარჯვებული კეტრინ ზეტა-ჯონსი შეცვალა.

როგორც ჩანს, ბრიტანელებს ცნობილი მამაკაცების ვარცხნილობები საერთოდ არ მოსწონთ, ამიტომ შედეგების მიხედვით, პირველ ათეულში მხოლოდ ქალები შევიდნენ.

Tesco-ს ვერსიით, ყველაზე უშნო ვარცხნილობით BBC-ს არხის სატელევიზიო შოუს წამყვანი – დევიდ დიკინსონი გამოირჩევა.

გამოკითხულებმა უაყოფითად შეაფასეს პრინც ჰარის, ფეხბურთელ დევიდ სიმენისა და მუსიკოს ტონი ბლეკბერნის ვარცხნილობები. ■

ჯექსონს მაიმუნემის დაწვა ედემა მრალად

ჯექსონის დის – ლატოიის ყოფილი ქმარი, ჯეკ გორდონი, თავის წიგნში ირწმუნება, რომ პოპ-მუსიკის მეფე თავის მამულში ვუდუს მისტიკური კულტის ცერემონიაში მონაწილეობდა, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა მაიმუნების რიტუალურ დაწვას. გარდა ამისა, ავტორი იმასაც ამტკიცებს, რომ მაიკლ ჯექსონი თავის საყვარელ მაიმუნს – ბაბლზს სისტემატურად სცემდა, ხოლო დები რუს და ლიზ მარია პრესლის 15-15 მილიონი გადაუხადა იმაში, რომ ისინი მას ცოლად გაჰყოლოდნენ. გორდონს არც სპეციალური ინიექციის შესახებ დავიწყნია მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება, რომლის მეშვეობითაც ჯექსონი კანს ითეთრებდა.

ჯექსონის ადვოკატი, ჯონ ბრანკა ახალი წიგნის შესახებ აცხადებს: „ეს აბსურდია, მსგავსი ბრალდებები აღმაშფოთებელია. არა მგონია, რომ ვინმემ ეს წიგნი სერიოზულად აღიქვას“. რაც შეეხება წიგნის ავტორს – ჯეკ გორდონს, მას საკმაოდ საეჭვო წარსული აქვს. 1978 წელს იგი ციხეში მოხვდა შტატის სათამაშო ბიზნესის კონტროლის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოსყიდვის ბრალდებით. ასევე ბრალი ედებოდა საკუთარი ცოლის – ლატოიის ცემაში. ■

კეტრინ ზეტა-ჯონსს უამრავი საზრუნავი აქვს

კეტრინ ზეტა-ჯონსს უამრავი საზრუნავი აქვს: იგი მსახიობია, დედა, ცოლი და ახლა ყველაფერ ამას, მოდელის საქმიანობაც დაემატა. კეტრინს ხშირად იღებენ ამა თუ იმ ნაწარმის სარეკლამო რგოლებში. ამ ცოტა ხნის წინ, ზეტა-ჯონსი შვედურ ნამზეურის კრემს უკეთებდა რეკლამას; გადაღებებიდან კი პირდაპირ „დოლჩე და გაბანას“ ჩვენებაზე გაქანდა. იმ დღეს კეტრინს ბედმა ნამდვილად არ გაუღიმა და პოდიუმზე გასვლის წინ, კაბის ჩაცმისას 22-ათასიანი მოდელი, ნამზეურის კრემით დასვარა. ზეტა-ჯონსი ძალიან შეწუხდა, თუმცა იმედი ჰქონდა, რომ ჩვენების შემდეგ, კაბას აჩუქებდნენ, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობამ ინციდენტის მიმართ, საკმაოდ მკაცრი პოზიცია დაიკავა. კეტრინს სხვა აღარაფერი დარჩენოდა – ჩეკის წიგნაკი ამოიღო და კაბის საფასური გამოწერა. ■

ᲚᲔᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲪᲘᲡᲧᲔᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲛᲐ

47 წლის მარკ დევიდ ჩეპმენი აშშ-ის ატიკის ციხეში იხდის სასჯელს. მას შემდეგ, რაც ლეგენდარული მომღერლის ჯონ ლენონის მკვლელობაში თავი დამანაშვედ ცნო, ჩეპმენს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, ჩეპმენმა ორჯერ შეიტანა თხოვნა შეწყალებაზე.

შეწყალების კომისიის სხდომა გასული სამშაბათს შედგა და მისი შედეგი მეორე დღესვე გამოცხადდა – მას უარი ეთქვა შეწყალებაზე.

2000 წელს გამართული კომისიის მოსმენისას ჩეპმენი ამტკიცებდა, რომ იგი საზოგადოებისთვის საშიში აღარ არის, რადგან საკუთარი ფსიქოლოგიური პრობლემები, რამაც მკვლელობამდე მიყვანა, უკვე დაძლია. ამ სხდომაზე ჩემპენი იმაშიც გამოტყდა, რომ იმ მომენტისათვის ლენონის მოკვლას თუ ვერ შეძლებდა, უკვე არჩეული ჰყავდა სხვა მსხვერპლი, კერძოდ იგი ელიზაბეტ ტეილორს ან ჟაკლინ კენედი-ონასისს უპირებდა მოკვლას. მისი სიტყვებით, ლენონის მოკვლის გადაწყვეტილებამდე, იგი საკუთარი არარაობის შეგრძნებამ მიიყვანა და ამ გზით სახელის მოხვეჭა გადაწყვიტა. 2000 წელს, როცა ამნისტიის თაობაზე მის პირველ განცხადებას განიხილავდნენ, იოკო ონომ განაცხადა: იგი თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობდა, თუკი ეცოდინებოდა, რომ მისი ქმრის მკვლელი თავისუფალია. ■

ᲣᲐᲘᲜᲝᲜᲐ ᲠᲐᲘᲓᲔᲠᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲛᲐᲜᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲣᲠᲓᲐᲓ ᲘᲡᲔᲕ ᲠᲩᲔᲛᲐ

ორი კვირით ადრე, ვიდრე უაინონა რაიდერის სასამართლო პროცესი შედგებოდა (შეგახსენებთ, რომ რაიდერს მალაზიიდან 4.800 დოლარის ღირებულების ტანსაცმლის მოპარვაში ედება ბრალი. აგრეთვე მას იმ მომენტში ჩანთაში აღმოაჩნდა წამალი, რომელიც ნარკოტიკადაც გამოიყენება), ლოს-ანჯელესის საოლქო პროკურატურამ თხოვნით მიმართა სასამართლოს „სამართლიანობის ინტერესების გათვალისწინებით“ მისთვის ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის – ოკსიკოდონის უნებართვოდ გამოყენებისთვის მიყენებული ბრალდების მოხსნის შესახებ. პროკურორი იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რადგან დაცვამ წარმოადგინა ამ პრეპარატის გამოყენების დამადასტურებელი ნებართვა. თუმცა, ამ ბრალდების გარეშეც, რაიდერს თუ სასამართლოზე მეორე ხარისხის ქურდობა დაუმტკიცდა, სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ■

ᲢᲝᲛ ᲙᲠᲣᲖᲘ ᲡᲐᲛᲣᲠᲐᲘᲗᲘᲗ ᲐᲦᲗᲠᲗᲝᲕᲐᲜᲘᲗᲛᲚᲘᲐ



ჰოლივუდის მსახიობი ტომ კრუზი, რომელიც იაპონურ ფილმში – „უკანასკნელი სამურაი“ უნდა გადაიღონ, სამურაების „სილამაზითა და ელეგანტურობით“ მოხიბლულია და აღტაცებას ვერ ფარავს.

ფილმის მოქმედება XIX ს-ის იაპონიაში ვითარდება. სურათში კრუზი აშშ-ის სამხედრო მოსამსახურის როლს შეასრულებს, რომელიც იაპონიის მთავრობამ საკუთარი ჯარისკაცებისათვის თანამედროვე საბრძოლო ხელოვნების ხერხების სასწავლებლად დაიქირავა. „ყოველთვის მოიცებდა და დიდ პატივს ვცემდი იაპონურ კულტურას და სამურაების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებითაც გამოვირჩეოდი“, – თქვა მსახიობმა იაპონიაში გამართულ პრესკონფერენციაზე. კრუზის გმირზე – კაპიტან ნათან ელგრენზე, სამურაები ასეთივე დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ და იგი ამ ფენის წარმომადგენლებისადმი, რომლის ამოძირკვაც საკუთარმა ხელისუფლებამ დაავალა, სულ უფრო და უფრო დიდი სიმპათიით იმსჭვალება.

კინორეჟისორი ედუარდ ცვიკი ამ დღეებში იაპონიაში ფილმის გადაღებას იწყებს. შემდგომში გადაღებები ახალ ზელანდიასა და აშშ-ში გაგრძელდება. სურათის პრემიერა 2004 წლისთვისაა დაგეგმილი. ■

რუბრიკა მოამზადა ნანა ცომაიამ

ᲰᲐᲜᲘᲑᲐᲚ ᲚᲔᲥᲢᲘᲠᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘᲐ

ცნობილი სურათის – „კრავთა დუმილის“ ფრიქველი, ფილმი – „წითელი დრაკონი“ – ამერიკაში ყველაზე შემოსავლიანი პროექტი აღმოჩნდა. ეს ჰანიბალ ლექტერზე გადაღებული მესამე სურათია.

მართალია, „წითელმა დრაკონმა“ ამ სერიის მეორე ფილმს – „ჰანიბალს“ შემოსავლით ვერ გადააჭარბა,



მაგრამ ლიდერის პოზიცია მაინც მოიპოვა. „წითელი დრაკონის“ შემოსავალმა პრემიერის პირველი ორი დღის მანძილზე 37,5 მილიონი დოლარი შეადგინა. „ჰანიბალმა“ კი პირველ სამ დღეში 58 მილიონს მოუყარა თავი.

კინოს მოყვარულთა ერთ-ერთი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ჰანიბალ ლექტერმა „ყველა დროის პერსონაჟებს შორის, ყველაზე უარყოფითი გმირის“ ადგილი დაიკავა. ლექტერის გმირმა „ვარსკვლავური ომების“ უარყოფითი პერსონაჟები – დარტა ვეიდერი და ნორმან ბეიტსიც უკან ჩამოიტოვა და ჰიჩკოკის სამაგალითო ტრილერის – „ფსიქოს“ მკვლელსაც კი გადააჭარბა. „კრავთა დუმილში“ შესრულებულმა ჰანიბალის როლმა 1992 წელს ჰოპკინსს „ოსკარი“ მოუტანა.

მანამდე კინემატოგრაფიულ ჰიტ-აღლუმს სამ დღეში მოგროვილი თანხით – 21,6 მილიონით სათავეში ედგა რომანტიკული კომედია – „ალაბამა – საყვარელი სახლი“. მესამე ადგილზეა ფილმი – „სმოკინგი“ ჯეკი ჩანის მონაწილეობით (ამ ცოტა ხნის წინ, მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნის ცერემონია შედგა ვარსკვლავების ხეივანში). სურათმა 10 მილიონი მოაგროვა. ■

დაავადების „ფსიქოლოგია“

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

უკურნებელი სენი არ არსებობს

უკურნებელი დაავადებები მართლაც არ არსებობს, მაგრამ არსებობს უკურნებელი მსოფლმხედველობა. ბევრი ადამიანი მზადაა მოკვდეს, ვიდრე აღიაროს, რომ მისი მსოფლმხედველობა მცდარია...

სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილია სიმსივნური დაავადების თავისთავადი განკურნების ათასობით შემთხვევა, მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაინტერესებულა იმით, თუ როგორ შეიცვალა ავადმყოფობის დროს, მათი მსოფლმხედველობა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი მწერალი, გაბრიელ გარსია მარკესი, რომელსაც კიბო აღმოაჩნდა; ოპერაციას აზრი არ ჰქონდა — მას ერთი თვის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი. მწერალმა თავის მეგობრებს წერილები დაუგზავნა, რომელშიც ემშვიდობებოდა და ამბობდა, რომ ადამიანი მანამდე ცოცხლობს, ვიდრე სიყვარული შეუძლია; როგორც კი მის სულში სიყვარული ქრება — იგი კვდება. რამდენიმე თვის შემდეგ (ეს მოხდა 1999 წ.), მარკესის ორგანიზმში ავთვისებიანი სიმსივნე ვეღარ იპოვეს.



რამდენიმე თვის შემდეგ მარკესის ორგანიზმში ავთვისებიანი სიმსივნე ვეღარ იპოვეს

სიკვდილი თუ გარდაქმნა?

ადამიანები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს, მნიშვნელოვნად იცვლებიან: უფრო მშვიდები და სამართლიანები ხდებიან, სწავლობენ მოსმენას და სიცოცხლით ტკბობას. რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, ეს ცვლილება არ წარმოადგენს გადატანილი შოკის შედეგს და არ ქრება დროთა განმავლობაში, არამედ საფუძვლად ედება ახალი ხასიათის ჩამოყალიბებას, თითქოს ამ ადამიანებმა სიკვდილი კი არა, გარდაქმნა განიცადეს.

სულ უფრო და უფრო მეტი ფსიქოლოგი ამტკიცებს, რომ დაავადებათა უმრავლესობას ფსიქოსომატური ხასიათი აქვს. ჩვენი დაავადებები — ჩვენივე არასრულფასოვნებაა, რაც გვიფუჭებს ბედსაც და სხეულსაც. რატომ გემართებათ გრიპი თქვენ და არა თქვენს დას, იმის მიუხედავად, რომ მასთან მჭიდრო ურთიერთობა გაქვთ? რატომ დასნებოვნდა ერთი ადამიანი შიდსით და მეორე — არა, მაშინ როცა ორივეს ერთი პარტნიორი ჰყავდა? იმუნიტეტის გამო? რატომ გადაგიბრუნდათ სწორედ ამ ადგილას ფეხი და მოიტეხეთ იგი? რატომ დაესხნენ ბანდიტები თავს სწორედ თქვენი ოჯახის წევრს? რატომ ხდება უბედური შემთხვევები? და საერთოდ — არსებობს კი შემთხვევითობა თუ ყოველივე ზოგად კანონზომიერებაში თავსდება?

აგრესიულ, ნადვლიან, გესლიან აზრებსა და ემოციებს დაავადებამდე მივყავართ, ხოლო სიხარული, მიზანდასახულობა, სურვილი — გვკურნავს. ეს, სიახლე არ არის და ყველაფერი მარტივად იეხებოდა, საუბარი მხოლოდ გაცნობიერებულ ემოციებს რომ ეხებოდეს. გაცილებით ძლიერად „გვირტყამს“ ქვეცნობიერი აზრები და ემოციები. გარდაცვლილი ახლობელი ადამიანის მიმართ ზოგჯერ მთელი ცხოვრების მანძილზე განვიცდით წყენას იმის გამო, რომ მან მიგვატოვა. და როგორც არ უნდა უარვყოთ, უმრავლეს შემთხვევაში ეს ასეა. თუ ვაცნობიერებთ ამას, მაშინ საკუთარი უსამართლობის გამო ვიტანჯებით. ასეთი წყენა ათწლეულების განმავლობაში გვლრღნის შიგნიდან და ხშირად სიმსივნურ (საუკეთესო შემთხვევაში — კისტოზურ) დაავადებას იწვევს.

უარყოფითი ემოციები გროვდება მანამ, სანამ შემდეგი ანალოგიური შემთხვევა არ მოიყვანს დაგროვილ „საწამლავს“ მოქმედებაში. სწორედ მაშინ გვატყდება ხოლმე თავს რეალური დაავადება. სიმსივნე მათ უვითარდება, ვინც ბავშვობაში ან ახალგაზრდობაში გადაიტანა რაიმე საშინელება, წყენა, ან მიიღო ტრავმა, რამაც შეურყია სამართლიანობისა და საკუთარ ძალთა რწმენა. ამასთან, სიმსივნემ შესაძლოა, უკან დაიხიოს, თუ ადამიანი დაიწყებს საკუთარი თავის მიღებას ისეთად, როგორიც არის — ყველა ნაკლოვანებითა და პრობლემით. და შეძლებს პატიებას არა გარეგნულად — სხვების დასანახავად, არამედ შინაგანად — გულის სიღრმეში. ■

სიმხნევის შესანარჩუნებლად

როცა გვსურს, თავი მხნედ ვიგრძნოთ, მაგარ ჩაის ან ფინჯან ყავას ვსვამთ ხოლმე. თუმცა, ეს საშუალებები განწყობილების მხოლოდ დროებით გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. მაშ, როგორ მივაღწიოთ ძალების ჭეშმარიტ მატებას? ყური ვუგდოთ ამერიკელ სპეციალისტთა რჩევებს:

რჩევა 1 – ჟენშენი

ეს არის პოპულარული მცენარეული საშუალება, რომლის ეფექტურობა ათასწლეულებითაა შემოწმებული. ცნობილია თავისი მასტიმულირებელი თვისებებით და კეთილისმყოფელი გავლენით განწყობაზე. შეგიძლიათ მიიღოთ ჟენშენის ნაყენი გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდში რეგულარულად: ამგვარად, არა მხოლოდ ენერგიულად და მხნედ იგრძნობთ თავს, არამედ მნიშვნელოვნად აიმაღლებთ იმუნიტეტს — მაშასადამე, თქვენი ორგანიზმი მდგრადი გახდება გრიპის ვირუსებისა და გაცივების მიმართ.

რჩევა 2 – პიტნა

იმის ნაცვლად, რომ დილაობით ორგანიზმი კოფეინითა და შაქრით გადატვირთოთ, მოიდუღეთ პიტნის ჩაი. შეგიძლიათ გამოიყენოთ ნედლი მცენარე, გამხმარი ბალახი ან მზა შეკვრები. ნებისმიერ შემთხვევაში, ნაყენი უნდა დადგათ არანაკ-

სექსი სიბერემდე

„ინტიმური" აფთიაქი ხანში შესულთათვის

როგორც კი მამაკაცს ეწყება ინტიმური პრობლემები, გონებაში მაშინვე ჩნდება ჯადოსნური სიტყვა — „ვიაგრა". იმის შესახებ, რომ წლებს თავისი მიაქვს, მამაკაცებს ფიქრიც არ უნდათ. ექიმთან მისვლამდე ისინი ყველა საეჭვო საშუალებას მოსინჯავენ ხოლმე.

სექსუალური ფუნქცია ორგანიზმის ცხოველქმედების მთლიანი სისტემის ნაწილია. თუ ადამიანი ავადაა, ან დაღლილია, მაშინ მისი სექსუალური ფუნქციაც ქვეითდება, ხოლო ახალგაზრდა და ჯანსაღი ორგანიზმის სქესობრივი აქტიურობა შესაბამისად მაღალია.

მარად ახალგაზრდა

ყველამ როდი იცის, რომ მამაკაცებსაც ემართებათ კლიმაქსი, მაგრამ 5 წლით გვიან, ვიდრე ქალებს. ასაკის მატებასთან ერთად, ნივთიერებათა ცვლა ქვეითდება და პრეპარატები, რომელიც 40-45 წლის ასაკში კარგ შედეგს იძლეოდა, 60 წლის შემდეგ არავითარ გავლენას აღარ ახდენს. ამიტომ ასაკოვანი ადამიანის აღმგზნები საშუალების ძებნა უშედეგო ხდება. პირველ რიგში საჭიროა, ნივთიერებათა ცვლის გააქტიურება. ამ მიზნით სადღეისოდ საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, რომელიც წამლებზე უკეთეს შედეგებს იძლევა. თუმცა, ამ დროსაც ჩნდება გარკვეული პრობლემები — მაღალი ფასები და უხარისხო პროდუქცია (ფალსიფიკაცია).

ნივთიერებათა ცვლის სტიმულაციისათვის ხანდაზმულ მამაკაცებში კარგია ჟენშენის ან ელეუტეროკოკის ნაყენი. ისინი იაფიცაა და ნატურალურიც, მაგრამ საჭიროა გონივრული მიდგომა პროცესისადმი და არა ყველაფრის ერთბაშად მიღების დაუოკებელი სურვილი. ნაყენის „ცხენის დოზით" დღეში 3-ჯერ მიღება, იწვევს ორგანიზმის სწრაფ შეგუებას ასეთი სტიმულაციისადმი და მისი ზემოქმედება არაეფექტური ხდება. ნაყენის მიღება საჭიროა ჭამის წინ. მისი დოზა ორშაბათიდან შაბათამდე თანდათანობით უნდა გაიზარდოს 5-დან 30 წვეთამდე. კვირას კეთდება შესვენება, ხოლო ორშაბათიდან სქემა მეორდება.

ნივთიერებათა ცვლის სტიმულირება უმრავლეს შემთხვევაში ხნის სექსოლოგიურ ჩივილებს ხანში შესულ მამაკაცებში, თუკი ორგანიზმი პრაქტიკულად ჯანმრთელია და სქესობრივი ფუნქციის დაქვეითება მხოლოდ ასაკობრივი ცვლილებებითაა გამოწვეული.

რაც შეეხება მამაკაცის სასქესო ჰორმონების უკონტროლო გამოყენებას, ეს ძალზედ საშიშია, რადგან შესაძლოა, პაციენტის ფარმაკოლოგიური კასტრაცია განვითარდეს: ჯირკვლები ადგილზეა, ხოლო ჰორმონი არ გამომუშავდება. ამის შედეგად მამაკაცმა ან სიცოცხლის ბოლომდე უნდა სვას ჰორმონები, ანდა უფუნქციოდ დარჩეს. ამიტომ ჰორმონულ პრეპარატს მხოლოდ ექიმი ნიშნავს საჭიროების შემთხვევაში. ჰორმონებით თვითმკურნალობის შემთხვევაში კი, შეიძლება ერთი თვით გაუმჯობესდეს სექსოლოგიური მდგომარეობა, მაგრამ შემდგომ სამუდამოდ დაინვალიდდეს პაციენტი. ■

ლებ 10 წუთისა. ამ ხნის განმავლობაში სასარგებლო იქნება მისი არომატის შესუნთქვა, რადგან პიტნის სუნი ენერგიის მატებას იწვევს.

რჩევა 3 – შვრია

ყველასათვის ცნობილი, შვრიის ფაფა სიმხნევისა და ენერგიის წყაროს წარმოადგენს. მასში შემავალი ზოგიერთი ნივთიერება თავისი მოქმედებით ჟენშენის კომპონენტებს ჰგავს. ამიტომ ყოველდღიურად ეცადეთ, ჩართოთ თქვენს კვების რაციონში შვრიის მარცვლები. სასარგებლოა არა მხოლოდ ფაფა, არამედ ყველაფერი, რაც შვრიას შეიცავს, მათ შორის შვრიის ნამცხვარიც.

რჩევა 4 – C ვიტამინი

უახლესი გამოკვლევები ადასტურებს, რომ ამ მნიშვნელოვანი ნივთიერების დეფიციტი ხელს უშლის ორგანიზმს ნორმალური ცხოველქმედებისათვის საჭირო ენერგიის მარაგის შექმნაში. ამის თავიდან ასაცილებლად მიირთვით ტკბილი წიწაკა, მოცხარი, სვით ფორთოხლის წვენი.

რჩევა 5 – წყალი

წყალი არ შეიცავს კალორიებს და არც კვებითი ღირებულება აქვს, მაგრამ მის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. წყლის სულ უმნიშვნელო დეფიციტის დროს ორგანიზმში ენერგეტიკული დონის მნიშვნელოვანი დაცემა ხდება. ამიტომ წყალი უნდა სვათ დღეში არანაკლებ 8 ჭიქისა, მაშინაც კი, როცა თქვენი ფიზიკური აქტივობა არც ისე მაღალია და ძალიანაც არ გწყურიათ. ■

ზეთში მოხრაკული ბადრიჯანი

ბადრიჯანი გავრეცხოთ, დავჭრათ მრგვლად, მოვაყაროთ მარილი და გავაჩეროთ 0,5-1 საათი; გავწუროთ ისე, რომ ფორმა არ დაეკარგოს და ორივე მხრიდან შეეწვათ ზეთში. ხახვი გავფცქვნათ, დავჭრათ და მოვშუშოთ ზეთში. ავიღოთ ერთი ჭიქა ანადუღარი ცივი წყალი, ჩავამატოთ ძმარი, ხმელი ქინძი, ზაფრანა, წიწაკა, ძმარი და წამოვადუღოთ. ეს მასა დავასხათ შემწვარ ბადრიჯანს, დავაყოვნოთ ერთი დღე-ღამე; გავუსინჯოთ მარილი. თუ საჭიროა, დავამატოთ. ჩავდოთ მინის ქილებში, დავასხათ ზემოდან ზეთი, მოვუკრათ პირი და შევინახოთ გრილ ადგილას.

მასალა:

ბადრიჯანი – 5 კგ, ხახვი – 1,5-2 კგ, ზეთი – 1 ლ, ნიორი – 200 გ, ხმელი ქინძი – 3-4 ჩ/კ, ზაფრანა – 3-4 ჩ/კ, წიწაკა – 200 გ.

ზეთში მოხრაკული მწვანე ლობიო

ლობიო გავარჩიოთ, გავრეცხოთ და გავშალოთ, რომ კარგად გაშრეს. ქვაბში ჩავასხათ ზეთი, დავაყროთ გამშრალი მწვანე ლობიო და ვშუშოთ მომზადებამდე.

ცალკე მოვხრაკოთ ხახვი და ნიორი ზეთში. საღი, გადარჩეული პომიდორი გავრეცხოთ, გავაცალოთ კანი, დავჭრათ, დავაყროთ ხახვს და ვშუშოთ. დაჭრილი მწვანილი (ქინძი, ქონდარი, რეჰანი) შევურიოთ მოხრაკულ ლობიოს და გავაგრძელოთ მოშუშვა; შეკაზმოთ მარილით, წიწაკით, ცხელივე ჩავდოთ მინის ქილებში, გავუკეთოთ სტერილიზაცია არანაკლებ ნახევარი საათისა და მოვხუფოთ თუნუქის სახურავებით.

მასალა:

მწვანე ლობიო – 5 კგ, ზეთი – 1 ლ, ხახვი – 2 კგ, პომიდორი – 2,5 კგ, მწვანილები – 200-200 გ; წიწაკა, ნიორი, მარილი – გემოვნებით.

წითელი ბულგარული წიწაკა ძმრითა და ზეთით

წითელი ბულგარული წიწაკა გავრეცხოთ, გავაშროთ, მოვაწყვიტოთ ყუნწი და ამოვაცალოთ თესლი. მწვანილი გავრეცხოთ, გავაშროთ, ნიორთან ერთად დავჭრათ წვრილად.

ქვაბში ჩავასხათ ძმარი, ზეთი, ჩავყაროთ მარილი, შაქრის ფხვნილი, დაფნის ფოთოლი, შავი პილპილი, მოვურიოთ კარგად, შევდგათ ცეცხლზე და ავადუღოთ. ჩავყაროთ მომზადებული წითელი ბულგარული წიწაკა, რამდენიც ჩაეტევა, რომ ზემოდან სითხით დაიფაროს. 5-10 წუთი ვადუღოთ და ქაფქირით ამოვალაგოთ. ჩავყაროთ შემდეგი ნაწილი და ასევე გავიმეოროთ, სანამ წიწაკას მთლიანად არ მოვხარშავთ ამ სითხეში. წიწაკაში ჩავურიოთ წინასწარ მომზადებული, წვრილად დაჭრილი მწვანილი ნიორთან ერთად; ჩავწყოთ მინის ქილებში მჭიდროდ, შევინახოთ ნახარში წვენი და 3-4 დღის შემდეგ, როცა წიწაკა შეიწოვს წვენს, დავამატოთ ქილებში, მოვუკრათ თავი და შევინახოთ მშრალ, გრილ ადგილას.

მასალა:

წითელი ბულგარული წიწაკა – 5 კგ, ზეთი – 0,5 ლ, ძმარი – 1 ლ, შაქრის ფხვნილი – 2 ჩ/ჭ, მარილი – 1 ს/კ, ნიახური – 5 კონა, ოხრახუში – 3 კონა, ნიორი – 300 გ, დაფნის ფოთოლი – 8 ცალი, შავი პილპილი – 20 მარცვალი.

დაჭრილი წითელი პომიდორი (ზამთრისთვის)

საღი, წითელი პომიდორი გადავარჩიოთ, გავრეცხოთ და დავჭრათ წვრილად, ისე, როგორც სადილისთვის ვჭრით (უმჯობესია კანგაცლილი), შევდგათ ცეცხლზე და ავადუღოთ. ადუღებისთანავე დავამატოთ წვრილად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, ოხრახუში, რეჰანი, ვხარშოთ 25-30 წთ, შევაზავოთ მარილით და გადმოვდგათ. დავაყოვნოთ 5 წთ, რომ ცოტა შეგრილდეს; ჩავასხათ მშრალ ქილებში და ცხელივე მოვხუფოთ თუნუქის სახურავებით (სტერილიზაცია არ უნდა). ქილები გავაცივოთ გადმობრუნებულ მდგომარეობაში.

მასალა:

წითელი პომიდორი – 5 კგ, ბულგარული წიწაკა – 1 კგ, მწვანილი, მარილი – გემოვნებით.



ნუ აჭიდებთ მოსწავლეს მძიმე ჩანთას

კალიფორნიის შტატის სენატმა მიიღო კანონპროექტი, რომლის ძალითაც სასკოლო ჩანთის ზღვრული წონა დაწესდა. სტატისტიკის თანახმად, კალიფორნიაში 5 ათასამდე მოსწავლე ყოველწლიურად მიმართავს „სასწრაფო დახმარების" პუნქტს სიმძიმისგან მიღებული ტრავმის გამო. როგორც ექიმები აღნიშნავენ, ხშირად, 45 კგ წონის ბავშვს, რვეულებითა და წიგნებით გამოტენილი, 7-9 კგ წონის ზურგჩანთა აქვს აკიდებული, რასაც საკვებით დატვირთული, ე.წ. ლანჩბოქსი და სპეციალურ შალითაში მოთავსებული მუსიკალური საკრავიც ემატება. მეცნიერთა გამოანგარიშებით, ამგვარად, სკოლის მოსწავლე წელიწადში 11 ტონამდე ტვირთს ეზიდება და ამის შედეგად, ხერხემლის გამრუდებითა და სხვა დაავადებებით სნეულდება. ორთოპედთა ამერიკული ასოციაციის საბოლოო დასკვნით, მოსწავლის ტვირთი მისი წონის 15%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

უკოფეინო ყავაც მავნებელი ყოფილა

დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით – აშშ-ში, დიდი პოპულარობით სარგებლობს კოფეინგამოცლილი ყავა, რადგან ბევრს მიაჩნია, რომ ის უფრო მარგებელია, ვიდრე ჩვეულებრივი. მაგრამ როგორც ცოტა ხნის წინ გაირკვა, მას თურმე ისეთი უარყოფითი თვისებებიც ახასიათებს, რომელსაც ჩვეულებრივ ყავას ვერ დააბრალებ. ამერიკელი დიეტოლოგის, ტედ მიკულსის მიერ 30000 პაციენტზე ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ დღეში 3 ჭიქა უკოფეინო ყავის მიღების შემთხვევაში, ადამიანს სახსრების დაავადება ემუქრება. თავად მკვლევარი ჯერჯერობით ვერ ხსნის ამ მოვლენას, თუმცა ისიც და ზოგიერთი მისი კოლეგაც ვარაუდობენ, რომ მიზეზი, ყავის მარცვლებიდან კოფეინის ამოღების ტექნოლოგია შეიძლება იყოს.



კითხვა + პასუხი

კითხვა: აცრის შემდეგ, ჩემს 4 თვის პატარას სტკიოდა ფეხი, უჭირდა მისი მოძრაობა. როდესაც ბავშვს ხელში ავიყვანდი და მაგიდაზე ფეხებით დავაყენებდი, იგი აშკარად ცდილობდა, მტკივნეულ ფეხს არ დაყრდნობოდა. შემდგომ თითქოს ყველაფერმა გაუარა, მაგრამ ახლა ისევ უწევს აცრა და შეშინია, იგივე არ განმეორდეს.

პასუხი: როგორც ცნობილია, ინიექცია კეთდება დუნდულის ზედა გარეთა კვადრატში, სადაც ნერვული ბოჭკოები მცირეა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდება, რომ შპრიცის შიგთავსი დუნდულის არეში შეყვანისას აწვება მახლობლად მდებარე ნერვს და ვითარდება ე.წ. აცრისმიერი ნევრიტი, რომელიც 2-3 დღის შემდეგ, უკვალოდ გაივლის. ამგვარი მიზეზის გამო, აცრისაგან თავის შეკავება ყოვლად გაუმართლებელია.

კითხვა: როგორია იმის ალბათობა, რომ ბავშვი ფსიქიკურად დაავადებული დაიბადება, თუ ერთ-ერთ მშობელს აქვს ფსიქიკური დაავადება?

პასუხი: დღემდე არ არის ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, რომ დაავადებული მშობლების შვილიც ავადმყოფია. თუ დედა ან მამა ავად არის შიზოფრენიით, იმის ალბათობა, რომ ბავშვი ავად იქნება, მეტია, ვიდრე ჯანმრთელი მშობლების შემთხვევაში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ჯანმრთელ მშობელს ჯანმრთელი ბავშვი ეყოლება და პირიქით.

კითხვა: გული იშვიათად მაწუხებს, მაგრამ ზოგჯერ, როცა გაგნერვიულდები ხოლმე, თითქოს მიფრიალებს და აჩქარებულად მიცემს. ასეთ დროს მირჩიეს კორვალოლის ან ვალოკორდინის მიღება; რომელი სჯობს და რა განსხვავებაა მათ შორის?

პასუხი: მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, კორვალოლი და ვალოკორდინი ერთი და იგივეა. ორივე შეიცავს კატაბალახას ექსტრაქტს, სვიის ნაყენს, კუნელის ნაყენს, რევანდის ნაყენს, ნატრიუმის ბარბიტალს, ეთილის სპირტს და წყალს. ეს პრეპარატები გამოიყენება ნევროზული მიზეზებით გამოწვეული გულის ფრიალის დროს. მათ ნიშნავენ მომატებული აღგზნებადობის, კორონარული (გულის მკვებავი) სისხლძარღვების ზომიერად გამოხატული სპაზმების დროს, უძილობისას, ჰიპერტონიული დაავადების (წნევის) ადრეულ სტადიებზე ანუ დასაწყისში, როცა ავადმყოფის მდგომარეობა დამძიმებული არ არის. ასეთ შემთხვევებში კორვალოლი ან ვალოკორდინი ეფექტურია ხოლმე, მაგრამ თუ ტაქიკარდიის (გულის აჩქარების) მიზეზი სხვაგვარია, მაშინ არც ვალოკორდინი და არც კორვალოლი არ შველის. აუცილებელია, გულის არეში უსიამოვნო შეგრძნების მიზეზის დადგენა. თუ ის დაბალი წნევით (ჰიპოტენზიით) არის გამოწვეული, საჭიროა მასტიმულირებელი საშუალებები, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა (ვარჯიშები) წნევის მოსამატებლად. თუ ადამიანს პირიქით — მაღალი წნევა აქვს, უნდა იწვეს, არ იმძრაოს და დალიოს წნევის დამწევი (ჰიპოტენზიური) საშუალებები.

თუ გულის არეში უსიამოვნო შეგრძნებები იშვიათია და გშველით ვალოკორდინი (კორვალოლი), მაშინ სვით იგი, მაგრამ თუ ტკივილმა არ გაგიარათ ან შეტევები საკმაოდ გახშირდა, აუცილებელია ექიმის კონსულტაცია.

კითხვა: ჩემი გოგონა სიმსუქნის გამო, საკმაოდ წუხს. გახდომის ბევრი მეთოდი სცადა, მაგრამ — უშედეგოდ. ამჟამადაც რაღაც ახალი მეთოდიკის შესახებ შეუტყვია, რაც ჩემი შეშფოთების მიზეზი გახდა: ყოველი ჭამის შემდეგ, იწვევს ხელოვნურ პირღებინებას და სვამს საფაღარათო საშუალებებს. ამბობს, რომ ორგანიზმს რაც სჭირდება, თვითონ შეითვისებს, ხოლო ზედმეტმა საჭმელმა კუჭი არ უნდა გადატვირთოსო. რა შეიძლება მოჰყვეს მის ასეთ საქციელს?

პასუხი: ხელოვნური პირღებინების ხშირ გამოწვევას შესაძლოა, ეზოფაგიტის — საყლაპავის ანთების განვითარება მოჰყვეს. გარდა ამისა, შესაძლოა, ორგანიზმში დაირღვეს წყალ-მარილოვანი ბალანსი და ჰიპოკალიემია — კალიუმის ნაკლებობა განვითარდეს. მოსალოდნელია დეპრესიული მდგომარეობის ჩამოყალიბება, მუცლის ტკივილი, გასტრიტი. რაც შეეხება საფაღარათოებს, მათი გამოყენება მხოლოდ ექიმის რეკომენდაციითაა შესაძლებელი. თუ ორგანიზმი არ იკვებება ნორმალურად, სუსტდება და აქტიურობაც უქვეითდება. გოგონებში ამას ხშირად მოსდევს მენსტრუალური ციკლის დარღვევა. ასე რომ, არ გირჩევთ ორგანიზმის ბუნებრივ პროცესებში ჩარევას — ეს სახიფათოა თქვენი ჯანმრთელობისათვის!

■

C ვიტამინი - საგულე საშუალებაც ყოფილა

ჩინეთის სახალხო უნივერსიტეტში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ C ვიტამინი სამკურნალო ზემოქმედებას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

როგორც ცნობილია, სისხლძარღვებს ორი მტერი ჰყავს — ქოლესტერინი და ტრიგლიცერიდი. ქოლესტერინის მავნეობის შესახებ ფართოდაა ცნობილი, ხოლო ტრიგლიცერიდის ზემოქმედება გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე არ არის კარგად შესწავლილი. ამის მიუხედავად შეინიშნება, რომ როცა სისხლში ტრიგლიცერიდის დონე მაღალია, ადგილი აქვს „კარგი“ ცხიმების დონის დაქვეითებას და ამდენად საშიშროება ექმნება სისხლძარღვებს.

ტრიგლიცერიდის ჭარბად დაგროვებას შეიძლება ხელი შევუშალოთ, თუ ნაკლებად გამოვიყენებთ ალკოჰოლსა და ცხიმიან საკვებს, აგრეთვე — წამლების მეშვეობით. ჩინელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ტრიგლიცერიდის დონის მატებას ცხიმიანი საკვების მიღების შემდეგ, აფერხებს C ვიტამინი. გამოკვლევები ჩატარდა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მქონე და პერსპექტივაში კარდიოლოგიური პრობლემებით გართულებადი დაავადებების მქონე პაციენტებზე. ისინი ჭამის შემდეგ C ვიტამინს იღებდნენ. ანალიზებმა აჩვენა, რომ ტრიგლიცერიდის დონე სისხლის შრატში ჭამის შემდეგ, ჭამამდელ დონესთან შედარებით არსებითად არ იცვლებოდა.

■

მორენა მერკვილაძე

რატომ უნდა შევრისხოთ თვითმკვლელი?

რა შემთხვევაში ითვლება თვითმკვლელობა მომაკვდინებელ ცოდვად?

წმინდა მამედის სწავლებით, უფლის ერთ-ერთი მცნების მიხედვით — არა კაც ჰკლა, არა მარტო სხვისი, საკუთარი თავის მოკვდინებაც — ანუ თვითმკვლელობა — იკრძალება... ამ მძიმე თემასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებს განგვიმარტავს წავკისის წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის მღვდელი, მამა დავითი (მინდორაშვილი).

— გაჭირვების, სიყვარულში გაუმართლებლობის თუ სხვა ამქვეყნიური პრობლემების მოუგვარებლობისას, ზოგიერთი ადამიანი კარგავს იმედს და სასოწარკვეთილება ეუფლება, რადგან ამ დროს ვერ აცნობიერებს, რომ ნებისმიერ ცხოვრებისეულ განსაცდელს უფალი მოუვლენს, რაც ხანმოკლე, მიწიერი ტანჯვაა ჩვენს განსაწმენდელად. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ადამიანს მიაჩნია, რომ საშველი არ არსებობს, ყველაფერი დამთავრებულია და მისი ფიქრი თვითგანადგურებისკენ ისწრაფვის, რასაც თვითმკვლელობა მოჰყვება. ბუნებრივია, ასეთ დროს, ადამიანს ბოროტი ძალა მართავს, რაც აიძულებს, მოკლას საკუთარი სხეული, რომელიც ღვთის მიერ განსაზღვრულ დრომდე ინახავს სულს. სიცოცხლის მინიჭება ღვთის წყალობაა და ადამიანს არა აქვს უფლება, ეს წყალობა უარყოს.

— მაგრამ დამეთანხმებით, რომ ზოგჯერ ცხოვრება ისეთი უმძიმესი განსაცდელის წინაშე აყენებს კაცს, რომლის გადატანაც მის ძალებს აღემატება. მაინც რა შემთხვევაშია მიჩნეული თვითმკვლელობა მომაკვდინებელ ცოდვად?

— როდესაც იუდამ უფალი გასცა, სინანული თავის ჩამოხრჩობით გამოხატა. მართალია, იუდას სინანულის გრძნობა გაუჩნდა, მაგრამ არასწორად შეინანა. ის რომ მისულიყო უფალთან და შენდობა ეთხოვა, უფალი მიუტევებდა, მაგრამ შესცოდა. ამიტომ თვითმკვლელობა განიხილება, როგორც იუდას ცოდვის გამეორება და გაცნობიერებული ცოდვის ჩამდენი, იუდას მსგავსად, სულს ჯოჯოხეთისთვის აშზადებს.

— ლოცულობს თუ არა ეკლესია თვითმკვლელისთვის?

— ადამიანს აქვს თავისუფალი ნება. შეუძლია ღვთის ნებას დაემორჩილოს, ან პირიქით, არ ცნოს იგი და ეშმაკის პირისპირ აღმოჩნდეს. ადამიანს თვითმკვლელობას ხომ ბოროტი ძალა აფიქრებინებს, რომელიც შეეძლო, არ მიეღო. ამიტომ თვითმკვლელობა ეკლესიურად გაუმართლებელია და ლოცვებში თვითმკვლელის მოხსენიებაც იკრძალება.

— ანუ ეკლესიურად, თვითმკვლელის ქრისტიანული წესით დაკრძალვა და მოხსენიებაც იკრძალება...

— თვითმკვლელობის შემთხვევაში, ეკლესიას არ შეუძლია აღიაროს, რომ მიცვალებულმა თავისი სასოება ღმერთზე დაამყარა. აქედან გამომდინარე, ქრისტიანული წესით მისი დაკრძალვა და მოხსენიება, ეკლესიურად დაუშვებელია. ტიმოთე ალექსანდრიელის მე-14 კანონის თანახმად, თვითმკვლელისთვის ეკლესია ლოცულობს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ფსიქიკური აშლილობის დროს იკლავს თავს. როდესაც ადამიანი ამქვეყნიური საზრუნავის ან სულმოკლეობის შედეგად მიმართავს თვითმკვლელობას, ის არათუ ეკლესიამ, არც ახლობლებმა უნდა მოიხსენიონ პირად ლოცვებში, რამეთუ ჩვეულებრივი მოკვდავი ეკლესიასა და თვით ღმერთზე გულმოწყალე ვერ იქნება.

— ჩადის თუ არა ცოდვას ჭირისუფალი, რომელიც გარდაცვალების ნამდვილი მიზეზის დამალვით, თვითმკვლელის ქრისტიანული წესით გაპატიოსნებას ახერხებს?

— ჭირისუფალს სიკვდილის ნამდვილი მიზეზის დამალვა ცოდვად ეთვლება. მან პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოს, რომ უფალი ძალით არავის აცხონებს. ამიტომ ჩვენი ლოცვაც არ შეეწევა, რადგან მლოცველის სული, იმ გარდაცვლილის სულს ეხება, ვისთვისაც ლოცულობს და რაც ამ უკანასკნელისთვის მაშინ არის მკურნალი, როდესაც მიწიერ ცხოვრებას, ლოცვისადმი რწმენით და იმედით განეშორა.

— თვითმკვლელის საფლავზე ჯვრის აღმართვაც დაუშვებელია?

— თვითმკვლელის საფლავზე ჯვრის დადგმა არ შეიძლება, რამეთუ მან უარყო ჯვარცმა, რომელიც იესო ქრისტემ ჩვენი გამოხსნისთვის იტვირთა.

— რა შემთხვევაში შეიძლება თვითმკვლელობის გამართლება, შეურაცხადი ადამიანის მიერ ჩადენილი თვითმკვლელობის გარდა?

— ქრისტიანობაში დაშვებულია ქალწულის შეგნებულად თვითმკვლელობა, რომელსაც ქალი ღირსების დასაცავად მიმართავს — მოსალოდნელი ძალადობისგან ან ძალადობის დროს თავის დაღწევის მიზნით. თუ ამ თვითმკვლელობას, ღვთისგან ნაბრძანები მცნების დაცვა — არა იმრუშო — უდევს საფუძვლად. ძალადობის განხორციელების შემდგომ, სასოწარკვეთილების დროს ჩადენილი თვითმკვლელობა, ასევე მომაკვდინებელ ცოდვად განიხილება.

— რა გზა რჩება თვითმკვლელის ახლობელს, რომ გარდაცვლილისთვის იზრუნოს?

— მსგავს კითხვას სერაფიმე როუზი შემდეგნაირად პასუხობს: როდესაც „მამაო ჩვენოს“ ლოცვის დროს ვამბობთ: „იყავ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა!..“ — ღვთისადმი მორჩილებას გამოვხატავთ, ამიტომ თვითმკვლელის ახლობელი ვალდებულია, ღვთის ნებას დაემორჩილოს. ასევე შეუძლია მის სახელზე მოწყალება გასცეს.

— რას ურჩევს ეკლესია ადამიანს, რომელსაც თვითმკვლელობის სურვილი უჩნდება ხოლმე პერიოდულად?

— როდესაც მორწმუნე ადამიანს თვითმკვლელობის სურვილი უჩნდება, პირველ რიგში, უნდა წაიკითხოს ლოცვები და გამოისახოს პირჯვარი; კარგია ასეთ დროს, ნებისმიერი საქმის კეთება, რომლის დროსაც განუწყვეტლივ უნდა ვიმეოროთ „იესოს ლოცვა“: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი!“ — ვიდრე არ უკუვაგდებთ თვითმკვლელობის აზრს. სასურველია, მივიღოთ ნაკურთხი წყალი და სეფისკერი. ძველი აღთქმის მიხედვით, როდესაც მეფე საულს მოწყენილობა ეუფლებოდა, დავით მეფესალმუნე ფსალმუნებს უგალობდა, რაც ნაღველის დაძლევაში ეხმარებოდა. აქედან გამომდინარე, სასოწარკვეთილების დროს სასურველია ფსალმუნების კითხვაც. და რაც მთავარია, დიდი გულმოდგინებით უნდა მიიღოს საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობა. ■

უზრუნველი, უდარდელი, ხელგაშლილი კაცი
ოვივეა, რაც ჩიბუხი
ფრანგული პაემანი
სასელშიფო, რომლის ვალუტაც კრუზეიროა
იაპონური თეატრი
ლეგენდარული საკერავი მანქანა
ლეინის სასმელი
მუხუჟ კომედია სასიმღერო კუპლეტებით
პატარა მეტეოროლოგიური აეროსტატი
ფრანგი კინორეჟისორი ... კლერი
... გარსია, ... მაკდაუელი
ზევსის ფარი
წარსულში პოპულარული ლატვიური რადიოშოუ
სასოცხლო სუბსტანცია ინდურ მითოლოგ.
ეკეს ბრდის როლის შემრულებელი
ქაშაყის საუკეთესო სახეობა
თბილისის ძველი უბანი
ანრი ბელი
პარლამენტში ხმის მიცემა მიღებული გადწყვეტ
მეჩიდროდ ნაკერი ნემის უარეფზო ამფეს
უკრაინული ხალხური ცეკვა
შტო
ბორეალ-ოსანთა მწვრთნელი
ნერონის აღმზრდელი, მწერალი და ფილოსოფოსი
ძველინდური ეპიკური პოემა
კურორტი ბულგარეთში
XVI ს ესპანელი მწერალი
წყალსაცავი რაჭაში
ლლეტლეტ სიტყვა (რუსულად)
ჰომეროსის პოემა
ცრბილი სმდელო დ პრფუერიუ ული ფრეს
სათიბი ინვენტარი
გათლილი ძელი საძირკველში
„ჯოლხეთის ცისკარი“ (მთ. პერსონაჟი)
ჯერცხის მდებელი ძუძუმწოვარი ცხოველი
იტალიელი კინომსახიობი, ჰერცოვი
ოფიცრის წოდება კაზაკთა ჯარში
საქონლის დასაფასოებელი
ხასიათი, ბუნება
ისრაელის სამეფოს დამაარსებელი
„ნაუტილუსის“ კაპიტანი



უეალგინა
რამაზ ალანიამ

31-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-ა.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ (21 – 27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ) ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

ᲦᲠᲝᲐᲜᲙᲐᲚᲘ – 24/X-22/XI

მეტი ყურადღება დაუთმეთ ფინანსურ საკითხებს: თქვენ შემოსავლის ახალი წყაროების ძებნა გმართებთ, თანაც, მომჭირნეობაც უნდა ისწავლოთ. მართალია, ეს არცთუ ისე სასიამოვნოა, მაგრამ სხვა გზა არ არის... სამაგიეროდ, უქმე დღეებში სუცხოოდ დაისვენებთ: შესაძლოა, სპექტაკლს ან კონცერტს დაესწროთ, ან ხალხმრავალ და მხიარულ წვეულებაზე მოხვდეთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ – 23/XI-21/XII



კვირის დასაწყისში თავს შეგახსენებთ დიდი ხნის წინ ნაკისრი ვალდებულებები. ეს გარემოება გეგმებს აგირევთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველა საქმეს თავს დაადგამთ, ამიტომაც, უქმე დღეებში უარს ნუ იტყვით მეგობრებთან შეხვედრაზე, რადგან ერთ-ერთი მათგანი სერიოზული და ფრიად საინტერესო საქმიანი წინადადებით მოგმართავთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ – 22/XII-20/I

რისკიანი ნაბიჯებისა და აზარტული თამაშებისგან თავი უნდა შეიკავოთ, რადგან ერთბაშად, საკმარ თანხა შეიძლება წააგოთ. საერთოდ, უმჯობესი იქნება, თუ ამ კვირას შინ გაატარებთ: თქვენს ოჯახში ხომ სრული იდილია და სიმშვიდე სუფევს.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ – 21/I-19/II

ამ კვირამ წარმატება უნდა მოგიტანოთ. განსაკუთრებით, ისეთ საქმეში, რომელიც გულმოდგინებას მოითხოვს. ხუთშაბათი კი, ყველა მოლოდინს გადააჭარბებს: ყოველი თქვენი ნაბიჯი მოზომილი, ნებისმიერი გადაწყვეტილება – გაწონასწორებული და უნაკლო, ნებისმიერი ლიმილი კი „ჰოლიგანვუდური“ იქნება.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ – 20/II-20/III



თუ მასწავლებელი ხართ, ე.ი. თქვენს მოსწავლეებს გაუმართლათ, რადგან ამ კვირაში საოცრად მჭევრმეტყველი და ენაწყლიანი იქნებით, ურთიერთობაში კი, ძალზედ ტაქტიანი. თუ პედაგოგი არ ბრძანდებით, მაგრამ სამსახურში ადამიანებთან აქტიური ურთიერთობა გიწევთ, თქვენთან კონტაქტი ყველას ესიამოვნება. კვირის მეორე ნახევრიდან კი, ფინანსური კეთილდღეობის პერიოდი გეწყებათ.

ᲕᲔᲠᲫᲘ – 21/III-20/IV



ამ კვირაში საქვეყნო საქმეების კეთება ნამდვილად არ მოგიწევთ. სამაგიეროდ, ყველა პრობლემას, მათ შორის წვრილმანსაც, თქვენთვის სასიკეთოდ გადაწყვეტთ. პირად ურთიერთობებში, ახლობელ ადამიანებზე ზეწოლას მოერიდეთ, სჯობს, პირიქით – მეტი თავისუფლება მისცეთ მათ.

ᲙᲣᲠᲝ – 21/IV-21/V

საკმაოდ მშვიდი კვირა გელით. საქმეში თავის გამოჩენის შანსი მხოლოდ პარასკევს მოგეცემათ. მანამდე კი, შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ ადამიანთან შეხვედრა და ძველი მეგობრობისა ან სიყვარულისკენ მიბრუნება მოგიხდეთ. უქმეებში ახლობლებთან შეკამათება გელით, მაგრამ, საბედნიეროდ, სერიოზული არაფერი მოხდება.

ᲛᲐᲠᲩᲒᲝᲕᲘ – 22/V-21/VI



კვირის დასაწყისში, თქვენზე უფროსი ადამიანის მიერ მოცემული რჩევები ძალზედ სასარგებლო იქნება თქვენთვის, ამიტომ, ყური დაუგდეთ და ეცადეთ, თქვენი გრძნობებიც აკონტროლოთ, რადგან ამ კვირაში ენერგიის მოზდვავებას იგრძნობთ და შეიძლება, ამის გამო ექსცენტრიკულადაც მოიქცეთ.

ᲘᲝᲠᲩᲮᲝᲒᲘ – 22/VI-22/VII

სამწუხაროდ, ამ კვირაში თქვენი შესაძლებლობები თქვენს სურვილებს არ დაემთხვევა. ისეთი ნივთების ყიდვა მოგინდებათ, რომელზეც ხელი არ მიგიწვდებათ, უფროსების დავალებები კი, რადიკალურად შეცვლის ყველა თქვენს გეგმას, ხოლო, უქმეებში ნორმალურად დასვენების საშუალებაც არ გექნებათ.

ᲚᲝᲛᲘ – 23/VII-23/VIII



უფერული და უშფოთველი კვირა გელით. მართალია, კვირის მეორე ნახევარში შორეული საქმიანი მოგზაურობა გელით, მაგრამ ყველაფერი მეტისმეტად გაურკვეველი იქნება, თუმცა, რაც უფრო მეტ ინიციატივას გამოიჩენთ, მით უფრო სწრაფად მიხვდებით, როგორ უნდა იმოქმედოთ და ყველა გაუგებრობასაც თავიდან აიცილებთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ – 24/VIII-23/IX



ორშაბათიდანვე დაძაბული შრომა მოგიწევთ. ძალიან მცირე ხანში, მნიშვნელოვანი საქმის მოგვარება უნდა მოასწროთ. ხუთშაბათიდან კი, საოჯახო პრობლემებს უნდა მიხედოთ: გამუდმებით საქმით გართულს, ხშირად გავიწყდებათ საოჯახო საზრუნავი, არადა თქვენი ოჯახის წევრებს თქვენი მხარში დგომა ესაჭიროებათ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ – 24/IX-23/X



კვირის დასაწყისში სამსახურში შეგაქებენ და შესაძლოა, მატერიალურადაც წაგახალისონ. ეს ახალ და საპასუხისმგებლო საქმესთან იქნება დაკავშირებული. თქვენ მას თავს გაართმევთ, მაგრამ ერთ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ: თუ ვინმემ თქვენთან გაჯიბრება გადაწყვიტა, ამას სერიოზულად ნუ აღიქვამთ.

შეგიძლიათ თუ არა პრობლემის დაძლევა?

ზოგიერთი ადამიანი პრობლემებთან შეჯახებისას კლდესავით ურყევი ხდება, ზოგი კი სიძნელეებს გაურბის და თავს სირაქლემასავით ქვიშაში მალავს. როგორ ახერხებთ პრობლემის დაძლევას? საკუთარ თავში იკეტებით თუ პირიქით, მთელ ქვეყანას ამცნობთ თქვენი გასაჭირის შესახებ? წინამდებარე ტესტის მეშვეობით დაადგენთ, შეუძლია თუ არა უსიამოვნებებს კალაპოტიდან თქვენი ამოგდება და რა უნდა გააკეთოთ იმისთვის, ეს რომ არ მოხდეს.

1) როგორ მოიქცევით, თუ ახლო მეგობრის ქორწილის დღეს, თქვენი საყვარელი ადამიანი გამოგიცხადებთ, რომ თქვენ შორის ყველაფერი დასრულდა?

ა) ძალიან ინერვიულებთ, მაგრამ ქორწილში მაინც წახვალთ და თქვენს დარდს ყველას გაუზიარებთ – 0;

ბ) მიუხედავად ცუდი განწყობილებისა, ეცდებით, მეგობარს ბედნიერი დღე არ ჩაუშხამოთ – 1;

გ) ქორწილში ისე გაერთობით, რომ დილანდელი უსიამოვნება საღამოს აღარც კი გაგახსენდებათ – 2.

2) როგორ მოიქცევით, თუ უფროსი კაბინეტში დაგიბარებთ და კარგად გაგლანძღავთ, იქიდან გამოსულს კი, ცნობისმოყვარე თანამშრომლები შეკითხვებს დაგაყრიან?

ა) ეტყვით, რომ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა – 1;

ბ) ყველაფერს გულახდილად მოჰყვებით და იმასაც დასძენთ, რომ მზად ხართ, სამსახურიც დატოვოთ – 0;

გ) იტყვით, რომ ყველაფერი სისულელეა, უბრალოდ, უფროსი უხასიათოდაა – 2.

3) როგორ მოიქცევით, თუ ახლობელი დაგირეკავთ და ვალის დაბრუნებას ისეთ დროს მოგთხოვთ, როცა აშკარა ფინანსურ კრიზისს განიცდით?

ა) გეწყინებათ და უსაყვედურებთ: ფული რომ გქონოდათ, შეხსენება არ დაგჭირდებოდათ – 0;

ბ) შეჰპირდებით, რომ როგორც კი ფული გექნებათ, მაშინვე დაუბრუნებთ – 2;

გ) ბოდიშს მოუხდით და ეცდებით, ვალი რაც შეიძლება მალე დაუბრუნოთ – 1.

4) რა რეაქცია გექნებათ, თუ ტელეფონით „კეთილის მსურველი" შეგატყობინებთ, რომ თქვენი რჩეული რესტორანში სხვასთან ერთად იხილა?

ა) გაბრაზდებით, მაშინვე რესტორანში წახვალთ და ეცდებით, სამაგიერო გადაუხადოთ – 2;

ბ) შეამოწმებთ, სწორია თუ არა ინფორმაცია და მერე თქვენს რჩეულს გრანდიოზულ სკანდალს მოუწყობთ – 1;

გ) მუსიკას ჩართავთ, შოკოლადის ჭამას დაიწყებთ და საკუთარ უბედობაზე იწუწუნებთ – 0.

5) როგორ მოიქცევით, თუ ოფიციალურ შეხვედრაზე მყოფს, უეცრად ჭიქა ხელიდან გაგვარდებათ და სასმელი თქვენს უფროსს გადაესხმება ტანსაცმელზე?

ა) მთელი საღამო უკან აედევნებით და ათას ბოდიშს მოუხდით – 0;

ბ) მაშინვე მოუხდით ბოდიშს და წვეულებიდან წახვალთ – 1;

გ) უბრალოდ გაიცინებთ და წვეულებაზე კარგადაც მოილხენთ – 2.

6) აძლევთ თუ არა ახლო მეგობრებს თქვენი სასყვარულო ურთიერთობების განხილვის საშუალებას?

ა) არასოდეს. მათი აზრი ამ საკითხის შესახებ არ გაინტერესებთ – 2;

ბ) მოუსმენთ, მაგრამ მათ აზრს ყურადღებას არ მიაქცევთ – 1;

გ) ეცდებით, მათ ნათქვამში სიმართლის მარცვალი იპოვოთ – 0.

7) როგორი რეაქცია გექნებათ, თუ სადმე ძალიან გაგვიანდებათ და ამ დროს სამარშრუტო ტაქსით „საკობში" მოხვდებით?

ა) ინერვიულებთ, თქვენ ხომ ყოველი წუთი დათვლილი გაქვთ – 2;

ბ) ბრაზობთ და მძღოლს ეუბნებით, ნუ აძლევს ყველა მანქანას წინ გაჭრის საშუალებას – 1;

გ) მთელი სამარშრუტო ტაქსის გასაგონად გალანძღავთ მძღოლს, ტაქსიდან ჩამოხვალთ და ეცდებით, დანიშნულების ადგილამდე რაიმე უფრო სწრაფი საშუალებით მიაღწიოთ – 0.

8) ბრაზობთ თუ არა საკუთარ თავზე, როცა ჩანაფიქრის განხორციელებას ვერ ახერხებთ?

ა) მხოლოდ მაშინ, თუ წარმატების მიღწევა თქვენზეა დამოკიდებული – 1;

ბ) ძალიან ნერვიულობთ და ამით საქმეს უფრო აფუჭებთ – 0;

გ) მარცხი კიდევ ერთხელ გარწმუნებთ იმაში, რომ წარმატების მიღწევას თქვენი ძალების მობილიზაცია სჭირდება – 2.

დაანგამეთ ქულები

11 ქულა და მეტი: ყველა პრობლემის გადაჭრას მხოლოდ საკუთარი ძალებით ცდილობთ. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი პრობლემების სხვებისთვის თავზე მოხვევა უსამართლობაა. ემოციებს მუდამ აკონტროლებთ. სამსახურში ბევრს ცივი და უემოციო ადამიანი ჰგონიხართ. ეცადეთ, თქვენი გრძნობა სხვებსაც გაუზიაროთ და დარწმუნდებით, რომ ცხოვრება არც ისე რთულია.

5-10 ქულა: ნებისმიერ სიტუაციაში საუცხოოდ ფლობთ თავს. ყველასთან მშვიდი და გაწონასწორებული ხართ. ეს კი იმით აიხსნება, რომ გარემოს აღქმის საკუთარი შეხედულება გაქვთ. ნერვიულ და ისტერიულ სიტუაციაში არასოდეს ვარდებით. რა თქმა უნდა, უსიამოვნებები თქვენს ცხოვრებაშიც ხდება, მაგრამ თქვენ მშვენივრად ახერხებთ მათ დაძლევას. ამ თვისებების გამო, გარშემომყოფები ძალიან გაფასებენ და უყვარხართ. იციან, რომ თქვენზე დაყრდნობა შეიძლება და ზომიერების გრძნობა არასოდეს გღალატობთ.

0-4 ქულა: ზომიერების გრძნობა ხშირად გღალატობთ ხოლმე. იმდენად ხართ პრობლემებში ჩაფლული, რომ ახლობლებს თქვენს ხასიათში გარკვევა უჭირთ. მეტისმეტად განიცდით პრობლემურ სიტუაციებს და ბუზის სპილოდ წარმოდგენა გჩვევიათ. ამის შედეგად, კიდევ უფრო იბნევით და უსიამოვნებების გადალახვა გიჭირთ. ასეთი ტიპის ადამიანებს ფსიქოლოგები ურჩევენ, ისწავლონ საკუთარი პრობლემების გვერდიდან დანახვა, რაც სწორი გადაწყვეტილების მიგნებას აიოლებს.

81 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲣᲪᲛᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ჩეხეთის გაზეთი Pravo წერს, რომ 81 წლის ქალბატონმა, ლიბუს ტიკალოვამ, ოთხი წლის ბიჭუნა სიკვდილს გადაარჩინა. ფრანტიშეკ ჰანალოვი ფანჯრიდან გადმოვარდა და ქუჩა სართულის აივნის მოაჯირს შემთხვევით ტანსაცმლით რომ არ ჩამოჰკიდებოდა, 10 მეტრის სიმაღლიდან დაენარცხებოდა მიწაზე. მოხუცმა ყვირილი გაიგონა, აივანზე გავარდა და ბავშვს ხელებში ჩაეჭიდა. 30 წუთის მანძილზე ლიბუს ტიკალოვა მშველელს უხმობდა, ბოლოს, როგორც იქნა, მისი ყვირილი ახლომდებარე მშენებლობაზე მომუშავე მუშებმა გაიგონეს და ბიჭუნა გადაარჩინეს.

„არ ვიცი, რა ძალამ შემაძლებინა, — ამბობდა მოხუცი ქალბატონი. — ძალიან გამიჭირდა, მით უმეტეს, ბიჭუნა განუწყვეტლივ ყვიროდა, რომ მას ხელები ძალიან სტკივა, მე კი, მისი ზემოთ ამოყვანა არ შემეძლო". მეზობლები ლიბუს ტიკალოვას ნამდვილ გმირად მიიჩნევენ, ბიჭუნას დედა კი, ხანში შესული ქალბატონის პატივსაცემად სადღესასწაულო სადილის გამართვას აპირებს.

91 ᲙᲐᲢᲐ ᲓᲐ ᲔᲗᲗᲘ ᲫᲐᲚᲚᲘ

ამერიკის ქალაქ ფორტ უოლტონ ბიჩში, სახლში 91 კატისა და ერთი ძაღლის ყოლის გამო, პოლიციამ რვა წლის გოგონას მშობლები დააპატიმრა.

მილანა და სინტი იურკოვიჩებს საკუთარი შვილისადმი უდიერ დამოკიდებულებაში ედებათ ბრალი. იურკოვიჩების სახლში ცხოველთა დაცვის საზოგადოების თხოვნის საფუძველზე მისულმა პოლიციამ აღმოაჩინა, რომ საცხოვრებელი ფართი კატების განავლითა და შარდით იყო სავსე და ყარდა. მთელ შენობაში ამიაკის ისეთი მძაფრი სუნი იდგა, რომ პოლიციელები იძულებულები გახდნენ, სახლში შესვლისას აირწინაღები გამოეყენებინათ.

მშობლების დაპატიმრების შემდეგ, გოგონა ახლობლებმა შეიფარეს. 91-ივე კატა შესანიშნავ მდგომარეობაში იყო და ცხოველთა დაცვის საზოგადოებამ მათთვის ახალი პატრონების გამოძებნა ითავა. ძაღლი კი იმდენად ავადმყოფი და ბებერი აღმოჩნდა, რომ მისი მოწამვლა გადაწყვიტეს.

ᲛᲮᲐᲢᲕᲘᲗᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲢᲣᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲖᲔ

გერმანული კომპანია Klo-Verlg-ის ხელმძღვანელის, გეორგ ჰემერშტოფერის აზრით, დღესდღეობით ადამიანები კითხულობენ მხოლოდ ლოგინში — ძილის წინ ან ტუალეტში. ამიტომ კომპანიამ ლიტერატურული ნაწარმოებების (როგორც პროზაული, ასევე პოეტური) ტუალეტის ქაღალდზე დაბეჭდვა გადაწყვიტა.



საგენტო „როიტერის" ცნობით, გერმანელი კლასიკოსების შედევრებთან ერთად, ტუალეტის ქაღალდზე თანამედროვე დეტექტივები, რომანები და ზღაპრებიც დაიბეჭდება. როგორც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გაირკვა, ჰემერშტოფერის ჩანაფიქრი გერმანელებს ძალიან მოეწონათ. კომპანიამ უკვე უამრავი შეკვეთა მიიღო, მათ შორის ერთ-ერთი ავტორისგანაც, რომელსაც თავისი ნაწარმოებების დაბეჭდვა, მხოლოდ ტუალეტის ქაღალდზე სურს.

კომპანიის პროდუქცია, რომლის ფასიც ჩვეულებრივ ტუალეტის ქაღალდზე ძვირი იქნება, მალე გერმანიის წიგნის მაღაზიებსა და სუვენირების ფარდულებში გაიყიდება.

ᲜᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲒᲓᲔᲑᲗ ᲫᲕᲔᲚ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ!

ავტომობილი, გადაადგილების საშუალებიდან კვლავ ფუფუნების საგნად იქცევა. ამ ცოტა ხნის წინ, იერუსალიმის დიზაინისა და ხელოვნების აკადემიის სტუდენტებმა გერმანიის ქალაქ ფლენსბურგში მოაწყვეს გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო მოდისა და ინდუსტრიული დიზაინის ნიმუშები. გამოფენის გახსნაზე ებრაელი მოდელი დაშსწრეთა წინაშე წარდგა სამოსით, რომელიც 1957 წლის გამოშვების „კადილაკის" ნაწილებისგანაა დამზადებული.

„ᲰᲐᲠᲘ ᲰᲝᲢᲔᲠᲘ" ᲰᲘᲠᲒᲘᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!

ასეთი ვერდიქტი გამოიტანა ნიუ-იორკის სასამართლომ, რომელმაც განიხილა ამერიკელი საბავშვო მწერალი ქალის, ნენსი სტოფერის სარჩელი. შეგახსენებთ საქმის არსს: სტოფერი ირწმუნებოდა, რომ სახელგანთქმულმა ინგლისელმა რომანისტმა ქალმა, ჯოან როლინგმა ჯადოქარი ბიჭუნას, ჰარი პოტერის შესახებ რომანების წერისას, მას „მოჰპარა" ზოგიერთი გმირი, სიუჟეტური სვლა და ის ახალი სიტყვებიც, რომელიც, სტოფერის მტკიცებით, სწორედ მისი მოგონილი იყო. საქმის გარჩევისას გაირკვა, რომ ამერიკელმა მწერალმა იცრუა სასამართლოს წინაშე და ყალბი დოკუმენტებიც წარუდგინა მას. სასამართლომ მას არა მარტო უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, არამედ როლინგის მიმართ შემდგომში მსგავსი სარჩელის შეტანაც კი აღუკვეთა. გარდა ამისა, „შეცდომაში სასამართლოს შეყვანის მცდელობისთვის" ნენსი სტოფერი 50.000 დოლარით დააჯარიმეს და კიდევ ჯოან როლინგის მიერ თავის ადვოკატებზე დახარჯული თანხის დაფარვაც დააკისრეს.

ფოტოკუთხეები



ძალიან საინტერესო ჟურნალი!

185/34

TV-პროგრამა
14.10-20.10 2002 წ.

მსოფლიოს მაღალრეიტინგული სტატიები

ჩემი ოჯახი

№3 ფასი 60 თ.

46

ეძებეთ თანამგზავრი: კანადელ მილენას ქმარი სჭირდება

30

რითი ჩამოიტოვა დუტა სხირტლაძემ უკან ქალები

11

ბერიკას „უქასი“, ანუ როგორ დაინყო ისევ სიგარეტის მოწევა



„მისით, როგორც მსახიობით არ ვამაყობ...“

რატომ აშინებენ ბექნუ ქაფიანიძეს მამით

ყოველ ორშაბათს!